დიადი ბრძოლა

დიადი ბრძოლა ქრისტესა და მის ანგელოზთა და სატანასა და მის ანგელოზთა შორის

ელენე უაითი
(1827-1915)

წინასიტყვაობა

ელენე უაითი (1827-1915) ცნობილია რელიგიურ წრეებში როგორც მწერალი და მქადაგებელი. იგი დაიბადა და ბავშვობა გაატარა ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მეინის შტატში. 1885 წლიდან 1887 წლამდე ცხოვრობდა და შრომობდა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, სადაც უზარმაზარი აუდიტორიების წინაშე გამოდიოდა ლექციებით რელიგიურ-მორალურ თემაზე, ამავე დროს აგრძელებდა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას. მოგვიანებით შვიდი წელი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაატარა. ელენე უაითმა დაწერა რელიგიური შინაარსის მრავალი დიდი და პატარა ნაწარმოები, აგრეთვე წიგნები განათლების, ჯანმრთელობის, ცოლქმრული ურთიერთობების, აღზრდისა და პრაქტიკული ქრისტიანობის თემაზე. მისი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოებებია: „ქრისტესკენ მიმავალი გზა“, „საუკუნეთა კონფლიქტი“ (5 ტომად), „მოწმობანი ეკლესიისათვის“ (9 ტომად), „ქრისტეს თვალსაჩინო გაკვეთილები“, „აღზრდა“, „საკვები და კვება“, „ქრისტიანული სახლი“, „უწყებანი ახალგაზრდობისათვის“ და სხვ. როგორც ცნობილია, ქალბატონი ელენე უაითი ლიტერატურის ისტორიაში მეოთხეა, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველთაგანი, როგორც მწერალი ქალი, ხოლო ამერიკაში – პირველი იმ ავტორთა შორის, ვისი ნაწარმოებებიც ყველაზე ხშირად ითარგმნება სხვა ენებზე.

იესო ქრისტეს ერთგული მოწაფე, ელენე 17 წლის ასაკამდე მეთოდისტურ ეკლესიას მიეკუთვნებოდა. იგი გარიცხეს იმის გამო, რომ 1843 წელს ქრისტეს მალე მოსვლა იწამა და ყველას გასაგონად ლაპარაკობდა ამის შესახებ. ღმერთმა მისცა ხილვები და უწყებანი, რომლებიც მას წუთისოფლისათვის უნდა გადაეცა. თანაც უფალმა მოიხმო ამგვარი მსახურებისათვის მას შემდეგ, რაც ორმა სხვა ადამიანმა უარი თქვა, მიეღო ღვთისგან ეს დავალება. მან დაწერა მრავალი სტატია და წიგნი, რომლებშიც ამხელდა და მოძღვრავდა უფლის ხალხს. ჯანმრთელობის რეფორმის შესახებ ნათლის მიღებისთანავე, ცხოვრების ჯანსაღი წესის თავგამოდებული დამცველი გახდა და მოუწოდებდა ადამიანებს, დაბრუნებოდნენ თავდაპირველ დიეტას, რომელიც ადამიანს ედემის ბაღში მიეცა; უარი ეთქვათ მავნე ნივთიერებებზე და დაეცვათ ზომიერება ყველაფერში.

ქალბატონი ელენე უაითი არასოდეს უწოდებდა თავის თავს წინასწარმეტყველს; როცა მას ეკითხებოდნენ მისი მოწოდების შესახებ, ის საკუთარ თავს მაცნეს უწოდებდა. თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად იგი თვლიდა წიგნს „დიადი ბრძოლა ქრისტესა და მის ანგელოზთა და სატანასა და მის ანგელოზთა შორის“.

ხილვა დიადი ბრძოლის შესახებ ელენე უაითმა მიიღო 1858 წლის გაზაფხულზე ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ ლოვეტს გროუვში, ამერიკის შეერთებული შტატები. მისი შინაარსის დიდი ნაწილი მან უკვე ნახა 11 წლის წინ ხილვაში, მაგრამ ამჯერად მას ებრძანა, ჩაეწერა ხილვა, თუმცა სატანამ უდიდესი ძალისხმევა გამოიჩინა, რათა ხელი შეეშალა მისთვის. მთელი ეს წიგნი შთაგონებულია სულიწმიდით, დაწერილია უსუსური, მაგრამ ღვთისმოსავი ქალის მიერ და პირველად გამოქვეყნდა სრული მოცულობით 1858 წელს.

აი, რას წერს თავად ე. უაითი ამ წიგნის დაწერის მიზეზის შესახებ:

„ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის დიადი ბრძოლის სურათები რომ აღიბეჭდოს, სატანის ცრუ ზრახვები რომ გამოაშკარავდეს და გამოვლინდეს ის საშუალებები, რომელთა წყალობითაც შეგვიძლია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა; ბოროტების უდიდესი პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა რომ წარმოვიდგინოთ, ცოდვის წარმოშობის და მისი საბოლოო განადგურების გამჟღავნებით, სამართლიანობის აღმოჩენითა და ღვთიური კეთილი ნების გამოვლენით ყველა მის ქმედებაში თავისი ქმნილების მიმართ; დასასრულ, რომ გამოვლინდეს უფლის კანონის სიწმინდე და უცვლელობა, – სწორედ ამ მიზნით დაიწერა ეს წიგნი. მე ვლოცულობ, რომ ამ წიგნის მეშვეობით ადამიანებმა თავი დაიხსნან წყვდიადის ხელმწიფებისაგან და გახდნენ „წმიდანთა მემკვიდრეობის მონაწილეობის ღირსნი ნათელში“ იმის განსადიდებლად, ვინც შეგვიყვარა და თავი გაწირა ჩვენთვის“.

დაე, მოგიძღვნათ უფალმა თავისი უმშვენიერესი ნიჭი სულიწმიდისა თქვენ, ძვირფასო მკითხველო, როცა ამ წიგნის კითხვას შეუდგებით, რათა თქვენს წინაშე აიხადოს ისტორიის უხილავი ფარდა და თქვენც იხილოთ არა მხოლოდ ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, არამედ საბოლოო ტრიუმფიც ჭეშმარიტებისა – იესო ქრისტესი.

თავი 1

სატანის დაცემა

ღმერთმა მიჩვენა, რომ სატანა ოდესღაც ყველაზე პატივდებული ანგელოზი იყო ზეცაში იესო ქრისტეს შემდეგ. მისი სახის გამომეტყველება მშვიდი და ბედნიერი იყო, სხვა ანგელოზების მსგავსად. მისი შუბლი, მაღალი და ფართო, მის ღრმა ინტელექტზე მიუთითებდა. ის გარეგნულად სრულყოფილი იყო. მისი ქცევა – კეთილშობილი და დიდებული. და მე ვიხილე, რომ როდესაც ღმერთმა უთხრა თავის ძეს: „შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად“, – სატანა ეჭვით განიმსჭვალა იესოს მიმართ. მას სურდა, რომ ადამიანის შექმნასთან დაკავშირებით, მისთვისაც ეკითხათ რჩევა. იგი აღივსო შურით, ეჭვითა და სიძულვილით. მას ზეცაში ღმერთის შემდეგ უმაღლესი მდგომარეობის დაკავება და ყველაზე დიდი პატივისცემის მიღება სურდა. ამ დრომდე ზეცაში წესრიგი, ჰარმონია და უფლის მმართველობისადმი სრულყოფილი დაქვემდებარება სუფევდა.

ღმერთის მიერ დადგენილი წესრიგისა და მისი ნების წინააღმდეგ ამბოხი – ეს იყო ყველაზე დიდი ცოდვა. თითქოს მთელი ზეცა ამოძრავდა. ანგელოზები ჯგუფებში გაერთიანდნენ და თითოეულ ჯგუფს თავისი მბრძანებელი ანგელოზი მართავდა. ყველა ანგელოზი მღელვარებამ მოიცვა. სატანას, არ ჰქონდა რა სურვილი, დამორჩილებოდა იესოს ხელმწიფებას, მიილტვოდა თვითგანდიდებისაკენ და შეუმჩნევლად უფლის მმართველობის წინააღმდეგ განაწყობდა ყველას. ზოგიერთი ანგელოზი სატანას თანაუგრძნობდა თავის ამბოხში, მაშინ როცა სხვები თავგამოდებით იცავდნენ ღმერთის ღირსებას და ქებას უძღვნიდნენ მის სიბრძნეს, რომელიც გამოვლინდა თავისი ძისათვის ხელმწიფების მინიჭებაში. ანგელოზებს შორის უთანხმოებამ დაისადგურა. სატანამ და მისმა მომხრეებმა, რომლებიც ღვთიური მმართველობის რეფორმირებისაკენ მიისწრაფოდნენ, ისურვეს, მის მიუწვდომელ სიბრძნეში შეეღწიათ, რათა გაერკვიათ, რა მიზნით აღამაღლა ღმერთმა იესო და უბოძა მას შეუზღუდავი ხელისუფლება და ავტორიტეტი. მათ ამბოხი წამოიწყეს უფლის ძის ხელმწიფების წინააღმდეგ და ყველა ანგელოზს მოუხმეს მამა ღმერთის წინაშე წარსადგომად, რათა ამ საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მოესმინათ. გადაწყდა, რომ სატანა გაძევებულ იქნას ზეციდან და მასთან ერთად ყველა ამბოხებული ანგელოზი. მაშინ გაჩაღდა ომი ზეცაში. ანგელოზებმა მონაწილეობა მიიღეს ბრძოლაში; სატანას უფლის ძესა და ყველა იმ ანგელოზზე გამარჯვება სურდა, ვინც მის ნებას არ დაემორჩილა. მაგრამ კეთილმა ერთგულმა ანგელოზებმა დაძლიეს სატანა და იგი, თავის მიმდევრებთან ერთად, ზეციდან გააძევეს.

მას შემდეგ, რაც სატანამ და მასთან ერთად დაცემულმა ანგელოზებმა ზეცა დატოვეს, ის მიხვდა, რომ სამუდამოდ დაკარგა ზეციური სისპეტაკე და დიდება. მაშინ ინანა თავისი საქციელი და ზეცაში აღდგენა – თავისი ძველი, ან ნებისმიერი სხვა ადგილის, რომელსაც კი შესთავაზებენ, დაკავება მოისურვა. მაგრამ, არა, ზეცისათვის საფრთხის შექმნა არ შეიძლებოდა. მთელი ზეცა შეირყვნებოდა, თუკი ის იქ კვლავ გამოჩნდებოდა, რადგან ცოდვამ დაიბუდა მასში და გააღვივა უკმაყოფილების თესლი. სატანამ იპოვა მიმდევრები, რომლებიც მის ამბოხს თანაუგრძნობდნენ. ის და მისი მიმდევრები ნანობდნენ, ტიროდნენ და

მუდარით მოითხოვდნენ უფლის კეთილგანწყობის ხელახლა გამოყენების შესაძლებლობას. მაგრამ, არა, მათი ცოდვა, მათი სიძულვილი, მათი შური და ეჭვი იმდენად დიდი იყო, რომ ღმერთს მათი წარხოცვა არ შეეძლო. ისინი უნდა დარჩენილიყვნენ, რათა საბოლოოდ დასჯილიყვნენ.

როდესაც სატანამ სრულად გაიაზრა, რომ ღვთიური კეთილგანწყობის დაბრუნების არანაირი შესაძლებლობა აღარ არსებობდა, მან გამოაშკარავა თავისი ბოროტება და სიძულვილი. თავისი ანგელოზების რჩევების გათვალისწინებით, მან შეიმუშავა ღვთიური მმართველობის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის გეგმა. როდესაც ადამი და ევა უმშვენიერეს ბაღში დაასახლეს, სატანამ მათი დაღუპვის გეგმა შეადგინა. ჩატარდა თათბირი ყველა ბოროტ ანგელოზთან. არ არსებობდა საშუალება, რომელიც წყვილს ბედნიერებას დააკარგვინებდა, ვიდრე ის ღმერთის მორჩილი იყო. სატანა მათ წინააღმდეგ თავის ძალას ვერ გამოიყენებდა, სანამ ისინი ღმერთის წინაშე ურჩობას არ გამოავლენდნენ და არ დაკარგავდნენ მის კეთილგანწყობას. ბოროტ ძალებს ისეთი რამ უნდა გამოეგონათ, რაც ადამიანებს ურჩობისაკენ უბიძგებდა, რითაც ღმერთის წყრომას გამოიწვევდნენ და სატანისა და მისი ანგელოზების გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ. გადაწყდა, რომ სატანა სხვა სახეს მიიღებდა და ადამიანისადმი ინტერესს გამოავლენდა. მას ადამიანებში ღმერთის სიმართლისადმი ეჭვი უნდა გაეღვივებინა: გულისხმობდა თუ არა იგი სწორედ იმას, რაც თქვა? შემდეგ მათში ცნობისმოყვარეობის წადილი უნდა აღძრას, აიძულოს ისინი, გამოავლინონ ზედმეტი ინტერესი ღმერთის დაფარული გეგმების მიმართ (რაშიც თვით სატანა იყო დამნაშავე) და გამოარკვიონ, თუ რატომ დაუწესა შეზღუდვები უფალმა შეცნობის ხესთან დაკავშირებით.

იხ. ესაია 14:12-20; ეზეკიელი 28:1-19; გამოცხადება 12:7-9

თავი 2

ადამიანის დაცემა

ვიხილე, რომ წმინდა ანგელოზები ხშირად სტუმრობდნენ ბაღს და არიგებდნენ ადამსა და ევას, როგორ მოქცეულიყვნენ, აგრეთვე ამცნეს ადამიანებს სატანის ამბოხისა და დაცემის შესახებ. ანგელოზებმა გააფრთხილეს ისინი სატანის თაობაზე და ურჩიეს არ დაშორებოდნენ ერთმანეთს, ვინაიდან შესაძლოა დაცემულ მტერს სადმე გადაეყარონ. ანგელოზებმა უბრძანეს, მკაცრად დაეცვათ ღმერთის მითითებანი, რადგან ადამი და ევა უსაფრთხოდ მხოლოდ სრულყოფილი მორჩილების პირობებში იქნებოდნენ. თუკი მორჩილნი იქნებიან, დაცემული მტერი ვერ შეძლებს მათზე გაბატონებას.

სატანა შეუდგა თავის საქმეს და მიზნად დაისახა, მიეღწია იმისათვის, რომ ევას გამოევლინა ურჩობა. თავიდან ევამ შეცდომა დაუშვა, როცა განმარტოვდა თავისი ქმრისაგან, შემდეგ, როცა შეჩერდა აკრძალული ხის შორიახლოს და ბოლოს, როცა ყური უგდო მაცდურის ხმას და ღმერთის სიტყვებში: „რადგან რა დღესაც შეჭამ ამ ხის ნაყოფს, სიკვდილით მოკვდები“, ეჭვის შეტანაც კი გაბედა. მან გაიფიქრა: „შესაძლებელია, ეს არ ნიშნავს სწორედ იმას, რაც უფალმა თქვა“. ევამ გაბედა დაუმორჩილებლობა. მან გაიწვდინა ხელი, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა იგი. ის საცქერლად სასიამოვნო იყო, საჭმელად – გემრიელი. ევა შეეჭვდა იმაში, რომ ღმერთმა დაუშალა მათ ის, რაც სინამდვილეში სიკეთე იყო მათთვის. მან ნაყოფი ქმარს შესთავაზა და ამგვარად აცდუნა იგი. მან გაანდო ქმარს ყოველივე, რაც გველმა უთხრა და გაოცება არ დაფარა იმის გამო, რომ გველს მეტყველების უნარი გააჩნდა.

ვიხილე, როგორ დაღონდა ადამი. იგი შეშინებული და გაოცებული იყო. ჩანდა, რომ მის გონებში ბრძოლა გაჩაღებულიყო. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სწორედ ის მტერი იყო, ვის შესახებაც მას აფრთხილებდნენ და რომ მისი ცოლი უნდა მოკვდეს. ისინი ერთმანეთს უნდა დაშორდნენ. ძლიერი იყო მისი სიყვარული ევასადმი. და სულიერად სრულიად დათრგუნულმა გადაწყვიტა, მისი ბედი გაეზიარებინა. მან ხელი სტაცა ნაყოფს და სწრაფად შეჭამა. დიდად გაიხარა მაშინ სატანამ. მან ზეცაში ამბოხი მოაწყო და მომხრეებიც გაიჩინა,

რომლებსაც უყვარდათ იგი და მისი მიმდევრებიც გახდნენ ამ ამბოხში. ის დაეცა და სხვებიც თან გაიყოლა. ახლა კი აცდუნა დედაკაცი ღმერთისადმი ღალატში, მის სიბრძნისადმი ეჭვის შეტანაში და უბიძგა მის ბრძნულ გეგმებში შეღწევის მცდელობისაკენ. სატანამ იცოდა, რომ დედაკაცი მარტო არ დაეცემოდა. ადამი, ევასადმი ძლიერი სიყვარულის გამო, არ დაემორჩილა ღმერთის ბრძანებას და მასთან ერთად დაეცა.

ამბავი ადამიანის დაცემის შესახებ უმალ მოედო მთელ ზეცას. დადუმდა ქნარები. დამწუხრებულმა ანგელოზებმა მოიხსნეს თავიდან თავისი გვირგვინები. ზეცა გაოგნდა. შედგა თათბირი, რათა გადაწყვეტილიყო, როგორ მოქცეოდნენ დამნაშვე წყვილს. ანგელოზები შიშობდნენ, რომ მათ არ გაეწვდინათ ხელი და არ ეჭამათ სიცოცხლის ხის ნაყოფი და არ გამხდარიყვნენ უკვდავი ცოდვილნი. მაგრამ ღმერთმა თქვა, რომ გააძევებს ცოდვილთ ბაღიდან. სასწრაფოდ დაევალათ ანგელოზებს, დაეცვათ გზა სიცოცხლის ხისაკენ. მის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, სატანას სურდა, რომ ადამი და ევა არ დარჩენილიყვნენ ღმერთის ერთგულნი, გამოეწვიათ მისი უკმაყოფილება, ხოლო შემდეგ ეჭამათ სიცოცხლის ხის ნაყოფი და მარადიულად ეცხოვრათ ცოდვასა და ურჩობაში; ასეთი გზით ცოდვა მარადიული იქნებოდა. მაგრამ წარიგზავნა წმინდა ანგელოზები ბაღიდან მათ გამოსაძევებლად, ხოლო ამავე დროს ანგელოზთა სხვა ჯგუფს სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზის დაცვა დაევალა. ყოველ ამ ძლევამოსილ ანგელოზს მარჯვენა ხელში მბრწყინავი მახვილის მსგავსი რამ ეპყრა.

ზეიმობდა მაშინ სატანა. მისი დაცემის გამო ხომ სხვებიც დაზარალდნენ. ის ზეციდან გააძევეს, ისინი კი – სამოთხიდან.

იხ. დაბადება მე-3 თავი

თავი 3

ხსნის გეგმა

დამწუხრდა ზეცა, როცა ცნობილი გახდა, რომ ადამიანი დაიღუპა და ღმერთის მიერ შექმნილი ქვეყანა აღივსება მოკვდავი არსებებით, რომლებიც განწირული იქნებიან უბედურების, სნეულებების და სიკვდილისათვის. და აღარ იყო არანაირი ხსნა ცოდვილთათვის. ადამის მთელი ოჯახი უნდა მომკვდარიყო. ვხედავდი ძვირფას იესოს და შევამჩნიე სიბრალული და მწუხარება მის სახეზე. მალე ვიხილე, როგორ მიუახლოვდა იგი უბრწყინვალეს ნათელს, მის მამას რომ ერტყა გარს. ჩემმა თანმხლებმა ანგელოზმა მითხრა: „მას საიდუმლო საუბარი აქვს თავის მამასთან“. ვამჩნევდი, როგორ წუხდნენ ანგელოზები, ვიდრე იესო მამას ელაპარაკებოდა. სამჯერ დაფარა იგი მამის ირგვლივ განფენილმა საოცარმა ნათელმა და როდესაც მესამედ გამოვიდა იგი მამისაგან, უნდა გეხილათ იგი! იესოს სახე მშვიდი იყო, მწუხარება და დაბნეულობა გაფანტულიყო და ენით აღუწერელ სიყვარულსა და სილამაზეს ასხივებდა. ამის შემდეგ მან აცნობა ანგელოზთა გუნდს, რომ ნაპოვნია დაღუპული ადამიანის ხსნის გზა. უფლის ძემ მოუთხრო მათ, როგორ ემუდარა თავის მამას და შესთავაზა გამოსასყიდი – საკუთარი სიცოცხლის გაღება, სასიკვდილო განაჩენის თავის თავზე აღება, რათა მისი მეშვეობით ადამიანს პატიება მიეღო. მისი სისხლის დამსახურების წყალობით ადამიანები შეძლებენ ღმერთის კეთილგანწყობის შეძენას, მშვენიერ ბაღში დაბრუნებას და სიცოცხლის ხის ნაყოფის ჭამას.

თავდაპირველად სიხარული არ გამოუხატავთ ანგელოზებს, რადგან მათმა მბრძანებელმა დაუფარავად გააცხადა მათ წინაშე ხსნის გეგმა. იესომ თქვა, რომ ჩადგება მამის რისხვასა და ცოდვილ ადამიანს შორის, გადაიტანს უსამართლობას და სიძულვილს, მაგრამ ცოტანი მიიღებენ მას, როგორც ღვთის ძეს. თითქმის ყველა შეიძულებს და უარყოფს მას. ის დატოვებს მთელ თავის ზეციურ დიდებას, მოვა დედამიწაზე როგორც ადამიანი, იქნება მორჩილი როგორც ადამიანი და საკუთარ თავზე გამოცდის მრავალგვარ ცდუნებას, რათა გაიგოს, რით დაეხმაროს ცდუნების საფრთხის წინაშე მდგარ ადამიანებს. დასასრულ, მისი, როგორც მოძღვარის მისიის დამთავრების შემდეგ, იესო გადაეცემა ადამიანებს და გადაიტანს თითქმის ყველა სისასტიკესა და ტანჯვას, როგორიც შეიძლება მიაყენონ მას

სატანისა და მისი ანგელოზების მიერ შთაგონებულმა ბოროტმა ადამიანებმა. ის უნდა მოკვდეს უსასტიკესი სიკვდილით, ზეცასა და მიწას შორის გაკიდული, დამნაშავე ცოდვილის მსგავსად. მას ელის აგონიის საშინელი საათები, რასაც ანგელოზებიც კი ვერ შეხედავენ და სახეს დაიფარავენ ამ სანახაობისაგან. ის მარტო სხეულით როდი ევნება, არამედ გადაიტანს სულიერ ტანჯვას, რომელიც ვერანაირ ფიზიკურ წამებას ვერ შეედრება. მთელი წუთისოფლის ცოდვებს იტვირთავს. იესომ უთხრა მათ, რომ მოკვდება და აღდგება მესამე დღეს და ამაღლდება თავის მამასთან, რათა უშუამდგომლოს გზააბნეულ, დამნაშავე ადამიანებს.

ანგელოზები პირქვე დაემხნენ მის წინაშე. მათ საკუთარი სიცოცხლე შესთავაზეს, იესომ უპასუხა, რომ თავისი სიკვდილით მრავალს გადაარჩენს; რომ ანგელოზის სიკვდილი ვალს ვერ გამოისყიდის. მხოლოდ მისი სიცოცხლე შეიძლება იყოს მიღებული მამის მიერ, როგორც ადამიანის გამოსასყიდი.

იესომ ასევე უთხრა ანგელოზებს, რომ მათაც გამოეყოთ გარკვეული როლი – მის გვერდით ყოფნა და სხვადასხვა დროს მისი თანადგომა. ის ხომ დაცემული ადამიანის ბუნებას მიიღებს და მისი ძალა მათი ძალის ტოლიც კი არ იქნება. ისინი მისი დამცირებისა და უდიდესი ტანჯვის მოწმენი იქნებიან. და როდესაც ისინი მისი ტანჯვისა და მისდამი კაცთა სიძულვილის მოწმეებად გამოცხადდებიან, ეს მათში ძლიერ ემოციებს გამოიწვევს. იესოსადმი სიყვარულის გამო ისინი შეეცდებიან მის გადარჩენას და დახსნას მკვლელთა ხელიდან, მაგრამ არ უნდა ჩაერიონ, ან ხელი შეუშალონ დანახულს; ისინი აგრეთვე მისი აღდგომის მონაწილენიც იქნებიან. ხსნის გეგმა შედგა და მისმა მამამ მიიღო ეს გეგმა.

წმინდა მწუხარებით ანუგეშებდა და ამხნევებდა იესო ანგელოზებს, ეუბნებოდა, რომ მომავალში მის მიერ გამოსყიდულნი სამარადისოდ მასთან ერთად იქნებიან, რომ თავისი სიკვდილით მრავალთ გამოისყიდის და სიკვდილის მეუფეს გაანადგურებს. ხოლო მისი მამა მისცემს მას სამეფოს და მიანიჭებს მთელი ცისქვეშეთის მბრძანებლობის დიდებას. და იქნება იგი მისი მფლობელი საუკუნოდ. სატანა და ცოდვილნი განადგურდებიან, რათა აღარასოდეს შეწუხდეს ზეცა და განწმენდილი ახალი მიწა. იესომ უბრძანა ზეციურ მხედრობას, მხარი დაეჭირათ იმ გეგმისათვის, რომელიც მისმა მამამ მიიღო. მოუწოდა, სიხარულით შეხვედროდნენ იმას, რომ მისი სიკვდილის წყალობით დაცემული ადამიანის აღდგენა, მის მიერ ღმერთის წყალობით შეძენა და ზეცით ტკბობაა შესაძლებელი.

მაშინ სიხარულმა აავსო მთელი ზეცა და ზეციურმა ანგელოზებმა ქების და თაყვანისცემის გალობა წამოიწყეს. მათ ხელი შეახეს თავის ქნარებს და ამღერდნენ ჩვეულებრივზე უფრო მაღალ ტონალობაში, ღმერთის დიდი წყალობისა და შემწყნარებლობის შესახებ, რომელმაც სიკვდილისათვის გაიმეტა საკუთარი ძვირფასი, საყვარელი ძე ამბოხებული კაცობრიობისათვის. ქება და თაყვანისცემა მიეძღვნა იესოს თავგანწირვასა და მსხვერპლს; იმის გამო, რომ ის დათანხმდა, დაეტოვებინა მამის წიაღი, აერჩია ტანჯვითა და წამებით ცხოვრება და სამარცხვინო სიკვდილი, რათა სხვებისთვის სიცოცხლე ებოძებინა.

ანგელოზმა თქვა: „შენ გგონია, რომ მამამ თავისი ძვირფასი საყვარელი ძე უბრძოლველად დათმო? არა, არა!“ ზეციერ ღმერთსაც კი უბრძოლველად არ მიუღია გადაწყვეტილება, დაეღუპა ცოდვილი ადამიანი თუ მის სანაცვლოდ თავისი საყვარელი ძე სასიკვდილოდ გაემეტებინა. ანგელოზები იმდენად დაინტერესებული იყვნენ ადამიანის გადარჩენაში, რომ მათ შორის ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც მზად იყო თავისი დიდება და სიცოცხლე დასაღუპად განწირული ადამიანისათვის გაეღო. მაგრამ ჩემმა თანმხლებმა ანგელოზმა თქვა, რომ ეს არ მოიტანდა ხსნას. ცოდვა იმდენად დიდი იყო, რომ ანგელოზის სიცოცხლე ვერ გამოისყიდდა მას. ვერაფერი, გარდა ღვთის ძის სიკვდილისა და შუამდგომლობისა, ვერ გადაიხდიდა ამ ვალს და ვერ იხსნიდა დაღუპულ ადამიანს უიმედო მწუხარებისა და ტანჯვისაგან.

მაგრამ ანგელოზებს დაევალათ აღმასვლა და დაღმასვლა ზეციური დიდებიდან უებარი ბალზამით, რათა უფლის ძისათვის ტანჯვისას ნუგეში ეცათ და ემსახურათ მისთვის. გარდა ამისა, მათ უნდა დაეცვათ და დაეფარათ მადლის ქვეშევრდომნი ბოროტ ანგელოზთაგან და იმ წყვდიადისაგან, რომელშიც სატანა მუდმივად ცდილობს მოაქციოს ისინი. მე ვიხილე, რომ ღმერთს არ შეეძლო შეეცვალა ან გაეუქმებინა თავისი კანონი, რათა ეხსნა გზააბნეული, განწირული ადამიანი; ამიტომ მან დაუშვა, რომ მომკვდარიყო მისი საყვარელი ძე ადამიანის დანაშაულის გამო.

კვლავ ზეიმობდა სატანა თავის ანგელოზებთან ერთად იმის გამო, რომ ადამიანის დაცემის მეშვეობით შეძლებს უფლის ძის ჩამოგდებას თავისი უზენაესი მდგომარეობიდან. მან უთხრა თავის ანგელოზებს: როდესაც იესო დაცემული ადამიანის ბუნებას მიიღებს, ის, სატანა, შეძლებს მის დამარცხებას და ხსნის გეგმის ჩაშლას.

მაშინ მეჩვენა, თუ როგორი ბედნიერი, დიდებული ანგელოზი იყო ოდესღაც სატანა. შემდეგ ვიხილე იგი მის იმჟამინდელ მდგომარეობაში. მას ჯერ კიდევ შერჩენია წინანდელი მომხიბვლელობა. მისი ნაკვთები ჯერ ისევ კეთილშობილია, რადგან ის ანგელოზია, თუმცა დაცემული. მაგრამ მისი სახის გამომეტყველება მის შეშფოთებას, მოუსვენრობას, მწუხარებას, სიძულვილს, ბოროტ ზრახვებს, სიცრუესა და ყველანაირ ბოროტებას გამოხატავდა. მე განსაკუთრებული ყურადღება მის სახეს მივაქციე, რომელიც ოდესღაც ასეთი კეთილშობილი იყო. მისი შუბლი, თვალებიდან დაწყებული, უკან გადახრილიყო. ვიხილე, რომ ლუციფერი იმდენად ხანგრძლივად განიცდიდა დეგრადაციას, რომ ყოველი კეთილი ნაკვთი შერყვნილიყო და განვითარებულიყო ყოველგვარი ცუდი თვისება. მისი თვალები ცბიერი, ფლიდი, გამოხატავდა ღრმა გამჭრიახობას და შორსმჭვრეტელობას. იგი მსხვილი აღნაგობისა იყო, მას ხელები და სახე ჩამომჩვარებული ჰქონდა. როდესაც სატანას ვუცქერდი, მისი ნიკაპი მის მარცხენა ხელზე ესვენა. ჩანდა, რომ ღრმა ფიქრებს მისცემოდა. სახეზე ღიმილი შერჩენოდა. ამ ღიმილის გამო გამაჟრიალა, იმდენად სავსე იყო იგი ბოროტებითა და სატანური მზაკვრობით. ასეთი ღიმილი ფარავს ეშმაკის სახეს ყოველთვის, როცა იგი რწმუნდება, რომ მსხვერპლი ხელში ჩაუვარდა; ეს ღიმილი სულ უფრო საზარელი ხდება, რაც უფრო მეტად ებმება მსხვერპლი მის ხლართებში.

იხ. ესაია 53-ე თავი

თავი 4

ქრისტეს პირველი მოსვლა

ამის შემდეგ მე გადაყვანილი ვიქენი იმ დროში, როცა ქრისტეს ადამიანის ბუნება უნდა მიეღო, დაემდაბლებინა თავი ადამიანის დონემდე და სატანის ცდუნებები დაეთმინა.

მისი დაბადება მიწიერი ფუფუნებისაგან შორს იდგა. იგი გომურში დაიბადა, მისი აკვანი ბაგა იყო და მაინც, მხსნელის დაბადებას ყველაზე დიდი პატივი მიეგო, ვიდრე ვინმეს ადამიანთა ძეთაგან. ქრისტეს მოსვლის შესახებ ანგელოზებმა ზეციდან ამცნეს მწყემსებს, უფლის ნათელი და დიდება ახლდა თან ამ მოწმობას. ზეციური დასი შეეხო თავის ქნარებს და განადიდა ღმერთი. ზეიმით გამოაცხადეს ღვთის ძის მოსვლის შესახებ დაცემულ დედამიწაზე გამოსყიდვის სამუშაოს შესრულების, თავისი სიკვდილით მშვიდობის, ადამიანისთვის ბედნიერების და მარადიული სიცოცხლის მინიჭების მიზნით. ღმერთმა პატივი მიაგო თავისი ძის მოსვლას. და ანგელოზებმაც თაყვანი სცეს მას.

უფლის ანგელოზები დაფრინავდნენ იმ ადგილის თავზე, სადაც იესო ინათლებოდა, სულიწმიდა კი მტრედის სახით დაეშვა და ნათელი მოჰფინა. როდესაც გაოგნებული ხალხი იდგა და უმზერდა მას, ზეციდან გაისმა მამა ღმერთის ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.

იოანე არ იყო დარწმუნებული, რომ სწორედ მხსნელი მოვიდა მასთან მოსანათლად იორდანეს ნაპირზე. მაგრამ ღმერთმა აღუთქვა, რომ მისცემდა ნიშანს, რომლითაც იგი გამოიცნობს უფლის კრავს. ეს ნიშანი მიეცა, როცა ზეციურმა მტრედმა დაივანა იესოს მხარზე და ღვთიური დიდება გაბრწყინდა მის ირგვლივ. იოანემ ხელი გაიწვდინა იესოსკენ და ხმამაღლა წარმოთქვა: „აჰა, ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა“.

იოანემ განუცხადა თავის მოწაფეებს, რომ იესო აღთქმული მესია, წუთისოფლის მხსნელია. რაც უფრო დასასრულისაკენ მიიწევდა მისი საქმიანობა, იგი ასწავლიდა მოწაფეებს, თავისი მზერა იესოსკენ მიეპყროთ და გაჰყოლოდნენ მას, როგორც დიდ მასწავლებელს. იოანეს ცხოვრება სიამოვნებას იყო მოკლებული. მუდმივ მწუხარებასა და თავგანწირვაში იმყოფებოდა. მან გააცხადა ქრისტეს პირველი მოსვლა, მაგრამ არ მიეცა ნება, მისი სასწაულების მოწმე ყოფილიყო და მისი ძალის გამოვლენის სიხარული განეცადა. იოანემ იცოდა: როდესაც იესო განმტკიცდება, როგორც მასწავლებელი, თავადაც უნდა მოკვდეს. მისი ხმა იშვიათად გაისმოდა, ისიც უდაბნოში. იგი განმარტოებით ცხოვრობდა, არ

მიილტვოდა მამის ოჯახისაკენ, რათა დამტკბარიყო მასთან ურთიერთობით. მან დატოვა ახლობლები, რათა თავისი მისია აღესრულებინა. მრავალი ადამიანი ტოვებდა რა ხალხმრავალ ქალაქებსა და სოფლებს, უდაბნოში იყრიდა თავს, რათა შესანიშნავი, საოცარი წინასწარმეტყველის სიტყვა მოესმინა. იოანემ ცული ხეს ფესვებზე დასცა. იგი კიცხავდა ცოდვას, არ ეშინოდა იმის, თუ რა მოჰყვება ამას და გზას უმზადებდა ღვთის კრავს.

მეფე ჰეროდეც კი შეძრა იოანეს მიზანმიმართული მოწმობების მოსმენამ. ღრმა ინტერესით იკითხა მან, თუ რა უნდა გააკეთოს, მისი მოწაფე რომ გახდეს. იოანესთვის ცნობილი გახდა, რომ ჰეროდეს ცოლად თავისი ძმის ცოლი უნდა შეერთო, მაშინ როცა მისი ქმარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იოანემ პატიოსნად უთხრა ჰეროდეს, რომ ეს არ იყო კანონიერი ქმედება. ჰეროდეს არანაირი მსხვერპლის გაღება არ სურდა. მან ცოლად თავისი ძმის ცოლი შეირთო და, მისი გავლენის ქვეშ მყოფმა, შეიპყრო იოანე და საპყრობილეში ჩასვა. მაგრამ ჰეროდეს მისი გათავისუფლება ეწადა. დატუსაღებულ იოანეს თავისი მოწაფეებისაგან ესმოდა იესოს ძლევამოსილი საქმეების შესახებ. მას თავად არ ჰქონდა მისი წყალობის სიტყვების მოსმენის საშუალება, მაგრამ მოწაფეები გადასცემდნენ მათ იოანეს და იმით ანუგეშებდნენ, რასაც თავად ისმენდნენ. მალე ჰეროდეს ცოლის წაქეზებით იოანეს თავი მოჰკვეთეს. მე ვიხილე, რომ ყველაზე მცირე იმ მოწაფეთაგან, ვინც იესოს გაჰყვა, მისი სასწაულების მოწმე გახდა და ისმენდა მის ბაგეთაგან ნუგეშის სიტყვებს, იყო უფრო დიდი, ვიდრე თვით იოანე ნათლისმცემელი. ე. ი. ისინი განდიდდნენ, მეტი პატივი ხვდათ წილად და ცხოვრებაში მეტი სიხარული განიცადეს.

იოანე მოვიდა ელიას სულითა და ძალით, რათა იესოს პირველი მოსვლა გაეცხადებინა. ჩემი ყურადღება მიიქცია უკანასკნელმა დღეებმა და მე ვიხილე, რომ იოანე წარმოადგენდა მათ, ვინც გამოვლენ ელიას სულითა და ძალით, რათა ამცნონ რისხვის დღისა და იესოს მეორედ მოსვლის შესახებ.

იორდანეში იესოს ნათლობის შემდეგ სულიწმიდამ იგი უდაბნოში წაიყვანა ეშმაკისაგან გამოსაცდელად. სულიწმიდამ მოამზადა იგი უძლიერესი ცდუნებების განსაკუთრებული ჟამისათვის. ორმოცი დღე ცდიდა მას ეშმაკი და არაფერს ჭამდა ამ დღეებში. ყველაფერი, რაც გარს ერტყა, უღიმღამო იყო, რის გამოც ადამიანის ბუნებას ნაღველი მოიცავდა. ის გარეული მხეცების და ეშმაკის გარემოცვაში იმყოფებოდა უდაბურ, უკაცრიელ ადგილას. ვხედავდი, რომ უფლის ძე გაფითრებული და ქანცგაწყვეტილი იყო მარხვისა და ტანჯვისაგან. მაგრამ მისი გზა წინასწარ იყო დასახული და მას უნდა აღესრულებინა სამუშაო, რისთვისაც ის მოვიდა.

სატანამ ისარგებლა ღვთის ძის ტანჯვით და მოემზადა, რათა ჩასაფრებოდა მრავალი ცდუნებით და იმედოვნებდა მასზე გამარჯვებას, რადგან მან დაიმდაბლა თავი, როცა განკაცდა. სატანა ასეთი საცთურით მიუახლოვდა: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ“. ის აცდუნებდა იესოს, იმდენად დაცემულიყო, რომ მისთვის თავისი ძალაუფლება გამოევლინა და დაემტკიცებინა, რომ ის მესიაა. იესომ მშვიდად მიუგო მაცდურს: „დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომდინარე ყოველი სიტყვით“.

სატანა ცდილობდა ჩაეთრია იესო კამათში იმის თაობაზე, რომ ის ღვთის ძეა. ის ცდილობდა მისი დასუსტებული მდგომარეობისა და ტანჯვის გამოყენებას, ტრაბახობდა, რომ ის იესოზე ძლიერია, მაგრამ ზეციდან გამოცხადებული სიტყვები: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, შენშია ჩემი სათნოება“, – საკმარისი იყო იესოს გასამხნევებლად ყველა მისი სატანჯველის ჟამს. მე ვიხილე, რომ მის მისიას არ წარმოადგენდა, დაერწმუნებინა სატანა თავის ხელმწიფებაში და იმაში, რომ იგი არის წუთისოფლის მხსნელი. სატანას საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდა ქრისტეს მაღალი მდგომარეობისა და ძალაუფლების თაობაზე. სწორედ მისმა სურვილმა, არ დამორჩილებოდა იესოს ხელისუფლებას, ჩამოაგდო იგი ზეციდან.

თავისი ძალა რომ ეჩვენებინა, ეშმაკმა წაიყვანა იესო იერუსალიმში, დააყენა ტაძრის ქიმზე და კვლავ აცდუნებდა. უთხრა მას: თუ ის ღვთის ძეა, უნდა დაამტკიცოს ეს და გადავარდეს თავბრუდამხვევი სიმაღლიდან, რომელზეც მან დააყენა. სატანა ღვთით შთაგონებული სიტყვებით მიმართავს: „ვინაიდან დაწერილია: თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აყვანილს გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ წამოჰკრა“. იესომ უპასუხა: „არ გამოსცადო უფალი, ღმერთი შენი“. სატანას სურდა, იძულებული გაეხადა იესო, ბოროტად გამოეყენებინა მამის წყალობა და თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო

მანამ, სანამ თავის მისიას აღასრულებდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ხსნის გეგმა ჩაიშლებოდა; მაგრამ, ვიხილე, რომ ამ გეგმას საკმაოდ ღრმა საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ სატანას ჩაეშალა იგი.

მე ვიხილე, რომ ქრისტე სამაგალითო იყო ყველა ქრისტიანისათვის, ვინც ცდუნების ქვეშ იმყოფება ან ვისი უფლებებიც ხელყოფილია. მათ არ უნდა იფიქრონ, თითქოს უფლება აქვთ, მოუხმონ ღმერთს იმისათვის, რათა მათ გაიმარჯვონ თავის მტრებზე, გარდა იმ განსაკუთრებული მიზნისა, როდესაც ღმერთი ამით დიდებით შეიმოსება და ამაღლდება. მე ვიხილე: იესო რომ ტაძრის ქიმიდან გადმოვარდნილიყო, ეს არ განადიდებდა მის მამას, რადგან არავინ იქნებოდა ამის მოწმე, სატანისა და უფლის ანგელოზების გარდა. ეს ღმერთის გამოცდა იქნებოდა, რათა მას ძალა გამოევლინა თავისი უბოროტესი მტრის წინაშე. ეს იქნებოდა შემწყნარებლობა იმის მიმართ, ვის დასამარცხებლადაც მოვიდა იესო.

„ისევ წაიყვანა იგი ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე, უჩვენა სოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება. უთხრა მას: „ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ. მაშინ იესომ უთხრა: „განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“.

სატანამ უჩვენა იესოს წუთისოფლის სამეფოები. ისინი ძალზე თვალწარმტაცად იყო წარმოდგენილი. მან შესთავაზა ისინი იესოს, თუკი იესო თაყვანს სცემდა მას. მან უთხრა იესოს, რომ მაშინ უარს იტყვის თავის პრეტენზიებზე წუთისოფელზე ბატონობასთან დაკავშირებით. სატანამ იცოდა, რომ მისი ძალაუფლება შეიზღუდება და საბოლოოდ წაერთმევა, თუკი ხსნის გეგმა განხორციელდება. მან იცოდა: თუ იესო მოკვდება, რათა ადამიანი გამოისყიდოს, მის ძალაუფლებას ბოლო მოეღება და იგი განადგურდება. ამიტომ ეშმაკმა ჩაიფიქრა გეგმა, როგორ აიცილოს თავიდან, თუკი ეს შესაძლებელია, უფლის ძალის მიერ დაწყებული დიადი საქმის დაგვირგვინება. თუ ადამიანის გამოსყიდვის გეგმა მარცხს განიცდის, ის შეინარჩუნებს სამეფოს, რომელზედაც უფლებას განაცხადებდა. ის თავს იმშვიდებდა იმით, რომ წარმატების შემთხვევაში იმეფებდა ზეციური ღმერთის საპირისპიროდ.

სატანა ზეიმობდა, როდესაც იესომ ზეცა დატოვა, სადაც მისი ხელმწიფება და დიდება დარჩა. ის ფიქრობდა, რომ ახლა ღვთის ძე მისი ძალაუფლების ქვეშ მოექცა. მან ისე იოლად შეძლო წმინდა წყვილის ცდუნება ედემში, რომ იმედოვნებდა, სატანური ცბიერებისა და ძალის მეშვეობით დაამარცხებდა თვით ღვთის ძეს და ამ გზით გადაარჩენდა თავის სიცოცხლეს და თავის სამეფოს. მას რომ შეეცდინა იესო და მას მამის ნება უარეყო, თავის მიზანს მიაღწევდა. იესომ უბრძანა სატანას, მოშორებოდა მას. მას თაყვანი მხოლოდ თავისი მამისათვის უნდა ეცა. უნდა დამდგარიყო ჟამი, როცა იესოს საკუთარი სიცოცხლით გამოესყიდა ყოველივე, რასაც სატანა ფლობდა და განსაზღვრული დროის შემდეგ ყოველივე ზეცასა და დედამიწაზე მხოლოდ მას დაექვემდებარება. სატანა თავის უფლებას აცხადებდა მიწიერ სამეფოებზე, როგორც თავის საკუთრებაზე და ცდილობდა, იესო დაერწმუნებინა, რომ მას ყველა ტანჯვის თავიდან აცილება შეეძლო. სულაც არაა აუცილებელი, მოკვდეს, რათა წუთისოფლის სამეფოები შეიძინოს. მას შეეძლო დედამიწის ყველა სამეფოს დაპატრონებოდა და მათზე ბატონობის დიდებით დამტკბარიყო, თუკი ეშმაკს სცემდა თაყვანს. მაგრამ ურყევი და მტკიცე იყო იესო. მან აირჩია ტანჯვით სიცოცხლე და საშინელი სიკვდილი, რათა მისი მამის მიერ დადგენილი გზით გამხდარიყო წუთისოფლის სამეფოების კანონიერი მემკვიდრე და მიეღო ისინი სამუდამო მფლობელობაში. სატანაც აგრეთვე გადაეცემა მას ხელში, რათა განადგურდეს სიკვდილით და უკვე ვეღარასოდეს ავნოს იესოსა და დიდებაში მყოფ წმინდანთ.

იხ. მეორე რჯული 6:16; 8:3; მეოთხე მეფეთა 17:35-36; ფსალმუნები 90:11-12; ლუკა მე-2 თავი

თავი 5

ქრისტეს მსახურება

მას შემდეგ, რაც სატანამ ყველა გამოცდა დაამთავრა დროებით განვიდა იესოსგან. ანგელოზებმა მას საჭმელი მოუმზადეს უდაბნოში, გაამაგრეს იგი და მამის კურთხევა იყო მასზე. სატანამ მარცხი განიცადა თავის უძლიერეს ცდუნებებში, მაგრამ უკვე იმ დროს ელოდა, როცა იესო თავის მსახურებას შეუდგებოდა, რათა მის წინააღმდეგ თავისი

მზაკვრობა გამოეყენებინა. ის კვლავაც იმედოვნებდა იესოზე გამარჯვებას იმათში, ვინც არ მიიღებს მას, მისდამი ზიზღისა და მისი განადგურების სურვილის გაღვივების გზით. სატანამ თავის ანგელოზებთან საგანგებო თათბირი გამართა. ისინი იმედგაცრუებული და განრისხებული იყვნენ იმის გამო, რომ ღვთის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფერს აღწევენ. გადაწყვიტეს, რომ უფრო მეტი ეშმაკობა და თავისი ძალების უკიდურესად დაძაბვა მართებთ, რათა ურწმუნოება დათესონ ღმერთის საკუთარი ხალხის გულებში იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა იგი წუთისოფლის მხსნელი და ამგვარად იმედი გაუცრუონ იესოს თავისი მამის მიმართ. მნიშვნელობა არა აქვს რამდენად ზედმიწევნით დაიცავენ ებრაელები თავის ცერემონიებს და მსხვერპლშეწირვებს; თუკი ბოროტი ანგელოზები დაუბრმავებენ მათ თვალებს წინასწარმეტყველებებით და აიძულებენ, დაუჯერონ, რომ მხოლოდ მიწიერ ძლევამოსილ მეფეს ძალუძს აღასრულოს ეს წინასწარმეტყველებანი, მაშინ ისინი მათ გონებასაც დააბნელებენ მომავალ მესიასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ ვიხილე, რომ სატანა და მისი ანგელოზები ძლიერ ქმედითნი იყვნენ ქრისტეს მსახურების დროს, შეაგონებდნენ ადამიანებს ურწმუნოებას, სიძულვილსა და აბუჩად აგდებას. ხშირად, როდესაც ქრისტე წარმოთქვამდა გულში ჩამწვდომ რომელიმე ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ცოდვებს კიცხავდა, ეს ადამიანები განრისხდებოდნენ ხოლმე. სატანა და მისი ანგელოზები აქეზებდნენ მათ, ღვთის ძე სიცოცხლეს გამოესალმებინათ. ერთხელ მათ ქვებს წამოავლეს ხელი და აპირებდნენ მისთვის ესროლათ, მაგრამ ანგელოზებმა დაიფარეს, გააფთრებულ ბრბოს მოაშორეს და უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს. სხვა დროს, როდესაც ჭეშმარიტებას ღაღადებდნენ მხსნელის წმინდა ბაგეები, ბრბომ შეიპყრო იგი და მთის კიდეზე მიიყვანა, რათა ძირს გადაეგდო. როდესაც ისინი შეკამათდნენ, თუ რა უნდა ექნათ მისთვის, ამ დროს ანგელოზებმა კვლავ დაფარეს იგი ბრბოს თვალთაგან და მან მათ შორის გაიარა და თავის გზას გაუყვა.

სატანა იმედს არ კარგავდა, რომ ხსნის დიადი გეგმა მარცხს განიცდიდა. იგი მთელს თავის ძალისხმევას მიმართავდა იქითკენ, რომ ქრისტეს წინააღმდეგ ადამიანთა გულები და გრძნობები გაესასტიკებინა. ის თვლიდა, რომ იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც იესოს ღვთის ძედ აღიარებს, იმდენად მცირე იქნება და იესო ჩათვლის, რომ მისი ტანჯვა და მსხვერპლი ძალზე დიდია ასე მცირეთათვის გასაღებად. მაგრამ მე ვიხილე: თუნდაც ორ ადამიანს რომ მიეღო იესო, როგორც ღვთის ძე და ერწმუნა იგი საკუთარ სულთა გადასარჩენად, იესო მაინც განახორციელებდა თავის გეგმას.

იესო შეუდგა თავის საქმეს და დაამსხვრია სატანის ძალაუფლება ტანჯულებზე. ის კურნავდა მათ, ვინც მისი ბოროტი ძალისაგან იტანჯებოდა. ის სნეულებს აჯანსაღებდა, კურნავდა ხეიბრებს, რომელთაც სიხარულისაგან ხტუნაობის და ღმერთის განდიდების სურვილი უჩნდებოდათ. ის თავისი ძალით ბრმებს თვალის ჩინს უბრუნებდა, მრავალი წლის მანძილზე სატანის დაუნდობელი ძალაუფლებით დასუსტებულთ და შებოჭილთ – ჯანმრთელობას. უძლურ, აკანკალებულ, სულით დაცემულ ადამიანებს ნაზი სიტყვებით ანუგეშებდა. ის მკვდართ სიცოცხლისათვის აღადგენდა და ისინიც ადიდებდნენ ღმერთს თავისი ძალის ესოდენ ძლევამოსილად გამოვლენისათვის. ის დიდ საქმეებს აკეთებდა ყველასათვის, ვისაც იგი სწამდა. სუსტ ტანჯულებს, სატანას დიდი სიხარულით რომ ჩაუვლია მათთვის თავისი ხელები, იესო სტაცებდა, თავისი ძალით უძღვნიდა მათ ფიზიკურ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულსა და ბედნიერებას.

იესოს ცხოვრება კეთილი საქმეებით, თანაგრძნობითა და სიყვარულით იყო აღსავსე. ის ყოველთვის მზად იყო ყურადღებით მოესმინა მასთან მოსულთათვის და შეემსუბუქებინა მათი მწუხარება. ბევრი თავად ხდებოდა მისი ღვთიური ძალის მტკიცებულება. და მაინც, ბევრ მათგანს მათზე ამგვარი ზემოქმედების შემდეგ, ერცხვინებოდათ, რომ ასეთი უბრალო იყო მათი მასწავლებელი, თუნდაც ესოდენ ძლევამოსილი. ვინაიდან მმართველებმა არ იწამეს იგი, მათაც არ ისურვეს, ეტანჯათ იესოსთან ერთად. იგი იყო მწუხარე, მან გამოსცადა სნეულებანი. მათ შორის მხოლოდ ძალიან ცოტამ შეძლო, მოქცეულიყო იესოს საღი თავგანწირული ცხოვრების გავლენის ქვეშ. ადამიანებს მიწიერი პატივი და დიდება სურდათ. ბევრი გაჰყვა ღვთის ძეს, ისმენდა მის დარიგებას, ტკბებოდა მის ბაგეთაგან მოსმენილი მადლის სიტყვებით. მისი სიტყვები, ღრმა შინაარსით გამდიდრებული, ამავე დროს ისეთი უბრალო იყო, რომ ყველაზე სუსტთათვისაც კი გასაგები ხდებოდა.

სატანა და მისი ანგელოზები კი თავისი საქმით იყვნენ დაკავებული. ისინი აბრმავებდნენ იუდეველებს და გონებას უბნელებდნენ მათ. სატანა უბიძგებდა ხალხის მთავრებსა და მმართველებს იესოს მოკვლისაკენ. მათ მსახურები გააგზავნეს მასთან იესოს მოსაყვანად;

მხსნელის შორიახლო რომ აღმოჩნდნენ, გაოგნდნენ. მათ დაინახეს იესოს თანაგრძნობა და თანაზიარობა ადამიანის მწუხარებაში. ისინი აკვირდებოდნენ, თუ როგორი სიყვარულითა და სინაზით ამხნევებდა იგი უბედურთ და მაშვრალთ. მსახურებს ასევე ესმოდათ, როგორი მტკიცე ხმით თოკავდა იგი სატანის ძალას, ხოლო მის ტყვეებს მისგან თავის დახსნისაკენ მოუწოდებდა. ისინი სწვდებოდნენ მის მიერ წარმოთქმულ სიბრძნეს და მოხიბლული რჩებოდნენ. მსახურებს არ შეეძლოთ მასზე ხელის აღმართვა. ისინი მღვდლებთან და უხუცესებთან იესოს გარეშე დაბრუნდნენ. როდესაც მათ შეეკითხნენ: „რატომ არ მოიყვანეთ იგი?“ – მოჰყვნენ მისი სასწაულების შესახებ, რომელთა მოწმენიც თავად გახდნენ, მისი ბრძნული, სიყვარულითა და ცოდნით გაჯერებული სიტყვების შესახებ, რომლებიც მოისმინეს და დაასრულეს ასე: „არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობს“. მღვდელმთავრებმა დაადანაშაულეს ისინი იმაში, რომ ისინიც მოიხიბლნენ. ზოგიერთს შერცხვა, რომ არ მოიყვანეს იგი. მღვდელმთავრებმა დამცინავად იკითხეს, ირწმუნა თუ არა იგი რომელიმე მთავართაგანმა. მე ვიხილე, რომ ბევრმა მთავართა და უხუცესთა შორის ირწმუნა იესო, მაგრამ სატანა ნებას არ აძლევდა, ეღიარებინათ ეს. მათ ადამიანთა განკითხვის უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღმერთისა.

დღემდე ვერ ჩაშალა ხსნის გეგმა სატანის მზაკვრობამ და სიძულვილმა. ახლოვდებოდა იმ მისიის შესრულების ჟამი, რისთვისაც მოვიდა იესო წუთისოფელში. სატანამ და მისმა ანგელოზებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, აემხედრებინათ ქრისტეს საკუთარი ხალხი მის წინააღმდეგ, რათა ყვირილით მოეთხოვათ მისი სისხლი, გამოევლინათ სისასტიკე და სიძულვილი მისდამი. სატანა იმედოვნებდა, რომ იესო განაწყენდებოდა ამის გამო და მორჩილებასა და თავმდაბლობას დათმობდა.

იმ დროს, როცა სატანა გეგმებს ადგენდა, იესო ფრთხილად აცნობდა თავის მოწაფეებს, რა ტანჯვა-წამება ელის. უფალი ამბობდა, რომ იგი ჯვარს უნდა აცვან, რომ მესამე დღეს იგი აღდგება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოწაფეებს მისი ცუდად ესმოდათ. ისინი ვერ ჩაწვდნენ მისი სიტყვების სიღრმეს.

იხ. ლუკა 4:29; იოანე 7:45-48; 8:59

თავი 6

ფერიცვალება

მე ვიხილე, რომ მოწაფეთა რწმენა ძლიერ განმტკიცდა ფერიცვალების დროს. ღმერთმა გადაწყვიტა, იესოს მიმდევართათვის მიეცა ძლიერი მოწმობა იმისა, რომ ისაა აღთქმული მესია, რათა მწარე სევდისა და იმედგაცრუების ჟამს სულ არ დაკარგვოდათ თავისი რწმენა. ფერიცვალების დროს ღმერთმა მოსე და ელია გააგზავნა იესოსთან მის ტანჯვასა და სიკვდილზე სასაუბროდ. თავის ძესთან დასალაპარაკებლად ღმერთმა აირჩია ისინი, ვინც თავად იწვნია წუთისოფლის განსაცდელი. მის მიმდევართაგან მხოლოდ ერთეულებს დაერთოთ იესოს გვერდით ყოფნისა და მისი ღვთიური დიდებით განათებული სახის, სპეტაკი, ელვარე სამოსის ხილვისა და ღვთიური ხმის გაგონების ნება. ეს ხმა კი შიშისმომგვრელი ძლევამოსილებით აცხადებდა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე; მას უსმინეთ“.

ელია დადიოდა ღმერთთან. მისი სამუშაო არ იყო სასიამოვნო. ღმერთი მისი მეშვეობით ცოდვას კიცხავდა. ის, ღვთის წინასწარმეტყველი, იძულებული იყო ერთი ადგილიდან მეორეში გაქცევით ეხსნა საკუთარი სიცოცხლე. მასზე ნადირობდნენ, როგორც ველურ მხეცზე, რათა გაენადგურებინათ. ღმერთმა წაიყვანა ელია. ანგელოზებმა ზეცაში აიტაცეს იგი დიდებითა და სიხარულით.

მოსე ის კაცი იყო, რომელსაც დიდი პატივი მიაგო ღმერთმა. ის ყველაზე დიდი იყო იმათგან, ვინც მანამდე ცხოვრობდა. მისი უპირატესობა იყო ღმერთთან პირისპირ ლაპარაკი ისე, როგორც კაცისათვის – მეგობართან. მას მიეცა უფლება, ეხილა მამა ღმერთის ირგვლივ განფენილი თვალისმომჭრელი ნათელი და დიდებულება. მოსეს მეშვეობით დაიხსნა ღმერთმა ისრაელის შვილნი ეგვიპტელთა ჩაგვრისაგან. მოსე შუამავალი იყო ისრაელის შვილთათვის. ის ხშირად იდგა მათსა და ღმერთის რისხვას შორის. როდესაც ღმერთის რისხვა ძლიერდებოდა ისრაელიანთა მიმართ მათი ურწმუნოების, დრტვინვისა და მძიმე ცოდვების გამო, მოსეს სიყვარულსაც მათ მიმართ გამოცდა ელოდა. ღმერთი დაპირდა მოსეს: თუკი ის უარყოფს ისრაელს და გასანადგურებლად გაწირავს, უფალი შექმნის მისგან

ძლევამოსილ ხალხს. მოსემ დაამტკიცა ისრაელისადმი თავისი სიყვარული გულმოდგინე ხვეწნითა და მუდარით. თავად დამწუხრებული შეჰღაღადებდა ღმერთს, რათა მას თავისი მრისხანება დაეცხრო და მიეტევებინა ისრაელისათვის ან მისი სახელი ღმერთის წიგნიდან ამოეშალა.

როდესაც ისრაელიანნი დრტვინვით მიმართავდნენ ღმერთს და მოსეს წყლის უქონლობის გამო, მათ დაადანაშაულეს მოსე იმაში, რომ მან გამოიყვანა ისინი, რათა დაეხოცა ბავშვებთან ერთად. ღმერთს ესმოდა მათი დრტვინვა და უბრძანა მოსეს, კლდისათვის დაერტყა, რომ ისრაელის შვილებს იქიდან წყალი მიეღოთ. მოსემ რისხვით დაჰკრა კვერთხი კლდეს და დიდებაც მიითვისა. ისრაელის შვილთა მუდმივი წუწუნი და ჩივილი ღრმა მწუხარებაში აგდებდა მას და ცოტა ხნით მას დაავიწყდა, რამდენ რამეს უთმენდა ღმერთი მათ და რომ მათი დრტვინვა მის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ღმერთის წინააღმდეგ. ის ფიქრობდა მხოლოდ საკუთარ თავზე, იმაზე, თუ რა ძლიერ აწყენინეს და რა უმადურია ხალხი მისი ღრმა სიყვარულის საპასუხოდ.

როდესაც მოსემ დაარტყა კლდეს, ამით ღმერთს როდი მიაგო პატივი ისრაელის შვილთა წინაშე, რათა მათ განედიდებინათ შემოქმედი. ღმერთი უკმაყოფილო იყო მოსეთი და თქვა, რომ ვერ შევა იგი აღთქმულ მიწაზე. უფლის გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ ისრაელი ხშირად გამოეცადა რთულ სიტუაციებში ჩაგდებით და შემდეგ შეჭირვებისას გამოევლინა მათ წინაშე თავისი ძალა, რათა უფალს ეცოცხლა მათ გონებაში და მათაც განედიდებინათ იგი.

როდესაც მოსე მთიდან დაეშვა ქვის ორი ფიქალით და დაინახა ოქროს ხბოს თაყვანისმცემელი ისრაელი, იმდენად განრისხდა, რომ დაახეთქა ძირს ფიქალები და დაამსხვრია ისინი. მე ვიხილე, რომ ამაში არ შეუცოდავს მოსეს. ის უფლის დიდებას გამოესარჩლა და ღმერთის მაგივრად განრისხდა. მაგრამ, როდესაც აჰყვა გულის ბუნებრივ გრძნობებს და მიითვისა უფლის კუთვნილი დიდება, მან ცოდვა ჩაიდინა. სწორედ ამ ცოდვის გამო არ მისცა უფალმა აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება.

სატანა ცდილობდა, ეპოვა საბაბი, რათა ანგელოზების წინაშე მოსესთვის ბრალი დაედო. ზეიმობდა სატანა: მან საწადელს მიაღწია, როცა მოსემ ღმერთის უკმაყოფილება გამოიწვია. თავის ანგელოზებს სიხარულით უთხრა, როდესაც კაცთა გამოსასყიდად წუთისოფლის მხსნელი მოვა, ის მის დამარცხებას შეძლებს. ამ ცოდვის შედეგად მოსე სატანის ძალაუფლების – სიკვდილის ძალაუფლების – ქვეშ აღმოჩნდა. მას რომ სიმტკიცე შეენარჩუნებინა და არ შეეცოდა დიდების მითვისებაში, უფალი მიიყვანდა მას აღთქმულ მიწაზე და ზეცად აიტაცებოდა ისე, რომ სიკვდილი არ შეეხებოდა.

მე ვიხილე, რომ მოსეს სიკვდილი შეეხო, მაგრამ მიქაელი ჩამოვიდა და დააბრუნა სიცოცხლეში მანამ, სანამ გაიხრწნებოდა. სატანა ამტკიცებდა, რომ მოსეს სხეული მას ეკუთვნოდა, მაგრამ მიქაელმა აღადგინა იგი და ზეცაში წაიყვანა. სატანა ცდილობდა არ გაეშვა ხელიდან მისი სხეული და ლანძღავდა ღმერთს, ამბობდა, რომ ის უსამართლოდ იქცევა, როცა მას ნადავლს ართმევს. მაგრამ მიქაელი არ საყვედურობდა ეშმაკს, თუმცა სწორედ მისი ცდუნებებისა და ძალის გამო დაეცა ღვთის მსახური. ქრისტემ მორჩილად გადასცა იგი თავის მამას და უთხრა: „შეგრისხოს უფალმა!“

იესომ უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ზოგიერთი, მის გვერდით მყოფი, არ იგემებს სიკვდილს, ვიდრე ძალით მოსულ უფლის სასუფეველს არ იხილავს. ეს აღთქმა აღსრულდა ფერიცვალების დროს. იესოს სახე შეიცვალა, ის მზესავით გაბრწყინდა. მისი სამოსი გათეთრდა და გასპეტაკდა. მოსე იქ იმყოფებოდა როგორც იმათი წარმომადგენელი, ვინც აღდგება იესოს მეორედ მოსვლისას. ელია, ზეცაში ცოცხლად ატაცებული, წარმოადგენდა მათ, ვინც უკვდავებით შეიმოსება ქრისტეს მეორედ მოსვლისას და, ვერ იხილავენ რა სიკვდილს, ზეცაში აიტაცებიან. შეშინებული და გაოგნებული მოწაფეები იესოს საოცარ დიდებას და ღრუბელს ხედავდნენ, რომელმაც ისინი მოიცვა; მათ ესმოდათ უფლის ხმა შემზარავი დიდებით მგრგვინავი: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, მას უსმინეთ“.

იხ. გამოსვლა 32-ე თავი; რიცხვნი 20:7-12; მეორე რჯული 34:5; მეოთხე მეფეთა 2:11; მარკოზი მე-9 თავი; იუდა 9

ქრისტეს გაცემა

მე გადაყვანილი ვიქენი იმ დროში, როდესაც იესო თავის მოწაფეებთან ერთად პასექის სერობაზე იმყოფებოდა. სატანამ მოატყუა იუდა, დაარწმუნა, რომ ის ქრისტეს ერთ-ერთი ჭეშმარიტი მოწაფეთაგანია; მაგრამ მისი გული ყოველთვის ხორციელი იყო. იუდამ იხილა იესოს ძლევამოსილი საქმეები, თან ახლდა მას მისი მსახურების მანძილზე და ეთანხმებოდა იმ უტყუარ მტკიცებულებებს, რომ ის არის მესია, მაგრამ ძუნწი და ხარბი იყო იუდა. ძლიერ უყვარდა ფული. ის რისხვით ჩიოდა, რომ იესოზე დაიღვარა ძვირადღირებული ნელსაცხებელი. მარიამს უყვარდა თავისი უფალი, მან მიუტევა მას „მრავალი ცოდვა“, მკვდართაგან აღადგინა მისი საყვარელი ძმა, და ის თვლიდა: არაფერია იმდენად ძვირფასი, რომ იგი იესოს არ მიუძღვნა. რაც უფრო ძვირადღირებული იყო ნელსაცხებელი, მით უკეთ შეეძლო მარიამს, გამოეხატა და მიეძღვნა თავისი მადლიერება მხსნელისადმი. თავისი სიძუნწის გასამართლებლად იუდამ თქვა, რომ ნელსაცხებელი შეიძლებოდა გაეყიდათ და ფული ღატაკთათვის დაერიგებინათ. მაგრამ ღარიბებზე ზრუნვით როდი იყო ნათქვამი ეს სიტყვები, არამედ იმიტომ, რომ იგი ეგოისტი იყო და ხშირად ითვისებდა იმას, რისი ღარიბებისათვის დარიგებაც მას ანდეს. იუდა არ იყო ყურადღებიანი იესოს მოთხოვნილებებისადმი და თავისი სიძუნწის გასამართლებლად ხშირად ახსენებდა ღარიბებს. მარიამის ხელგაშლილობა იყო ყველაზე დიდი საყვედური მისი ხარბი ბუნებისათვის.

მომზადდა გზა იმისათვის, რომ სატანის ცდუნებას დაუყოვნებლივ ეპოვა გამოძახილი იუდას გულში. იუდეველთ სძულდათ იესო, მაგრამ მასთან უამრავი ადამიანი მოდიოდა, რათა მისი ბრძნული სიტყვები მოესმინათ და მისი ძლევამოსილი საქმეების თვითმხილველები გამხდარიყვნენ. ამას ადამიანთა ყურადღების გადატანა მოჰყვებოდა მღვდელმთავრებისა და უხუცესთაგან, რადგან ხალხი ღრმა ინტერესს ავლენდა იესოსადმი და აღელვებული თან მიჰყვებოდა მას, ისმენდა ასეთი საოცარი მასწავლებლის დარიგებებს, ბევრმა მთავარმა ირწმუნა იესო, მგრამ ვერ ბედავდა ამის გამჟღავნებას, რადგან სინაგოგისაგან მოკვეთის ეშინოდა. მღვდლებმა და უხუცესებმა გადაწყვიტეს, რომ აუცილებელია, რაღაც მოიმოქმედონ იესოსაგან ხალხის ყურადღების სხვა რამეზე გადასატანად. მათ ეშინოდათ, რომ ყველა ადამიანი ირწმუნებს მას, ამიტომ თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ. მათ ან ხელიდან უნდა გამოცლოდათ თავისი მდგომარეობა, ან იესო უნდა მოეკლათ. მაგრამ იესოს სასიკვდილოდ გადაცემის შემდეგაც კი მაინც დარჩებიან ისინი, ვინც მისი ძალის ცოცხალ ძეგლს წარმოადგენდა. იესომ ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. მღვდლებსა და უხუცესებს ეშინოდათ, რომ თუ იესოს მოკლავენ, ლაზარე დაამოწმებს მისი ძლევამოსილების შესახებ. უამრავი ხალხი იყრიდა თავს მკვდრეთით აღმდგარის სანახავად, ამიტომ მმართველებმა გადაწყვიტეს, მოეკლათ ლაზარეც, რათა ამ მღელვარებისათვის ბოლო მოეღოთ. მაშინ შემოაბრუნებენ ისინი ხალხს ადამიანთა წეს-ჩვეულებებისა და სწავლებისაკენ, მეათედის გადახდისაკენ პიტნისა და ტეგანისაგან და კვლავაც თავისი გავლენის ქვეშ ეყოლებათ ისინი. მათ მოითათბირეს, შეიპყრონ იესო, როდესაც ის მარტო იქნება; რადგან, თუ მის შეპყრობას შეეცდებიან ბრბოში, როცა ხალხი ყურადღებით უსმენს თავის მასწავლებელს, მათ ქვებით ჩაქოლავდნენ.

იუდამ იცოდა, რა მოუთმენლად ლამობდნენ მღვდელმთავარნი და უხუცესნი იესოს ხელში ჩაგდებას, ამიტომ შესთავაზა მისი გაცემა რამდენიმე ვერცხლის ფულის სანაცვლოდ. ფულისადმი მისმა სიყვარულმა იქამდე მიიყვანა, რომ იგი თავისი უფლის უბოროტეს მტერთა ხელში ჩაგდებაზე დათანხმდა. სატანა უშუალოდ მოქმედებდა იუდას მეშვეობით და უკანასკნელი სერობის გულისამაჩუყებელი სცენის დროს ეს მოწაფე გულში იესოს გაცემის გეგმას ინახავდა. იესომ სინანულით უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ყველანი ცდუნდებიან ამ ღამეს მის გამო. მაგრამ პეტრემ ფიცხად დაარწმუნა: ყველანი რომ ცდუნდნენ მის გამო, ის არასოდეს გააკეთებს ამას. იესომ უთხრა პეტრეს: „აჰა, სატანამ გამოგითხოვათ თქვენ, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ. მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და, როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები“.

შემდეგ ვიხილე იესო ბაღში მოწაფეებთან ერთად. ღრმა მწუხარებში მყოფმა უბრძანა მათ, ეფხიზლათ და ელოცათ, რათა არ ცდუნებულიყვნენ. უფალმა იცოდა, რომ მათი რწმენა უნდა გამოცდილიყო, მათ იმედგაცრუება ელით და მათ დასჭირდებათ ძალა, რომელსაც ისინი მხოლოდ მხურვალე ლოცვითა და სიფხიზლით მოიპოვებენ. ქვითინითა და ტირილით ლოცულობდა იესო: „მამაო, თუ გსურს, ამაცდინე ეს სასმისი, მაგრამ არა ჩემი, არამედ შენი ნება იყოს“. ღვთის ძე სულიერ აგონიაში მყოფი ლოცულობდა. ოფლის, სისხლის მსგავსი,

მსხვილი წვეთები ფარავდა მის სახეს და მიწას ეპკურებოდა. ანგელოზები დაფრინავდნენ ამ ადგილის ზემოთ და ამ სცენის მოწმეები იყვნენ. მაგრამ მხოლოდ ერთ მათგანს დაევალა უფლის ძესთან მისვლა და მისი გამხნევება. ზეცაში სიხარული შეწყდა. ანგელოზებმა დააწყვეს თავისი გვირგვინები და ქნარები და ღრმა ინტერესით, დუმილით ადევნებდნენ თვალს იესოს. მათ სურდათ, გარს შემოხვეოდნენ ღვთის ძეს, მაგრამ ხელმძღვანელი ანგელოზები არ ანებებდნენ მათ, ვინც მისი გაცემის მოწმენი გახდნენ, დაეხსნათ იგი; გეგმა ხომ უკვე შედგენილი იყო და ის უნდა აღსრულებულიყო.

ლოცვის შემდეგ იესო დაბრუნდა თავის მოწაფეებთან. მათ ეძინათ. იმ საშინელ წუთებში მხსნელი არ უნუგეშებიათ და ლოცვით თანადგომა არ გამოუხატავთ მის მოწაფეებსაც კი. პეტრე, ასეთი გულმოდგინე სულ ცოტა ხნის წინ, ახლა ღრმა ძილს მისცემოდა. იესომ შეახსენა, რა გულმოდგინებით არწმუნებდა მაცხოვარს და უთხრა: „ნუთუ ვერ შესძელით, ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად?“ სამჯერ ილოცა სულიერ აგონიაში მყოფმა ღვთის ძემ, შემდეგ კი გამოჩნდა იუდა თავის ხალხთან ერთად. ჩვეულებისამებრ მიუახლოვდა იგი იესოს, რათა მისალმებოდა. ბრბომ შუაში მოიქცია იესო, მაგრამ აქ მან თავისი ღვთიური ძალაუფლება გამოავლინა და თქვა: „ვის ეძებთ? მე ვარ“. უკან დაიხიეს და მიწაზე დაეცნენ ყველანი. იესომ ეს კითხვა დასვა, რათა მათ ეხილათ მისი ძალა და მიეღოთ მოწმობა იმის შესახებ, რომ, თუ მოინდომებდა, შეეძლო მათი ხელიდან თავის დახსნა.

მოწაფეებს იმედი გაუჩნდათ, როდესაც ჯოხებითა და მახვილებით შეიარაღებული ხალხი ასე მალე იხილეს დამარცხებული. ხალხი წამოდგა და კვლავ გარს შემოერტყა ღვთის ძეს, პეტრემ იშიშვლა მახვილი და ერთ მონას ყური ჩამოათალა. იესომ უბრძანა, ჩაეგო მახვილი ქარქაშში და უთხრა: „იქნებ გგონია, არ შემეძლოს შევევედრო ჩემს მამას, რომ ახლავე დამიყენოს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და მეტიც?“ მე ვიხილე, როგორ გამოცოცხლდა ანგელოზთა სახეები. მათ სურდათ, აქვე გარს შემოხვეოდნენ თავის მბრძანებელს და გაეფანტათ განრისხებული ბრბო. მაგრამ კვლავ მწუხარებამ მოიცვა ისინი, როცა იესომ დაამატა: „აბა, როგორ აღსრულდება წერილი, ეს რომ არ მოხდეს?“ მოწაფეთა გულები კვლავ სასოწარკვეთილებამ მოიცვა, როცა იესომ დაუშვა, რომ იგი წაეყვანათ.

მოწაფეებს საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების შეეშინდათ და გაიფანტნენ. იესო კი მარტო დარჩა. ო, როგორ გაიხარა მაშინ სატანამ! როგორ წუხდნენ და დარდობდნენ უფლის ანგელოზები! წმინდა ანგელოზთა მრავალი ჯგუფი, მეთაური ანგელოზით სათავეში, გაიგზავნა, რომ ამ სცენის მოწმე გამხდარიყო. მათ უნდა ჩაეწერათ ყოველი შეურაცხმყოფელი და დაუნდობელი ქმედება, რომელიც ღვთის ძეს მიაყენეს, აღენიშნათ ყოველი სულიერი ტანჯვა, რომელიც იესომ უნდა გადაიტანოს; რათა ამავე ადამიანებს შეძლებოდათ ხელახლა ცოცხლივ ეხილათ ყველა თავისი საქმე.

იხ. მათე 26:1-56; მარკოზი 14:1-52; ლუკა 22:1-46; იოანე მე-11 თავი; 18:1-12

თავი 8

ქრისტეს გასამართლება

ანგელოზებმა, როგორც კი ზეცა დატოვეს, მოიხსნეს თავისი ბრწყინვალე გვირგვინები. მათ გვირგვინის ტარება არ შეეძლოთ, ვიდრე მათი მბრძანებელი იტანჯებოდა და იძულებული იყო, ეკლის გვირგვინი ეტარებინა. სატანა და მისი ანგელოზები იმ სასამართლო დარბაზში ფუსფუსებდნენ და ცდილობდნენ ყოველგვარი ჰუმანურობისა და გულმოწყალების განადგურებას. თვით ატმოსფერო დამძიმებული და შებილწული იყო მათი გავლენით. ისინი აქეზებდნენ მღვდელმთავრებსა და უხუცესებს იესოს შეურაცხყოფისაკენ და დასცინოდნენ მას ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე აუტანელი სახით. ეშმაკი იმედოვნებდა, რომ ამგვარი შეურაცხყოფა და ტანჯვა ღვთის ძეს უბიძგებდა საყვედურის ან ჩივილისაკენ, ან კიდევ ის გამოავლენს თავის ღვთიურ ძალაუფლებას, თავს დაიხსნის მათგან და ამგვარად გადარჩენის გეგმა, ბოლოს და ბოლოს, მარცხს განიცდის.

პეტრე თან გაჰყვა თავის უფალს მას შემდეგ, რაც ის გასცეს. მას ძლიერ აწუხებდა იესოს ხვედრი. როდესაც პეტრეს ბრალი დასდეს, რომ ის ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანია, მან ეს უარყო. მოციქული შიშობდა თავისი სიცოცხლის გამო, როცა დაადანაშაულეს და მოწაფეთა რიცხვს მიაკუთვნეს, მან განაცხადა, რომ არ იცნობს ამ კაცს. მოწაფეები თავისი სიტყვის სიწმინდით იყვნენ ცნობილი და პეტრემ, რომელსაც სურდა

მოეტყუებინა და დაერწმუნებინა გარშემომყოფნი, რომ ის არაა ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, უარყო უფალი მესამედაც წყევლითა და ფიცილით. პეტრესთან შორიახლოს მდგარმა იესომ სევდითა და საყვედურით შეხედა. მაშინ გაახსენდა მას ზემოთვალში იესოს ნათქვამი სიტყვები და თავისი ფიცხად წარმოთქმული პასუხი: „ყველანი რომ ცდუნდნენ შენს გამო, მე არასოდეს ვცდუნდები“. მან უარყო თავისი უფალი, თანაც ღმერთს იფიცებდა; მაგრამ იესოს ასეთმა მზერამ იმწამსვე შეარბილა და იხსნა პეტრე. ის მწარედ ტიროდა და თავის დიდ ცოდვას ინანიებდა, მოიქცა და შემდგომში მზად იყო იმისათვის, რომ თავისი ძმები გაემხნევებინა.

ბრბო ყვირილით ითხოვდა იესოს სისხლს. ადამიანები დაუნდობლად ამათრახებდნენ მას, ძველი სამეფო ძოწეულის მოსასხამით შემოსეს და ეკლისაგან დაწნული გვირგვინი დაადგეს. ქრისტეს ხელში ლერწამი მისცეს და დამცინავად უხრიდნენ თავს და ესალმებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო“. შემდეგ გამოართვეს ლერწამი და ურტყამდნენ თავში, რის შედეგადაც ეკლები შუბლში ესობოდა და სისხლი მის სახესა და წვერზე ჩამოედინებოდა.

ანგელოზებს ამ სანახაობის ხილვა ძლიერ უჭირდათ. მათ მტერთაგან იესოს გათავისუფლება შეეძლოთ, მაგრამ მბრძანებელმა ანგელოზებმა აუკრძალეს ეს, უთხრეს, რომ ეს არის უდიდესი გამოსასყიდი, რომლის გაღებაც საჭიროა ადამიანისათვის. მაგრამ ეს გამოსასყიდი სრულყოფილი იქნება და იგი გამოიწვევს იმის სიკვდილს, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს. იესომ იცოდა, რომ ანგელოზები მისი დამცირების მოწმენი იყვნენ. მე ვხედავდი, რომ ყველაზე სუსტ ანგელოზსაც კი შეეძლო ბრბოსათვის ძალის წართმევა და იესოს დახსნა. მხსნელმა იცოდა: მხოლოდ რომ ეთხოვა თავისი მამისათვის, ანგელოზები უმალ გაათავისუფლებდნენ მას. მაგრამ იესოსათვის აუცილებელი იყო, გადაეტანა უწმიდურთა მრავალი დამცირება, რათა ხსნის გეგმა განეხორციელებინა.

თავმდაბალი და მორჩილი იესო გაშმაგებული ბრბოს წინაშე იდგა, ადამიანები კი საშინლად შეურაცხყოფდნენ მას: აფურთხებდნენ სახეში, იმ სახეში, რომლისაგანაც ერთხელაც დამალვას შეეცდებიან და რომელიც მზეზე უფრო გაბრწყინდება და იქნება ნათელი ღვთის ქალაქისათვის; მაგრამ ერთხელაც არ შეუხედავს უფალს თავის მტარვალთათვის განაწყენებული მზერით. მან მშვიდად აწია ხელი და სახე მოიწმინდა. სიცილ-ხარხარით დააფარეს თავზე ძველი სამოსი, შეუკრეს თვალები და ურტყამდნენ სახეში ყვირილით: „აბა, იწინასწარმეტყველე, ვინ დაგარტყა?“ ანგელოზები მღელვარებამ მოიცვა. უმალ გაათავისუფლებდნენ მას, მაგრამ მბრძანებელმა ანგელოზმა შეაჩერა ისინი.

მოწაფეებს ნება დართეს, შესულიყვნენ იქ, სადაც იესო იყო და მისი გასამართლების მოწმენი გამხდარიყვნენ. ისინი ელოდნენ, რომ მხსნელი თავის ღვთიურ ძალას გამოავლენს, თავს დაიხსნის მტრებისაგან და, მისადმი სასტიკი დამოკიდებულების გამო, დასჯის კიდეც მათ. მათი იმედი ხან გაცხოველდებოდა, ხანაც ჩაქრებოდა იმის მიხედვით, თუ რა ხდებოდა იმ დროს. ზოგჯერ ეჭვიცა და შიშიც იპყრობდათ: ხომ არ დარჩნენ მოტყუებულნი? მაგრამ ფერიცვალების მთაზე გაგონილი და ნანახი განამტკიცებდა მათ რწმენას იმაში, რომ იესო – ეს ღვთის ძეა. მოწაფეების მეხსიერებაში ცოცხლდებოდა ამაღელვებელი სცენები, რომელთა მონაწილენიც თავად იყვნენ; სასწაულები, რომელთაც იესო მათ თვალწინ ახდენდა, კურნავდა სნეულთ, თვალის ჩინს უბრუნებდა ბრმებს, ყურთასმენას – ყრუებს, დევნიდა ეშმაკებს და ათავისუფლებდა ეშმაკეულთ, მკვდართ სიცოცხლისათვის აღადგენდა და ქარსაც კი ათვინიერებდა. მათ არ შეეძლოთ იმის დაჯერება, რომ იგი მოკვდება. მათ ჰქონდათ იმედი, რომ ის ჯერ კიდევ მოიკრებს ძალებს და თავისი მტკიცე ხმით გაფანტავს სისხლმოწყურებულ ბრბოს. სწორედ ისევე, როგორც მაშინ, როდესაც უფალი შევიდა ტაძარში და გამოაგდო იქიდან ისინი, ვინც უფლის სახლი სავაჭრო ადგილად აქცია; მაშინ ისე გარბოდნენ, თითქოს შეიარაღებული მხედართა რაზმი მოსდევდათ. მოწაფეები იმის იმედს არ კარგავდნენ, რომ იესო გამოავლენს თავის ძალას და ყველას დაარწმუნებს, რომ ის არის ისრაელის მეფე.

იუდა მწარე სინანულითა და სირცხვილით აღვსილიყო იესოს მიმართ ღალატისა და ვერაგობის გამო. იესოს მიმართ მის მტარვალთა მიერ გამოვლენილმა სისასტიკემ გააოგნა მოღალატე. მას იესო უყვარდა, მაგრამ ფული – მასზე მეტად. იუდას არ ეგონა, რომ იგი დაუშვებს იმას, რომ ის მდაბიონი, რომლებიც მან მოიყვანა, იესოს შეპყრობას შეძლებდნენ. მას მიაჩნდა, რომ იესო სასწაულს მოახდენს და თავს დაიხსნის მათგან. მაგრამ, როდესაც სასამართლო დარბაზში განრისხებული ბრბო დაინახა, რომელსაც მისი სისხლი სწყუროდა, იუდამ ღრმად იგრძნო თავისი დანაშაული. იმ დროს, როცა იესოს ბევრი აღშფოთებული

ადამიანი ადანაშაულებდა, იუდამ გაარღვია ბრბო და აღიარა, რომ შესცოდა და მართალი სისხლი გასცა. მან მღვდლებს ფული შესთავაზა და ემუდარებოდა, გაეშვათ იგი, აცხადებდა, რომ ის სრულებით უდანაშაულო იყო. გაგულისებული და შეცბუნებული მღვდლები ცოტა ხნით დადუმდნენ, არ სურდათ, ხალხი მიმხვდარიყო, რომ მათ იესოს გასაცემად და ხელში ჩასაგდებად ერთ-ერთი მისი მიმდევარი დაიქირავეს. მათ იმის დაფარვა სურდათ, რომ ნადირობდნენ იესოზე, როგორც ავაზაკზე და საიდუმლოდ აიყვანეს იგი. მაგრამ იუდას აღიარება, მისი დაქანცული სახე და დამნაშავის იერი ააშკარავებდა მღვდლების სიძულვილს იესოს წინაშე, რამაც უბიძგა მათ მისი შეპყრობისაკენ. როდესაც იუდამ ხმამაღლა განაცხადა, რომ იესო უდანაშაულო იყო, მღვდლებმა უპასუხეს: „ჩვენ რა? შენ იცი“. იესო მათ ხელში ჰყავდათ ჩაგდებული და არაფრით უკან არ დაიხევდნენ, სანამ თავისას არ მიაღწევდნენ. სულიერი ტკივილით შეპყრობილმა იუდამ ფული, რომელიც ახლა სძაგდა, ფეხებში მიუყარა თავის დამქირავებლებს და, განიცდიდა რა თავისი დანაშაულის გაცნობიერებით გამოწვეულ ტანჯვასა და საშინელებას, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

თავშეყრილთა შორის ბევრი თანაუგრძნობდა იესოს, ბევრ კითხვაზე პასუხად მისმა დუმილმა გააოგნა ისინი. მიუხედავად ყველა შეურაცხყოფისა და დაცინვისა, მისი სახის გამომეტყველება არც მოღუშული და არც მოუსვენარი იყო. ის ყველაფერს ღირსეულად და მშვიდად იტანდა. მისი გარეგნობა კეთილშობილი იყო. ხალხი გაოცებული უცქერდა ქრისტეს. მაყურებელი მის კეთილშობილებას, მის მშვიდ ღირსეულ ქცევას ადარებდა მათ, ვინც სასამართლოში მის პირდაპირ ისხდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ ის უფრო ჰგავს მეფეს, სამეფოს ღირსეულ მფლობელს, ვიდრე ვინმე სხვა მმართველთაგანი. ის სახით სულაც არ ჰგავდა დამნაშავეს. მისი მზერა მოკრძალებული, ნათელი და უშიშარი იყო, შუბლი – ფართო და მაღალი. სახის ყოველი ნაკვთი მოწყალებასა და კეთილშობილებას ავლენდა. მისი მოთმინება და სიმტკიცე იმდენად არ ჰგავდა ადამიანურს, რომ ბევრი ძრწოდა. ჰეროდეცა და პილატეც კი ძლიერ მოუსვენრობას გრძნობდნენ, როცა მის კეთილშობილურ და ღვთისმიერ ქცევას აკვირდებოდნენ.

პილატე თავიდანვე მიხვდა, რომ იესო არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ხასიათის მაღალზნეობრივი თვისებებით. მმართველი დარწმუნებული იყო მის აბსოლუტურ უდანაშაულობაში. ანგელოზებმა, ყოველივე მომხდარის მოწმეებმა, აღნიშნეს პილატეს რწმენა, იესოსადმი მისი სიმპატია და თანაგრძნობა. პილატესათვის იესოს ჯვარცმის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა რომ აეცილებინა თავიდან, პილატეს ცოლთან ანგელოზი გაიგზავნა. მან ძილში შეატყობინა, რომ პილატე მონაწილეობას იღებს ღვთის ძის გასამართლებაში და რომ იგი უდანაშაულო წამებულია. მან მაშინვე აცნობა პილატეს იმის შესახებ, რომ ბევრი იტანჯა ძილში იესოს გამო და გააფრთხილა, რომ არაფერი ევნო ამ წმინდა კაცისათვის. მაცნემ, რომელსაც წერილი მოჰქონდა, სწრაფად გაარღვია ბრბო და პილატეს გადასცა იგი. ცოლის წერილი წაიკითხა რა, აკანკალდა და გაფითრდა მმართველი. მან უმალ გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო ამ საქმეში და თუკი იუდეველნი იესოს სისხლს მოითხოვენ, არ დაეჭირა მათთვის მხარი, პირიქით, ეცადა მისი გათავისუფლება.

როდესაც პილატემ გაიგონა, რომ ჰეროდე იერუსალიმში იმყოფებოდა, გაიხარა და იმედოვნებდა, რომ საერთოდ დაიხსნიდა თავს ამ არასასიამოვნო საქმისგან და არ მიიღებდა მონაწილეობას იესოს გასამართლებაში. მან ქრისტე მის ბრალმდებლებთან ერთად ჰეროდესთან გააგზავნა. ჰეროდე გასასტიკებული იყო, რადგან იოანეს სიკვდილით დასჯამ მის სინდისზე ისეთი ლაქა დატოვა, რომლისაგანაც ვეღარ გათავისუფლდა; იესოსა და მისი დიადი საქმეების შესახებ რომ შეიტყო, გაიფიქრა, რომ ეს მკვდრეთით აღმდგარი იოანე იყო. ის შიშით ძრწოდა, რადგან სუფთა არ იყო მისი სინდისი. პილატემ იესო ჰეროდეს გადააბარა. ჰეროდემ ეს პილატეს მხრიდან მისი ხელისუფლების, ავტორიტეტისა და მართლმსაჯულების აღიარებად ჩათვალა. უწინ ერთმანეთს მტრობდნენ, ახლა კი მეგობრები გახდნენ. ჰეროდე სიხარულით შეხვდა იესოს, რადგან თავის დასაკმაყოფილებლად მისგან რაიმე დიდი სასწაულის მოხდენას ელოდა. მაგრამ იესოს საქმე როდი ისახავდა მიზნად მეფის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. მაცხოვრის ღვთიური და სასწაულებრივი ძალა უნდა გამოჩენილიყო სხვების, მაგრამ არა თავად მის გადასარჩენად.

იესო არაფერს პასუხობდა ჰეროდეს ბევრ შეკითხვაზე, ასევე არ აქცევდა იგი ყურადღებას თავის მტრებს, რომლებიც გააფთრებით უყენებდნენ მას ბრალდებას. ჰეროდე განრისხდა, რადგან, როგორც ჩანდა, იესოს არ ეშინოდა მისი ძალაუფლების და ისიც, თავის მეგობრებთან ერთად დასცინოდა, აბუჩად იგდებდა და ამცირებდა ღვთის ძეს. ჰეროდე განაცვიფრა იესოს კეთილშობილურმა, ღვთაებრივმა ქცევამ იმ დროს, როცა მას ასე

სასტიკად და სამარცხვინოდ ექცეოდნენ, მაგრამ მისთვის მსჯავრის დადება ვერ გაბედა და პილატეს უკან გაუგზავნა.

სატანა და მისი ანგელოზები აცდუნებდნენ პილატეს, ცდილობდნენ, ეიძულებინათ იგი, საკუთარი თავის დამღუპველი ნაბიჯი გადაედგა. შთააგონებდნენ აზრს, რომ, თუ მონაწილეობას არ მიიღებს იესოს გასამართლებაში, ამას სხვები გააკეთებენ. ბრბოს მისი სისხლი სწყუროდა და თუ იგი არ გადასცემს იესოს ჯვარზე გასაკრავად, დაკარგავს ხელისუფლებას, მიწიერ დიდებას და მას ბრალს დასდებენ, როგორც მატყუარას (ასე ეძახდნენ ისინი იესოს) დამცველს. ხელისუფლებისა და ავტორიტეტის დაკარგვის შიშით, პილატე დათანხმდა იესოს სასიკვდილო განაჩენს. და მაინც, მან იესოს სისხლი დააკისრა მის ბრალმდებლებს და ბრბომ მიიღო ეს ყვირილით: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“. მაგრამ პილატე ვერ დარჩა სუფთა, ის დამნაშავე იყო ქრისტეს სისხლის დაღვრაში. ეგოისტური ინტერესებისა და პატივმოყვარეობის გამო მან სასიკვდილოდ გაიმეტა უდანაშაულო ადამიანი. პილატეს რომ თავისი მრწამსით ეხელმძღვანელა, არანაირი დამოკიდებულება არ ექნებოდა იესოს მსჯავრდადებასთან.

იესოს გასამართლებამ და განაჩენმა ზეგავლენა მოახდინა ბევრი ადამიანის გონებაზე და ამ ზეგავლენის შედეგები მისი აღდგომის შემდეგ გამოვლინდა: ეკლესიას შეუერთდნენ მრავალნი, ვისი მოქცევაც სწორედ იესოს გასამართლების დროიდან იღებს სათავეს.

სატანა ძლიერ განრისხდა, როცა დაინახა, რომ მთელმა სისასტიკემ, რომელიც მღვდელმთავრებმა მისი წაქეზებით იესოს მიმართ გამოავლინეს, არ გამოიწვია მაცხოვარში სულ მცირე დრტვინვაც კი. მე ვიხილე: თუმცა იესომ ადამიანის ბუნება მიიღო, ღვთისმიერი ძალა და სიმტკიცე ამაგრებდა მას და მცირედითაც კი არ გადაუხვია მამის ნებას.

იხ. მათე 26:57-75; 27:1-31; მარკოზი 14:53-72; 15:1-20; ლუკა 22:47-71; 23:1-25; იოანე მე-18 თავი; 19:1-16

თავი 9

ქრისტეს ჯვარცმა

ღვთის ძე ხალხს გადაეცა ჯვარცმისათვის. მათ წაიყვანეს ძვირფასი მხსნელი. იგი სუსტი და უძლური იყო ტკივილისაგან და ტანჯვისაგან, რაც გამათრახებამ და ცემამ გამოიწვია, მათ კი სწორედ ის მძიმე ჯვარი აჰკიდეს, რომელზედაც სულ მალე უნდა მიალურსმონ. მაგრამ იესო ქანცგაწყვეტილი დაეცა მძიმე ტვირთის ქვეშ. სამჯერ აჰკიდეს მას მხრებზე მძიმე ჯვარი და სამივეჯერ დაეცა იგი. მაშინ მათ ხელი სტაცეს ერთ-ერთს მის მიმდევართაგანს, რომელიც ღიად არ აღიარებდა ქრისტეს, მაგრამ სწამდა მისი. მათ მას დაადგეს ეს ჯვარი და მან მიიტანა იგი საბედისწერო ადგილამდე. ანგელოზები ჯგუფ-ჯგუფად დაფრინავდნენ ჰაერში ამ ადგილის ზემოთ. ბევრი მისი დამწუხრებული მოწაფე ტირილით მიჰყვებოდა მას გოლგოთისაკენ. მათ აგონდებოდათ იესოს ზეიმით შესვლა იერუსალიმში და როგორ მიჰყვებოდნენ ისინი შეძახილებით: „ოსანა, მაღალთა შინა“, როგორ უფენდნენ გზად თავის სამოსსა და პალმის რტოებს. მაშინ ისინი ფიქრობდნენ, რომ იესო მიიღებს სამეფოს და გახდება ისრაელის მიწიერი მბრძანებელი. მაგრამ როგორ შეიცვალა ყოველივე! როგორ დაიმსხვრა მათი იმედები! ისინი მიჰყვებოდნენ მაცხოვარს არა ზეიმითა და სიხარულით სავსე იმედებით, არამედ შიშითა და სასოწარკვეთით სავსე გულებით; მიდიოდნენ ნელა, მწუხარებით მისდევდნენ განკიცხულსა და დამცირებულს, რომელიც მალე უნდა მომკვდარიყო.

იქ იყო იესოს დედაც. მას გულს ლახვარივით უგმირავდა ისეთი ტკივილი და ტანჯვა, რომელიც შეიძლება მხოლოდ მოსიყვარულე დედამ განიცადოს. თავზარდაცემულს გულში, ისევე როგორც მის მოწაფეებს, კიდევ შემორჩენოდა იმედი, რომ მისი შვილი მოახდენს დიდ სასწაულს და თავს დაიხსნის მკვლელთაგან. მას ვერ წარმოედგინა, რომ იესო დაუშვებს, ჯვარს აცვან იგი. მაგრამ ყველაფერი მომზადდა და იესო ჯვარზე დააწვინეს. მოიტანეს ჩაქუჩი და ლურსმნები. მოწაფეებს გულები გაეყინათ. იესოს დედა თითქმის აუტანელ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას განიცდიდა და, როდესაც იესოს სხეული ჯვარზე გააკრეს, რათა დაუნდობელი ლურსმნებით მიეჭედათ მისი ხელები ხის მორებზე, მოწაფეებმა გაიყვანეს იმ ადგილიდან იესოს დედა, რომ არ გაეგონა, როგორ განგმირავდა ლურსმნები მისი ნაზი ხელებისა და ფეხების კუნთებს. სახე მისი გაფითრებულიყო, მსხვილი ოფლით

დაცვარულიყო მისი შუბლი. სატანა ზეიმობდა, როცა ხედავდა ღვთის ძის საშინელ ტანჯვას, მაგრამ შიშობდა, რომ დაკარგავს თავის სამეფოს და რომ უნდა მოკვდეს.

მიალურსმნეს რა იესო მეომრებმა, აღმართეს ჯვარი და ძლიერად ჩაასვეს იგი მიწაში მომზადებულ ადგილზე, რამაც საშინელი ტანჯვა მიაყენა მაცხოვარს ხორცის გაგლეჯვის გამო. მისი სიკვდილი იმდენად სამარცხვინო გახადეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი იესოსაგან ორივე მხარეს. ავაზაკების მიმართ ძალის გამოყენება გახდა საჭირო და მათი მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, მათ ხელები უკან გადაუწიეს და ჯვარს მიალურსმეს. ხოლო იესო დამორჩილდა უდრტვინველად. აუცილებლობა არ მოითხოვდა მისი ხელების ჯვარზე ძალით დადებას. მაშინ, როცა ავაზაკები წყევლიდნენ თავიანთ ჯალათებს, იესო აგონიაში ლოცულობდა თავის მტერთათვის: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ“. იესო მარტო სხეულით გვემას როდი განიცდიდა, მასზე იდო მთელი წუთისოფლის ცოდვები.

როდესაც იესო ჯვარზე ეკიდა, ზოგიერთი გამვლელი ლანძღავდა მას, თავს უქნევდა, თითქოს მეფეს უხრიდა თავს და ეუბნებოდა: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი. თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან“. ეშმაკმა იგივე სიტყვები გამოიყენა, რომლებითაც უდაბნოში მიმართავდა ქრისტეს: „თუ შენ ღვთის ძე ხარ“. მღვდელმთავარნი, უხუცესნი და მწიგნობარნი დამცინავად გაიძახოდნენ: „სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას“. ანგელოზები, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმის ადგილის თავზე დაფრინავდნენ, აღშფოთდნენ, როცა მმართველნი დასცინოდნენ მას და ამბობდნენ: „თუ ღვთის ძეა, იხსნას თავისი თავი“. მათ ქრისტესთან დასახმარებლად და გასათავისუფლებლად სურდათ მისვლა, მაგრამ ეს აკრძალული ჰქონდათ. მისი მისიის მიზანი თითქმის მიღწეული იყო. ჯვარზე გაკრულს აგონიის იმ საშინელ ჟამს, იესოს დედა არ დავიწყებია. მარიამს არ შეეძლო შორიდან ეცქირა ტანჯული შვილისთვის. იესოს უკანასკნელი გაკვეთილი, გულმოწყალებისა და თანაგრძნობის გაკვეთილი იყო. მან შეხედა დედას, რომლის გული მზად იყო, დაგლეჯილიყო მწუხარებისაგან, შემდეგ თავის საყვარელ მოწაფეს, იოანეს. უფალმა უთხრა თავის დედას: „ქალო! აჰა შენი ძე!“ შემდეგ იოანეს მიმართა: „აჰა, დედაშენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.

წამებისას იესოს წყურვილი სტანჯავდა, მაგრამ ჯალათებმა კიდევ ერთი შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა მას ნაღველნარევი ღვინო შესთავაზეს დასალევად. ანგელოზები უცქერდნენ თავისი საყვარელი მბრძანებლის ჯვარცმის საზარელ სცენას, მაგრამ, რაკი მეტი ვეღარ შეძლეს ამის ხილვა, პირი იბრუნეს ამ სანახაობისაგან. მზემაც კი უარი თქვა, ამ საშინელი სცენის მოწმე ყოფილიყო. იესომ წამოიძახა ხმამაღლა: „აღსრულდა!“ და ამ ხმამ გული განუგმირა მის მკვლელებს. მაშინ ჩაიხა თავიდან ბოლომდე ტაძრის ფარდა, შეიძრა მიწა და კლდეები დასკდა. დიდმა წყვდიადმა დაფარა დედამიწა. ჩანდა, რომ იესოს სიკვდილთან ერთად მოწაფეთა უკანასკნელი იმედი გაქრა. ბევრი მის მიმდევართა შორის მისი ტანჯვისა და სიკვდილის მოწმე გახდა, მათი მწუხარების თასი პირამდე აღვსილიყო.

სატანა აღარ მხიარულობდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ხსნის გეგმას ჩაშლიდა; მაგრამ ამ გეგმას ძალიან მყარი საფუძვლები ჰქონდა. და ახლა სატანამ იცოდა, რომ იესოს სიკვდილის შედეგად, ბოლოს და ბოლოს ის მოკვდება, ხოლო სამეფო წაერთმევა და იესოს მიეცემა. სატანა თავის ანგელოზებთან თათბირობდა. მან ვერ დაამარცხა ღვთის ძე და ახლა ერთი-ორად მეტი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა ცბიერებითა და ენერგიულად შეუტიონ იესოს მიმდევრებს. მათ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ყველას, ვისთვისაც შესაძლებელია მათთვის იესოს მეშვეობით შეძენილი ხსნის მიღება. ამგვარად სატანას შეეძლო ღვთიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. ასევე მის ინტერესებს ემსახურება ისიც, რომ იესოს დააშოროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რადგან დასასრულს ქრისტეს სისხლით ყველა გამოსყიდულის და გამარჯვებულის ცოდვები ტვირთად დააწვება ცოდვის წამომწყებს – ეშმაკს და მან უნდა იტვირთოს მათი ცოდვები, მაშინ როცა ისინი, ვინც არ მიიღებენ ხსნას ქრისტეს მეშვეობით, თავად აგებენ პასუხს თავისი ცოდვებისათვის.

იესოს ცხოვრება მოკლებული იყო მიწიერ ფუფუნებასა და ბრწყინვალებას. მისი მოკრძალებული ცხოვრება ძლიერ კონტრასტული იყო მღვდლებისა და უხუცესების ცხოვრებასთან შედარებით, რომლებიც წუთისოფლის სიამტკბილობასა და პატივზე უარს არ ამბობდნენ; იესოს მკაცრი, წმინდა ცხოვრება მუდმივი საყვედური იყო მათთვის მათივე ცოდვებისათვის. მათ სძულდათ ქრისტე მისი მორჩილებისა და სიწმინდის გამო. მაგრამ მისი მოძულენი ერთხელაც იხილავენ მას ზეციურ ბრწყინვალებაში და მამის უზენაეს დიდებაში.

სასამართლოს დარბაზში იგი გარშემორტყმული იყო მის სისხლს მოწყურებული მტრებით; სწორედ ის სასტიკი ადამიანები, რომლებიც გაჰყვიროდნენ: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგისი სისხლი“, იხილავენ მას, როგორც დიდებულ მეფეს. ზეციური მხედრობა კი გაჰყვება მას გამარჯვების სიმღერებით: ძალა და დიდება მას, ვინც დაიკლა და აი, ცოცხალია – ძლევამოსილი, გამარჯვებული. უბადრუკი, სუსტი, საცოდავი ადამიანი აფურთხებდა სახეში დიდების მეფეს, ხოლო ამ დამცირებისა და განკიცხვის მომსწრე ბრბო მხეცური ყვირილით ზეიმობდა. უმოწყალოდ სცემდნენ, დაუსახიჩრეს სახე, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ზეცა. ისინი კვლავ იხილავენ ამ სახეს, გაბრწყინებულს შუადღის მზესავით და ეცდებიან, დაემალონ მას. მხიარული მხეცური ყვირილის ნაცვლად, სასოწარკვეთილნი თავბედს დაიწყევლიან და იგლოვებენ. იესო აჩვენებს ჯვარცმის ნაკვალევიან თავის ხელებს. ამ სისასტიკის კვალს მუდამ ატარებს იგი. ლურსმნებით მიყენებული თითოეული ნაიარევი ადამიანის საოცარი გამოსყიდვისა და იმ დიდი ფასის ამბავს მოჰყვება, რომლითაც იქნა იგი შეძენილი. ჯალათები, რომლებმაც სიცოცხლის უფალს ფერდი განუგმირეს, დაინახავენ შუბის ნაიარევს და მწარედ ატირდებიან იმის გამო, რომ დაასახიჩრეს მისი ტანი. მისი მკვლელები ძალიან გააღიზიანა წარწერამ: „იუდეველთა მეფე“, რომელიც მის თავს ზემოთ, ჯვარზე იყო მოთავსებული. მაგრამ მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან იხილონ იგი მთელი თავისი დიდებითა და მეფური ძალაუფლებით. ისინი დაინახავენ მის სამოსსა და ფერდზე სახელს „მეფეთ მეფე და უფალთ უფალი“, რომელიც თითქოსდა ცოცხალი ასოებით იქნება დაწერილი. ისინი დამცინავად უყვიროდნენ, როცა ჯვარზე იყო გაკრული: „ქრისტეს, ისრაელის მეფევ, ჩამოდი ჯვრიდან, რათა ვიხილოთ და ვირწმუნოთ“. მაშინ კი ისინი იხილავენ მას მეფური ძალითა და ხელმწიფებით შემოსილს. მაშინ ისინი არანაირ მტკიცებულებას არ მოითხოვენ იმის თაობაზე, რომ ისაა ისრაელის მეფე, მაგრამ მისი უჩვეულო დიდებულებით თავზარდაცემულები, იძულებული გახდებიან, აღიარონ: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“

მიწისძვრამ, რომელმაც კლდეები ჩამოანგრია, წყვდიადმა, რომელმაც დედამიწა დაფარა და იესოს ხმამაღალმა წამოძახილმა: „აღსრულდა!“, როდესაც მან საკუთარი სიცოცხლე გაწირა, მოსვენება დაუკარგა მის მტრებსა და თავზარი დასცა მის მკვლელებს. მოწაფეები გააოცა ამ უჩვეულო მოვლენებმა, მაგრამ ყველა მათი იმედი იმსხვრეოდა. მათ ეშინოდათ, რომ იუდეველნი მათაც გაანადგურებდნენ. ამგვარი სიძულვილი ღვთის ძისადმი, ფიქრობდნენ ისინი, ამით არ დასრულდება. მოწაფეები მწუხარებასა და მარტოობაში ატარებდნენ საათებს, გლოვობდნენ თავის იმედგაცრუებას. ისინი ელოდნენ, რომ იესოს უნდა ემართა ქვეყანა, როგორც საერო მეფეს, მაგრამ მათი იმედები იესოსთან ერთად მოკვდა. მწუხარენი და იმედგაცრუებულნი იმაზეც კი ფიქრობდნენ, ხომ არ ატყუებდა მათ იესო? დედამისიც დამცირებული იყო და მისი რწმენაც კი შეირყა, რომ ის იყო მესია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეებს იმედი გაუცრუვდათ იესოსთან დაკავშირებით, მაინც უყვარდათ იგი და მის ღირსეულად დამარხვაზე ფიქრობდნენ, თუმცა არ იცოდნენ, როგორ გაეკეთებინათ ეს. იოსებ არიმათიელმა, პატივდებულმა გავლენიანმა მრჩეველმა, რომელიც იესოს ერთ-ერთი ჭეშმარიტი მოწაფეც იყო, არაოფიციალურად, მაგრამ თამამი თხოვნით მიმართა პილატეს, რათა ჩამოეხსნა ჯვრიდან იესო. მან ვერ გაბედა ღიად მისულიყო, რადგან იუდეველთა სიძულვილი იმდენად დიდი იყო, რომ მოწაფეებს ეშინოდათ: ისინი ხელს შეუშლიდნენ იმას, რომ იესოს ცხედრისათვის საპატიო ადგილი მიეჩინათ. მაგრამ პილატემ იოსების თხოვნა დააკმაყოფილა და როდესაც მათ იესოს ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნეს, მათი მწუხარება გაახლდა და გლოვით დასტიროდნენ თავის აუსრულებელ ოცნებებს. მათ იესოს სხეული სუფთა ტილოში შეახვიეს და იოსებმა იგი თავის ახალ სამარხში დაასვენა. დედაკაცები, რომლებიც მორჩილად დაჰყვებოდნენ იესოს სიცოცხლეში, მის გვერდით დარჩნენ მისი სიკვდილის შემდეგ, ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ მხსნელის წმინდა სხეული სამარხში განისვენებს და შესასვლელი მძიმე ლოდით დახურეს, რათა მტრებმა მისი ცხედარი არ წაიღონ. მაგრამ უსაფუძვლო იყო მათი შიში, – მე ვიხილე ანგელოზთა გუნდი წარმოუდგენელი ინტერესით იცავდა იესოს განსასვენებელს. ისინი იცავდნენ სამარხს, მოუთმენლად ელოდნენ ბრძანებას სატუსაღოდან დიდების მეფის განთავისუფლების თაობაზე.

ქრისტეს მკვლელებს ეშინოდათ, რომ ის გაცოცხლდება და გაქრება. ისინი პილატეს სთხოვდნენ მეომრებს მესამე დღემდე სამარხის სადარაჯოდ. პილატემ მათ შეიარაღებული მეომრები მისცა; სამარხის შესასვლელში მიგორებული ლოდი დაბეჭდეს იმის შიშით, რომ მოწაფეები მოიპარავდნენ იესოს ცხედარს და მერე იტყოდნენ, რომ იგი მკვდრეთით აღდგა.

იხ. მათე 21:1-11; 27:32-66; მარკოზი 15:21-47; ლუკა 23:26-56;

თავი 10

ქრისტეს აღდგომა

მოწაფეები შაბათს ისვენებდნენ, გლოვობდნენ თავისი უფლის სიკვდილის გამო, იმ დროს როცა იესო, დიდების მეფე, სამარხში განისვენებდა. ღამე ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდებოდა; და თუმცა ჯერ კიდევ ბნელოდა, სამარხის თავზე მყოფმა ანგელოზებმა იცოდნენ, რომ უფლის საყვარელი ძის, მათი ძვირფასი მბრძანებლის გათავისუფლების ჟამი დგებოდა. იმ დროს, როცა ისინი დიდი მღელვარებით ელოდნენ მაცხოვრის ზეიმის ჟამს, ძლევამოსილი ანგელოზი სწრაფად დაეშვა ციდან. მისი იერი ელვის მსგავსი იყო, სამოსი – თოვლივით თეთრი. ის გზადაგზა ანათებდა წყვდიადს და აიძულებდა მოზეიმე ბოროტ ანგელოზებს, რომელთაც იესოს ცხედარზე თავისი პრეტენზია გააჩნდათ, თავზარდაცემული გაქცეოდნენ მის ბრწყინვალებასა და დიდებას. ერთი ანგელოზი ანგელოზთა გუნდიდან, რომელიც ქრისტეს დამცირების მოწმე იყო და მის წმინდა განსასვენებელს დარაჯობდა, შეუერთდა ციდან დაშვებულ ანგელოზს და ისინი ერთად მიუახლოვდნენ სამარხს. მიწა ზანზარებდა და ირხეოდა მათი სვლით, რასაც ძლიერი მიწისძვრა მოჰყვა. ძლევამოსილი ანგელოზი ჩაეჭიდა ლოდს, სწრაფად გადააგორა იგი კიბიდან და მასზე დაჯდა.

მცველები შიშმა მოიცვა. სად გაქრა მათი ძალა იესოს ცხედრის დასაცავად? ისინი აღარ ფიქრობდნენ არც თავის მოვალეობაზე, არც იმაზე, რომ მოწაფეებს შეეძლოთ იესოს ცხედარი გაეტაცებინათ. ისინი თავზარდაცემულნი და შეშინებულნი იყვნენ უჩვეულოდ დიდი ნათებისაგან, რომელსაც ანგელოზები ასხივებდნენ და მზეზე უფრო ანათებდნენ. რომაელმა მცველებმა დაინახეს ანგელოზები და მიწაზე მკვდრებივით დაეცნენ. ერთმა ანგელოზმა სიხარულით გადააგორა ლოდი და ძლიერი ხმით შესძახა: „ღვთის ძევ, შენი მამა გეძახის შენ! გამოდი!“ სიკვდილს აღარ ჰქონდა ძალაუფლება იესოზე. ის აღდგა მკვდრეთით. მეორე ანგელოზი სამარხში შევიდა და, როდესაც იესო ზეიმით აღდგა, მან მოხსნა მას სახვევი თავიდან. იესო გამოვიდა დიდებული და გამარჯვებული. წმინდა მოწიწებით ადევნებდა თვალს ზეციური მხედრობა ამ სცენას. როდესაც იესო თავისი დიდებულებით გამოვიდა სამარხიდან, ბრწყინვალე ანგელოზები მის წინ დაემხნენ და თაყვანი სცეს, გამარჯვებისა და ტრიუმფის სიმღერებით ესალმებოდნენ, რადგან სიკვდილი უკვე ვეღარ დააკავებდა თავის ღვთიურ ტყვეს. სატანა ახლა უკვე აღარ ზეიმობდა. მისი ანგელოზები გაექცნენ გამარჯვებული ანგელოზების მოელვარე გამჭოლ სინათლეს. ისინი მწარედ უჩიოდნენ თავის მბრძანებელს, რომ მათი ნადავლი ძალადობის გზით წაერთვათ და ის, ვინც მათ ასე სძულდათ, მკვდრეთით აღდგა.

სატანა და მისი ანგელოზები დატკბნენ იმ მომენტით, როცა მათმა ძალამ, რომელიც დაცემული ადამიანის მიმართ გამოიყენეს, სიცოცხლის უფალი სამარემდე მიიყვანა, მაგრამ მათი ჯოჯოხეთური ტრიუმფი ხანმოკლე აღმოჩნდა. რადგან, როდესაც იესო თავისი ბნელი სამარხიდან გამოვიდა უძლეველი და გამარჯვებული, სატანამ იცოდა: ის მალე უნდა მოკვდეს, ხოლო სამეფო გადაეცემა მას, ვისაც მასზე სრული უფლება ჰქონდა. ეშმაკი თავზარდაცემული და გაშმაგებული იყო, რადგან, მიუხედავად მისი ძალაუფლებისა და ყველა მცდელობისა, იესო კი არ დამარცხდა, არამედ გაკვალა გზა ადამიანის გადასარჩენად და ყოველ მსურველს შეუძლია იაროს ამ გზით და მიიღოს ხსნა.

მაგრამ დიდხანს როდი ჩანდა სატანა დამწუხრებული. იგი თავის ანგელოზებთან თათბირობდა იმაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მომავალში ღვთიური მმართველობის წინააღმდეგ. სატანამ თქვა: „უნდა იჩქაროთ მღვდელმთავრებთან და უხუცესებთან. ჩვენ შევძელით მათი მოტყუება, დავუბრმავეთ მათ თვალები და იესოს წინააღმდეგ გული გავუსასტიკეთ. ჩვენ ვაიძულეთ ისინი, ერწმუნათ, რომ იესო მატყუარაა. რომაელი მცველები მოიტანეს საზარელ ამბავს ქრისტეს აღდგომის შესახებ. ჩვენ წავაქეზეთ მღვდელმთავარნი და უხუცესნი, რათა მათ შეეძულებინათ იესო და მოეკლათ იგი. ახლა აუხსენით მათ, ვინაიდან ისინი მისი მცველები არიან, თუ ცნობილი გახდა, რომ იესო აღდგა, ხალხი ჩაქოლავს მათ, რადგან მათ მოკლეს უადანაშაულო ადამიანი“.

მე ვიხილე: მას შემდეგ, რაც ზეციური მხედრობა ცას დაუბრუნდა და დიდებულმა ნათელმა იქაურობა დატოვა, რომაელი მცველები წამოდგნენ, სურდათ დარწმუნებულიყვნენ,

რომ საფრთხემ ჩაიარა. ისინი გაოგნდნენ, როცა დაინახეს, რომ დიდი ლოდი სამარხის კარიდან გადაგორებული დახვდათ და იესო კი აღდგა. მეომრები მღვდელმთავრებისა და უხუცესებისაკენ გაეშურნენ, რათა მოეთხროთ ის საოცარი ისტორია იმის შესახებ, რაც იხილეს. მაგრამ როცა მღვდლებმა ეს ამბავი გაიგონეს, გაფითრდნენ და შეძრწუნდნენ მათ მიერ ჩადენილის გამო. ახლა მიხვდნენ: თუკი შეტყობინება მართალია, ისინი დაიღუპნენ. რამდენიმე ხანს გაოგნებული იყვნენ, უხმოდ უცქერდნენ ერთმანეთს და არ იცოდნენ, რა ექნათ ან რა ეთქვათ. ამ ამბის აღიარება საკუთარ თავზე მსჯავრის დატეხვის საფრთხეს ქმნიდა. გვერდზე გადგნენ, რათა თავისი მომავალი ქმედებების თაობაზე შეთანხმებულიყვნენ. მღვდელმთავრებმა გადაწყვიტეს: თუ გავრცელდება ამბავი იესოს აღდგომის შესახებ და თუ ხალხამდე მივა ეს ამბავი საოცარი დიდების შესახებ, რომელმაც გაოგნებული მცველები მიწაზე დასცა, უეჭველია, ადამიანები განრისხდებიან და მოკლავენ მათ. ამიტომ მათ გადაწყვიტეს მეომართა მოსყიდვა, რათა მათ ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახათ და ბევრი ფული შესთავაზეს, თან უთხრეს: „თქვით, მისი მოწაფეები მოვიდნენ ღამით და მოიპარეს იგი, როცა ჩვენ გვეძინა-თქო“. როდესაც დაცვამ იკითხა, რა მოუვათ იმის გამო, რომ ჩაეძინათ სადარაჯოზე, მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა უპასუხეს, რომ ისინი დაარწმუნებენ განმგებელს და გადაარჩენენ მათ. რომაელმა მცველებმა თავისი ღირსება ფულზე გაცვალეს და დაეთანხმნენ მღვდელმთავრებისა და უხუცესების რჩევას.

იმ დროს, როცა ჯვარზე გაკრულმა იესომ წამოიძახა: „აღსრულდა!“, კლდეები დასკდა, შეიძრა დედამიწა და ზოგიერთი სამარხი გაიხსნა. როდესაც იესომ დაამარცხა სიკვდილი და სამარე და მკვდრეთით აღდგა, როდესაც იგი გამოვიდა სამარიდან გამარჯვებული, ხოლო დედამიწა იძვროდა და ზეციური დიდება წმინდა ადგილს ანათებდა, ბევრი განსვენებული წმინდანი, მისი მოწოდებით, გამოვიდა თავისი სამარხებიდან როგორც მისი აღდგომის მოწმეები. ეს პატივდებული აღმდგარი წმინდანები განდიდებულნი გამოვიდნენ სამარხებიდან. ეს იყვნენ რჩეული წმინდანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ყოველ საუკუნეში სამყაროს შექმნიდან ქრისტეს დრომდე. ისინი ცოტანი იყვნენ იმ დროს, როცა მღვდელმთავრები და ფარისეველები ქრისტეს აღდგომის ფაქტის დამალვას ლამობდნენ, ღმერთმა ინება ამ ადამიანების გამოხმობა სამარხებიდან, რათა დაემოწმებინა ქრისტეს აღდგომის შესახებ და მისი დიდება გამოეცხადებინა.

აღმდგარნი სხვადასხვა სიმაღლისა და აღნაგობისა იყვნენ. მე ვიხილე, რომ დედამიწის მცხოვრებნი გადაგვარდნენ, დაკარგეს ძალა და მომხიბვლელობა. სატანას აქვს ძალაუფლება სნეულებებსა და სიკვდილზე; ყოველ საუკუნეში წყევლა სულ უფრო შესამჩნევი ხდება, ხოლო სატანის ძალაუფლება – აშკარა. აღმდგართა შორის ზოგიერთი სხვებზე უფრო კეთილშობილი იყო სახითა და აღნაგობით. მე მეთქვა, რომ ნოესა და აბრაამის დროს მცხოვრებნი უფრო ჰგავდნენ ანგელოზებს თავისი გარეგნობით, მომხიბვლელობითა და ძალით. მაგრამ ყოველი შემდეგი თაობა სულ უფრო სუსტი და სნეულებებისადმი უფრო მიდრეკილი ხდებოდა, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდებოდა. სატანა სწავლობდა, როგორ გაემწარებინა ადამიანები და დაესუსტებინა კაცთა მოდგმა.

მხსნელის აღდგომის შემდეგ სამარხებიდან გამოსული წმინდანები მრავალთ გამოეცხადნენ და ატყობინებდნენ, რომ ადამიანთა გამო მსხვერპლი გაღებულია და იუდეველთა მიერ ჯვარცმული იესო მკვდრეთით აღდგა; შემდეგ ამბობდნენ: „ჩვენ აღვსდექით მასთან ერთად“. ისინი მოწმობდნენ იმის შესახებ, რომ მისი ძლევამოსილების წყალობით იქნენ გამოხმობილნი თავისი სამარხებიდან. სიცრუის გავრცელების მიუხედავად, აღდგომის ფაქტის დაფარვა ვერ შეძლო სატანამ, მისმა ანგელოზებმა და მღვდელმთავრებმა, რადგან სამარხებიდან გამოსულ წმინდანთა ჯგუფმა საოცარი სასიხარულო ახალი ამბავი საქვეყნოდ გამოაცხადა. ასევე თვით იესო გამოეცხადა თავის დამწუხრებულ მოწაფეებს, გაფანტა მათი შიში და აჩუქა სიხარული.

რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა ეს ამბავი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, იუდეველნი მით უფრო შიშობდნენ თავისი სიცოცხლის საფრთხის გამო და მოწაფეებისადმი სიძულვილი ჩაიდეს გულში. მათი ერთადერთი იმედი თავისი ცრუ შეტყობინების გავრცელება იყო. და ისინი, ვისაც სურდა, რომ ეს სიცრუე სიმართლე აღმოჩენილიყო, სჯეროდათ მისი. პილატე თრთოდა. მან ირწმუნა ძლიერი მოწმობა, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და მასთან აღდგნენ მრავალნი, – და სამუდამოდ დაკარგა სიმშვიდე. მიწიერი დიდების გამო და ძალაუფლებისა და სიცოცხლის დაკარგვის შიშით, მან გადასცა იესო სასიკვდილოდ ჯალათებს. ახლა განმგებელი დარწმუნდა, რომ ბრალი მიუძღვის არა უბრალოდ უდანაშაულო ადამიანის სისხლის დაღვრაში, არამედ ღვთის ძის სიკვდილში.

უბადრუკი იყო პილატეს ცხოვრება, უბადრუკი იყო იგი სიკვდილამდე. მისი სასოწარკვეთილება და ტანჯვა ყველა მის იმედსა და სიხარულს ამსხვრევდა. მას ნუგეშისცემაც არ სურდა და დაბეჩავებული მოკვდა.

ჰეროდეს გული სულ უფრო მეტად სასტიკი ხდებოდა და როდესაც მან გაიგონა, რომ იესო აღდგა, დიდად არ შეწუხებულა. ჰეროდემ იაკობი სიცოცხლეს გამოასალმა; როცა დაინახა, რომ ეს იუდეველთ მოეწონათ, პეტრე შეიპყრო და მის მოკვლასაც ლამობდა. მაგრამ ღმერთს ჯერ კიდევ ჰქონდა სამუშაო პეტრესთვის, ამიტომ თავისი ანგელოზი გააგზავნა და მოციქული გაათავისუფლა. ჰეროდე შურისძიებამ იმსხვერპლა. ღმერთმა დაამარცხა იგი მრავალი ადამიანის წინაშე მდგომი, როდესაც იგი განადიდებდა საკუთარ თავს მათ წინაშე და ისიც საზარელი სიკვდილით გამოესალმა სიცოცხლეს.

დილაადრიან, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, წმინდა დედაკაცები მივიდნენ სამარხთან და მიიტანეს ნელსაცხებელი, რათა იესოს სხეულისათვის ეცხოთ. მაგრამ მათ იხილეს, რომ მძიმე ლოდი გადაგორებულია შესასვლელიდან და იესოს ცხედარი იქ აღარ არის. შეიძრა მათი გულები: შეშინდნენ, იფიქრეს, რომ მტრებმა ცხედარი წაიღეს. უცებ ორი, თეთრად შემოსილი ანგელოზი, გაბრწყინებული სახეებით დადგა მათ შორიახლოს. ანგელოზები მიხვდნენ, რა მიზეზით მოვიდნენ აქ დედაკაცები, როცა თქვეს, რომ იესოს ეძებენ, მაგრამ ის აქ არ არის; იგი აღდგა და მათ შეუძლიათ, შეხედონ იმ ადგილს, სადაც უფალი იწვა. ანგელოზებმა ასევე უბრძანეს დედაკაცებს, წასულიყვნენ და ემცნოთ მოწაფეთათვის, რომ მაცხოვარი მათ გალილეაში ელოდება. დედაკაცები შეშინებული და განცვიფრებული იყვნენ. ისინი საჩქაროდ გაეშურნენ მოწაფეებთან, რომლებიც გლოვობდნენ და ნუგეშს ვერ პოულობდნენ, რადგან ჯვარს ეცვა მათი უფალი. დედაკაცებმა სასწრაფოდ ამცნეს მათ ყოველივე, რაც იხილეს და გაიგონეს. მოწაფეები ვერ იჯერებდნენ, რომ იესო აღდგა, მაგრამ ამბის მომტან დედაკაცებთან ერთად გაიქცნენ სამარხთან და დაინახეს, რომ მართლაც არ იყო იქ იესო. სამარხში ეწყო მისი სახვევები, მაგრამ მოწაფეები ვერ იჯერებდნენ კეთილ უწყებას, იმის შესახებ, რომ იესო მკვდრეთით აღდგა. ისინი სახლში დაბრუნდნენ, ნანახითა და ქალების ნაამბობით გაოგნებულნი. ხოლო მარიამი შეყოვნდა სამარხთან იმაზე ჩაფიქრებული, რაც იხილა და ძლიერ დამწუხრებულიყო იმის გამო, რომ შეიძლება ის ცდება. მან იგრძნო, რომ ახალი გამოცდა ელოდა. მწუხარებამ კვლავ დარია ხელი და იგი მწარედ ატირდა. დაიხარა, რათა ერთხელ კიდევ მოევლო თვალი სამარხისათვის და ორი, თეთრებში შემოსილი ანგელოზი დაინახა. ნათელი და ბრწყინვალე იყო მათი სახეები. ერთი იმ ადგილის თავთან იჯდა, სადაც იესო იწვა, მეორე ფერხთით. ნაზად დაუწყეს ლაპარაკი ანგელოზებმა მარიამს და შეეკითხნენ, რატომ ტიროდა. დედაკაცმა თქვა: „ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დადეს“.

უკან მოიხედა მარიამმა და მის ახლოს მდგარი იესო დაინახა, მაგრამ ვერ იცნო. იესო თბილად დაელაპარაკა მას და მისი მწუხარების მიზეზით დაინტერესდა და ჰკითხა, ვის ეძებდა. მარიამმა გადაწყვიტა, რომ ეს მებაღე იყო და სთხოვა: თუ მან წაიღო მისი უფლის ცხედარი, უთხრას სად არის იგი, რათა მან შეძლოს მისი დაბრუნება. იესო დაელაპარაკა მას თავისი ზეციური ხმით და უთხრა: „მარიამ“. მისთვის ძალიან ნაცნობი იყო ამ ძვირფასი ხმის ინტონაცია და მან სწრაფად მიუგო: „რაბუნი!“ იგი, გახარებული და აღტაცებული, მზად იყო, გადახვეოდა მას; მაგრამ იესომ შეაჩერა და უთხრა: „არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წადი ჩემს ძმებთან და უთხარი: ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენ მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“. მარიამი გახარებული გაეშურა მოწაფეებთან. იესო კი სწრაფად ამაღლდა ზეცად თავის მამასთან, რადგან მის ბაგეთაგან გაეგონა, რომ მამა ღმერთმა მიიღო ძის მსხვერპლი, ძისა, რომელმაც ყოველივე სწორად აღასრულა და მიიღებს მთელს ძალაუფლებას თავის მამისაგან მთელს ზეცაში და დედამიწაზე.

ანგელოზები ღრუბლის სახით გარს შემოერტყნენ ღვთის ძეს, მარადიულ კარიბჭეს გახსნა უბრძანეს, რათა დიდების მეფეს შიგ შესვლა შეძლებოდა. მე ვიხილე: იმ დროს, როცა იესო ნათელ ზეციურ გუნდთან ერთად მამის გვერდით, ღვთიური დიდების გარემოცვაში იმყოფებოდა, არ დავიწყებია თავისი საწყალი მოწაფეები დედამიწაზე. მან მამისაგან მიიღო ძალა, რათა დაბრუნებოდა მათ და ეს ძალა მიეცა მათთვის. იმავე დღეს დაბრუნდა მხსნელი და ეჩვენა მოწაფეებს. ახლა მან ნება დართო მათ, შეხებოდნენ, რადგან მამასთან ავიდა და ძალა მიიღო.

ამ დროს თომა არ იმყოფებოდა იქ. მან არ ისურვა, მოწაფეთაგან უფლის აღდგომის ამბავი მორჩილად დაეჯერებინა, პირიქით, თვითდაჯერებითა და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ

არ დაიჯერებს, ვიდრე საკუთარ თითს მის ნალურსმევში არ ჩაყოფს და მის განგმირულ ფერდში – საკუთარ ხელს. ამით თომამ ძმებისადმი თავის უნდობლობა გამოავლინა. ყველას რომ ამგვარი მტკიცებულება მოეთხოვა, მხოლოდ ერთეულები მიიღებდნენ იესოს და ირწმუნებდნენ მის აღდგომას. მაგრამ ღვთის ნება იმაში მდგომარეობდა, რომ მოწაფეთა მოწმობანი გადასულიყო ერთიდან მეორეზე და მრავალთ მიეღოთ იგი მათ ბაგეთაგან, ვინც იხილა და მოისმინა. ღმერთი უკმაყოფილო იყო ასეთი ურწმუნოებით. როდესაც იესო კვლავ შეხვდა თავის მოწაფეებს, თომა მათთან ერთად იყო. დაინახა რა იესო, უმალ ირწმუნა. მაგრამ მანამდე ამ მოწაფემ განაცხადა, რომ არ ირწმუნებს, სანამ ნანახს ხელის შეხებით არ დაამტკიცებს და იესომაც მისცა მას ეს მტკიცებულება. თომამ წამოიძახა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ მაგრამ მხსნელმა უსაყვედურა ურწმუნოების გამო და უთხრა: „შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე, ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს“.

ამრიგად, მე ვიხილე, რომ პირველი და მეორე ანგელოზის უწყებაში გამოუცდელმა ადამიანებმა უნდა მიიღონ ეს უწყებები მათგან, ვისაც ამგვარი გამოცდილება გააჩნიათ და მიჰყვნენ მათ. მე ვიხილე: როგორც იესო იყო ჯვარცმული, ასევე ჯვარცმული იყო ეს უწყება. და როგორც მოწაფეები აცხადებდნენ, რომ ცის ქვეშ არ არის ხსნა არც ერთ სხვა, ხალხისათვის მიცემულ სახელში, ასევე ღვთის მსახურებმაც ერთგულად და უშიშრად უნდა გამოაცხადონ, რომ მათ, ვინც აღიარებს მესამე ანგელოზის უწყებასთან დაკავშირებული ჭეშმარიტებების მხოლოდ ნაწილს, სიხარულით უნდა აღიარონ პირველი, მეორე და მესამე უწყება, როგორც ღმერთმა უძღვნა მათ ისინი ან სულაც არ მიიღონ მონაწილეობა, არ ჰქონდეთ წილი ამ საქმეში.

მე ვიხილე, რომ იმ დროს, როცა წმინდა დედაკაცებს მოჰქონდათ ცნობა იესოს აღდგომის შესახებ, რომაელი მცველები ავრცელებდნენ მღვდელმთავართა და უხუცესთა მიერ შეთითხნილ სიცრუეს: ღამით, როცა რომაელ მცველებს ეძინათ, მოწაფეები მოვიდნენ და მოიტაცეს იესოს ცხედარი. სატანამ ჩაუდო მღვდელმთავრებს გულში ეს სიცრუე. და ხალხიც მზად იყო ამ სიტყვების მისაღებად. მაგრამ ღმერთმა იზრუნა ამაზე და ყველანაირ ეჭვზე მაღლა დააყენა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზედაც დამოკიდებულია ხსნა, ასე რომ მღვდლებსა და უხუცესებს არ შეეძლოთ მისი დამალვა. ქრისტეს აღდგომის გასაცხადებლად მკვდართაგან აღდგენილ იქნენ მოწმეები.

ორმოცი დღის განმავლობაში თავის მოწაფეებთან დარჩა ქრისტე, ახარებდა და ანუგეშებდა მათ გულებს, უფრო სრულად უხსნიდა მათ უფლის სამეფოს ჭეშმარიტებებს. მან დაავალა მათ, დაემოწმებინათ იმის შესახებ, რაც იხილეს და მოისმინეს მისი ტანჯვის, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ; რომ მან გაიღო მსხვერპლი ცოდვის სანაცვლოდ და ყველა მსურველს შეუძლია მასთან მისვლა და სიცოცხლის პოვნა. უფალმა არ დაუმალა და თანაგრძნობით უთხრა, რომ მათ ელით დევნა და გვემა, მაგრამ სატანჯველი შეუმსუბუქდებათ მათი გამოცდილებისა და იესოს ნათქვამი სიტყვების გახსენებით. მხსნელმა ხაზგასმით თქვა, რომ მან დაძლია ეშმაკის ცდუნებანი, გაიმარჯვა განსაცდელსა და ტანჯვაში და სატანას უკვე აღარ შეუძლია მის მიმართ თავისი ძალის გამოყენება, მაგრამ ახლა ის თავის ცდუნებებს და ძალას წარმართავს უშუალოდ მათზე და ყველაზე, ვინც მის სახელს ირწმუნებს. იესომ თქვა, რომ ისინი გაიმარჯვებენ, როგორც მან გაიმარჯვა. ქრისტემ თავის მოწაფეებს შესძინა სასწაულების მოხდენის ძალაუფლება და თქვა: თუმცა უწმიდურთ ექნებათ ძალაუფლება მათ სხეულზე, ზოგიერთ შემთხვევაში ის გამოაგზავნის თავის ანგელოზებს და დაიხსნის მათ; სიცოცხლე არ წაერთმევათ, ვიდრე თავის მისიას არ შეასრულებენ. ხოლო როდესაც მათი მოწმობა დასრულდება, მათი სიცოცხლე შეიძლება საჭირო გახდეს მათივე გაცხადებულ მოწმობათა დასამტკიცებლად. იესოს აღელვებული მიმდევარნი სიხარულით ისმენდნენ მის დარიგებას, ტკბებოდნენ მის წმინდა ბაგეთაგან წარმოთქმული ყოველი სიტყვით. ახლა მათ უკვე მტკიცედ იცოდნენ, რომ ის არის წუთისოფლის მხსნელი. ყოველი მისი სიტყვა მათ გულებში ღრმად აღიბეჭდებოდა, მაგრამ წუხდნენ, რომ უნდა დაშორდნენ თავის კურთხეულ ზეციერ მასწავლებელს და სულ მალე ვეღარ გაიგონებენ მის ბაგეთაგან წარმოთქმულ მანუგეშებელ კურთხეულ სიტყვებს. და მაინც კვლავ სიყვარულითა და უსაზღვრო სიხარულით გაუთბათ გულები, როდესაც იესომ თქვა, რომ წავა, მოამზადებს მათთვის სამყოფელს, კვლავ მოვა და წაიყვანს მათ, რათა მარად მასთან იყვნენ. მან თქვა, რომ გამოუგზავნის მათ ნუგეშისმცემელს, სულიწმიდას, რომელიც უხელმძღვანელებს, აკურთხებს და შეუძღვება მათ ყოველ ჭეშმარიტებაში. უფალმა ხელი აღმართა და აკურთხა მოწაფეები.

1. იხ. გამოცხადება 14:6-8. განმარტებანი ამ წიგნის 23-ე და 24-ე თავებში.
2. იხ. გამოცხადება 14:9-12. განმარტებანი ამ წიგნის 28-ე თავში. იხ. მათე 27:52-53; 28-ე თავი; მარკოზი 16:1-18; ლუკა 24:1-50; იოანე მე-20 თავი; საქმეები მე-12 თავი

თავი 11

ქრისტეს ამაღლება

მთელი ზეცა ელოდა იმ საზეიმო ჟამს, როდესაც იესო თავის მამასთან ამაღლდებოდა. ანგელოზები მოვიდნენ, რათა დიდების მეფე მიეღოთ და ზეიმით თან გაჰყოლოდნენ მას ზეცაში. იესომ აკურთხა თავისი მოწაფეები, გამოეყო მათ და ცად ამაღლდა. როდესაც იგი ზეცად ადიოდა, მას გაჰყვა იესოს აღდგომის ჟამს სამარხებიდან გათავისუფლებული, ხრწნისაგან აღმდგარი მრავალი ტყვე. მრავალრიცხოვანი ზეციური გუნდი მიჰყვებოდა თან ქრისტეს, ხოლო ზეცაში მის მისვლას ურიცხვი ანგელოზი ელოდებოდა. როდესაც ისინი წმინდა ქალაქს მიუახლოვდნენ, ქრისტეს თანმხლებმა ანგელოზებმა შესძახეს: „მაღლა ასწიეთ, კარიბჭეებო, თავები, აიწიეთ, მარადიულნო კარნო, რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა!“. ქალაქში მისი მოსვლის მომლოდინე ანგელოზებმა აღტაცებით შესძახეს: „ვინ არის ეს მეფე დიდებისა?“ თანმხლები ანგელოზები სიხარულით პასუხობენ: „უფალი – მტკიცე და ძლიერი, უფალი – ომში ძლევამოსილი. მაღლა ასწიეთ, კარიბჭეებო, თავები თქვენი, და აიწიეთ, კარნო მარადნო, რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა!“ და აღტაცებული ზეციური მხედრობა კვლავ წამოიძახებს: „ვინ არის მეფე დიდებისა?“ თანმხლები ანგელოზები მელოდიური ხმებით პასუხობენ: „უფალი ძალთა, ის არის მეფე დიდებისა“. ზეციური პროცესია ქალაქში შედის. მაშინ ცის ყველა ბინადარი გარს ეხვევა ღვთის ძეს, თავის ძლევამოსილ მბრძანებელს, ღრმა მოწიწებით თავს ხრის მის წინაშე და ფერხთით უწყობს თავის მბრწყინავ გვირგვინებს. შემდეგ შეეხნენ თავის ოქროს ქნარებს და ტკბილი, მელოდიური ბგერებით აივსო მთელი ზეცა, გაისმა საოცარი მუსიკა და გალობით ქება მიეძღვნა კრავს, რომელიც დაიკლა და აი, ცოცხალია და განდიდებული.

შემდეგ ვიხილე მოწაფეები, მწუხარებით რომ იცქირებოდნენ ზეცისკენ თავისი ამაღლებული მაცხოვრის კიდევ ერთხელ დანახვის იმედით. თეთრებში შემოსილი ორი ანგელოზი დაუდგათ მათ გვერდით და უთხრა მათ: „გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, რომელიც ამაღლდა თქვენგან ზეცად, კვლავ იმგვარადვე მოვა, როგორც ზეცად მიმავალი იხილეთ“. მოწაფეები იესოს დედასთან ერთად უფლის ძის ამაღლების თვითმხილველები იყვნენ და ის ღამე ამ მოკლე დროში მომხდარი საოცარი და უჩვეულო, დიდებული მოვლენების შესახებ ლაპარაკში გაატარეს.

სატანაც თათბირობდა თავის ანგელოზებთან და უფლის მმართველობისადმი მწარე სიძულვილით აღვსილმა უთხრა მათ, რომ სანამ ჯერ კიდევ ის ინარჩუნებს თავის ძალაუფლებას დედამიწაზე, იესოს მიმდევართა წინააღმდეგ მიმართული მათი ძალისხმევა უნდა გაათმაგდეს. მათ ვერ დაამარცხეს იესო, მაგრამ უნდა შეძლებისდაგვარად დაძლიონ მისი მიმდევრები და გააგრძელონ მუშაობა ყოველ თაობაში, რათა თავის ბადეში გახლართონ ისინი, ვინც იწამებს იესოს, მის აღდგომასა და ამაღლებას. სატანამ ამცნო თავის ანგელოზებს, რომ იესომ ძალაუფლება მიანიჭა თავის მოწაფეებს, განდევნონ ისინი, აუკრძალონ მათ, აგრეთვე განკურნონ ეშმაკის მიერ დაცემულნი. მაშინ წავიდნენ სატანის ანგელოზები, როგორც მბრდღვინავი ლომები და ეძებდნენ იესოს მიმდევართ გასანადგურებლად.

იხ. ფსალმუნები 23:7-10; საქმეები 1:1-11

თავი 12

ქრისტეს მოწაფეები

მოწაფეები დიდი ძალით ქადაგებდნენ ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის შესახებ. ისინი კურნავდნენ სნეულთ. ერთი, დაბადებიდან კოჭლი ადამიანიც კი დააყენეს ფეხზე. იგი მოციქულებთან ერთად შევიდა ტაძარში, ხტუნვითა და ღმერთის ქება-დიდებით დადიოდა მთელი ხალხის თვალწინ. ამბავი ამის შესახებ სწრაფად ვრცელდებოდა და

მრავალი უაღრესად გაკვირვებული და გაოგნებული ადამიანი იკრიბებოდა მოწაფეების ირგვლივ, რათა ეხილა ეს საოცარი განკურნება.

როდესაც იესო მოკვდა, მღვდელმთავრები ვარაუდობდნენ, რომ აღარანაირი სასწაული აღარ მოხდება ხალხში, რომ მღელვარება მალე ჩაცხრება და ხალხი კვლავ ადამიანთა ტრადიციებს მიუბრუნდება. მაგრამ აი, აქვე, მათ შორის მოწაფეები სასწაულებს ახდენდნენ და გაოცებული და გაკვირვებული ხალხიც დაჟინებით უმზერდა მათ. იესო ჯვარცმული იყო და ერის წინამძღოლები საგონებელში ჩავარდნენ: საიდან მიიღეს მოწაფეებმა ეს ძალა. როდესაც ქრისტე ცოცხალი იყო, ისინი თვლიდნენ, რომ ის აღავსებდა ძალით თავის მოწაფეებს; მაგრამ იესო მოკვდა და ისინი ელოდნენ, რომ სასწაულები შეწყდება. პეტრე მიხვდა მათი გაოცების მიზეზს და უთხრა: „ისრაელიანო კაცებო, რად გიკვირთ ეს? ან რატომ მოგვშტერებიხართ ასე, თითქოს ჩვენი საკუთარი ძალით და სიწმიდით დავაწყებინეთ მას სიარული? აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა, განადიდა თავისი მსახური იესო, რომელიც თქვენ გაეცით და უარყავით პილატეს წინაშე, როცა მან გადაწყვიტა მისი გათავისუფლება. თქვენ უარყავით წმიდა და მართალი და მოითხოვეთ, რომ კაცისმკვლელი ეწყალობებინა თქვენთვის. სიცოცხლის წინამძღვარი მოჰკალით, რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ“. პეტრემ ხაზი გაუსვა იმას, რომ სწორედ იესოსადმი რწმენამ უძღვნა სრულყოფილი განკურნება ხეიბარს.

მღვდელმთავართ და უხუცესთ არ შეეძლოთ ამ სიტყვების მშვიდად მოსმენა. მათ ხელი აღმართეს მოწაფეებზე და ისინი სატუსაღოში ჩაჰყარეს. მაგრამ ათასობით ადამიანმა, მოისმინა რა მოწაფეთა მხოლოდ ერთი ეს ქადაგება, მოიქცა და ირწმუნა ქრისტეს აღდგომა და ამაღლება. მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა მოსვენება დაკარგეს. მათ იესო მოკლეს იმის იმედით, რომ ადამიანთა გონებას კვლავ თავისაკენ მომართავდნენ; მაგრამ მათი საქმეები უფრო ცუდად წარიმართა, ვიდრე უწინ. მოწაფეები დაუფარავად ადანაშაულებდნენ მათ ღვთის ძის მკვლელობაში და ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, სად მიიყვანდა მათ ეს ყოველივე და როგორ შეხედავდა მათ ახლა ხალხი. მთავრები სიამოვნებით გაიმეტებდნენ სასიკვდილოდ მოწაფეებს, მაგრამ ვერ ბედავდნენ, რადგან ეშინოდათ, რომ ხალხი ქვებით ჩაქოლავდა მათ. მათ ბრძანეს მოწაფეების სინედრიონში მიყვანა. იქ ისინი იყვნენ, ვინც ასეთი გულმოდგინებით ითხოვდა მართლის სისხლის დაღვრას. მათ გაიგონეს, თუ შიშით, წყევლითა და ფიცით როგორ უარყო პეტრემ იესო, როცა მას ბრალი დადეს იმაში, რომ იგი იესოს ერთ-ერთი მოწაფე იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ პეტრეს იოლად დააშინებდნენ, მაგრამ ახლა ის მოქცეული იყო. ახლა პეტრეს იესოს განდიდების საშუალება მიეცა. ერთხელ მან უარყო იგი, ახლა კი შეეძლო თავისი ნაჩქარევი, შიშით გამოწვეული უარყოფის ლაქის ჩამორეცხვა და იმ სახელის, რომელიც უარყო, განდიდება. ახლა პეტრე უკვე აღარ იყო მშიშარა; წმინდა შთაგონებით, სულიწმიდის ძალით მან მამაცურად გამოაცხადა: „იესო ქრისტე ნაზარეველის სახელით, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით და რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით. ეს არის ქვა, რომელიც უკუაგდეთ თქვენ, მშენებლებმა, და ქვაკუთხედად იქცა. სხვაში არავისშია ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“.

ხალხი გააკვირვა პეტრესა და იოანეს გაბედულებამ. ისინი იგებდნენ, რომ ესენი იესოსთან იყვნენ, რადგან მათი კეთილშობილი, მამაცი ქცევა იესოს საქციელს ჰგავდა, როდესაც იგი თავის მკვლელთა პირისპირ იდგა. უფალმა სულ ერთი თანაგრძნობისა და მწუხარების მზერით უსაყვედურა პეტრეს მისი უარყოფის გამო. და ახლა, როცა პეტრემ თამამად აღიარა თავის უფალი, მან მიიღო მხარდაჭერა და კურთხევა. ქრისტესაგან მხარდაჭერის ნიშნად ის სულიწმიდით აღივსო.

მღვდელმსახურებმა ვერ გაბედეს ღიად გამოევლინათ სიძულვილი მოწაფეების მიმართ. მათ უბრძანეს მოწაფეებს, გამოსულიყვნენ სინედრიონიდან და ერთმანეთთან თათბირობდნენ. ამბობდნენ: „რა ვუყოთ ამ ადამიანებს? მათ მიერ რომ მოხდა ეს ცხადი სასწაული, ცნობილია იერუსალიმის ყოველი მკვიდრისთვის და ამის უარყოფა არ შეგვიძლია“. მათ ეშინოდათ, რომ ამბავი ამ კეთილი საქმის შესახებ უფრო გავრცელდებოდა. ამ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ ძალაუფლებას და მათ აღიარებენ იესოს მკვლელებად. ყველაფერი, რაც მათ გაბედეს, – დაემუქრნენ მათ და უბრძანეს, სიკვდილის შიშით აღარ ელაპარაკათ იესოს სახელის შესახებ. მაგრამ პეტრემ გაბედულად განაცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ არ ილაპარაკონ იმაზე, რაც თავად იხილეს და გაიგონეს.

იესოს ძალით მოწაფეები კვლავაც კურნავდნენ სნეულთ და ტანჯულთ, რომლებიც მათთან მოჰყავდათ. მღვდელმთავრები, უხუცესები და ყველა მათთან მყოფი მღელვარებამ

მოიცვა. ასობით ადამიანი ყოველდღიურად დგებოდა ჯვარცმული, აღმდგარი და ამაღლებული მხსნელის დროშის ქვეშ. მთავრებმა მოციქულები სატუსაღოებში ჩაყარეს, იმედოვნებდნენ რა, რომ მღელვარება ჩაცხრებოდა. სატანა ზეიმობდა, გაიხარეს ბოროტმა ანგელოზებმა; მაგრამ ღვთის ანგელოზები გაიგზავნა სატუსაღოს კარის გასაღებად. მათ უბრძანეს მოციქულთ, შესულიყვნენ ტაძარში და, მღვდელმთავართა და უხუცესთა ბრძანების საწინააღმდეგოდ, ემცნოთ სიცოცხლის ეს სიტყვები. დილით კვლავ შეიკრიბა სინედრიონი და ტყვეთა მოყვანა ბრძანა. მსახურებმა გახსნეს სატუსაღოს კარი, მაგრამ მოწაფეები იქ არ აღმოჩნდნენ. მღვდელმთავრებთან და უხუცესებთან დაბრუნებულებმა მოახსენეს: „სატუსაღო საგულდაგულოდ დაკეტილი დაგვხვდა და მცველები კარებთან იდგნენ. რომ გავაღეთ, შიგ ვერავინ ვნახეთ“. „მივიდა ვიღაც და მოახსენა მათ: „აგერ ის კაცები, თქვენ რომ საპყრობილეში ჩაამწყვდიეთ, ტაძარში დგანან და ასწავლიან ხალხს.“ მაშინ წავიდა უფროსი მხლებლებთან ერთად და მოიყვანა ისინი დაუძალებლად, რადგან ხალხისა ეშინოდათ, არ ჩაგვქოლონო. მოიყვანეს და დააყენეს სინედრიონის წინაშე, და ჰკითხა მათ მღვდელმთავარმა და უთხრა: „ხომ აგიკრძალეთ, არ გესწავლებინათ ამ სახელით. და, აჰა, თქვენი მოძღვრებით აავსეთ იერუსალიმი და გინდათ, იმ კაცის სისხლმა გვიწიოს ჩვენ“.

მღვდელმთავარნი და უხუცესნი პირფერნი იყვნენ და ადამინათა ქება-დიდება უფრო უყვარდათ, ვიდრე ღმერთი. მათი გულები იმდენად გასასტიკდა, რომ მოციქულთა ყველაზე დიდ საქმეებსაც კი ისინი მძვინვარებამდე მიჰყავდა. მათ იცოდნენ: თუკი მოწაფეები იესოს, მისი ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების შესახებ იქადაგებენ, ეს მხოლოდ გააღრმავებს მათ დანაშაულს და ისინი იესოს მკვლელებად გამოცხადდებიან. ახლა აღარ იყვნენ მზად ისევე ხალისით მიეღოთ საკუთარ თავზე იესოს სისხლი, როგორც მაშინ, როცა ისტერიულად ყვიროდნენ: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“.

მოციქულებმა უშიშრად განაცხადეს, რომ უნდა დაემორჩილონ უფრო ღმერთს, ვიდრე კაცს. პეტრემ თქვა: „ჩვენი მამების ღმერთმა აღადგინა იესო, რომელიც თქვენ მოჰკალით ძელზე ჩამოკიდებით. იგი ღმერთმა წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება. და ჩვენ მოწმენი ვართ ამ სიტყვებისა, ჩვენ და სულიწმიდა, რომელიც ღმერთმა მისცა თავის მორჩილთ“. მაშინ განრისხდნენ მკვლელები. მათ სურდათ, კვლავ გაესვარათ ხელები სისხლით, მხოლოდ ამჟამად – მოციქულებისა. ისინი გეგმავდნენ, როგორ გაეკეთებინათ ეს, მაგრამ უფლის ანგელოზი გაიგზავნა გამალიელთან, რათა ზემოქმედება მოეხდინა მის გულზე და მისი მეშვეობით მღვდელმთავრთა და მმართველთათვის გარკვეული რჩევა მიეცა. გამალიელმა თქვა: „დაანებეთ თავი ამ ადამიანებს და გაუშვით ისინი, რადგან, თუ ადმიანისაგან არის ეს ზრახვა ან საქმე, ჩაიფუშება. ხოლო თუ ღვთისაგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და, ვაითუ, ღვთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ“. ბოროტი ანგელოზები აგულიანებდნენ მღვდლებსა და უხუცესებს, მოეკლათ მოციქულნი, მაგრამ ღმერთმა თავისი ანგელოზი გააგზავნა, რათა მკვლელობა თავიდან აეცილებინა მათსავე რიგებში მოწაფეთა დასაცავად წარმოთქმული სიტყვების გზით.

მოციქულთა საქმე ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ისინი მეფის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ, რათა დაემოწმებინათ მაცხოვრის სხეულის და იმის შესახებ, რაც იხილეს და მოისმინეს. მაგრამ ვიდრე მღვდელმთავრები და უხუცესები მოწაფეებს გაუშვებდნენ, მათ სცემეს და უბრძანეს, არ ელაპარაკათ ამიერიდან იესოს სახელის შესახებ. მოციქულები წამოვიდნენ სინედრიონიდან ღმერთის ქებით იმის გამო, რომ მისი ძვირფასი სახელის გამო განსაცდელში ჩავარდნის ღირსნი გახდნენ. ისინი აგრძელებდნენ თავის მისიას, ქადაგებდნენ ტაძარში და ყოველ სახლში, სადაც კი იწვევდნენ, ღვთის სიტყვა იზრდებოდა და მრავლდებოდა. სატანამ უბიძგა მღვდელმსახურებსა და უხუცესებს რომაელი მცველების მოსყიდვისაკენ, რათა მათ ცრუ ხმები გაევრცელებინათ იმის შესახებ, რომ მოწაფეებმა იესოს ცხედარი გაიტაცეს, როცა მათ ეძინათ. ამ სიცრუის დახმარებით ისინი იმედოვნებდნენ, დაეფარათ ფაქტები, მაგრამ აი, ყველგან ქრისტეს აღდგომის აშკარა მტკიცებულებები არსებობდა. მოწაფეები მამაცურად ამცნობდნენ ყველას ამ ამბავს, მოწმობდნენ იმის შესახებ, რაც იხილეს და მოისმინეს და იესოს სახელით ახდენდნენ დიდ სასწაულებს. მათ გაბედულად დააკისრეს ქრისტეს სისხლის დაღვრაზე პასუხისმგებლობა მათ, ვინც აიღო ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, როდესაც ნება მიეცათ ღვთის ძე თავის ხელში ჩაეგდოთ.

მე ვიხილე, რომ ღვთის ანგელოზებს განსაკუთრებული დავალება მიეცათ – დაეცვათ წმინდა, მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი, რომლებიც ღუზასავით დაიცავდნენ ქრისტეს მოწაფეებს ყველა თაობებში.

სულიწმიდამ განსაკუთრებული სახით დაივანა მოციქულებში – იესოს ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების მოწმეებში. სწორედ ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი უნდა გამხდარიყო ისრაელის იმედი. წუთისოფლის მხსნელისათვის ყველას ისე უნდა ეცქირა, როგორც ერთადერთი იმედისათვის და იმ გზით ევლო, რომელიც იესომ საკუთარი სიცოცხლის ფასად გაკვალა; ყველას უნდა დაეცვა ღვთის კანონები და ეცოცხლა. მე ვიხილე, რომ იესოს სიბრძნე და სიკეთე გამოვლინდა იმაში, რომ მან აღჭურვა მოწაფეები ძალით იგივე საქმის გასაგრძელებლად, რომლისათვისაც იუდეველთ სძულდათ და მოკლეს იგი. მათ მიეცათ ძალაუფლება სატანის საქმეებზე. ისინი ახდენდნენ სასწაულებს იესოს სახელით, რომელიც შეიძულეს და მოკლეს უწმინდურთა ხელებით. იესოს სიკვდილისა და აღდგომის ჟამი სინათლისა და დიდების შარავანდედით არის შემოსილი და უკვდავყოფს წმინდა ფაქტებს იმის შესახებ, რომ ის არის წუთისოფლის მაცხოვარი.

იხ. საქმეები 3-5 თავები

თავი 13

სტეფანეს სიკვდილი

იერუსალიმში მოწაფეთა რიცხვი ძლიერ გაიზარდა. უფლის სიტყვა ვრცელდებოდა და მღვდელთაგან ბევრი დამორჩილდა რწმენას. რწმენით აღვსილი სტეფანე დიდ სასწაულებს ახდენდა ხალხში. ბევრი უკმაყოფილო იყო, ვინაიდან მღვდლები ზურგს აქცევდნენ რა თავის ტრადიციებს, მსხვერპლსა და შესაწირავს, იესოს აღიარებდნენ როგორც უდიდეს მსხვერპლს. ზეციური ძალით შემოსილი სტეფანე მღვდლებსა და უხუცესებს კიცხავდა და მათ წინაშე ქრისტეს განადიდებდა. ისინი წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მისი ქადაგების სიბრძნესა და ძალას. როდესაც მიხვდნენ, რომ ვერ აჯობებდნენ, ხალხის წინამძღოლებმა დაიქირავეს ცრუ მოწმეები, რომლებმაც დაიფიცეს, რომ სტეფანესაგან გაიგონეს მოსესა და ღმერთის მგმობელი სიტყვები. მათ ააღელვეს ხალხი, შეიპყრეს სტეფანე და ცრუმოწმეების დახმარებით ბრალი დასდეს მას ტაძრისა და რჯულის გმობაში. ცრუ მოწმეებმა განაცხადეს, რომ გაიგეს, როგორ ამბობდა, თითქოს იესო ნაზარეველი მოსეს მოცემულ წესებს შეცვლის.

ყველანი, ვინც სასამართლოში სტეფანეს პირისპირ ისხდნენ, ხედავდნენ ღვთის დიდების ნათელს მის სახეზე. ის ანათებდა ანგელოზის სახის მსგავსად; ის იდგა, რწმენითა და სულიწმიდით აღვსილი. თავისი სიტყვა ერთგულმა მოწაფემ, დაიწყო რა თხრობა წინასწარმეტყველთა შესახებ, დაასრულა იესოს მოსვლით, ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით და ყველას უჩვენა, რომ უფალი ხელთქმნილ ტაძრებში არ მკვიდრობს. იუდეველნი პატივს მიაგებდნენ ტაძარს. ტაძრის გმობამ ისინი უფრო მეტად აღაშფოთა, ვიდრე ღმერთის გმობამ. სტეფანეს სული ზეციურმა მღელვარებამ მოიცვა, როცა მან ისინი გამოაცხადა ქედფიცხელ, გულით წინადაუცვეთელ ადამიანებად. „თქვენ ყოველთვის ეწინააღმდეგებით სულიწმიდას“ – თქვა მან. გარეგნულად ისინი ასრულებდნენ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ მათი გულები იყო გარყვნილი და მომაკვდინებელი ბოროტებით სავსე. სტეფანემ შეახსენა მათ მათი მამების სისასტიკე, როცა ისინი წინასწარმეტყველთ დევნიდნენ და უთხრა: „მათ დახოცეს წინასწარმაუწყებელნი მართლის მოსვლისა, ვისი გამცემები და მკვლელებიც ახლა თქვენ გახდით“.

ამ მარტივი, მკაფიოდ ნათქვამი ჭეშმარიტებების მოსმენამ უკიდურესად აღაშფოთა მღვდელმთავარნი და მმართველნი და ისინი მისკენ გაემართნენ. მასზე ზეციური ნათელი განფენილიყო; როდესაც ის დააცქერდა ზეცას, მას მიეცა უფლის დიდების ხილვა და ანგელოზები დაფრენდნენ მის გარშემო. მან წამოიძახა: „აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას და კაცის ძეს, ღვთის მარჯვნივ მდგარს“. ხალხს მისი მოსმენა არ სურდა. მათ ხმამაღლა დაიყვირეს, ყურები დაიცეს და ერთიანად მისკენ გაიწიეს. შეკრებილებმა გაიყვანეს სტეფანე ქალაქიდან და ქვებით ჩაქოლეს. სტეფანემ მუხლი მოიყარა და ხმამაღლა შეჰღაღადა: „უფალო, ნუ ჩაუთვლი მათ ამას ცოდვად“.

მე ვიხილე, რომ სტეფანე ღმერთის კაცი იყო, ძლიერი, მოწოდებული ეკლესიაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებისათვის. უხაროდა სატანას, როდესაც ქვებით სასიკვდილოდ ჩაქოლეს ეს დიაკვანი, რადგან იცოდა, რომ მოწაფეებისათვის ეს დიდი დანაკარგი იყო. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა სატანის მხიარულება, რადგან სტეფანეს სიკვდილის მოწმე ხალხს შორის იდგა ერთი კაცი, რომელსაც უნდა გამოცხადებოდა

ქრისტე. თუმცა იგი არ მონაწილეობდა სტეფანეს ჩაქოლვაში, მხარს მაინც უჭერდა ამ მკვლელებს. სავლე გულმოდგინებით დევნიდა ღვთის ეკლესიას, ნადირობდა მორწმუნეებზე, იჭერდა მათ სახლებში და გადასცემდა ჯალათებს. სატანა წარმატებულად იყენებდა სავლეს. მაგრამ ღმერთს შეუძლია ეშმაკის ძალაუფლების დამსხვრევა და მისი ტყვეების გათავისუფლება. სავლე განსწავლული კაცი იყო და სატანას განსაკუთრებით უხაროდა, რომ მის ნიჭსა და უნარს ღვთის ძისა და მისი მორწმუნეების წინააღმდეგ ამბოხების განხორციელებისათვის იყენებდა. მაგრამ იესომ წინასწარ განკუთვნა სავლე რჩეულ ჭურჭლად, რათა ექადაგა მისი სახელი, განემტკიცებინა მოწაფეები მათ საქმიანობაში და დაეკავებინა სტეფანეს ადგილი. იუდეველნი ძლიერ აფასებდნენ სავლეს. მისი გულმოდგინებითა და განსწავლულობით თავს იწონებდნენ, ეს კი აშინებდა ბევრ მოწაფეს.

იხ. საქმეები 6-7 თავები

თავი 14

სავლეს მოქცევა

როდესაც სავლე დამასკოსკენ მიდიოდა წერილებით, რომლებიც მას ანიჭებდა იესოს მქადაგებელ კაცთა და ქალთა შეპყრობის უფლებას, რომლებიც შებორკილი იერუსალიმში უნდა ჩაეყვანა, ბოროტი ანგელოზები მხიარულობდნენ მის ირგვლივ. მაგრამ გზაში მყოფს უეცრად ციდან ნათელი მოეფინა, რამაც გააქცია ბოროტი ანგელოზები, ხოლო სავლე კი ძირს დასცა. მან გაიგონა ხმა: „სავლე, სავლე, რად მდევნი მე?“ სავლემ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ უფალმა უპასუხა: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. გაგიჭირდება დეზის წიხლვა“. გაოცებულმა სავლემ ჰკითხა: „რა გსურს უფალო, რომ გავაკეთო?“ იესომ უპასუხა: „ადექი და შედი ქალაქში და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო“.

კაცები კი, რომლებიც თან ახლდნენ მას, დამუნჯებულები იდგნენ, ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ. როდესაც ნათელი გაქრა, სავლე მიწიდან წამოდგა, თვალები გაახილა, მაგრამ ვერავინ ვერ დაინახა. ზეციური დიდების ნათელმა დააბრმავა იგი. ხელი მოჰკიდეს მას და შეიყვანეს დამასკოში, სადაც სამი დღე ვერ ხედავდა, არც ჭამდა და არც სვამდა. ამ დროს უფალმა თავისი ანგელოზი ერთ-ერთ იმათგანს, ვისი დატყვევებაც ჰქონდა განზრახული სავლეს, გაუგზავნა და ხილვაში განუცხადა, რომ ის უნდა წავიდეს ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია პირდაპირი და იუდას სახლში იკითხოს ვინმე ტარსუსელი სავლე; „აჰა, ლოცულობს იგი. და იხილა ჩვენებაში კაცი, სახელად ანანია, რომელიც მივიდა და ხელები დაადო მას, რათა თვალი აეხილა“.

ანანია შიშობდა, რომ ეს ბრძანება რაღაც შეცდომას მოიცავდა, ამიტომ უფალს დაუწყო ყოველივეს მოყოლა, რაც სავლეზე გაეგონა. მაგრამ უფალმა უთხრა მას: „წადი, რადგან ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი, რათა მიიტანოს ჩემი სახელი წარმართთა, მეფეთა და ისრაელიანთა წინაშე. მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელისთვის“. წავიდა ანანია და შევიდა იმ სახლში, დაადო მას ხელები და უთხრა: „ძმაო სავლე, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით“.

იმავ წამს თვალები აეხილა სავლეს, ადგა და მოინათლა. მან დაიწყო ქადაგება სინაგოგებში იესოს შესახებ, რომ ის არის ძე ღვთისა. ყველა მისი მსმენელი გაოგნებული იყო და კითხულობდა: „ნუთუ ეს ის არის, იერუსალიმში რომ სპობდა ამ სახელის მხმობელთ და აქაც ხომ იმისათვის მოვიდა, რომ შებორკილნი წაეყვანა ისინი მღვდელმთავრებთან?“ სავლე კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და განაცვიფრებდა იუდეველებს. ისინი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სულიწმიდის ძალით სავლე ყვებოდა თავისი გამოცდილებების შესახებ. ყველასათვის ცნობილი იყო, როგორ ეწინააღმდეგებოდა იესოს, თუ რა გულმოდგინებით ეძებდა და სასიკვდილოდ გადასცემდა იგი მისი სახელის მხმობელთ. მდევნელის ზებუნებრივმა მოქცევამ მრავალი დაარწმუნა, რომ იესო ღვთის ძეა. სავლე თავის გამოცდილებაზე ჰყვებოდა, რომ სიკვდილამდე დევნიდა, ბოჭავდა და სატუსაღოებში აგდებდა კაცებს და ქალებს. როდესაც დამასკოს გზას ადგა, ზეციდან დაშვებულმა ძლიერმა ნათელმა უეცრად გაანათა, იესო გამოეცხადა და უთხრა, რომ ისაა ძე ღვთისა. სავლე უშიშრად ქადაგებდა იესოს შესახებ და უდიდესი გავლენა ჰქონდა ადამიანებზე. მან იცოდა წერილები და მისი მოქცევის შემდგომ ღვთიური ნათელი

მოეფინა წინასწარმეტყველებას იესოს შესახებ, რამაც მას საშუალება მისცა, მედგრად და გასაგებად წარმოეჩინა ჭეშმარიტება და შეესწორებინა წმინდა წერილებიდან ნებისმიერი გადახვევა. სულიწმიდის ძალის მეშვეობით იგი გასაგებად და დამაჯერებლად, თანმიმდევრულად უხსნიდა თავის მსმენელებს ყველა წინასწარმეტყველებას ქრისტეს პირველი მოსვლის ჟამამდე, უჩვენებდა მათ, რომ წმინდა წერილი, რომელიც მიუთითებდა ქრისტეს ტანჯვას, სიკვდილსა და აღდგომას, აღსრულდა.

.

იხ. საქმეები მე-9 თავი

თავი 15

იუდეველნი პავლეს მოკვლას გადაწყვეტენ

როდესაც იხილეს, როგორი ზეგავლენა მოახდინა ხალხზე პავლეს მიერ მოყოლილმა გამოცდილებებმა, მღვდელმთავრები და მმართველები სიძულვილით აღივსნენ მის მიმართ. ისინი ხედავდნენ, თუ რა გაბედულად ქადაგებდა იესოს შესახებ, როგორ ახდენდა სასწაულებს მისი სახელით და რარიგ ყურადღებით უსმენდა მას ხალხი, ტოვებდა თავის ტრადიციებს და ერის წინამძღოლთ ღვთის ძის მკვლელებს უწოდებდა; მათი რისხვა სულ უფრო ძლიერდებოდა და შეიკრიბნენ სათათბიროდ, რათა გადაეწყვიტათ, რა ეღონათ, რომ ეს მღელვარება ჩაეცხროთ. ყველა ერთ აზრზე შეთანხმდა, რომ საკუთარი უსაფრთხოებისათვის ერთადერთი ხერხი არსებობს – პავლეს მოკვლა. ღმერთმა იცოდა მათი ზრახვანი, ამიტომ ანგელოზებს დაევალათ მისი სიცოცხლის დაცვა, რათა მას თავისი მისია აღესრულებინა და იესოს სახელისთვის ვნებულიყო.

პავლეს აცნობეს, რომ იუდეველებს მისი მოკვლა სურთ. სატანამ ურწმუნო იუდეველთ უბიძგა დღითა და ღამით დამასკოს ჭიშკართან ედარაჯათ, რათა, როცა პავლე გაივლის ჭიშკარში, მოეკლათ იგი. მაგრამ მოწაფეებმა იგი ღამით გოდრით ჩაუშვეს ქალაქის კედელზე. იუდეველთ შერცხვათ თავისი წარუმატებლობის გამო და სატანის ზრახვაც ჩაიშალა. პავლე იერუსალიმში წავიდა, რომ იქ მოწაფეებს შეერთებოდა, მაგრამ ყველას ეშინოდა მისი. ისინი ვერ იჯერებდნენ, რომ ის მოწაფე იყო. იუდეველები თავს ესხმოდნენ დამასკოში პავლეს, ხოლო მისი ძმები კი არ იღებდნენ. მაგრამ ბარნაბამ მიიყვანა პავლე მოციქულებთან და მოუთხრო მათ, როგორ იხილა მან უფალი გზაზე და რა გაბედულად ქადაგებდა დამასკოში იესოს სახელით.

მაგრამ სატანა აქეზებდა იუდეველთ, გაენადგურებინათ პავლე, ამიტომ იესომ უბრძანა პავლეს, დაეტოვებინა იერუსალიმი. როდესაც ის სხვა ქალაქებს სტუმრობდა და სასწაულებს ახდენდა, მრავალი მოიქცა. ერთხელ დაბადებიდან კოჭლი განკურნა და წარმართნი, კერპთაყვანისმცემელნი, მზად იყვნენ მოწაფეებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. პავლე მწუხარებამ მოიცვა და თქვა, რომ ისინი მხოლოდ ადამიანები არიან, თაყვანი კი ღმერთს უნდა სცენ, ვინც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყოველივე, რაც მათშია. პავლე მათ წინაშე ღმერთს განადიდებდა, მაგრამ ძლივს შეძლო ხალხის შეჩერება. მათ გონებაში ჯერ კიდევ პირველი ცნებები ყალიბდებოდა ჭეშმარიტი ღმერთისადმი რწმენის, მისადმი თაყვანისცემისა და პატივისცემის შესახებ. იმ დროს, როცა წარმართნი უსმენდნენ პავლეს, სატანამ წააქეზა ურწმუნო იუდეველნი სხვა ქალაქებიდან, ადევნებოდნენ მოციქულს, რათა გაენადგურებინათ მისი კეთილი საქმე. ცრუ ხმების გავრცელებით აღაგზნეს იუდეველებმა ეს კერპთაყვანისმცემლები და აღანთეს მათი გულები პავლეს წინააღმდეგ. ახლა ადამიანთა გაოცება და აღტაცება სიძულვილით შეიცვალა და ისინი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მზად იყვნენ, თაყვანი ეცათ მოწაფეებისათვის, ახლა პავლე ქვებით ჩაქოლეს და ქალაქიდან გაათრიეს, თვლიდნენ რა, რომ იგი მკვდარია. მაგრამ, როდესაც მოწაფეები პავლეს ადგნენ თავს და გლოვობდნენ მას, მათდა სასიხარულოდ, იგი წამოდგა და მათთან ერთად ქალაქში წავიდა.

როდესაც პავლე იესოს შესახებ ქადაგებდა, ერთი მხევალი ქალი, პითონის სულით შეპყრობილი, აედევნა მოწაფეებს და თან ყვიროდა: „ეს კაცები უზენაესი ღვთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ თქვენი ხსნის გზასო“. ასე დასდევდა იგი მოწაფეებს მრავალი დღის განმავლობაში. შეწუხდა პავლე; მისი ყვირილით ადამიანებს ჭეშმარიტებიდან მასზე გადაჰქონდათ ყურადღება. სატანას თავისი მიზანი ჰქონდა, როცა აიძულებდა მას, ასე

ემოქმედა, – ადამიანებში სიძულვილის გამოწვევა და მოწაფეთა გავლენის აღმოფხვრა. აღშფოთებული პავლე მიუბრუნდა ქალს და უთხრა სულს: „იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, გამოხვიდე მაგისგან“, – და ბოროტი სული განიდევნა და დატოვა იგი.

მისანი ქალის ბატონებს მოსწონდათ, რომ იგი ყვიროდა მოწაფეების კვალდაკვალ; როცა ბოროტმა სულმა დატოვა იგი და მათ დაინახეს მასში ქრისტეს მორჩილი მიმდევარი, განრისხდნენ. მისი მისნობის წყალობით მათ კარგი შემოსავალი ჰქონდათ, ახლა კი შემოსავლის იმედი გაუქრათ. სატანამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მისმა მსახურებმა შეიპყრეს პავლე და სილა და მიიყვანეს მოედანზე მთავრებთან და ქალაქის მმართველებთან სიტყვებით: „ეს კაცები აშფოთებენ ჩვენს ქალაქს“. ხალხი აღდგა მათ წინააღმდეგ, მთავრებმა სამოსი შემოახიეს მოციქულებს და ბრძანეს, ეცემათ ისინი. როდესაც საკმარისად სცემეს, საპურობილეში ჩაყარეს და საპყრობილის ზედამხედველს უბრძანეს, ფხიზლად ედარაჯა მათთვის. ასეთი ბრძანების თანახმად მან შეყარა ისინი შიდა საპყრობილეში და ფეხებზე ხუნდები დაადო. მათი დატუსაღება ემსახურებოდა ღვთის განდიდებას, რადგან ხალხს უჩვენებდა: უფალი თავისი რჩეული მსახურების გვერდითაა, ეხმარება მათ საქმეებში, მას შეუძლია შეაზანზაროს საპყრობილის კედლები და იოლად გააღოს რკინის მაგარი ურდულები.

შუაღამისას, როცა პავლე და სილა ლოცულობდნენ და უგალობდნენ ღმერთს, უცბად ისეთი დიდი მიწისძვრა მოხდა, რომ შეირყა საპყრობილის საძირკველი. მე ვიხილე, რომ იმწამსვე ღვთის ანგელოზმა ყველა ბორკილი გახსნა. ზედამხედველს გაეღვიძა და რომ დაინახა, საპყრობილის კარები ღიაა, ძლიერ შეშინდა. მან იფიქრა, რომ ტყვეები გაიქცნენ, მას კი ამისთვის სიკვდილით დასჯიან. როცა თავის მოკვლა განიზრახა, პავლემ შესძახა მაღალი ხმით: „შენს თავს ავს ნურაფერს შეამთხვევ, რადგან ჩვენ ყველანი აქა ვართ“. ღვთის სულმა დაარწმუნა საპყრობილის ზედამხედველი. მან ცეცხლი მოითხოვა, შევარდა საპყრობილეში და ათრთოლებული დაეცა პავლესა და სილას ფერხთით. როცა გარეთ გამოიყვანა ისინი, შეეკითხა: „ბატონებო, რა გავაკეთო, რომ გადავრჩე?“ მაშინ საპყრობილის ზედამხედველმა შეკრიბა თავისი ოჯახი და პავლემ უქადაგა მათ იესოს შესახებ. ზედამხედველის გული განეწყო ძმების მიმართ, მან მობანა მათ წყლულები და მთელს თავის ოჯახთან ერთად იმავე ღამეს მოინათლა. შემდეგ სუფრა გაუშალა და გაიხარა თავის სახლეულთან ერთად, რომ იწამა ღმერთი.

ამბავი ღვთის ძალით საპყრობილის კარების გაღების, საპყრობილის ზედამხედველისა და მისი ოჯახის მოქცევისა და ნათლობის შესახებ სწრაფად გავრცელდა ხალხში. მთავრებმა გაიგონეს ეს და შეშინდნენ. მათ ზედამხედველთან მსახურნი გააგზავნეს თხოვნით, გაეშვათ პავლე და სილა. მაგრამ პავლემ არ ინდომა საპყრობილის დატოვება ფარულად. მან თქვა: „ჩვენ, რომაელი მოქალაქეები, განუკითხავად გვცემეს სახალხოდ და საპყრობილეში ჩაგვყარეს, ახლა ფარულად გვიშვებენ? არა, მოვიდნენ და თვითონ გაგვიყვანონ“. პავლესა და სილას არ სურდათ, რომ ღვთის ძალის გამოვლენა დაფარულიყო. მსახურებმა ეს სიტყვები ქალაქის მთავრებს მოახსენეს, მათ კი შეეშინდათ, როცა გაიგეს, რომ მოციქულები რომის მოქალაქეები იყვნენ. მთავრები მოვიდნენ, მოუბოდიშეს, გამოიყვანეს პავლე და სილა საპყრობილიდან და სთხოვეს ქალაქი დაეტოვებინათ.

იხ. საქმეები მე-14 და მე-16 თავები

თავი 16

პავლემ მოინახულა იერუსალიმი

მოქცევის შემდეგ პავლემ იერუსალიმი მოინახულა და იქ იესოსა და მისი მადლის სასწაულზე ქადაგებდა. ის ჰყვებოდა თავის საოცარ მოქცევაზე, რამაც მღვდლები და მთავრები განარისხა და ისინი მის მოკვლას ლამობდნენ. მაგრამ მისი სიცოცხლის გადასარჩენად იესო კვლავ გამოეცხადა, როცა ის ლოცულობდა და უთხრა: „იჩქარე და გადი სწრაფად იერუსალიმიდან, რადგან არ შეიწყნარებენ შენს მოწმობას ჩემზე“. პავლე გულწრფელად თხოვდა იესოს: „უფალო, მათ იციან, რომ მე ვატუსაღებდი და სინაგოგებში ვცემდი შენს მორწმუნეებს. როცა შენი მოწამის, სტეფანეს, სისხლი იღვრებოდა, მეც იქ ვიდექი და ვიწონებდი, და ვდარაჯობდი მის მკვლელთა ტანისამოსს“. პავლე ფიქრობდა, რომ იუდეველნი იერუსალიმში ვერ შეძლებდნენ, წინ აღდგომოდნენ მის მოწმობას, მაგრამ

მიხვდებიან, რომ ეს დიდი ცვლილება მასში შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ უფლის ძალით. მაგრამ იესომ უთხრა: „წადი, შორს მიგავლენ წარმართებთან“.

მას შემდეგ, რაც პავლემ იერუსალიმი დატოვა, მან მრავალი წერილი დაწერა სხვადასხვა მხარეში, ჰყვებოდა თავისი განცდების შესახებ და ძლევამოსილად მოწმობდა. მაგრამ ზოგიერთი ცდილობდა მისი წერილების გავლენის აღმოფხვრას. ისინი იძულებულნი იყვნენ, ეღიარებინათ, რომ მისი წერილები ძლიერი და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამბობდნენ, რომ პირადად ქადაგების დროს ის სუსტია და მისი სიტყვაც უფერული.

მე ვიხილე, რომ პავლე ღრმად განსწავლული კაცი იყო, მისი სიბრძნე და მანერები ხიბლავდა მსმენელს. სწავლულნი აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ცოდნით და მრავალმა მათ შორის იწამა ქრისტე. მეფეებისა და დიდი შეკრებების წინაშე თავისი მჭევრმეტყველებით ყველას იპყრობდა. ეს აღაშფოთებდა მღვდლებსა და უხუცესებს. პავლეს შეეძლო ღრმა გამოკვლევები გაეკეთებინა, გონებით აღმაფრენა განეცადა, ადამიანებიც აღეფრთოვანებინა და ჩაერთო თავის ამაღლებულ განსჯაში, უხსნიდა რა მათ უფლის წყალობის სიმდიდრის სიღრმეს და ქრისტეს საოცარ სიყვარულს. შემდეგ თავის უბრალოებაში ის ეშვებოდა ჩვეულებრივი ადამიანის აზროვნების დონემდე და ხატოვნად უყვებოდა თავისი განცდების შესახებ, რაც მსმენელებში ქრისტეს მოწაფედ გახდომის მგზნებარე სურვილს აღძრავდა.

უფალმა გამოუცხადა პავლეს, რომ კვლავ უნდა წავიდეს იერუსალიმში, სადაც შეკრავენ და უნდა ევნოს მისი სახელისათვის. და თუმცა დიდი ხნით იგი ტუსაღად რჩებოდა, უფალი მისი მეშვეობით თავის განსაკუთრებულ საქმეს აღასრულებდა. პავლეს ბორკილები ქრისტეს შესახებ შემეცნების გავრცელების საშუალება უნდა გამხდარიყო და ამ გზით უნდა განედიდებინა ღმერთი. როდესაც სასამართლოს მსვლელობისას იგი ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავდათ, იესოს შესახებ მოწმობა და მისი მოქცევის საინტერესო დეტალები ცხადდებოდა მეფეებისა და მთავრების წინაშე, რადგან ისინიც არ დარჩენილიყვნენ იესოს შესახებ მოწმობის გარეშე. ათასებმა იწამეს იგი და ხარობდნენ მისი სახელით. მე ვიხილე, რომ ზღვაზე პავლეს მოგზაურობის წყალობით აღსრულდა ღმერთის განსაკუთრებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ პავლეს მეშვეობით გემის ეკიპაჟი ღვთიური ძალის მოწმე გამხდარიყო. წარმართთაც შეეძლოთ იესოს სახელი გაგონება და მრავალი მათგანი მოიქცა მისი სწავლებისა და მის მიერ მოხდენილი სასწაულების მეშვეობით. მეფეებსა და მმართველებს აღაფრთოვანებდათ მისი არგუმენტაცია: როცა ის გულმოდგინებითა და სულიწმიდის ძალით ქადაგებდა იესოს შესახებ, ჰყვებოდა თავისი ცხოვრების საინტერესო მოვლენებზე, ისინი რწმუნდებოდნენ, რომ იესო – ღვთის ძეა. იმ დროს, როდესაც ბევრი, ვინც პავლეს უსმენდა, გაკვირვებას ვერ მალავდა, ერთმა წამოიძახა კიდეც: „შენ თითქმის დამარწმუნე, ქრისტიანი გავხდე“. მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, რომ როდესმე მომავალში დაფიქრდებიან გაგონილზე. სატანამ ისარგებლა მათი ყოყმანით, ხოლო რადგანაც მათ ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა, როდესაც მათი გულები მოლბა, ამიტომაც დაკარგეს იგი სამუდამოდ. მათი გულები გასასტიკდა.

მე მომეცა იმის ხილვა, თუ რაში მდგომარეობდა სატანის საქმე: თავიდან იუდეველთა თვალების დაბრმავება, რათა მათ არ მიეღოთ იესო თავის მხსნელად, ხოლო შემდეგ მოეხდინა მათი პროვოცირება მისი ძლევამოსილი საქმეებისადმი შურის გამო სიცოცხლეს გამოესალმებინათ იგი. სატანა შევიდა ერთ-ერთ მის მიმდევარში, უბიძგა მას, გადაეცა იგი იუდეველთათვის და მათ ჯვარს აცვეს სიცოცხლისა და დიდების უფალი. იესოს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იუდეველებმა ამრავლეს თავისი ცოდვები, ცდილობდნენ აღდგომის ფაქტის დაფარვას და მოისყიდეს რომაელი მცველები ცრუ ჩვენების მისაცემად. მაგრამ იესოს აღდგომის სინამდვილე ორმაგად დამტკიცდა მასთან ერთად მრავალთა აღდგომით. იესო ეცხადებოდა თავის მოწაფეებს, შემდეგ ას ორმოცდაათზე მეტ ადამიანს ერთდროულად, აგრეთვე მასთან ერთად აღმდგარი მართალნი ეცხადებოდნენ მრავალთ და ახარებდნენ ქრისტეს აღდგომას.

სატანამ აღაგზნო იუდეველნი, რათა ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებულიყვნენ, უარი ეთქვათ მისი ძალის აღიარებაზე და თავისი ხელები მის ძვირფას სისხლში მოესვარათ ჯვარცმისას. მიუხედავად ძლიერი მტკიცებულებისა იმის თაობაზე, რომ იესო ღვთის ძე იყო, კაცობრიობის გამომსყიდველი, მათ მოკლეს იგი ისე, რომ არ მიიღეს არანაირი მტკიცებულება მის სასარგებლოდ. მათი ერთადერთი იმედი და ნუგეში, ისევე როგორც სატანის იმედი მისი დაცემის შემდეგ, იმაში მდგომარეობდა, რომ დაეძლიათ ღვთის ძე. იუდეველნი ამბოხს აგრძელებდნენ, დევნიდნენ და კლავდნენ ქრისტეს მოწაფეებს. არაფერი

ისე არ ჭრიდა მათ ყურს, როგორც ჯვარცმული იესოს სახელი და მტკიცედ გადაწყვიტეს, არ მიეღოთ არანაირი მოწმობა მის სასარგებლოდ. ისევე, როგორც სტეფანესთან მიმართებაში, როდესაც სულიწმიდა მისი მეშვეობით ძლიერად მოწმობდა იესოს ღვთიურობის თაობაზე, ისინი ყურებს იხშობდნენ, რათა შეუძლებელი გამხდარიყო მათი დარწმუნება. იმ დროს, როცა სტეფანე ღვთიური დიდებით იყო გარემოცული, მათ ქვებით ჩაქოლეს იგი. სატანას ძლიერი ხელით ეჭირა იესოს მკვლელები თავისი ძალაუფლების ქვეშ. თავისი ბოროტი საქმეებით, მათ თავად გადააქციეს საკუთარი თავი სატანის მორჩილ ქვეშევრდომებად და ისიც მათი მეშვეობით დევნიდა და აწამებდა ქრისტეს მორწმუნეთ. ის იუდეველების ხელით მოქმედებდა, რათა წარმართნიც აემხედრებინა იესოს სახელის წინააღმდეგ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ, ვინც მიჰყვებოდა მის გზას და სწამდა მისი სახელი. მაგრამ ღმერთმა მიავლინა თავისი ანგელოზები მოწაფეთა გასამხნევებლად მათ საქმეში, რათა მათ დაემოწმებინათ იმის შესახებ, რაც ისმინეს და იხილეს, ხოლო ბოლოს მედგრად დაებეჭდათ თავისი მოწმობა საკუთარი სისხლით.

ხარობდა სატანა, რომ თავის მახეში მჭიდროდ გახლართა იუდეველნი. ისინი კვლავაც მისდევდნენ უსარგებლო დადგენილებებს, მსხვერპლშეწირვას და წეს-ჩვეულებებს. როდესაც ჯვარცმულმა იესომ წამოიძახა: „აღსრულდა!“, ტაძრის კრეტსაბმელი გაიხა ორად ზემოდან ძირამდე, რამაც დაამოწმა, რომ ღმერთი ამიერიდან აღარ შეხვდება მღვდლებს ტაძარში, აღარ მიიღებს მათ მსხვერპლშეწირვასა და ტრადიციებს; აგრეთვე ის, რომ დაინგრა კედელი ებრაელებსა და წარმართებს შორის. იესომ საკუთარი თავი მსხვერპლად ერთისა და მეორის გამო შესწირა და თუ მათ სურთ, უნდა ირწმუნონ იესო, როგორც ცოდვისათვის გაღებული ერთადერთი მსხვერპლი და წუთისოფლის მხსნელი.

იმ დროს, როცა იესო ჯვარზე ეკიდა, ერთ-ერთმა მეომარმა მას ფერდი შუბით განგმირა, იქიდან ორ ნაკადად გადმოიღვარა სისხლი და წყალი. სისხლს მის სახელის მორწმუნეთა ცოდვები უნდა ჩამოებანა, წყალი კი ცოცხალი წყლის სიმბოლოა, რომელიც იესოსგან გადმოედინება და მორწმუნეს სიცოცხლეს უძღვნის.

იხ. მათე 27:51; იოანე 19:34; საქმეები 24-ე და 26-ე თავები

თავი 17

დიდი განდგომილება

მე გადაყვანილი ვიქენი იმ დროში, როდესაც წარმართი კერპთაყვანისმცემლები სასტიკად დევნიდნენ და ხოცავდნენ ქრისტიანებს. სისხლი ნაკადულებად მოედინებოდა. კეთილშობილნიც და განათლებულნიც, ასევე უბრალო ხალხიც უმოწყალოდ იხოცებოდნენ. მდიდარი ოჯახები ღატაკდებოდნენ, რადგან არ სურდათ თავისი რელიგიის უარყოფა. მიუხედავად დევნისა და წამებისა, რასაც ქრისტიანები განიცდიდნენ, მათ შეინარჩუნეს თავისი რელიგია და არ დასწიეს მისი სტანდარტები. მე ვიხილე, რომ ხარობდა და ზეიმობდა სატანა, როცა ხედავდა ღვთის ხალხის ტანჯვას. მაგრამ ღმერთი დიდად აფასებდა თავის ერთგულ წამებულთ; მას ძლიერ უყვარდა იმ საშინელ დროს მცხოვრები ქრისტიანები, რადგან ისინი მზად იყვნენ, ტანჯული ყოფილიყვნენ მისთვის. მათ მიერ გადატანილი ყოველი სატანჯველი ამრავლებდა მათ ჯილდოს ზეცაში. თუმცა სატანას უხაროდა, რომ წმინდანები იტანჯებოდნენ, მაინც არ იყო კმაყოფილი. მას სურდა, მათ გონებაზე ებატონა ისევე, როგორც მათ სხეულზე. ქრისტიანების მიერ გადატანილი ტანჯვა კიდევ უფრო აახლოვებდა მათ ღმერთთან, აღძრავდა მათში ერთმანეთისადმი სიყვარულს და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ეშინოდათ, დაემწუხრებინათ უფალი. ეშმაკი ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ მათ ღმერთის უკმაყოფილება გამოეწვიათ; მაშინ ისინი დაკარგავდნენ თავის ძალას, სიმამაცესა და გამძლეობას. თუმცა ათასები დაიღუპა, ჩნდებოდნენ სხვები, რათა მათი ადგილი დაეკავებინათ. სატანა ხედავდა, რომ თავის ქვეშევრდომთ კარგავდა და თუმცა ისინი მედგრად იტანდნენ დევნა-შევიწროებასა და სიკვდილს, ჰქონდათ იესო ქრისტეს აღთქმა, რომ მისი სამეფოს ქვეშევრდომნი არიან. სატანა გეგმავდა, როგორ ებრძოლა უფრო წარმატებულად ღვთიური მმართველობის წინააღმდეგ და დაემარცხებინა ეკლესია. მან უბიძგა მრავალ წარმართ კერპთაყვანისმცემელს ქრისტიანული რწმენის ნაწილობრივ მიღებისაკენ. მათ განაცხადეს, რომ სწამთ ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა, მაგრამ არ გარდაიქმნა მათი გულები; და მაინც ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს,

გაერთიანებულიყვნენ ქრისტეს მიმდევრებთან. ო, რა სახიფათოა ეს ეკლესიისათვის! ეს იყო სულიერი მწუხრის ჟამი. ზოგიერთი ფიქრობდა: თუკი ისინი დათმობენ და გაერთიანდებიან კერპთაყვანისმცემლებთან, ნაწილობრივ მიიღებენ რა ქრისტიანულ რწმენას, ეს მოაქცევს მათ. სატანა ბიბლიის სწავლების დამახინჯებისაკენ ისწრაფვოდა. დასასრულ, მე ვიხილე, რომ სტანდარტები დაეცა და წარმართნი ქრისტიანებთან გაერთიანდნენ. ისინი კერპებს სცემდნენ თაყვანს და თუმცა ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანები იყვნენ, თან თავისი კერპთაყვანისმცემლობა მოიტანეს. მათ მხოლოდ შეცვალეს თავისი თაყვანისცემის საგნები წმინდანების და თვით ქრისტეს და მარიამის, იესოს დედის, გამოსახულებებით. თანდათანობით ქრისტიანები გაერთიანდნენ მათთან, ქრისტიანული რელიგია დამახინჯდა, ხოლო ეკლესიამ დაკარგა სიწმინდე და ძალა. ზოგიერთებმა უარი თქვეს კერპთაყვანისმცემლებთან გაერთიანებაზე; მათ შეინარჩუნეს თავისი სიწმინდე და თაყვანს ერთიან ღმერთს სცემდნენ. მათ არ სურდათ არანაირი გამოსახულების თაყვანისცემა, რაც ზემოთ ცაშია ან დაბლა დედამიწაზე.

უხაროდა ეშმაკს, როცა ხედავდა ამდენი ადამიანის დაცემას. შემდეგ წააქეზა დაცემული ეკლესია, ეიძულებინათ ღვთის შვილები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი რელიგიის სიწმინდე, ან მიეღოთ მისი წეს-ჩვეულებანი და თაყვანი ეცათ გამოსახულებებისათვის, ან სასიკვდილოდ გაემეტებინათ ისინი. კვლავ აგიზგიზდა იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის წინააღმდეგ დევნის ცეცხლი და დაუნდობლად გაიჟლიტა მილიონობით ადამიანი.

ეს მე ვიხილე შემდეგნაირად: წარმართ კერპთაყვანისმცემელ დიდ ჯგუფს შავი ალამი მოჰქონდა, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გამოსახულებით. ეს ჯგუფი ძალიან განრისხებული და ვერაგი ჩანდა. შემდეგ ვიხილე ადამიანთა მეორე ჯგუფი სუფთა თეთრი ალმით, რომელზედაც ეწერა: „სიწმინდე და ღვთისმოსაობა უფლისათვის“. მათი სახეები სიმტკიცესა და ზეციურ მორჩილებას გამოხატავდა. მე ვიხილე, როგორ მიუახლოვდნენ მათ წარმართი კერპთაყვანისმცემელნი და მოხდა დიდი სისხლისღვრა. ქრისტიანები გაიფანტნენ მათ წინაშე; მაგრამ ქრისტიანთა ჯგუფი კიდევ უფრო მჭიდროდ შეიკრა და უფრო მაგრად ეჭირა ალამი. როდესაც ბევრნი ეცემოდნენ, სხვები მჭიდროვდებოდნენ ალმის ირგვლივ და დგებოდნენ მათ ადგილას.

მე ვიხილე, როგორ თათბირობდა კერპთაყვანისმცემელთა ჯგუფი. მათ ვერ აიძულეს ქრისტიანები დათმობაზე, ამიტომ სხვა გეგმა შეიმუშავეს. მე ვიხილე, რომ მათ დაუშვეს თავისი ალამი, მიუახლოვდნენ ერთგულ ქრისტიანთა ჯგუფს და გააცნეს თავისი წინადადება. თავიდან მთლიანად უარყვეს მათი წინადადებები. შემდეგ ვიხილე, რომ ქრისტიანთა ჯგუფი თათბირობდა ერთმანეთთან. ისინი ამბობდნენ, რომ დაუშვებენ ალამს, მიიღებენ წინადადებას და თავის სიცოცხლეს გადაარჩენენ, ხოლო შემდგომ შეიძენენ ძალას თავისი ალამის აღმართვისათვის წარმართ კერპთაყვანისმცემელთა შორის. მაგრამ სხვები უარყოფდნენ ამ გეგმას, და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მომკვდარიყვნენ, მაგრამ არ დაეშვათ თავისი ალამი. მაშინ მე ვიხილე, რომ ბევრმა დაუშვა ალამი და შეუერთდა წარმართთ, მაშინ როცა ერთგულმა და მედგარმა ქრისტიანებმა აიტაცეს ალამი და კვლავ მაღლა ასწიეს იგი. მე ვიხილე, როგორ ტოვებდნენ ცალკეული ადამიანები ქრისტიანთა ჯგუფს, რომელთაც თეთრი ალამი ეჭირათ და უერთდებოდნენ კერპთაყვანისმცემელთ; ისინი შავი ალმის ქვეშ ერთიანდებოდნენ თეთრი ალმის ქვეშ მავალთა დევნისათვის, ბევრი მოკლეს, მაგრამ თეთრი ალამი მაღლა ფრიალებდა და მის ირგვლივ ახალი ხალხი შეკრებილიყო.

იუდეველნი, რომლებმაც პირველებმა გამოიწვიეს წარმართთა რისხვა იესოს წინააღმდეგ, სასჯელს ვერ გადაურჩნენ. სასამართლო დარბაზში, როდესაც პილატეს ვერ გადაეწყვიტა იესოს ბრალდება, განრისხებული იუდეველები ყვიროდნენ: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“. ებრაელმა ერმა თავის თავზე გამოსცადა იმ საშინელი წყევლის აღსრულება, რომელიც თავად დაატეხეს საკუთარ თავს. წარმართნი და ეგრეთ წოდებული ქრისტიანები მათი მტრები იყვნენ. ეს არიან „ქრისტიანები“, თავისი გულმოდგინებით ქრისტეს ჯვრის მიმართ, ისინი თვლიდნენ: ვინაიდან იუდეველებმა ჯვარს აცვეს ქრისტე, ამიტომ რაც უფრო მეტ ტანჯვას მიაყენებდნენ ისინი მათ, მით უფრო მეტად შეძლებენ ღმერთის გულის მოგებას; ამიტომ ბევრი ურწმუნო იუდეველი მოკლეს, მაშინ როცა სხვებს დევნიდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და ყველანაირად სჯიდნენ.

მათ მიერ მოკლული ქრისტესა და მოწაფეების სისხლი იყო მათზე და მათ სასტიკი მსჯავრი დაედოთ. უფლის წყევლა დევდა მათ ყველგან, მათ ამასხარავებდნენ წარმართები და ქრისტიანები. მათ გაურბოდნენ, ამცირებდნენ, ისინი ეზიზღებოდათ, თითქოს მათზე კაენის დაღი იყო დასმული. მაგრამ, მე ვიხილე, რომ ღმერთმა საოცარი სახით დაიფარა ეს

ხალხი და გაფანტა მთელს დედამიწაზე, რათა მათში დაენახათ ისინი, ვისაც განსაკუთრებულად დაატყდა თავს ღმერთის წყევლა. მე ვიხილე, რომ ღმერთმა მიატოვა იუდეველნი, როგორც ერი; მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებიც შეძლებენ ფარდა ჩამოხსნან თავის გულებს. ზოგიერთი კიდევ იხილავს, რომ წინასწარმეტყველება მათ შესახებ აღსრულდა და მიიღებენ იესოს, როგორც წუთისოფლის მხსნელს. ისინი დაინახავენ, რომ მათმა ხალხმა დიდი ცოდვა ჩაიდინა, როცა უარყო და ჯვარს აცვა ქრისტე. ებრაელთა შორისაც მოიქცევიან ზოგიერთნი, მაგრამ როგორც ერი, ის სამუდამოდ დატოვა ღმერთმა.

თავი 18

ურჯულოების საიდუმლო

სატანის ზრახვები ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანთა გონება იესოსაგან დაეცილებინა, მიემართა ისინი ადამიანზე ზემოქმედებისაკენ და გაენადგურებინა პირადი პასუხისმგებლობა. სატანა დამარცხდა, როცა აცდუნებდა ღვთის ძეს. მან ბევრად უფრო მეტ წარმატებას მიაღწია დაცემულ ადამიანზე ზემოქმედებისას. ქრისტიანობის დოქტრინა დამახინჯდა. პაპებმა და მღვდლებმა გაბედეს საკუთარი თავის განდიდება და ასწავლიდნენ ხალხს, ცოდვების მისატევებლად მათთვის მიემართათ, და არა ქრისტესათვის. ხოლო იმ ჭეშმარიტებათა დასაფარავად, რომელთაც მათი მხილება შეეძლო, ადამიანებს ბიბლია დაუმალეს.

ხალხი მთლიანად მოტყუებული დარჩა. მათ ასწავლიდნენ, რომ პაპები და მღვდლები ქრისტეს წარმომადგენლები არიან, მაშინ როცა, ფაქტობრივად, ისინი სატანის წარმომადგენლები იყვნენ. ხალხი ითხოვდა ბიბლიას, მაგრამ მღვდლები თვლიდნენ, რომ სახიფათოა ხალხისათვის ღვთის სიტყვის ქონაზე ნებართვის მიცემა და მისი დამოუკიდებლად კითხვა, რადგან ისინი განათლდებიან და აღმოაჩენენ მღვდლების ცოდვებს. ხალხს ასწავლიდნენ, ეცქირათ და მიეღოთ ყოველი სიტყვა ამ თაღლითებისგან, როგორც ღმერთის ბაგეთაგან. ისინი ისეთ ძალაუფლებას ფლობდნენ ადამიანთა გონებაზე, როგორც მხოლოდ ღმერთი უნდა ფლობდეს. და თუკი ვინმე გაბედავდა და თავისი მრწამსისამებრ იმოქმედებდა, მის წინააღმდეგ ისეთი სიძულვილი გამოვლინდებოდა, როგორიც სატანამ და იუდეველებმა იესოს მიმართ გამოავლინეს, ხოლო ხელისუფალთ კი მათი სისხლი სწყუროდა. მე მეჩვენა ჟამი, როცა განსაკუთრებით ხარობდა სატანა. მრავალი ქრისტიანი საზარელი სიკვდილით დაისაჯა იმის გამო, რომ ცდილობდა თავისი რელიგიის სიწმინდის შენარჩუნებას.

ბიბლია დამალეს, იყო მცდელობა იმისა, რომ ღვთის უძვირფასესი სიტყვა ქვეყნიერებისათვის წაერთმიათ. წიგნების კითხვა სიკვდილის შიშით აიკრძალა, წმინდა წერილის ყველა ხელნაწერი, რომელსაც იპოვიდნენ, წვავდნენ. მაგრამ მე ვიხილე, რომ ღმერთი განსაკუთრებულად ზრუნავდა თავის სიტყვაზე. ის იცავდა მას. დროის სხვადასხვა პერიოდში ბიბლიის ძალიან ცოტა ხელნაწერი არსებობდა, მაგრამ ღმერთი არ დაუშვებდა, რომ მისი სიტყვა დაკარგულიყო. და უკანასკნელ ჟამს ბიბლიის ასლები იმდენად უნდა მომრავლდეს, რომ ყოველ ოჯახს ექნება იგი. მე ვიხილე: როდესაც ბიბლიის ცოტა ხელნაწერი იყო, ღვთის სიტყვა ძვირფასი და მანუგეშებელი იყო ქრისტეს დევნილი მიმდევრებისთვის. მას საიდუმლოდ კითხულობდნენ და ისინი, ვისაც ეს მაღალი უპირატესობა გააჩნდათ, გრძნობდნენ, რომ ღმერთთან, მის ძესთან, იესოსთან და მის მოწაფეებთან ჰქონდათ ურთიერთობა, მაგრამ ამგვარი ნეტარი უპირატესობა ბევრს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. როდესაც ამგვარი რამ გამოაშკარავდებოდა, მათ ართმევდნენ წმინდა სიტყვას და ეშაფოტზე, კოცონზე აგზავნიდნენ ან მიწისქვეშეთში აგდებდნენ, სადაც ისინი შიმშილით კვდებოდნენ.

მაგრამ სატანას მაინც არ შეეძლო ხსნის გეგმის ჩაშლა. იესო ჯვარს აცვეს და მესამე დღეს იგი აღდგა მკვდრეთით. ეშმაკმა თავის ანგელოზებს განუცხადა, რომ ჯვარცმასა და აღდგომას თავისი მიზნებისათვის გამოიყენებს. მას სურდა, რომ იესოს რწმენის აღმსარებლები, რომლებსაც სწამდათ ქრისტეს სიკვდილთან ერთად იუდეველთა მსხვერპლშეწირვების შესახებ კანონების გაუქმება, ეიძულებინა, უფრო შორს წასულიყვნენ და დაერწმუნებინა, თითქოს ათი მცნების კანონი ასევე ქრისტესთან ერთად მოკვდა.

მე ვიხილე, რომ ბევრი ხალისით დაეთანხმა სატანის ამ ხრიკს. ზეცის ყველა მკვიდრი აღშფოთდა, როცა ღვთის წმინდა კანონის ხელყოფა იხილეს. იესო და ზეციური მხედრობა კარგად იცნობდნენ ღვთის კანონის ბუნებას; მათ იცოდნენ, რომ ღმერთი არ ცვლის და არ აუქმებს მას. ადამიანის უიმედო მდგომარეობამ ღრმა მწუხარება გამოიწვია ზეცაში და შთააგონა იესოს, თავისი სიცოცხლე გაეღო ღვთის წმინდა კანონის დამრღვევთა სიცოცხლის ნაცვლად. ამ კანონის შეცვლა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ადამიანი იესოს სიკვდილის გარეშეც გადარჩებოდა. იესოს სიკვდილმა არ გაანადგურა მისი მამის კანონი, არამედ აღამაღლა და განადიდა იგი, ხაზი გაუსვა ყველა მისი წმინდა დებულების აუცილებლობას. ეკლესია წმინდა და ურყევი რომ დარჩენილიყო, სატანა ვერ შეძლებდა მის მოტყუებას და ვერც ღვთის კანონის ხელყოფას აიძულებდა. ამ ურცხვ გეგმაში სატანა უშუალოდ ზეცასა და დედამიწაზე ღვთიური მმართველობის საფუძვლებს აყენებს დარტყმას. თავისი ამბოხების შედეგად ლუციფერი გაძევებულ იქნა ზეციდან. ამბოხების შემდეგ, საკუთარი თავის გადარჩენისათვის, მან მოინდომა, რომ ღმერთს თავისი კანონი შეეცვალა; მაგრამ უზენაესმა მთელი ზეცის წინაშე უთხრა სატანას, რომ უცვლელია მისი კანონი. სატანამ იცის: თუ ის მოახერხებს, აიძულოს სხვები, დაარღვიონ ღვთის კანონი, შეუძლია დარწმუნებული იყოს თავის ნადავლში, რადგან წმინდა კანონის ყოველი დამრღვევი უნდა მოკვდეს.

ეშმაკმა კიდევ უფრო შორს შეტოპა. მან თავის ანგელოზებს უთხრა: ზოგიერთი ისეთი გულმოდგინებით დაიცავს ღმერთის კანონს, რომ მათი ხაფანგში გაბმა შეუძლებელი იქნება. ათი მცნება იმდენად გასაგებია, რომ ბევრი ჩათვლის, რომ მათი დაცვა აუცილებელია, ამიტომ ის უნდა შეეცადოს და დაამახინჯოს მეოთხე მცნება, რომელიც ცოცხალ ღმერთზე მიუთითებს. მან განაწყო თავის წარმომადგენლები, ეცადათ შაბათის შეცვლა და გადაეკეთებინათ ათიდან ერთ-ერთი მცნება, რომელიც მიუთითებს ჭეშმარიტ ღმერთზე, ცისა და მიწის შემოქმედზე. სატანამ წარუდგინა მათ იესოს დიდებული აღდგომა და თქვა, რომ თავისი აღდგომით კვირის პირველ დღეს, მან შეცვალა შაბათი კვირის მეშვიდე დღიდან კვირის პირველ დღეზე. ამგვარად გამოიყენა სატანამ აღდგომა თავისი მიზნების მისაღწევად. ის და მისი ანგელოზები ხარობდნენ, რომ მათ მიერ მომზადებული ხრიკები ქრისტეს ეგრეთ წოდებულ მეგობრებსაც მოეწონათ. ის, რასაც ერთი ადამიანი უარყოფს, როგორც საშინელებას, მეორე მიიღებს. სხვადასხვა ცდომილებას აღიარებენ და დიდი მონდომებით დაიცავენ. ღმერთის ნება, ასე ნათლად გაცხადებული მის სიტყვაში დაიფარა ცდომილებებითა და ტრადიციებით, რომლებსაც ასწავლიდნენ, როგორც უფლის მცნებებს. თუმცა ზეცასთან მიმართებაში ეს თავხედური ტყუილი გაგრძელდება მთელი დროის განმავლობაში იესოს მეორედ მოსვლამდე, ღმერთი ცდომილებებისა და სიცრუის მთელი ამ პერიოდის მანძილზე მაინც არ დარჩენილა მოწმეების გარეშე. გამოჩნდებოდნენ ჭეშმარიტი და ერთგული მოწმეები, რომლებიც ღვთის ყველა მცნებას იცავდნენ სულიერი წყვდიადისა და ეკლესიის დევნის წლებში.

მე ვიხილე, რომ გაოგნებული იყვნენ ანგელოზები, როცა ხედავდნენ დიდების მეფის ტანჯვასა და სიკვდილს. მაგრამ მე ასევე ვიხილე, რომ ანგელოზებისათვის არ იყო მოულოდნელი, რომ სიცოცხლისა და დიდების უფალი, რომელიც მთელს ზეცას სიხარულითა და ბრწყინვალებით აღავსებდა, გაწყვეტს სიკვდილის ბორკილებს და გამოვა თავისი საპყრობილედან ზეიმით, როგორც გამარჯვებული. ამ მოვლენათაგან ერთ-ერთი რომ აღნიშნულიყო, როგორც დასვენების დღე, ეს ჯვარცმა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მე ვიხილე, რომ არც ერთი ამ მოვლენათაგან არ იყო წინასწარ განსაზღვრული იმისათვის, რომ შეცვლილიყო ან გაუქმებულიყო ღვთის კანონი; პირიქით, ისინი უძლიერესი მოწმობაა მისი უცვლელობისა.

ორივე ამ მნიშვნელოვან მოვლენას თავისი ადგილი აქვს მათ სამახსოვროდ. როდესაც უფლის სერობაში ვმონაწილეობთ დატეხილი პურისა და ვაზის ნაყოფის მიღებით, ჩვენ ვამცნობთ უფლის სიკვდილს, ვიდრე ის მოვიდოდეს. ჩვენს მეხსიერებაში ამ მოგონების შესრულებისას, ცოცხლდება მისი ვნებისა და სიკვდილის სცენები. ქრისტეს აღდგომა აღინიშნება მასთან ერთად წყალში ჩვენი ჩაფლობით ნათლობისას და აღდგომით წყლის სამარხიდან, მისი აღდგომის მგავსად, რათა ახალი ცხოვრებით ვიცხოვროთ.

მე მეჩვენა, რომ უფლის კანონი მარად იქნება და იარსებებს ახალ მიწაზე საუკუნოდ. შექმნისას, როცა დედამიწის საძირკველი ჩაიდო, ღვთის ძენი აღტაცებით უცქერდნენ შემოქმედის საქმეს და მთელი ზეციური მხედრობა სიხარულს ვერ ფარავდა. სწორედ მაშინ ჩაიდო შაბათის საძირკველი. ექვსი დღის შემოქმედების დასრულების შემდგომ ღმერთმა

დაისვენა მეშვიდე დღეს ყველა თავისი საქმისაგან, რომელიც მოახდინა და აკურთხა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან დაისვენა ყველა თავისი საქმისაგან ამ დღეს. შაბათი დადგენილი იქნა ედემში ცოდვით დაცემამდე. მას იცავდნენ ადამი და ევა, აგრეთვე მთელი ზეციური მხედრობა. ღმერთმა დაისვენა მეშვიდე დღეს, აკურთხა და წმიდაჰყო იგი. მე ვიხილე, რომ შაბათი არასოდეს გაუქმდება, არამედ გამოსყიდული წმინდანები და ანგელოზთა ყველა გუნდი დაიცავს მას საუკუნოდ დიადი შემოქმედის სადიდებლად.

იხ. დანიელი მე-7 თავი; 2 თესალონიკელთა მე-2 თავი

თავი 19

სიკვდილი და არა სიცოცხლე მარადიულ ტანჯვაში

სატანამ თავისი სიცრუე ედემში დაიწყო. მან ევას უთხრა: „არ მოკვდებით“. ეს იყო სატანის პირველი გაკვეთილი სულის უკვდავების შესახებ; და მას შემდეგ დღევანდლამდე ის აგრძელებს ამ ტყუილს და მანამ იმოქმედებს ასე, ვიდრე არ დასრულდება ღვთის შვილების ტყვეობა. ჩემი ყურადღება მივაპყარი ადამსა და ევას ედემში. მათ ჭამეს აკრძალული ხის ნაყოფი და მაშინ ცეცხლოვანი მახვილი დაიდო სიცოცხლის ხის ირგვლივ, ისინი კი ბაღიდან გამოაძევეს, რათა არ ეჭამათ სიცოცხლის ხისგან და არ გამხდარიყვნენ მარად ცოცხალი ცოდვილნი. სიცოცხლის ხე ემსახურებოდა უკვდავებას. მე მოვისმინე, როგორ იკითხა ანგელოზმა: „ადამის ოჯახიდან ვინ გაიარა ცეცხლოვანი მახვილი და იგემა სიცოცხლის ხისაგან?“ გაისმა მეორე ანგელოზის პასუხი: „ადამის ოჯახიდან არავის გაუვლია ცეცხლოვანი მახვილი და არავის უგემია სიცოცხლის ხისაგან“. ცოდვილი სული მოკვდება საუკუნო, მარადიულად გაგრძელებული სიკვდილით, სადაც არ იქნება აღდგომის იმედი; შემდეგ კი ღმერთის რისხვა ჩაცხრება.

ჩემთვის გასაკვირი იყო, რომ სატანამ ასეთი დიდი წარმატებით აიძულა ადამიანები, რათა მათ ერწმუნათ, რომ ღმერთის სიტყვები: „ცოდვილი სული კი, მოკვდება“ ნიშნავს: „ცოდვილი სული არ მოკვდება, არამედ მარადიულ ტანჯვაში იცხოვრებს“. ანგელოზმა თქვა: „სიცოცხლე არის სიცოცხლე, მიუხედავად იმისა აღსავსეა იგი ტკივილითა თუ ბედნიერებით. სიკვდილში არ არის ტკივილი, არ არის სიხარული, არ არის სიძულვილი“.

სატანამ თავის ანგელოზებს უბრძანა, განსაკუთრებული ძალისხმევა გამოეჩინათ, რათა გაევრცელებინათ ტყუილი: „არ მოკვდებით“, რომელიც პირველად ევას უთხრა ედემში. როდესაც ეს სიცრუე მიიღეს ადამიანებმა და მათ დაიჯერეს, რომ ადამიანი უკვდავია, სატანამ ისინი უფრო შორს გაიყოლა, დაარწმუნა რა, რომ ცოდვილი იცოცხლებს მარადიულ ტანჯვაში. მაშინ სატანამ გზა გაიმზადა სამოქმედოდ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, რათა ღმერთი ადამიანების წინაშე წარმოეჩინა, როგორც შურისმაძიებელი ტირანი, რომელიც მისთვის არასასურველ ხალხს ჯოჯოხეთში გადასცემს, რათა მარად იმყოფებოდნენ მისი რისხვის ქვეშ. ადამიანები აუწერელ სატანჯველში იქნებიან, ხოლო ღმერთი ამ დროს კმაყოფილებით უყურებს, როგორ იგრიხებიან საშინელი ტანჯვის მარადიულ ცეცხლში. სატანამ იცოდა: თუკი ასეთ ტყუილს დაიჯერებენ, ბევრი ღმერთისადმი შიშითა და სიძულვილით განიმსჭვალება, იმის ნაცვლად, რომ უყვარდეთ იგი და აღფრთოვანებული იყონ მისით. ბევრი დაიჯერებს, რომ უფლის სიტყვის მუქარა არ სრულდება პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ეს შეეწინააღმდეგებოდა სიკეთისა და სიყვარულის ღვთიურ ხასიათს – მისი შექმნილი არსებების მარადიული ტანჯვისათვის გაწირვას. სატანამ ისინი მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა – არ მიექციათ არანაირი ყურადღება ღმერთის სამართლინობისა და მუქარისათვის მის სიტყვაში და წარმოედგინათ იგი ისე, თითქოს ის მხოლოდ სიკეთეა, ამიტომ არავინ დაიღუპება, არამედ როგორც წმინდანი, ასევე ცოდვილიც, ბოლოს და ბოლოს, გადარჩენილია მის სამეფოში. სულის უკვდავების და უსასრულო წამების შესახებ მცდარი პოპულარული აზრის შექმნით სატანა ატყუებს ადამიანთა სხვა კლასსაც, აიძულებს მათ უყურონ ბიბლიას, როგორც არაღვთივსულიერ წიგნს. ასეთი ადამიანები თვლიან, რომ იგი ბევრ კარგ რამეს ასწავლის, მაგრამ მათ არ ძალუძთ, მთლიანად დაეყრდნონ მას და უყვარდეთ იგი, რადგან მათ ასწავლეს, რომ მასში გაცხადებულია დოქტრინა მარადიული ტანჯვის შესახებ.

სატანა აცდუნებს ადამიანთა კიდევ ერთ კლასს და მიჰყავს ისინი იქამდეც კი, რომ ისინი ღმერთის არსებობას უარყოფენ. ისინი ვერ ხედავენ თანმიმდევრობას ბიბლიური ღმერთის

ხასიათში, თუკი ის კაცობრიობის ნაწილს საშინელი ტანჯვისათვის გაწირავს სამარადისოდ, ამიტომ უარყოფენ ბიბლიას და მის ავტორს, თვლიან რა, რომ სიკვდილი – ეს უბრალოდ მარადიული ძილია. არის ადამიანთა კიდევ ერთი კლასი: მშიშარა და მხდალი. სატანა უბიძგებს მათ ცოდვის ჩადენისაკენ და როდესაც ისინი შესცოდებენ, შთააგონებს, რომ ცოდვის გამო შურისგება სიკვდილი კი არა, სიცოცხლეა საზარელ ტანჯვაში, რომელიც უნდა განიცადონ უსასრულო მარადისობაში. ეშმაკი სარგებლობს შესაძლებლობით და აზვიადებს მათ მხდალ გონებაში უსასრულო ჯოჯოხეთის საშინელებებს, იპყრობს მათ გონებას და ისინი კარგავენ აზროვნების უნარს. მაშინ უხარიათ სატანასა და მის ანგელოზებს, ხოლო ურწმუნოები და ათეისტები ქრისტიანებს საყვედურებით აავსებენ. ისინი თვლიან, რომ ეს ბოროტება ბიბლიისადმი და მისი ავტორისადმი რწმენის ბუნებრივი შედეგია, იმ დროს, როცა სინამდვილეში იგი პოპულარული ერესის შედეგს წარმოადგენს.

მე ვიხილე, რომ ზეციური მხედრობა აღშფოთებული იყო სატანის ამგვარი თავხედური საქმიანობის გამო. მე დავინტერესდი, რატომ მიეცა ყველა ამ ცდომილებას ადამიანების გონებაზე ზემოქმედების უფლება? ღვთის ანგელოზები ხომ ძლევამოსილნი არიან და მათ რომ დაევალოს, ისინი იოლად დაძლევენ მტრის ძალას. მაშინ მე ვიხილე: ღმერთმა იცოდა, რომ სატანა ყველანაირ ხრიკს გამოიყენებს ადამიანის დასაღუპავად; ამიტომ იზრუნა მან თავისი სიტყვის დაწერის შესახებ და ასე ნათლად წარმოუჩინა თავისი ჩანაფიქრი ადამიანებს, რომ ყველაზე სუსტსაც კი უშეცდომოდ შეუძლია მისი გაგება. მისცა რა თავისი სიტყვა ადამიანს, უფალი მზრუნველობით იცავდა მას, რათა სატანას და მის ანგელოზებს რაიმე გზით ან ვინმეს მეშვეობით არ გაენადგურებინათ იგი. თუ სხვა ნებისმიერი წიგნი შეიძლება განადგურდეს, ამ წმინდა წიგნს უკვდავება ეწერა. ხოლო ჟამის დასასრულის მოახლოებისას, როცა გაძლიერდება სატანის სიცრუე, ბიბლიის ტირაჟი იმდენად მრავალრიცხოვანი უნდა გახდეს, რომ ყველა მსურველს შეეძლოს, ჰქონდეს ადამიანისთვის ღმერთის ნების გამოცხადების წიგნის ასლი. და თუ მოისურვებენ, შეუძლიათ აღიჭურვონ სატანის ცდუნებებისა და ცრუ სასწაულების წინააღმდეგ.

მე ვიხილე, რომ ღმერთი განსაკუთრებით იცავდა ბიბლიას, მაგრამ იმ დროს, როცა მისი ასლები ცოტა იყო, სწავლულებმა ზოგიერთ ადგილას შეცვალეს სიტყვა, რადგან თვლიდნენ, რომ უფრო გასაგებს გახდიან მას. სინამდვილეში კი, თავისი ფესვგამდგარი შეხედულებებისა და ტრადიციების გავლენით, მათ ფარული გახადეს ის, რაც ნათელი და გასაგები იყო. მაგრამ მე ვიხილე, რომ მთლიანობაში ღვთის სიტყვა ისეთ სრულყოფილ ჯაჭვს წარმოადგენს, რომელშიც წმინდა წერილის ერთი ნაწილი მეორეს განმარტავს. სიმართლის ჭეშმარიტი მაძიებელნი არ შეცდებიან და არა მარტო იმიტომ, რომ უფლის სიტყვა უბრალოდ და მკაფიოდ განმარტავს გზას სიცოცხლისაკენ, არამედ იმიტომაც, რომ მიეცათ სულიწმიდა, რათა წარმართოს მის სიტყვაში გაცხადებული ამ გზის შემეცნება.

მე ვიხილე, რომ უფლის ანგელოზები არ უნდა ბატონობდნენ ადამიანის ნებაზე. ღმერთი სთავაზობს ადამიანს სიცოცხლეს ან სიკვდილს. ადამიანი კი თავის არჩევანს აკეთებს. ბევრს აქვს სიცოცხლის სურვილი, მაგრამ ფართო გზით აგრძელებს სიარულს, ვინაიდან არ აირჩია სიცოცხლე.

მე ვიხილე ღმერთის წყალობა და თანაგრძნობა, იმაში გამოვლენილი, რომ მან საკუთარი ძე სასიკვდილოდ გაიღო ცოდვილი ადამიანისათვის. ვინც არ ისურვებს, მიიღოს მათთვის ესოდენ ძვირად შეძენილი ხსნა, სასჯელს იმსახურებს. ღმერთის შექმნილმა არსებებმა მისი მმართველობის წინააღმდეგ ამბოხების გზა აირჩიეს; მაგრამ მე ვიხილე, რომ არ ჩაუგდია ისინი ჯოჯოხეთში უსასრულო ტანჯვისათვის. უფალი ვერ წაიყვანს მათ ზეცაში, რადგან წმინდა და სპეტაკ საზოგადოებაში ყოფნა მათ სავსებით უბედურს გახდის. ღმერთი არ წაიყვანს მათ ზეცაში, მაგრამ არც მარადიული ტანჯვისათვის გაწირავს. ის სრულიად გაანადგურებს მათ, თითქოს არც ყოფილან არასოდეს და შემდეგ მისი სამართლიანობა დაკმაყოფილდება. მან შექმნა ადამიანი მიწის მტვრისაგან და ურჩებსა და უწმიდურებს ჩაყლაპავს ცეცხლი და კვლავ მიწად იქცევიან. მე ვიხილე, რომ ღმერთის სიკეთე და თანაგრძნობა, ამაში გამოვლენილი, გამოიწვევს ყველას აღფრთოვანებას მისი ხასიათის გამო და მის თაყვანისცემას. მას შემდეგ, რაც უწმინდურნი გაქრებიან, მთელი ზეციერი მხედრობა წარმოთქვამს: „ამინ!“

სატანა დიდი კმაყოფილებით უცქერდა მათ, ვისაც ქრისტეს სახელი სწამდა და ამავე დროს, მტკიცედ ემხრობოდა ეშმაკის გამოგონილ ცდომილებებს. მისი საქმიანობა სწორედ ისაა, რომ შექმნას სულ ახალ-ახალი სიცრუე. იზრდება მისი ძალა და მოხერხებულობა. მან შეაგულიანა თავისი წარმომადგენლები, პაპები და მღვდლები, განედიდებინათ საკუთარი

თავი, წაექეზებინათ ხალხი იმათი სასტიკი დევნისაკენ, ვისაც ღმერთი უყვარს და არ უჭერს მხარს მათი მეშვეობით წარმოდგენილ ტყუილს. სატანა აქეზებდა თავის ქომაგთ, გაენადგურებინათ ქრისტეს ერთგული მიმდევრები. ო, რა საზარლად ტანჯეს და აწამეს მათ ისინი, ვინც ძვირფასია ღმერთისათვის! ანგელოზებმა ზუსტი ანგარიში შეადგინეს ამასთან დაკავშირებით. ეშმაკი და მისი ბოროტი ანგელოზები ზეიმობდნენ და ეუბნებოდნენ წმინდა ანგელოზებს, რომლებიც წამებულ წმინდანებს ემსახურებოდნენ და ამხნევებდნენ, რომ ისინი მოკლავენ მათ და დედამიწაზე აღარ დარჩება არც ერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი. მე ვიხილე, რომ მაშინ ღვთის ეკლესია წმინდა იყო. იმ დროს მას იმის საფრთხე არ ემუქრებოდა, რომ მანკიერი გულების მქონე ადამიანები შეუერთდებიან მას, რადგან ჭეშმარიტ ქრისტიანს, რომელიც გაბედავდა თავისი რწმენის გამხელას, ელოდა წამება, კოცონი და უამრავი განსაცდელი, რომელთა გამოგონებაც და ადამიანთა გონებაში ჩადება შეეძლო სატანასა და მის ანგელოზებს.

იხ. დაბადება მე-3 თავი; ეკლესიასტე 9:5; 12:7; ლუკა 21:33; იოანე 3:16; 2 ტიმოთე 3:16; გამოცხადება 20:14-15; 21:1; 22:12-19

თავი 20

რეფორმაცია

მიუხედავად წმინდანთა დევნისა და განადგურებისა, ყველგან გამოჩნდნენ ცოცხალი მოწმეები. ღვთის ანგელოზები მათთვის მინდობილ საქმეს ასრულებდნენ. ისინი იკვლევდნენ ყველაზე ბნელ ადგილებს და წყვდიადიდან გამოჰყავდათ სუფთა გულის ადამიანები. ყველა ეს ადამიანი შემცდარი იყო, მაგრამ ღმერთმა ისინი, სავლეს მსგავსად, გამოიყენა რჩეულ ჭურჭლად, რათა მისი ჭეშმარიტება ეტარებინათ და მისი სახელის მატარებელი ხალხის ცოდვათა წინააღმდეგ თავისი ხმა აღემაღლებინათ. ღვთის ანგელოზებმა ზემოქმედება მოახდინეს მარტინ ლუთერზე, მელანქტონზე და სხვებზე სხვადასხვა ადგილას, გამოიწვიეს მათში უფლის სიტყვის ცოცხალი მოწმობის წყურვილი. მტერი მდინარესავით მოვარდა, ამიტომ აუცილებელი იყო მის წინააღმდეგ ალამის აღმართვა. ლუთერი გახდა რჩეული, რათა მკერდით შეეჩერებინა ქარიშხალი, წინააღმდეგობა გაეწია დაცემული ეკლესიის მძვინვარებისათვის და განემტკიცებინა ის მცირენი, ვინც თავისი წმინდა აღმსარებლობის ერთგულნი დარჩნენ. მას ყოველთვის ეშინოდა ღმერთის შეურაცხყოფის. ის ცდილობდა თავისი საქმეებით ღვთიური კეთილგანწყობა შეეძინა, მაგრამ ვერ მოისვენა, ვიდრე ზეციური სინათლის სხივმა არ განდევნა მისი გონებიდან წყვდიადი და არ ასწავლა მას, რომ მხოლოდ ქრისტეს სისხლის დამსახურებას უნდა დაეყრდნო და არა საკუთარ საქმეებს; პირადად მიხვიდე ღმერთთან არა პაპების ან სასულიერო პირების, არამედ მხოლოდ იესო ქრისტეს მეშვეობით. ო, რა ძვირფასი იყო ლუთერისათვის ეს ცოდნა! ახალ უძვირფასეს სინათლეს, რომელმაც გაანათა მისი დაბნელებული გონება და განდევნა მისი ცრურწმენა, ლუთერი ამქვეყნიურ ყველა საგანძურზე მეტად აფასებდა. ღვთის სიტყვა გაახლდა. ყოველივე გამოიცვალა. წიგნი, რომლისაც მას ასე ეშინოდა, რადგან ვერ ხედავდა მის სილამაზეს, ახლა მისთვის სიცოცხლედ იქცა. ის იყო მისი სიხარული, მისი ნუგეში, მისი კურთხეული მასწავლებელი. ვერაფერი აიძულებდა მის შესწავლაზე უარის თქმას. მას სიკვდილის ეშინოდა, მაგრამ როდესაც ღვთის სიტყვას კითხულობდა, ყველა მისი შიში ქრებოდა; ის აღტაცებაში მოჰყავდა ღმერთის ხასიათს და უყვარდა იგი. ლუთერი სწავლობდა ღვთის სიტყვას თავისი თავისთვის. ის ტკბებოდა ამ წიგნის მდიდარი საგანძურით, ხოლო შემდეგ სწავლობდა მას ეკლესიისათვის. მას სძულდა იმათი ცოდვები, ვისაც თავისი ხსნა მიანდო. მარტინი ხედავდა, რომ მრავალი იმყოფებოდა იგივე სიბნელეში, როგორშიც ის იყო. ის მოუთმენლად ელოდა შესაძლებლობას, როცა მიუთითებდა მათ ღვთის კრავზე, ერთადერთზე, ვინც საკუთარ თავზე იღებს წუთისოფლის ცოდვებს. მან ხმა აღიმაღლა პაპის ეკლესიის წინააღმდეგ, რადგან გულწრფელად მიისწრაფვოდა წყვდიადის იმ ჯაჭვის დამსხვრევისაკენ, რომლებითაც შებორკილი იყო ათასობით ადამიანი, ვისაც ასწავლეს, რომ ხსნის საკითხებში საქმეებს უნდა დაყრდნობოდნენ. მას მხურვალედ სურდა მათი გონებისათვის გაეხსნა უფლის მადლის ჭეშმარიტი სიმდიდრეები და იესო ქრისტეს მეშვეობით მიღებული ხსნის უპირატესობა. ლუთერმა მხურვალედ აიმაღლა ხმა და სულიწმიდის ძალით ამხელდა ეკლესიის ხელმძღვანელთა ცოდვებს. შეეჯახა რა მღვდელთა

უძლიერეს ოპოზიციას, არ დანებდა, რადგან ღმერთის ძლიერი ხელის მტკიცე იმედი ჰქონდა და რწმენით ელოდა მისგან გამარჯვებას. ის სულ უფრო მედგრად ჩაერთო ბრძოლაში, რითაც მღვდლების მრისხანებას იწვევდა. მათ არანაირი გარდაქმნა არ სურდათ. მათ უნდოდათ, რომ მათთვის თავი დაენებებინათ, დარჩენილიყვნენ გარყვნილ განცხრომასა და ცოდვაში. ისინი ცდილობდნენ, ეკლესია წყვდიადში დარჩენილიყო.

მე ვიხილე, რომ ლუთერი ფიცხი და გულმოდგინე, მამაცი და მედგარი იყო ცოდვის დაგმობასა და ჭეშმარიტების დაცვაში. მას არც უწმინდური ადამიანების ეშინოდა და არც ეშმაკეულების. მან იცოდა: მასთან მყოფი უფალი ყველა მათგანზე ბევრად უფრო ძლიერია. ლუთერს მხურვალე გული ჰქონდა, თავისი გულმოდგინებითა და სიმამაცით ზოგჯერ, შესაძლოა, ზედმეტად გასარჯულიყო; მაგრამ ღმერთმა წარმოაჩინა მელანქტონი, მისი საპირისპირო ხასიათის მქონე ადამიანი, რათა დახმარებოდა ლუთერს და გაეგრძელებინა რეფორმაციის საქმე. მელანქტონი მორიდებული, მოშიში, ფრთხილი იყო და დიდი მოთმინების უნარი გააჩნდა. ღმერთს ძლიერ უყვარდა იგი. მას წმინდა წერილი ღრმად ჰქონდა შემეცნებული, ხოლო მისი მსჯელობა და სიბრძნე აღფრთოვანებას იწვევდა. ღვთის საქმისადმი სიყვარულში ის არაფრით ჩამორჩებოდა ლუთერს. ეს გულები ღმერთმა შეაერთა და ისინი განუყრელ მეგობრებად იქცნენ. ლუთერი ეხმარებოდა მელანქტონს, როცა მას სიმხდალის და ინერტულობის გამოვლენის საფრთხე დაემუქრა, ხოლო მელანქტონი ასევე დიდი დახმარებას უწევდა ლუთერს, როდესაც მას ნაჩქარევი მოქმედებებისაგან აკავებდა. მელანქტონის შორსმჭვრეტელობა და სიფრთხილე ხშირად თავს აცილებდა მათ უბედურებას, რომელშიც შეიძლება აღმოჩენილიყვნენ, თუკი საქმეს მხოლოდ ლუთერი გააკეთებდა. და ხშირად საქმე წინ ვერ წაიწევდა, მარტო მელანქტონს რომ შეესრულებინა იგი. მე მეჩვენა ღვთიური სიბრძნე, რომელიც გამოვლინდა ამ ორი, ერთმანეთისაგან ხასიათით განსხვავებული, კაცის არჩევით რეფორმაციის საქმის განსახორციელებლად.

მაშინ ხილვაში მოვხვდი მოციქულთა დღეებში და დავინახე, რომ ღმერთმა თავის თანამშრომლებად აირჩია ფიცხი, მოშურნე პეტრე და მოკრძალებული, მომთმენი, დამყოლი იოანე. ზოგჯერ პეტრე იმდენად ფიცხი იყო, რომ საყვარელი მოწაფე ხშირად აჩერებდა პეტრეს, როცა მისი მგზნებარება ზღვარს გადადიოდა, მაგრამ ამან ვერ შეცვალა პეტრე. მაგრამ მას შემდეგ, რაც პეტრემ უარყო თავისი უფალი, მოინანია და მოიქცა, საკმარისი იყო იოანეს მხრიდან სულ მცირეოდენი გაფრთხილებაც კი, რომ ჩამცხრალიყო მისი მგზნებარება და სიფიცხე. პეტრეს მგზნებარება აუცილებელიც კი იყო. მის სიმამაცეს და ენერგიას ხშირად გადაურჩენია ისინი სიძნელეებისას და ადუმებდა მათ მტრებს. იოანე მომხიბვლელი იყო. მან მრავალი შეიძინა ქრისტეს საქმისათვის თავისი მოთმინების, დამთმობი ხასიათის და დიდი ერთგულების წყალობით.

ღმერთმა წარმოაჩინა ადამიანები, რათა პაპის ეკლესიის ცოდვები ემხილა და რეფორმაციის საქმე წაეწია წინ. სატანა ცდილობდა ამ ცოცხალი მოწმეების განდგურებას. მაგრამ უფალმა მათ ირგვლივ დამცავი კედელი ააგო. ზოგიერთნი მისი სახელის სადიდებლად ღირსნი გახდნენ, საკუთარი სისხლით აღებეჭდათ თავისი მოწმობა, მაგრამ იყვნენ ძლიერნიც, როგორიც ლუთერი და მელანქტონი იყო, რომელთაც საუკეთესოდ შეეძლოთ ღმერთის განდიდება იმით, რომ ცხოვრობდნენ და ხმამაღლა ამხელდნენ პაპების, მღვდლების და მეფეების ცოდვებს. ისინი კი თრთოდნენ ლუთერის ხმის წინაშე. ამ რჩეული კაცების წყალობით სინათლის სხივები ფანტავდნენ წყვდიადს და მრავალმა მადლიერებით მიიღო ნათელი და დადიოდა მასში. როდესაც ერთ მოწმეს მოკლავდნენ, ორი ან მეტი ჩნდებოდა, რათა მისი ადგილი დაეკავებინა.

მაგრამ სატანა უკმაყოფილო იყო. მისი ძალაუფლება მხოლოდ მორწმუნეთა სხეულზე ვრცელდებოდა, მაგრამ არ ჰქონდა იმის უნარი, ეიძულებინა ისინი, უარი ეთქვათ რწმენასა და იმედზე. და სიკვდილის მომენტშიც კი ხარობდნენ იმ ნათელი იმედით, რომ უკვდავებას მიიღებენ მართალთა აღდგომისას. მათ გააჩნდათ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ადამიანის ძალაა. ისინი ფრთხილობდნენ მუდამჟამს ქრისტეს იარაღით შემორტყმულნი, მუდამ მზად იყვნენ საბრძოლველად არა მხოლოდ სულიერ მოწინააღმდეგეებთან, არამედ სატანასთანაც, მოსულთან იმ ადამიანების სახით, რომლებიც მუდამ გაიძახიან: „უარი თქვი შენს რწმენაზე ან მოკვდი“. ის არცთუ ისე ბევრი ქრისტიანი ძლიერი იყო ღმერთში. მის თვალში ისინი უფრო ძვირფასნი იყვნენ, ვიდრე ნახევარი წუთისოფელი, რომელიც ქრისტეს სახელს ატარებდა, მაგრამ მის საქმეში სიმხდალე გამოიჩინა. იმ დროს, როცა ეკლესია იდევნებოდა, ისინი გაერთიანებულნი და მოსიყვარულენი იყვნენ. ძლიერნი იყვნენ ღმერთში. ცოდვილთ არ შეეძლოთ მათთან შეერთება – არც მატყუარებს, არც მოტყუებულებს. ქრისტეს მოწაფეობა

შეეძლო მხოლოდ მათ, ვინც ყველაფერი დათმო მისი გულისათვის. მათ მოსწონდათ, ყოფილიყვნენ ღარიბნი, მორჩილნი, იესოს მსგავსად.

იხ. ლუკა 22:61-62; იოანე 18:10; საქმეები მე-3 და მე-4 თავები.

თავი 21

ეკლესიის გაერთიანება წუთისოფელთან

მაშინ სატანა თავის ანგელოზებთან თათბირობდა და განიხილავდა მიღწეულ შედეგებს. მართალია, მათ შეძლეს, რომ ჭეშმარიტების აღიარებაზე რამდენიმე მხდალ ადამიანს სიკვდილის შიშით უარი ეთქვა, მაგრამ მრავალმა, თუნდაც ყველაზე მხდალმა, მიიღო იესო და მაშინვე დატოვა ისინი შიშმა და სიმხდალემ. გახდნენ რა თავისი ძმების სიკვდილის მოწმენი, ხედავდნენ რა მათ სიმტკიცესა და მოთმინებას, მიხვდნენ, რომ ღმერთი და მისი ანგელოზები დაეხმარნენ მათ მსგავსი ტანჯვის გადატანაში, ამიტომ თავადაც მამაცნი და უშიშარნი ხდებოდნენ. და როდესაც საჭირო იყო საკუთარი სიცოცხლის გაწირვა, ინარჩუნებდნენ რწმენას ისეთი მოთმინებითა და სიმტკიცით, რომ მათი მკვლელებიც კი ძრწოდნენ. სატანამ და მისმა ანგელოზებმა გადაწყვიტეს, რომ არსებობს უფრო წარმატებული და, საბოლოოდ, უფრო საიმედო ხერხი ადამიანთა სულების დასაღუპად. ბოროტი ძალები ხედავდნენ: თუმც ტანჯავდნენ ქრისტიანებს, მათი შეურყევი და ნათელი, გამამხნევებელი იმედი სუსტებს იმდენად აძლიერებდა, რომ არც ეშაფოტს, არც ცეცხლს შეეძლო მათი შეშინება. მათთვის მისაბაძი იყო ქრისტეს კეთილშობილური საქციელი თავისი მკვლელების წინაშე და მრავალნი, ვინც მათი სიმტკიცისა და მათზე ღვთიური ნათელის დიდების მოწმე გახდა, აღიარებდნენ ჭეშმარიტებას. სატანამ გადაწყვიტა, უფრო შეერბილებინა თავისი მეთოდები. მან გააუკუღმართა ბიბლიის დოქტრინები, ამიტომაც მილიონობით ადამიანთა დასაღუპად ღრმად გაიდგა ფესვები ტრადიციებმა. ცდილობდა რა თავისი სიძულვილის დაოკებას, გადაწყვიტა არ წაექეზებინა თავისი დამქაშები ამგვარი დაუნდობელი დევნისაკენ, არამედ გაეკეთებინა ისე, რომ ეკლესია რწმენაზე კი არა, სხვადასხვა ტრადიციებზე დაფუძნებულიყო. როდესაც მან შეძლო ეკლესიის შემობრუნება წუთისოფლის მხრიდან პატივის მიგებისა და კეთილგანწყობისაკენ, თითქოსდა წუთისოფლისათვის სასიკეთოდ, ეკლესიას ღმერთის წყალობის დაკარგვის საშიშროება დაემუქრა. ეკლესიას თანდათან ეკარგებოდა ძალა, რადგან თავს იკავებდა იმ ჭეშმარიტებათა გაცხადებისაგან, რომლებიც კარს დახურავდნენ წუთისოფლის სიამოვნებათა მოყვარულთა და მეგობართა ამა ქვეყნისა წინაშე.

დღეს ეკლესია არ წარმოადგენს განცალკევებულ, განსაკუთრებულ ხალხს, როგორიც იყო იგი იმ დროს, როცა მის წინააღმდეგ დევნის ალი აგიზგიზდა. რატომ მქრქალდება ოქრო? როგორი სახე მიიღო საუკეთესო ოქრომ? მე ვიხილე: ეკლესიას რომ მუდმივად შეენარჩუნებინა თავისი რწმენა, განსაკუთრებული ხასიათი, სულიწმიდის ძალა, რომლითაც იყვნენ აღვსილი ქრისტეს მოწაფეები, მასში დაივანებდა. სნეულები განიკურნებოდნენ, ეშმაკებს აეკრძალებოდათ და განიდევნებოდნენ; ეკლესია ძლევამოსილი იქნებოდა და თავის მტრებს შიშის ზარს დასცემდა.

მე ვიხილე, რომ მრავალი ადამიანი ქრისტეს სახელს აღიარებდა, მაგრამ ღმერთი მათ თავისად არ მიიჩნევდა. მას არ სიამოვნებდა ისინი. სატანამ თითქოს რელიგიური ხასიათი მიიღო და ძლიერ სურდა, ადამიანებს ეფიქრათ, რომ ისინი ქრისტიანები არიან. მას უნდოდა, რომ ხალხს ერწმუნა იესო, მისი ჯვარცმა და აღდგომა. ეშმაკსა და მის ანგელოზებს თავადაც სწამთ ამის და ძრწიან. მაგრამ თუკი ეს რწმენა კეთილი საქმეების კეთების, ქრისტეს თავგანწირული ცხოვრების მიბაძვის სურვილს არ აღუძრავს მის აღმსარებლებს, ის მშვიდადაა, რადგან მათ მიიღეს მხოლოდ სახელი ქრისტიანისა, ამ დროს კი მათი გულები ხორციელი დარჩა. ის გამოიყენებს მათ თავის სამსახურში უფრო წარმატებულად, ვიდრე მაშინ, როცა რწმენაში არ იქნებოდნენ. ქრისტიანთა სახელის ქვეშ ასეთი ადამიანები თავის გარყვნილებას ფარავენ. ისინი რჩებიან უწმიდური ხასიათისა და აღვირახსნილი ბოროტი ვნებების მატარებლებად. ეს აძლევს საბაბს ურწმუნოთ, უსაყვედურონ იესო ქრისტეს მათი არასრულყოფილების გამო და სახელი გაუტეხონ მათ, ვინც წმინდა, შეურყვნელი რელიგიის მიმდევარია.

მსახურნი ქადაგებენ მიმზიდველსა და სასიამოვნოს, რაც ხორციელ მორწმუნეთა სულს ესალბუნება. სწორედ აქეთკენ მიისწრაფოდა სატანა. ასეთი მსახურნი ვერ ბედავენ იესოს ქადაგებას და ბიბლიის მამხილებელ ჭეშმარიტებათა გამოცხადებას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ხორციელი მორწმუნეები არ მოუსმენდნენ მათ. ბევრი მათგანი შეძლებულია, ამიტომ ისინი უნდა დააკაონ ეკლესიაში, თუმცა მათ ისევე ეკუთვნით მასში ყოფნა, როგორც სატანას თავის ანგელოზებთან ერთად. წუთისოფლის თვალში იესოს რელიგია პოპულარულია და საპატიო. ხალხს ეუბნებიან, რომ რელიგიის აღმსარებლები დიდ პატივისცემას მოიპოვებენ წუთისოფელში. ამგვარი შეგონებანი ძლიერ განსხვავდება ქრისტეს შეგონებათაგან. მისი სწავლება და წუთისოფელი – ეს შეურიგებელია ერთმანეთს შორის. ისინი, ვინც იესოს მიჰყვებოდა, უნდა განდგომოდა წუთისოფელს. ხოლო ეს საამებელი ლაპარაკი, რომელიც გვერდს უვლის საჭირბოროტო საკითხებს, სატანისა და მისი ანგელოზებიდან იღებს სათავეს. მათ შეადგინეს გეგმა, ხოლო სახელით ქრისტიანებმა განახორციელეს იგი. პირფერნი და ცოდვილნი უერთდებიან ეკლესიას. მიეწოდებათ საამებელი იგავები, რომლებსაც ხალისით იღებენ. მაგრამ ჭეშმარიტება რომ იქადაგებოდეს თავის სიწმინდეში, ის სწრაფად განდევნიდა პირფერებსა და ცოდვილებს. მაგრამ ეგრეთ წოდებულ ქრისტეს მიმდევრებსა და წუთისოფელს შორის განსხვავება არ არსებობს. მე ვიხილე: ეკლესიის წევრებს ცრუ საფარველი რომ მოხსნოდა, ისეთი უკანონობა, სიმდაბლე და გარყვნილება გამოაშკარავდებოდა, რომ ღვთის ყველაზე მხდალი შვილიც კი უყოყმანოდ უწოდებდა მათ თავის ნამდვილ სახელს – მათი მამის, სატანის, შვილებს, რადგან მის საქმეებს ემსახურებიან. იესო და მთელი ზეციური მხედრობა ზიზღით უცქერდა ამ სცენას, მაგრამ მაინც ჰქონდა ღმერთს ეკლესიისთვის უწყება – წმინდა და მნიშვნელოვანი. და ის რომ მიეღო ეკლესიას, მასში ძირფესვიან გარდაქმნას მოახდენდა, გამოაფხიზლებდა ცოცხალ მოწმობას, რომელიც მას პირმოთნეთ და ცოდვილთ ჩამოაცილებდა და ეკლესიას ღმერთის წყალობას დაუბრუნებდა.

იხ. ესაია 30:8-21; იაკობი 2:19; გამოცხადება მე-3 თავი

თავი 22

უილიამ მილერი

მე ვიხილე, რომ ღმერთმა თავისი ანგელოზი გაგზავნა, რათა გავლენა მოეხდინა უილიამ მილერზე, ფერმერზე, რომელსაც არ სწამდა ბიბლიის და მის გულში წინასწარმეტყველებათა კვლევის სურვილი აღეძრა. ღვთის ანგელოზები მრავალჯერ სტუმრობდნენ ამ რჩეულ კაცს, არიგებდნენ და ეხმარებოდნენ იმ წინასწარმეტყველებათა გაგებაში, რომლებიც აქამდე მიუწვდომელი იყო ღვთის ხალხის გონებისათვის. მას მიეცა ჭეშმარიტების ჯაჭვის დაწყებითი რგოლი და ის მოწოდებული იყო გამოეკვლია თითოეული რგოლი, ვიდრე ღვთის სიტყვა არ გააოცებდა და არ აღაფრთოვანებდა. მილერმა დაინახა მასში ჭეშმარიტების სრულყოფილი ჯაჭვი. სიტყვა, რომელიც უწინ ღვთივსულიერად არ მიაჩნდა, ახლა მის თვალწინ მთელი თავისი მშვენიერებითა და დიდებით წარსდგა. ის ხედავდა, რომ წმინდა წერილის ერთი მუხლი მეორეს განმარტავს და როდესაც რაიმე გაუგებარი იყო მისთვის, ის განმარტებას წერილის სხვა ნაწილში პოულობდა. უილიამი უფლის წმინდა სიტყვას სიხარულით, ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა.

წინასწარმეტყველებათა გამოკვლევისას, მან დაინახა, რომ დედამიწის მკვიდრნი, ისე, რომ თავად არც კი იციან ამის შესახებ, კაცობრიობის ისტორიის უკანასკნელი მოვლენების ჟამს ცხოვრობენ. ხედავდა რა ეკლესიის დაცემას, მილერი მიხვდა, რომ მათ დაკარგეს იესოსადმი სიყვარული და წუთისოფლისაკენ იბრუნეს პირი; ისინი მიწიერ დიდებას ეძებდნენ იმ დიდების ნაცვლად, რომელიც ღმერთისაგანაა; მათ მიწიერი დიდება სწყუროდათ იმის ნაცვლად, რომ განძი ზეცაში მოეგროვებინათ. იგი ყველგან პირფერობას, სიბნელესა და სიკვდილს ხედავდა. აღშფოთდა მისი სული. ღმერთმა მოუწოდა, დაეტოვებინა თავისი მამული, როგორც მოუხმო ელისეს, დაეტოვებინა თავისი ხარები და საქმიანობა, რათა ელიას გაჰყოლოდა. თრთოლვით უხსნიდა უილიამი ხალხს ღვთის სამეფოს საიდუმლოს. ყოველი ძალისხმევა უფრო და უფრო მეტ ძალას მატებდა. წინასწარმეტყველებათა გამოცხადებით, მან ხალხი ქრისტეს მეორედ მოსვლასთან მიიყვანა. მსგავსად იმისა, როგორც იოანე ნათლისმცემელმა გამოაცხადა იესოს პირველი მოსვლა და ამზადებდა

მისთვის გზას, უილიამ მილერმა და მისმა მიმდევრებმა გამოაცხადეს ღვთის ძის მეორედ მოსვლის შესახებ.

მე დაბრუნებული ვიქენი უკან, მოციქულთა დროში და მე მეჩვენა საყვარელი იოანე, რომლისთვისაც ღმერთს განსაკუთრებული საქმე ჰქონდა დავალებული. სატანა ამ საქმიანობას მტკიცედ აღუდგა წინ, წააქეზა თავისი მსახურები, რათა იოანე გაენადგურებინათ. მაგრამ ღმერთმა თავისი ანგელოზი გააგზავნა და სასწაულებრივად დაიფარა იგი. ყველა, ვინც უფლის დიადი ძალის მოწმე გახდა, როცა მან იოანე გამოიხსნა, ძლიერ გაოცდა; ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი მასთან იყო და მისი მოწმობა იესოს შესახებ ჭეშმარიტია. ისინი, ვინც მის განადგურებას ლამობდა, შიშობდნენ, ხელახლა ეცადათ მისი მოკვლა და მას საშუალება მიეცა, კვლავაც იესოსთვის გატანჯულიყო. იოანეს მისმა მტრებმა ცრუ ბრალდება წაუყენეს და გადაასახლეს დაუსახლებელ კუნძულზე, სადაც უფალმა თავისი ანგელოზი გაგზავნა, რათა მისთვის დედამიწის მომავალი მოვლენები გაეცხადებინა. იოანემ იხილა ეკლესიის მდგომარეობა წუთისოფლის დასასრულამდე ყველა საუკუნეში, რწმენისაგან მისი განდგომა და ის მდგომარეობა, რომელიც მან უნდა დაიკავოს, თუ სურს ღმერთის კეთილგანწყობის მოპოვება და გამარჯვება. იოანესთან ზეციდან დიდებით მოსილი ანგელოზი მოვიდა. მისი სახე ზეცის საუცხოო დიდებით ბრწყინავდა. მან გამოუცხადა მოციქულს უფლის ეკლესიასთან დაკავშირებული, ამაღელვებელი მოვლენების შესახებ, ასევე იმ საფრთხეებისა და შეჯახებების შესახებ, რომელთა გავლაც მას მოუწევს. იოანე ხედავდა, რომ ღვთის შვილები ცეცხლით გამოიცდებიან და გამოვლენ იქიდან სუფთები, გამოცდილები და, საბოლოოდ, გამარჯვებულნი, გადარჩენილნი იესო ქრისტეში. ანგელოზის სახე სიხარულსა და საგანგებო დიდებულებას ასხივებდა, როცა მან იოანეს ეკლესიის საბოლოო გამარჯვება უჩვენა. ეკლესიის ტრიუმფალური გადარჩენის ხილვამ აღაფრთოვანა იოანე. ამ სურათის დიდებულებით გაოგნებული, ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით დაეცა იგი ანგელოზის ფერხთით, რათა თაყვანი ეცა მისთვის. ანგელოზმა უმალ წამოაყენა და რბილად უსაყვედურა: „ამას ნუ იზამ. შენი და შენი ძმების თანამსახური ვარ, რომელთაც იესოს მოწმობა აქვთ. თაყვანი ეცი ღმერთს, რადგან იესოს მოწმობა წინასწარმეტყველების სულია“. მაშინ ანგელოზმა უჩვენა ზეციური ქალაქი მთელი მისი მშვენიერებითა და თვალისმომჭრელი დიდებით. იოანე აღაფრთოვანა და გააოგნა ქალაქის დიდებულებამ. სულ დაავიწყდა ანგელოზის საყვედური და კვალვ დაეცა მის ფერხთით თაყვანსაცემად, მაგრამ მან კვლავ უსაყვედურა: „ნუ იზამ ამას, რადგან მე თანამსახური ვარ შენი და შენი წინასწარმეტყველი ძმების, და იმათი, ვინც ინახავს ამ წიგნის სიტყვებს. ღმერთს ეცი თაყვანი“.

მქადაგებლები და ხალხი თვლიდნენ, რომ გამოცხადების წიგნი საიდუმლოებითაა მოცული და ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა წერილების სხვა ნაწილები. მაგრამ მე ვიხილე, რომ ეს წიგნი ჭეშმარიტად გამოცხადებაა, რომელიც მიეცა უკანასკნელი ჟამის მაცხოვრებელთ და განსაკუთრებულად სასარგებლოა მათ დასამოძღვრად ჭეშმარიტი ვითარებისა და მოვალეობის გაცნობიერებისათვის. ღმერთმა უილიამ მილერის აზრები მიმართა წინასწარმეტყველებებისაკენ და მისცა მას დიდი ნათელი გამოცხადების წიგნთან დაკავშირებით..

ხალხი დანიელის ხილვებს რომ ჩაწვდომოდა, იოანეს ხილვებს უკეთ გაიაზრებდა. მაგრამ საჭირო ჟამს ღმერთმა შეაგულიანა თავისი რჩეული მსახური, სულიწმიდის ძალით ნათლად გაეცხადებინა წინასწარმეტყველებანი და ეჩვენებინა, რომ დანიელის და იოანეს ხილვებსა და ბიბლიის სხვა ნაწილებს შორის ჰარმონია არსებობს, აგრეთვე ადამიანთა გულებამდე მიეტანა ღვთის სიტყვის წმინდა საზარელი გაფრთხილებები, რათა მომზადებულიყვნენ ისინი კაცის ძის მოსვლისათვის. ღრმა, სერიოზული აზრები ავსებდა მილერის ყველა მსმენელის გონებას; მსახურნი და ხალხი, ცოდვილნი და უღმერთონი მოიქცნენ უფლისაკენ, რათა მზადყოფნით შეხვედროდნენ სამსჯავროს დღეს.

ღვთის ანგელოზები იყვნენ უილიამ მილერის თანმხლებნი მისი მისიის შესრულებისას. იგი მტკიცე და მამაცი იყო, მედგრად ავრცელებდა მისთვის მინდობილ უწყებას. ცოდვებში ჩაფლული წუთისოფელი და ცივი, საერო სულისკვეთებით გამსჭვალული ეკლესია – ეს საკმარისი იყო მისთვის, რომ მოეკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე, ხალისით ეღვაწა, გადაეტანა სიდუხჭირე და ტანჯვა. თუმცა უილიამი წინააღმდეგობას წააწყდა ცრუ ქრისტიანთა და წუთისოფლის მხრიდან, იწვნია სატანისა და მისი ანგელოზების თავდასხმები, მაგრამ არ შეუწყვეტია მარადიული სახარების ქადაგება მრავალი

ადამიანისათვის ყველგან, სადაც იწვევდნენ და ხმამაღლა მოუწოდებდა მათ: „გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, რადგან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი“.

იხ. მესამე მეფეთა 19:16-21; დანიელი 7-12 თავები; გამოცხადება 1-ლი თავი; 14:7; 19:8-10; 22:6-10

თავი 23

პირველი ანგელოზის უწყება

მე ვიხილე, რომ 1843 წელს ჟამის გამოცხადება ღმერთის ნება იყო. მისი განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეფხიზლებინა ხალხი და მიეყვანა იგი გამოსაცდელ მომენტამდე, როცა მან არჩევანი უნდა გააკეთოს. მსახურები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი პოზიცია წინასწარმეტყველურ პერიოდებთან დაკავშირებით, მართებული იყო. დათმეს რა თავისი სიამაყე, ჯამაგირი და თავისი ეკლესიები, ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და ყველას ამ ამბავს ამცნობდნენ. მაგრამ რადგანაც ზეციურმა უწყებამ გამოხმაურება ჰპოვა ქრისტეს მხოლოდ ზოგიერთ მსახურში, როგორც ისინი თავის თავს უწოდებდნენ, ეს სამუშაო დააწვა სხვა მრავალთ, რომლებიც მქადაგებლები არ იყვნენ. ერთნი თავს ანებებდნენ ხვნა-თესვას, რათა მაცნეები გამხდარიყვნენ, მეორენი ტოვებდნენ თავის ფარდულებსა და ვაჭრობას. ზოგიერთი პროფესიონალი მუშაკიც კი იძულებული იყო თავის საქმიანობაზე უარი ეთქვა, რათა პირველი ანგელოზის უწყების გამოცხადების არაპოპულარულ საქმეში ჩაბმულიყო. მსახურები უარს ამბობდნენ თავის სექტანტურ შეხედულებებსა და გრძნობებზე, ერთიანდებოდნენ იესოს მოსვლის გამოცხადებაში. სადაც არ უნდა შეეღწია ამ უწყებას, ყველგან ხალხის მღელვარებას იწვევდა. ცოდვილნი ინანიებდნენ, ტიროდნენ და ლოცულობდნენ მიტევების შესახებ; ისინი, ვინც არაპატიოსან ცხოვრებას ეწეოდა, ცდილობდნენ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

მშობლები ძლიერ ღელავდნენ თავისი შვილების გამო. ისინი, ვინც მიიღო ეს უწყება, იღვწოდნენ თავისი ურწმუნო მეგობრებისა და ნათესავებისათვის. იმ დროს, როცა მათი სულები საზეიმო უწყების ტვირთით იყო დამძიმებული, ისინი აფრთხილებდნენ მათ და დაჟინებით თხოვდნენ, მომზადებულიყვნენ კაცის ძის მოსვლისათვის. მაგრამ ზოგიერთნი იმდენად გასასტიკებული იყვნენ, რომ არ იღებდნენ იმათ სარწმუნო მტკიცებულებებს, ვინც მათ გონებამდე ამ გულწრფელი გაფრთხილების მიტანას ცდილობდა. სულის განმწმენდი ამგვარი ზემოქმედების შედეგად, ადამიანები ზურგს აქცევდნენ წუთისოფელს, რაც აქამდე უნახავ მიძღვნას იწვევდა. ათასობით ადამიანი იღებდა ჭეშმარიტებას, რომელსაც უილიამ მილერი ქადაგებდა და უფლის მსახურნი გამოდიოდნენ ელიას სულით და ძალით, რათა ეს უწყება გამოეცხადებინათ. ამ საზეიმო უწყების მქადაგებლები იოანეს, იესოს წინამორბედის, მსგავსად გრძნობდნენ, რომ იძულებული არიან ცული დადონ ხეთა ფესვთან და მოუხმონ ხალხს, რათა მონანიების ღირსი ნაყოფი გამოიღონ. მათი მოწმობის მიზანი ეკლესიის გაფრთხილება და მასზე ძლიერი ზემოქმედების მოხდენა, მისი ჭეშმარიტი ხასიათის აღმოჩენა იყო. როდესაც მათ აღიმაღლეს ხმა მომავალი რისხვისაგან თავის დახსნის საზეიმო გაფრთხილებაში, ბევრმა ადამიანმა ეკლესიაში მიიღო ეს განმკურნებელი ამბავი, დაინახა თავისი განდგომილება და მონანიების ცხარე ცრემლებით, ძლიერი სულიერი განცდებით დაემორჩილა ღმერთის ნებას. როდესაც ღვთის სულმა დაივანა მათზე, ისინი შეუერთდნენ გამოცხადებას: „გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, რადგან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი“.

ზუსტი დროის შესახებ ქადაგებამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ადამიანთა ყველა კლასის მხრიდან, კათედრასთან მდგომი მსახურებით დაწყებული, ყველაზე აშკარა, თავხედი ცოდვილით დამთავრებული. „არავინ იცის არც დღე, არც საათი“, – გაისმოდა პირმოთნე მქადაგებელთა და თავხედ ცინიკოსთა მხრიდან. არც ერთს, არც მეორეს არ სურდათ, ესწავლათ და გამოსწორებულიყვნენ ადამიანთა მიერ გამოყენებული მუხლების საფუძველზე, რომლებიც მიუთითებდა წელს, როცა, როგორც მათ სწამდათ, დასრულდება წინასწარმეტყველური პერიოდები და მიუთითებდა ნიშნებს, რომლებიც მოასწავებდა, რომ ქრისტეს მოსვლის ჟამი მოახლოებული, უკვე კარს მომდგარია. ფარის ბევრი მწყემსი, ლაპარაკობდა რა ქრისტესადმი თავის სიყვარულზე, აცხადებდა, რომ ისინი ქრისტეს მოსვლის შესახებ ქადაგების წინააღმდეგნი კი არ არიან, არამედ ჟამის განსაზღვრას ეწინააღმდეგებიან. ღმერთის ყოვლისმხილველი თვალი მათ გულებს ხედავდა, მათ არ

ახარებდათ აზრი იესოს მოსვლის ჟამის მოახლოების შესახებ. იცოდნენ, რომ მათი არაქრისტიანული ცხოვრება ვერ გაუძლებს გამოცდას, რადგან არ ვიდოდნენ ქრისტეს მიერ გაკვალული მორჩილების გზით. ეს ცრუ მწყემსები ღვთის საქმეს ხელს უშლიდნენ. დამაჯერებელი ძალით გამოცხადებულმა ჭეშმარიტებამ ხალხი გამოაფხიზლა და, სატუსაღოს მცველის მსგავსად, იგი კითხულობდა: „რა ვქნა, რომ გადავრჩე“. მაგრამ ცრუ მწყემსნი ჩადგნენ ჭეშმარიტებასა და ხალხს შორის და ქადაგებდნენ სასიამოვნოს, რათა ის ჭეშმარიტებას დაეშორებინათ. ისინი სატანასა და მის ანგელოზებთან გაერთიანდნენ და იძახდნენ: „მშვიდობა! მშვიდობა!“ – იმ დროს, როცა მშვიდობა არ სუფევდა. მე ვიხილე, რომ ღვთის ანგელოზები ყოველივე ამას აღნიშნავდნენ და ამ მწყემსთა სამოსი ადამიანთა სისხლით იყო მორწყული. მათ, ვინც უდარდელად და ღმერთისაგან დაშორებით ცხოვრობდა, არ სურდათ ხორციელი უსაფრთხოებისაგან გამოფხიზლება.

ბევრმა მსახურმა არ მოისურვა ამ გადამრჩენელი უწყების მიღება და მათაც კი უშლიდა ხელს, ვისაც მისი მიღება შეეძლოთ. ადამიანთა სისხლია მათზე. მქადაგებელნი და ხალხი გაერთიანდნენ, რათა წინ აღდგომოდნენ ამ ზეციურ უწყებას. ისინი დევნიდნენ უილიამ მილერს და მასთან საქმეში დაკავშირებულთ. ვრცელდებოდა ცრუ ხმები მათი გავლენისათვის ხელის შესაშლელად. სხვადასხვა დროს, მას შემდეგ, რაც იგი ყველასათვის გასაგებად აცხადებდა ღმერთის რჩევას და მსმენელთა გულებს ჭეშმარიტებით აღავსებდა, მის წინააღმდეგ რისხვის ალი სულ უფრო ძლიერდებოდა და როცა ის შეკრების ადგილს ტოვებდა, ზოგიერთნი უსაფრდებოდნენ და მისი სიცოცხლის ხელყოფას ცდილობდნენ. მაგრამ ღვთის ანგელოზებს დავალებული ჰქონდათ მისი სიცოცხლის დაცვა და მათ იგი გააფთრებული ბრბოდან უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდათ. ამ მქადაგებლის სამუშაო ჯერ არ დასრულებულიყო.

უფრო მეტად მიძღვნილი ადამიანები უწყებას სიხარულით იღებდნენ. ანგელოზები ღრმა ინტერესით ადევნებდნენ თვალს ზეციური უწყების გამოცხადების შედეგებს და როდესაც ეკლესიამ მას ზურგი აქცია და უარყო იგი, ისინი მწუხარებით თათბირობდნენ იესოსთან. მან პირი იბრუნა ამ ეკლესიათაგან და თავის ანგლოზებს უბრძანა მონდომებით დაეცვათ ის ძვირფასი სულები, ვინც არ უარყო მოწმობა, ვინაიდან მათთვის კიდევ ერთი უწყება უნდა ამობრწყინებულიყო.

მე ვიხილე: ქრისტიანობის აღმსარებელთ თავისი მხსნელის მოსვლა რომ შეჰყვარებოდათ, მათი ყველა გრძნობა მისთვის რომ მიეძღვნათ და გაეაზრებინათ, რომ ამ ქვეყანაზე მას არაფერი შეედრება, სიხარულით მიესალმებოდნენ პირველ უწყებას მისი მოსვლის შესახებ. მაგრამ სიძულვილი, რომელიც მათ თავისი უფლის მოსვლის შესახებ უწყების გაგონების შემდეგ გამოავლინეს, იმის უდავო მტკიცებულება იყო, რომ მათ იგი არ უყვართ. გაიხარა სატანამ და მისმა ანგელოზებმა და ქრისტესა და მის ანგელოზებს სახეში მიახალეს, რომ მის აღმსარებელ ხალხს ესოდენ მცირე სიყვარული გააჩნიათ იესოსადმი და მისი მეორედ მოსვლა არ სურთ.

მე ვიხილე ღვთის ხალხი თავისი უფლის სასიხარულო მოლოდინის ჟამს. მაგრამ ღმერთმა მისი გამოცდა გადაწყვიტა. მისმა ხელმა დაფარა წინასწარმეტყველური პერიოდების გამოთვლაში დაშვებული შეცდომა. თავისი უფლის მომლოდინეებმა ვერ აღმოაჩინეს იგი; ჟამის გამოთვლის მოწინააღმდეგე სწავლულებმაც ვერ შეამჩნიეს იგი. ღმერთის ჩანაფიქრით მის ხალხს იმედგაცრუება უნდა გამოეცადა. გავიდა დრო და მორწმუნეები, ვინც სიხარულითა და იმედით ელოდნენ თავის მხსნელს, მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, მაშინ როცა ისინი, ვინც არ შეიყვარა იესოს მოსვლა, მაგრამ მიიღეს ეს უწყება შიშის გამო, კმაყოფილნი იყვნენ, რომ მოსალოდნელ დროს იგი არ მოვიდა. მათი აღსარება არც მათ გულს შეეხო და არც მათი ცხოვრება განწმინდა. დათქმული დრო კარგად იყო გამოთვლილი, რათა ასეთი გულები გამოაშკარავებულიყო. ისინი პირველები იყვნენ, ვინც უკან დაიხია და დამწუხრებულთ და იმედგაცრუებულთ, თავისი მხსნელის მოსვლაში ჭეშმარიტად შეყვარებულთ დასცინოდა. მე ვიხილე ღმერთის სიბრძნე იმაში, რომ მან გამოსცადა თავისი ხალხი და შეამოწმა, რათა აღმოეჩინა განდგომილნი და გამოცდის ჟამს მისგან ზურგშექცეულნი.

იესო და მთელი ზეციური გუნდი თანაგრძნობითა და სიყვარულით გადმოჰყურებდნენ მორწმუნეთ, რომლებიც სიხარულით ელოდნენ მის ნახვას, ვინც მათ სულს უყვარდა. ანგელოზები დაფრინავდნენ მათ თავზე, რათა გამოცდის ჟამს თანადგომა გამოეხატათ. ისინი კი, ვინც ზურგი აქცია ზეციურ უწყებას და არ მიიღო იგი, წყვდიადში დარჩნენ; ღვთის რისხვა აენთო მათზე, რადგან არ ისურვეს ღმერთისაგან ზეცით მოვლენილი უწყების

მიღება. ხოლო ერთგული იმედგაცრუებული ადამიანები, რომელნიც ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ არ მოვიდა მათი უფალი, წყვდიადში არ იყვნენ დატოვებული. მათ კვლავ ბიბლიას მიმართეს წინასწარმეტყველური პერიოდების გამოსაკვლევად. უფალმა დაანახვა რიცხვები და შეცდომის ახსნაც შესაძლებელი გახდა. მათ დაინახეს: წინასწარმეტყველური პერიოდები გრძელდებოდა 1844 წლამდე, და მათ მიერ მოყვანილი მტკიცებები იმის თაობაზე, რომ წინასწარმეტყველური პერიოდები დამთავრდა 1843 წელს, ლაპარაკობდა იმის სასარგებლოდ, რომ ისინი მთავრდება 1844 წელს. უფლის სიტყვამ გაანათა მათი მდგომარეობა და მათ აღმოაჩინეს დაყოვნების დრო – „თუ დააყოვნებს ხილვა, დაელოდე“. იესოს მალე მოსვლაზე შეყვარებულთ მხედველობიდან გამორჩათ ხილვის დაყოვნება, რომელიც გათვლილი იყო ჭეშმარტ მომლოდინეთა აღმოჩენაზე. და კვლავ გამოთვალეს თარიღი. მაგრამ მე ვიხილე, რომ ბევრმა მათგანმა მაინც ვერ დაძლია თავისი მტანჯველი იმედგაცრუება და ვერც ის მონდომება და ძალა შეიძინა, რითაც 1843 წელს მათი რწმენა გამოირჩეოდა.

სატანა და მისი ანგელოზები ზეიმობდნენ, ხოლო უწყების უარმყოფელნი ერთმანეთს ულოცავდნენ იმის გამო, რომ ასეთი დიდი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინეს და არ შეცდნენ. ასეთ ადამიანებს არ ჰქონდათ გააზრებული, რომ ღვთის რჩევა უკუაგდეს, როცა სატანასა და მის ანგელოზებთან ერთად მოქმედებდნენ, რათა ზეციურ უწყებასთან თანხმობაში მცხოვრებ ღვთის ხალხში არეულობა შეეტანათ.

ვისაც ეს უწყება სწამდა, ეკლესიებში იჩაგრებოდა. რამოდენიმე ხანს ეკლესიის წევრებს შიში აკავებდათ, ამიტომ თავის გრძნობებს არ ავლენდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი ჭეშმარიტი გრძნობები გამოაშკარავდა. მათ სურდათ დადუმებულიყო მოწმობა, რომლის გამოცხადებასაც მორწმუნეები თავის მოვალეობად მიიჩნევდნენ, კერძოდ: რომ წინასწარმეტყველური პერიოდები 1844 წელს აღწევს. მორწმუნეებმა გარკვევით ახსნეს თავისი შეცდომა და წარმოადგინეს იმის მიზეზები, თუ რატომ ელიან თავის უფალს 1844 წელს. მოწინააღმდეგეთ არ შეეძლოთ არანაირი არგუმენტის წარმოდგენა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზეზების საწინააღმდეგოდ. ეკლესიათა რისხვა მძვინვარებდა ღვთის შვილების წინააღმდეგ. მტრებმა გადაწყვიტეს, არ მოესმინათ არანაირი მოწმობა, ჩაეხშოთ მათი მოწმობები ეკლესიებში, რათა სხვებსაც არ გაეგონათ ისინი. ვინც გაბედავდა და ღმერთისაგან ბოძებულ ნათელს სხვას არ დაუფარავდა, ეკლესიებიდან რიცხავდნენ, მაგრამ იესო იყო მათთან და ხარობდნენ მისი სახის ნათელში. ისინი მზად იყვნენ მეორე ანგელოზის უწყების მისაღებად.

იხ. დანიელი 8:14; აბაკუმი 2:1-4; მალაქია მე-3 და მე-4 თავები; მათე 24:36; გამოცხადება 14:6-7

თავი 24

მეორე ანგელოზის უწყება

ეკლესიებმა არ ისურვეს, მიეღოთ პირველი ანგელოზის უწყება და როდესაც მათ ზეციური ნათელი უარყვეს, ღმერთის კეთლგანწყობაც დაკარგეს. მათ საკუთარი ძალის იმედი ჰქონდათ და, პირველი უწყების უგულებელყოფის შედეგად, აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, როცა მეორე ანგელოზის უწყების ნათელის დანახვის უნარი აღარ გააჩნდათ. მაგრამ დაჩაგრული ღვთის მოყვარული ადამიანები გამოეხმაურნენ ამ უწყებას: „დაეცა ბაბილონი“ და დატოვეს დაცემული ეკლესიები.

მეორე ანგელოზის უწყების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მე ვიხილე დიდი სინათლე ციდან, რომელმაც ღვთის ხალხი გაანათა. ამ სინათლის სხივები მზესავით ნათელი იყო. და მე გავიგონე ანგელოზთა ხმა: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“

ეს შუაღამის მოწოდება იმისათვის გაისმა, რომ მეორე ანგელოზის უწყებისათვის მიეცა ძალა. ზეციდან ანგელოზები იქნა მოვლენილი, რათა გამოეფხიზლებინა იმედგაცრუებული წმინდანები და მოემზადებინა ისინი მომავალი დიდი საქმისათვის. ნიჭით გამორჩეულნი ადამიანები არ იყვნენ პირველები, ვინც ეს უწყება მიიღო. ანგელოზები მორჩილ ადამიანებთან, რომლებმაც თავი უფალს მიუძღვნეს, გამოიგზავნენ და უბიძგეს მათ, ეყვირათ სხვებისთვის: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“ ადამიანებმა, ვისაც მოხმობა დაევალა, იჩქარეს, სულიწმიდის ძალით გაავრცელეს უწყება და გამოაფხიზლეს თავისი იმედგაცრუებული მოძმეები. მოწოდებას ახარებდნენ არა სიბრძნისა და კაცთა განსწავლულობის დახმარებით, არამედ ღვთის ძალით; და მისმა წმინდებმა როდესაც

გაიგონეს მოწოდება, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მას. უფრო სულიერებმა ეს უწყება პირველებმა მიიღეს, ხოლო ისინი, ვინც უწინ ღვთის საქმეს ხელმძღვანელობდა, უკანასკნელნი იყვნენ, ვინც მიიღო იგი და ეხმარებოდა ამ მოწოდების გამოცხადებას: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“

ქვეყნის ყველა კუთხეს მიეცა მეორე ანგელოზის უწყების ნათელი და მაღალი ხმით შეძახილმა შეძრა ათასთა გულები. იგი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ვიდრე ღვთის მომლოდინე ხალხი მთლიანად არ გამოფხიზლდა. ბევრმა არ დაუშვა, ამ უწყებას ეკლესიაში შეეღწია და ადამიანთა დიდმა ჯგუფმა, ვინც ცოცხალ მოწმობას ფლობდა, დატოვა დაცემული ეკლესიები. შუაღამის მოწოდების მეშვეობით დიდი საქმე გაკეთდა. უწყებამ გამოსცადა გულები, მორწმუნეებს კი პირადი ცოცხალი გამოცდილების შეძენისაკენ უბიძგა. მათ იცოდნენ, რომ ერთმანეთს ვერ დაეყრდნობოდნენ.

წმინდანები მოუთმენლად ელოდნენ უფალს მარხვით, სიფხიზლით და უწყვეტი ლოცვით. ზოგიერთი ცოდვილიც კი შიშით ელოდა ამ წამს, მაშინ როცა უამრავი ადამიანი თითქოს ეწინააღმდეგებოდა ამ უწყებას და სატანის სულისკვეთებას ავლენდა. ისინი მასხარად იგდებდნენ და დასცინოდნენ წმინდანებს და ყველგან გაისმოდა: „არავინ იცის არც დღე, არც საათი“. ბოროტი ანგელოზები სიხარულით გარს უვლიდნენ მათ, მოუწოდებდნენ, გულები გაესასტიკათ და ზეციური სინათლის ყოველი სხივი უარეყოთ, რათა კიდევ უფრო მეტად გაებათ მახეში. ბევრი, ვინც ამტკიცებდა, რომ თავის უფალს ელოდება, არანაირი წილი არ ედოთ ამ საქმეში. უფლის დიდება, რომლის მოწმეებიც ისინი იყვნენ, მომლოდინე ადამიანთა მორჩილება და ღრმა რწმენა, აგრეთვე მოწმობათა უტყუარი ძალა არწმუნებდა მათ, რომ მათ აღიარეს ჭეშმარიტება. მაგრამ ეს ადამიანები არ მოქცეულან, არ იყვნენ მზად. წმინდანთა შორის ყველგან ამაღლებული სერიოზული ლოცვის სული იგრძნობოდა. მათ წმინდა საზეიმო განწყობა ჰქონდათ. ანგელოზები ღრმა ინტერესით ადევნებდნენ თვალს შედეგებს, აკეთილშობილებდნენ მათ, ვინც ზეციური უწყება მიიღო, აშორებდნენ ყოველივე მიწიერს, რათა უხვად ესვათ ხსნის წყაროსგან. ღვთის ხალხი მიღებული იყო მის მიერ. იესო კმაყოფილებით უცქერდა მათ. მისი ხატება ირეკლებოდა მათში. მათ გაიღეს სრული მსხვერპლი, გამოავლინეს სრულყოფილი მიძღვნა და ელოდნენ უკვდავებით შემოსვას. მაგრამ ღვთის შვილებს კვლავ ელოდათ იმედგაცრუება. დრომ, რომელშიც ისინი ხსნას ელოდნენ, ჩაიარა. ისინი კვლავაც დედამიწაზე იყვნენ და წყევლის შედეგები არასოდეს ეჩვენებოდათ მათ ასე ცხადი. მათ შეუყვარდათ ზეცა და საამო მოლოდინში იგემეს ხსნა, მაგრამ მათი იმედი არ ასრულდა.

შიშს, რომელმაც მრავალი ადამიანი მოიცვა, მალე არ გაუვლია. მათ მაშინვე არ იზეიმეს იმედგაცრუებულებზე. რადგან არ გრძნობდნენ ღვთის რისხვის ხილულ ნიშნებს, შიში დაძლიეს და განაახლეს აბუჩად აგდება და დაცინვა. ღვთის ხალხი კვლავ გამოიცადა და შემოწმდა. წუთისოფელი დასცინოდა, ლანძღავდა და ადანაშაულებდა მათ, ხოლო ისინი, ვისაც ურყევად სწამდა, რომ იესო ახლა მოვა, მკვდრებს აღადგენს, გარდაქმნის ცოცხალ წმინდანებს, მიიღებს სამეფოს და იქნება მისი მფლობელი მარად, თავს ქრისტეს მოწაფეების მსგავსად გრძნობდნენ: „ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დადეს“.

იხ. მათე 24:36; 25:6; იოანე 20:13; გამოცხადება 14:8

თავი 25

ხილვაში წარმოდგენილი ადვენტისტური მოძრაობა

მე ვიხილე ადამიანთა მრავალი ჯგუფი, რომლებიც, თითქოს, ბორკილებით იყვნენ შეკრული. ბევრი მათ შორის სრულ წყვდიადში იმყოფებოდა. მათი მზერა მიწისაკენ იყო მიპყრობილი და, როგორც ჩანდა, მათსა და იესოს შორის არანაირი კავშირი არ არსებობდა. ამ განსხვავებულ ჯგუფებს შორის მე ვიხილე ცალკეული ადამიანები, რომელთა სახეებიც ბრწყინავდა და მზერა კი ზეცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. იესოს სინათლე, მზის სხივების მსგავსად, მიეძღვნათ მათ. ანგელოზმა მიბრძანა, დავკვირვებოდი და მე ვიხილე, რომ ყოველ ადამიანს, ვისაც სინათლის სხივი ჰქონდა, ანგელოზი იცავდა, ხოლო ამავე დროს წყვდიადში მყოფთ გარს ზეციერი ანგელოზები ეხვეოდნენ. გავიგონე ანგელოზის მაღალი ხმა: „გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, რადგან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი“.

საოცარი ნათელი ეფინა ამ ჯგუფებს და ასხივოსნებდა ყველას, ვინც მას მიიღებდა. წყვდიადში მყოფთაგან ზოგიერთმა მიიღო ნათელი და გაიხარა; ამავე დროს დანარჩენნი ეწინააღმდეგებოდნენ ზეცის ნათელს და ამბობდნენ, რომ ეს ტყუილია, მათი გზიდან გადასაცდენად მოგონილი. ნათელი დაშორდა მათ და დარჩნენ ისინი წყვდიადში. იესოსგან გასხივოსნებულნი სიხარულით, სათუთად ექცეოდნენ ძვირფას ნათელს, რომელიც სულ უფრო მეტად ეფინებოდა მათ. განათებული იყო მათი სახეები და ბრწყინავდა წმინდა სიხარულით, ხოლო მათი მზერა დიდი ინტერესით მიპყრობილი იყო ზემოთ, იესოსკენ. მათი ხმები ანგელოზის ხმასთან ერთად ჰარმონიულად ისმოდა: „გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, რადგან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი“. როდესაც ხმა აღიმაღლეს, მე დავინახე, რომ წყვდიადში მყოფნი მუჯლუგუნებს სცემდნენ მათ გვერდებითა და მხრებით. მაშინ მრავალმა მათ შორის, ვინც წმინდა ნათელით სულდგმულობდა, დაწყვიტა ბორკილები და გამოეყო ჯგუფებს. ვინაიდან ბევრმა დაწყვიტა ეს ბორკილები, მამაკაცები, რომლებიც ამ სხვადასხვა ჯგუფებს ეკუთვნოდნენ და პატივისცემით სარგებლობდნენ, გამოიარეს ჯგუფებში – ზოგიერთი სასიამოვნო სიტყვებით, სხვები მრისხანე მზერითა და მუქარის ჟესტებით აძლიერებდნენ დასუსტებულ ბორკილებს და მუდმივად იმეორებდნენ: „ჩვენთან არის ღმერთი. ჩვენ ნათელში ვართ. ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტება“. მე ვიკითხე, ვინ არიან ეს კაცები. მე მითხრეს, რომ ესენი არიან მსახურები და ხელმძღვანელები, რომლებმაც თავად უარყვეს ნათელი და არ სურდათ, რომ სხვებს მიეღოთ იგი. მე ვიხილე ხალხი, ვინც ნათელს იცავდა, ინტერესითა და დიდი სურვილით უმზერდა ზეცას იესოს მოლოდინში, რომელიც მოვა და თავისთან წაიყვანს მათ. მალე მათზე, ვინც ნათელში ხარობდა, ღრუბელმა გადაიარა და მათი სახეები დაღონებული ჩანდა. მე ვიკითხე ღრუბლის მნიშვნელობის შესახებ. და მეჩვენა, რომ ეს მათი იმედგაცრუება იყო. მხსნელის მოსვლის მოლოდინის დრომ ჩაიარა და იესო არ მოვიდა. ისინი სულით დაეცნენ, ხოლო კაცები, რომლებიც მე ადრე შევნიშნე, მსახურნი და ხელმძღვანელნი, ხარობდნენ. ნათლის უარმყოფელნი ზეიმობდნენ; ამავე დროს სატანა და ბოროტი ანგელოზები მხიარულობდნენ მათ ირგვლივ.

მაშინ მე გავიგონე სხვა ანგელოზის ხმა, რომელიც ამბობდა: „დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი!“. ნათელი გადაეფინა სულით დაცემულთ და კვლავ აღეძრათ უფლის მოსვლის სურვილი და დაჟინებული მზერა მიაპყრეს იესოს. მე დავინახე, რომ მრავალი ანგელოზი ელაპარაკებოდა მეორე ანგელოზს, რომელიც ახარებდა: „დაეცა დიდი ბაბილონი!“ ამ ანგელოზებმა ხმამაღლა შესძახეს მეორე ანგელოზთან ერთად: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“ ამ ანგელოზების მელოდიური ხმები თითქოს ყველგან აღწევდა. უჩვეულოდ კაშკაშა და დიდებული ნათელი ბრწყინავდა მათ ირგვლივ, ვინც ინახავდა მათთვის ნაბოძებ ნათელს. მათი სახეები არაჩვეულებრივი დიდებით გაბრწყინებულიყო და ანგელოზებთან ერთად შესძახეს: „აჰა, სიძე მოდის!“ როდესაც ისინი ერთსულოვნად ავრცელებდნენ მოწოდებას სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ნათლის უარმყოფელნი ხელს კრავდნენ და გაბრაზებული სახით დასცინოდნენ მათ. მაგრამ ღვთის ანგელოზები ფრთებს იქნევდნენ დევნილთა თავზე, მაშინ როცა სატანასა და მის ანგელოზებს სწადდათ წყვდიადით მათი გარემოცვა და ზეციერი ნათლის უარყოფაზე დაყოლიება.

მაშინ გავიგონე ხმა, რომელიც გამიზნული იყო მათთვის, ვისაც ხელს კრავდნენ და დასცინოდნენ: „გამოდით მათგან და უწმიდურს ნუ მიეკარებით“. ბევრმა გაწყვიტა ბორკილები და, დაემორჩილა რა ხმას, მორჩილად დატოვა წყვდიადში მყოფნი. ისინი გაერთიანდნენ მათთან, ვინც უკვე მოიშორა ბორკილები და სიხარულით შეუერთეს მათ თავიანთი ხმები. მე მესმოდა იმ მცირედთა მხურვალე, ტანჯვით აღსავსე ლოცვები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდნენ წყვდიადით მოცულთა რიგებში. მქადაგებლები და ხელმძღვანელები დადიოდნენ სხვადასხვა ჯგუფებში, უფრო მეტად ამაგრებდნენ ბორკილებს; და მაინც, მე მესმოდა მხურვალე ლოცვის ხმა. მაშინ მე დავინახე ხელგაწვდილი მლოცველები, რომლებიც შველას ითხოვდნენ იმ გაერთიანებული ჯგუფისაგან, რომელიც თავისუფალი იყო და ხარობდა ღმერთში. ისინი, სერიოზულად უმზერდნენ რა ზეცას და მიუთითებდნენ მაღლა, პასუხობდნენ მათ: „გამოდით მათგან და გამოეყავით“. მე ვიხილე ზოგიერთები, ვინც გათავისუფლებას ცდილობდა და, ბოლოს და ბოლოს, წყვეტდა ბორკილებს. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ბორკილების ხელახლა შეკვრის ძალისხმევას და არ ისმენდნენ განმეორებულ მტკიცებებს: „ჩვენთან ღმერთია. ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტება“. ადამიანები კვლავაც ტოვებდნენ წყვდიადში მყოფ ჯგუფებს და უერთდებოდნენ თავისუფალ ჯგუფს, რომელიც მიწიდან ამაღლებულ გაშლილ ველზე აღმოჩნდა. მათი მზერა მაღლა იყო მიმართული, მათზე ღვთის დიდება დავანებულიყო და ხმამაღლა აქებდნენ უფალს. ერთიანნი

იყვნენ და თითქოს ზეციური ნათლით შემოსილები. ამ ჯგუფის ირგვლივ იყო ზოგიერთი, რომელიც ნათელის გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ ამ ჯგუფთან პირადად არ გაერთიანდა. ყველა, ვინც იცავდა მასზე გადმოღვრილ ნათელს, დაძაბული ინტერესით იმზირებოდა ზევით. იესო უმზერდა მათ ნაზად და მოწონებით. ისინი იესოს მოსვლას ელოდნენ მისი მოსვლის უდიდესი სურვილით. არც ერთი ხანგრძლივი მზერა არ იყო დედამიწისკენ ნასროლი. კვლავ ვიხილე, როგორ დაეშვა ღრუბელი მომლოდინეებზე და მათ თავისი დაღლილი თვალებით დაბლა დაიხედეს. დავინტერესდი ასეთი ცვლილების მიზეზით. ჩემმა თანმხლებმა ანგელოზმა მიპასუხა: „მათ კვლავ გაუცრუვდათ მოლოდინის იმედი. იესოს ჯერ არ შეუძლია დედამიწაზე მოსვლა. ისინი ჯერ კიდევ უნდა ევნონ იესოსთვის და დიდად გამოიცადონ. მათ უნდა მიატოვონ ადამიანისათვის დამახასიათებელი შეცდომები და ტრადიციები, სრულად მოექცნენ ღმერთისაკენ და მისი სიტყვისაკენ. ისინი აუცილებლად უნდა განიწმინდონ, გასპეტაკდნენ და გამოიცადონ. ვინც გაუძლებს ამ მძიმე გამოცდას, მარადიულ გამარჯვებას მოიპოვებს“.

იესო არ მოვიდა დედამიწაზე, როგორც ამას იმედოვნებდა სიხარულით მომლოდინეთა ჯგუფი; არ მოვიდა საწმიდრის განსაწმენდად, ანუ დედამიწისა – ცეცხლით. მე ვიხილე, რომ მათ მიერ წინასწარმეტყველური პერიოდები სწორად იყო გამოთვლილი. წინასწარმეტყველური დრო 1844 წელს დასრულდა. მათი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ არ ესმოდათ, რას წარმოადგენდა საწმინდარი და განწმენდა. სინამდვილეში იესო შევიდა წმიდათა წმიდაში, რათა განეწმინდა საწმიდარი დღეთა დასასრულს. მე კვლავ მოვავლე მზერა მომლოდინე, იმედგაცრუებულ ჯგუფს. ისინი დამწუხრებულიყვნენ. ისინი დიდი ყურადღებით იკვლევდნენ თავისი რწმენის მტკიცებულებებს, თვალს ადევნებდნენ წინასწარმეტყველური პერიოდების გამოთვლას, მაგრამ არ შეეძლოთ შეცდომის აღმოჩენა. აღსრულდა ჟამი, მაგრამ სად იყო მათი მხსნელი? მათ დაკარგეს იგი.

მაშინ მეჩვენა ქრისტეს მოწაფეთა იმედგაცრუება, როცა ისინი სამარხთან მოვიდნენ და იესოს ცხედარი ვერ იხილეს. მარიამმა თქვა: „ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დადეს“. ანგელოზებმა დამწუხრებულ მოწაფეებს ამცნეს, რომ აღდგა მათი უფალი და ელის მათ გალილეაში.

მე ვიხილე: ღრმა თანაგრძნობით უცქეროდა იესო თავის იმედგაცრუებულ შვილებს, გააგზავნა თავისი ანგელოზები, რათა მათი გონება იმგვარად წარემართათ, რომ ეპოვათ იგი და გაჰყოლოდნენ მას იქით, სადაც ის იმყოფებოდა. მათ უნდა გაეაზრებინათ, რომ დედამიწა საწმიდარი არაა, ხოლო ქრისტე უნდა შევიდეს ზეციური საწმიდრის წმიდათა წმიდაში, რათა განწმინდოს იგი, შეასრულოს განსაკუთრებული შერიგება ისრაელისათვის და მიიღოს მამის სამეფო. ხოლო შემდეგ იგი დაბრუნდება დედამიწაზე და წაიყვანს მათ, რათა მასთან იყონ საუკუნოდ. მოწაფეების იმედგაცრუება საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ იმათი იმედგაცრუება, ვინც ელოდა უფალს 1844 წელს. გადაყვანილი ვიქენი წარსულში, როდესაც ქრისტე ზეიმით შევიდა იერუსალიმში. გახარებული მოწაფეები თვლიდნენ, რომ ახლა ის მიიღებს სამეფოს და ხელმწიფებას მიწიერი მეფის მსგავსად. დიდი სიხარულის მოლოდინით მიჰყვებოდნენ ისინი თავის მეფეს, ჭრიდნენ პალმის ლამაზ რტოებს, იხდიდნენ ზედა სამოსს და, ენთუზიაზმითა და გულმოდგინებით, აფენდნენ მათ გზაზე. ისინი წინ მიდიოდნენ, სხვები მათ მიჰყვებოდნენ და გაიძახოდნენ: „ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია უფლის სახელით მომავალი! ოსანა მაღალთა შინა!“ ასეთი მღელვარება ფარისეველთ მოსვენებას უკარგავდა და მათ სურდათ იესოს აეკრძალა თავისი მოწაფეებისთვის, მაგრამ მან უთხრა მათ: „ესენი რომ დადუმდნენ, ქვები იღაღადებენ“. უნდა აღსრულებულიყო ზაქარიას 9:9-ში ჩაწერილი წინასწარმეტყველება. მაგრამ მე ვიხილე, რომ მოწაფეებს მწარე იმედგაცრუება უნდა გადაეტანათ. რამდენიმე დღეში ისინი იესოს გოლგოთისკენ გაჰყვნენ და იხილეს იგი, გასისხლიანებული და დამახინჯებული, საზარელ ჯვარზე. მოწაფეები მისი ტანჯვით სიკვდილის მოწმენი გახდნენ, შემდეგ კი სამარხში დაასვენეს იგი. მათი გულები მწუხარებით იყო დამძიმებული, მათი მოლოდინის არც ერთი დეტალი არ აღსრულდა, ხოლო იმედები იესოსთან ერთად დასამარდა. მაგრამ როდესაც მკვდრეთით აღდგა და გამოეცხადა დამწუხრებულ მოწაფეებს, მათი იმედები კვლავ გაცოცხლდა. მათ დაკარგეს თავისი მხსნელი, მაგრამ შემდეგ კვლავ შეიძინეს იგი.

მე ვიხილე, რომ 1844 წელს უფლის მოსვლის მორწმუნეთა იმედგაცრუება ვერ გაუტოლდებოდა მოწაფეთა იმედგაცრუებას. პირველი და მეორე ანგელოზის უწყებაში წინასწარმეტყველება ასრულდა. ისინი საჭირო დროს იქნა მოცემული და შეასრულა ღმერთის მიერ მათთვის განკუთვნილი საქმე.

იხ. დანიელი 8:14; მათე 21:4-16; 25:6; მარკოზი 16:6-7; ლუკა 19:35-40; იოანე 14:1-3; 20:13; 2 კორინთელთა 6:17; გამოცხადება 10:8-11; 14:7-8

თავი 26

სხვა ხილვა

მე მეჩვენა მთელი ზეცის დიდი ინტერესი საქმისადმი, რომელიც დედამიწაზე სრულდება. იესომ ძლევამოსილ ანგელოზს დაავალა, დაშვებულიყო დედამიწაზე და გაეფრთხილებინა მისი მკვიდრნი, რათა მომზადებულიყვნენ ისინი მისი მეორედ მოსვლისათვის. მე ვიხილე, როგორ დატოვა ძლევამოსილმა ანგელოზმა ზეცაში იესო. მას წინ უსწრებდა უჩვეულოდ მკვეთრი საოცარი ნათელი. მე მეთქვა: მისი მისია იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი დიდებით დედამიწა გაენათებინა და გაეფრთხილებინა ადამიანი ღვთის მომავალი რისხვის შესახებ. ბევრმა მიიღო ნათელი. ზოგიერთი, როგორც ჩანდა, ძალიან სერიოზული იყო, ხოლო სხვები – გახარებული და აღტაცებული. სინათლე ყველაზე იღვრებოდა, მაგრამ ერთნი მხოლოდ სინათლის შუქის ქვეშ მოხვდნენ და არ მიიღეს იგი გულწრფელად. მაგრამ იმათ, ვინც მიიღო იგი, თავისი სახე მიაპყრეს ზეცისაკენ და ადიდებდნენ ღმერთს. ბევრნი რისხვამ მოიცვა. მსახურები და ხალხი გაერთიანდნენ მდაბალ ადამიანებთან, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ რა ძლევამოსილი ანგელოზის მიერ მოფენილ ნათელს. ხოლო ისინი, რომლებმაც მიიღეს იგი, წუთისოფელს გამოეყვნენ და მჭიდროდ შეიკრნენ.

სატანა და მისი ანგელოზები იმით იყვნენ დაკავებული, რომ ცდილობდნენ, ყველას გონება, ვისიც შეიძლება, დააშორონ ნათელს. ჯგუფი, რომელმაც უარყო ნათელი, დატოვებული იქნა წყვდიადში. მე ვიხილე, ანგელოზი, რომელიც ღრმა ინტერესით აკვირდებოდა ხალხს, რომელიც საკუთარ თავს ღვთის ხალხს უწოდებდა, რათა მათ მიეცათ ზეციური წარმომავლობის უწყება და რადგანაც ძალიან ბევრმა, რომლებიც იესოსადმი სიყვარულს აცხადებდნენ, ზურგი აქცია ზეციურ უწყებას სიძულვილით, აბუჩად აგდებით და ზიზღით, ანგელოზმა პერგამენტით ხელში შესაბამისი ჩანაწერი გააკეთა ამ სამარცხვინო მოქმედებების გამო. მთელი ზეცა აღშფოთებამ მოიცვა, იმიტომ რომ იესო მისმა მოჩვენებითმა მიმდევრებმა უგულებელყვეს.

მე ვიხილე მორწმუნეთა იმედგაცრუება. მათ ვერ იხილეს თავისი უფალი დათქმულ ჟამს. ღვთის განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეფარა მომავალი და თავისი ხალხი გადაწყვეტილების მიღებამდე მიეყვანა. დროის ამ ფაქტორის გარეშე ღმერთის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქმე, ვერ შესრულდებოდა. სატანა ძალზე ბევრი ადამიანის გონებას მიმართავდა შორეული მომავლისაკენ. ქრისტეს მოსვლის ჟამის გამოცხადება უბიძგებდა გონებას აწმყოში სერიოზული მომზადებისაკენ. რადგან დრომ ჩაიარა, ისინი, ვინც სრულად არ მიიღო ანგელოზის ნათელი, ერთიანდებოდნენ იმათთან, ვისაც სძულდა ზეციური უწყება და დასცინოდნენ იმედგაცრუებულთ. მე ვიხილე, რომ ანგელოზები ზეცაში თათბირობდნენ იესოსთან. მათ აღნიშნეს ქრისტეს მოჩვენებითი მიმდევრების მდგომარეობა. დანიშნულმა დრომ ჩაიარა და შეამოწმა და გამოსცადა ისინი, მრავალი აიწონა სასწორზე და მსუბუქი აღმოჩნდა. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ქრისტიანები არიან, მაგრამ არაფერში არ მისდიეს ქრისტეს. სატანას უხაროდა, როცა ქრისტეს მოჩვენებითი მიმდევრების მდგომარეობას ხედავდა. ისინი მის ხაფანგში გაებნენ. მან უბიძგა მრავალ ადამიანს, დაეტოვებინათ სწორი გზა და ახლა ისინი ზეცამდე მისაღწევად სხვა გზებს ეძებდნენ. ანგელოზები სიონზე ხედავდნენ სუფთა, სპეტაკ და წმინდა ადამიანებს ცოდვილების და წუთისოფლის მოყვარული პირფერების გვერდით. ანგელოზები ფხიზლობდნენ იესოს ჭეშმარიტ მოყვარულთა თავს ზემოთ; მაგრამ გახრწნილნი ზეგავლენას ახდენდნენ წმინდანებზე.

ცრუ ძმები იესოს მოსვლის შესახებ ლაპარაკს უკრძალავდნენ მათ, ვისი გულებიც მისი ნახვის დიდი სურვილით ანთებულიყო. ანგელოზები ხედავდნენ ყოველივეს და თანაუგრძნობდნენ იესოს მოსვლის მოყვარულ ნარჩომს. სხვა ძლევამოსილ ანგელოზს დაევალა დედამიწაზე დაშვება. იესომ ჩაუდო ხელში წერილები და დედამიწაზე დაეშვა თუ არა, წამოიძახა: „დაემხო, დაემხო ბაბილონი!“ მაშინ მე ვიხილე იმედგაცრუებულნი ისევ გამხნევდნენ და ზეცისკენ აიხედეს, რწმენითა და იმედით ელოდნენ თავისი უფლის მოსვლას. მაგრამ ბევრი, თითქოსდა ღრმა ძილის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მე შევძელი

მათ სახეზე ღრმა მწუხარების კვალი დამენახა. ბიბლიის დახმარებით იმედგაცრუებულებმა დაინახეს, რომ შენელებულ დროში იმყოფებიან და აუცილებლად, მოთმინებით უნდა ელოდონ ხილვის აღსრულებას. არგუმენტები, რომლებმაც განაპირობეს უფლის მოლოდინი 1843 წელს, იყო მისი მოლოდინის მიზეზი 1844 წელსაც. მე ვიხილე, რომ უმრავლესობას უკვე აღარ ჰქონდა ის ენერგია, რითაც აღინიშნა მათი რწმენა 1843 წელს. იმედგაცრუებამ გაანელა მათი რწმენა. მაგრამ როდესაც იმედგაცრუებულნი მეორე ანგელოზის მოწოდებაში გაერთიანდნენ, ზეციური მხედრობა ღრმა ინტერესით უყურებდა დედამიწას და უწყების გავლენას აღნიშნავდა. ისინი ხედავდნენ, როგორ იგდებდნენ აბუჩად, დასცინოდნენ და რარიგ ეზიზღებოდათ იმედგაცრუებულნი მათ, ვინც თავის თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ. როდესაც დამცინავთა ბაგეთაგან მოწყდა სიტყვები: „ქვენ ჯერ კიდევ არ ამაღლებულხართ?“, ანგელოზმა ჩაიწერა ისინი და თქვა: „ისინი დასცინიან ღმერთს“.

ჩემი ყურადღება ელიას ამაღლებამ მიიქცია. მისი მოსასხამი დაეცა ელისეს და უწმინდური ბიჭები (ანუ ყმაწვილკაცები) მიჰყვებოდნენ, დასცინოდნენ და ყვიროდნენ: „ამაღლდი, ქაჩალო, ამაღლდი, ქაჩალო!“ ეს მათ მშობლებისაგან ისწავლეს. ისინი დასცინოდნენ და იქვე დაატყდათ თავს სასჯელი. მათაც, ვინც დასცინოდა და ქილიკობდა წმინდანთა ამაღლების თაობაზე, ასევე ელით ღვთის წყლულები და მიხვდებიან, რომ უმნიშვნელო სულაც არ არის ღმერთთან ქარაფშუტული მოქცევა.

იესომ სხვა ანგელოზებს დაავალა, სწრაფად გაფრენილიყვნენ, რათა გამოეცოცხლებინათ და განემტკიცებინათ მისი ხალხის რწმენა, მოემზადებინათ ის მეორე ანგელოზის უწყების და იმ მნიშვნელოვანი მოვლენის გაცნობიერებისათვის, რომელიც მალე უნდა მომხდარიყო ზეცაში. მე ვიხილე, რომ ანგელოზებმა დიდი ძალაუფლება და ნათელი მიიღეს იესოსაგან და სწრაფად გაეშურნენ დედამიწისაკენ, რათა თავისი დავალება შეესრულებინათ და მეორე ანგელოზს მუშაობაში დახმარებოდნენ. ღვთის ხალხზე დიადი ნათელი ამობრწყინდა, როდესაც ანგელოზებმა წამოიძახეს: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“ ამის შემდეგ ვიხილე, თუ როგორ წამოდგნენ იმედგაცრუებულნი და მეორე ანგელოზთან ერთად ახარებდნენ: „აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!“ სინათლე ანგელოზებისაგან წყვდიადში ყველგან აღწევდა. სატანა და მისი ანგელოზები ცდილობდნენ სინათლის და მისი მოქმედების შედეგების გავრცელების ხელის შეშლას. ისინი უპირისპირდებოდნენ ღვთის ანგელოზებს, აცხადებდნენ, რომ ღმერთმა მოატყუა ადამიანები, ანგელოზები კი თავისი ნათლითა და ძალაუფლებით ვერ აიძულებენ ადამიანებს, ირწმუნონ, რომ იესო მოვა. ღვთის ანგელოზები აგრძელებდენ თავის სამუშაოს, თუმცა სატანა გზის გადაღობვას და ადამიანთა გონების ნათლისაგან სხვა რამეზე გადატანას ცდილობდა. ისინი, ვინც მიიღო ნათელი, ძალიან ბედნიერები ჩანდნენ. ისინი თვალს არ აცილებდნენ ზეცას და ძლიერ სურდათ იესოს მოსვლა. ზოგიერთი ღრმად გლოვობდა, ტიროდა და ლოცულობდა. ისინი ერთმანეთს უმზერდნენ და ვერ ბედავდნენ ზემოთ ახედვას.

უძვირფასესმა ზეციურმა ნათელმა მათ წინაშე წყვდიადი გაფანტა და საკუთარ თავზე მიჯაჭვულმა მათმა მზერამ ზემოთ გადაინაცვლა, მაშინ მათ ყოველ ნაკვთში მადლიერება და წმინდა სიხარული აირეკლა. იესო და ანგელოზთა გუნდი მოწონებით უყურებდა ამ ერთგულთ და მომლოდინეთ.

პირველი ანგელოზის უწყების ნათლის უარმყოფელნი და მოწინააღმდეგენი ამ ნათლის და მეორე უწყების გარეშე დარჩნენ და ვერანაირ სიკეთეს ვერ მიიღებდნენ იმ ძალისა და დიდებისაგან, რომელიც თან ახლდა უწყებას: „აჰა, სიძე მოდის“. იესომ ზურგი აქცია მათ. მათ უგულებელყვეს და უარყვეს იგი. უწყების მიმღებნი დიდების ღრუბელმა მოიცვა. ისინი ელოდნენ, ფხიზლობდნენ და ლოცულობდნენ, რათა ღმერთის ნება გაეგოთ. მათ ძლიერ ეშინოდათ, არ დაემწუხრებინათ იგი. მე ვიხილე, რომ სატანა და მისი ანგელოზები ძალიან ცდილობდნენ ღმერთის ხალხისაგან ღვთიური ნათლის დამალვას. მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე მომლოდინეები იცავდნენ ნათელს და მზერა იესოსკენ ჰქონდათ მიპყრობილი და არა მიწიერისაკენ, სატანა უძლური იყო და ვერ წაართმევდა მათ უძვირფასეს ნათელს. ზეცისაგან ბოძებულმა უწყებამ სატანა და მისი ანგელოზები განარისხა, ხოლო ისინი, ვინც იესოსადმი სიყვარულის შესახებ აცხადებდნენ, მაგრამ სძულდათ მისი მოსვლა, დასცინოდნენ ერთგულ მორწმუნეებს. მაგრამ ანგელოზს არ გამოპარვია არც ერთი შეურაცხყოფა, გმობა, სიძულვილის გამოვლინება ერთგულთა მიმართ თავისი ცრუ ძმების მხრიდან. მრავალმა შესძახა მაღალი ხმით: „აჰა, სიძე მოდის!“ და დატოვა თავისი ძმები, რომელთაც არ უყვარდათ იესოს მოსვლა და არ სურდათ, რომ მათთან ელაპარაკათ მისი მეორედ მოსვლის შესახებ. მე ვიხილე, რომ იესომ სახე მოარიდა მისი მოსვლის

უარმყოფელთ და მოძულეთ, შემდეგ კი უბრძანა ანგელოზებს, გამოეყვანათ მისი ხალხი უწმინდურთაგან, რათა არ წაბილწულიყვნენ. ახლა ისინი, ვინც დაემორჩილა უწყებას, იყვნენ თავისუფალი და ერთიანი. წმინდა, უჩვეულო ნათელი ბრწყინავდა მათზე. მათ უარყვეს წუთისოფელი, აღარ იყვნენ მიჯაჭვულნი მასთან და მსხვერპლად გაიღეს მიწიერი ინტერესები. მათ დატოვეს თავისი მიწიერი საგანძური და, მოუთმენლად იცქირებოდნენ რა ზეცისკენ, თავისი საყვარელი მხსნელის გამოჩენას ელოდნენ. იესომ უბრძანა თავის ანგელოზებს, წასულიყვნენ და განემტკიცებინათ ისინი, რადგან მათი გამოცდის ჟამი ახლოვდებოდა. მე ვიხილე, რომ მომლოდინეები ჯერ სათანადოდ არ იყვნენ გამოცდილები. არც შეცდომებისაგან იყვნენ დაზღვეულნი. მე ვიხილე ღმერთის მოწყალება და სიკეთე, გამოვლენილი იმაში, რომ მან დედამიწის მკვიდრთ გაფრთხილება და განმეორებითი უწყებები გაუგზავნა, რათა დროის ფაქტორამდე მიეყვანა ისინი, განეწყო საკუთარი თავის გულმოდგინე გამოკვლევისათვის, რომ შეძლონ განწმენდა იმ შეცდომებისაგან, რომლებიც მათ წარმართებისა და პაპის სისტემიდან გადმოეცათ. ამ უწყებათა დახმარებით ღმერთს თავისი ხალხი მიჰყავდა იქ, სადაც მათზე მეტი ძალით ახდენდა ზემოქმედებას და სადაც მათ მისი ყველა მცნების დაცვა შეეძლოთ.

იხ. მეოთხე მეფეთა 2:11-25; დანიელი 8:14; აბაკუმი 2:1-4; მათე 25:6; გამოცხადება 14:8, 18:1-5

თავი 27

საწმიდარი

შემდეგ მე მეჩვენა ღვთის ხალხის ტანჯული იმედგაცრუება. მათ ვერ იხილეს იესო მოლოდინის ჟამს და არ იცოდნენ, რატომ არ მოვიდა მხსნელი. ისინი იმის ახსნას ვერ პოულობდნენ, რატომ არ დასრულდა წინასწარმეტყველური დრო. ანგელოზმა თქვა: „განა ღვთის სიტყვა არ აღსრულდა? ნუთუ ღმერთმა ვერ შეძლო თავისი აღთქმების შესრულება? არა, მან შეასრულა ყველაფერი, რაც შეჰპირდა. იესო წამოდგა, დახურა წმიდას კარი ზეციურ საწმიდარში, გააღო წმიდათა წმიდის კარი და შევიდა იქ, რათა განწმინდოს საწმიდარი. ანგელოზმა თქვა: „ყველა მოთმინებით მომლოდინე მიხვდება საიდუმლოს“. ადამიანმა დაუშვა შეცდომა, მაგრამ ღმერთი არ შემცდარა. აღსრულდა ყოველივე, რაც ღმერთმა აღგვითქვა; მაგრამ ადამიანი ცდებოდა, როცა სწამდა, რომ დედამიწა საწმიდარია, რომელიც უნდა განიწმინდოს წინასწარმეტყველური პერიოდების დასასრულს. ადამიანთა მოლოდინმა მარცხი განიცადა, მაგრამ არა ღმერთის აღთქმამ. იესომ გააგზავნა თავისი ანგელოზები, რათა ეტარებინა იმედგაცრუებულნი და მიემართა მათი მზერა წმიდათა წმიდისაკენ, სადაც შევიდა იგი, რათა განეწმინდა საწმიდარი და აღესრულებინა განსაკუთრებული შერიგება ისრაელისთვის. იესომ უთხრა ანგელოზებს, რომ ყველა, ვინც იგი იპოვა, მიხვდება იმ სამუშაოს არსს, რომელიც მან უნდა აღასრულოს. მე ვიხილე, რომ იესო წმიდათა წმიდაში ყოფნის დროს უნდა დაქორწინებულიყო ახალ იერუსალიმზე, ხოლო წმიდათა წმიდაში თავისი მსახურების დასრულების შემდეგ, ის მეფური დიდებით უნდა ჩამოსულიყო დედამიწაზე და თან წაეყვანა მისი მოსვლის მოთმინებით მომლოდინე ძვირფასი ადამიანები.

მაშინ მეჩვენა, რა იყო სინამდვილეში ზეცაში 1844 წელს, როდესაც დასრულდა წინასწარმეტყველური პერიოდები. მე ვიხილე: როდესაც იესოს მსახურება წმიდაში დასრულდა და მან დახურა ამ განყოფილების კარი, დიდმა წყვდიადმა მოიცვა ისინი, ვინც ისმინა, მაგრამ უარყო უწყება ქრისტეს მოსვლის შესახებ. და მათ დაკარგეს იგი თვალთახედვის არედან. მაშინ იესო ძვირფასი ტანსაცმლით შეიმოსა. მისი სამოსლის კალთებზე, ირგვლივ ოქროს ეჟვანი და ბროწეული, ოქროს ეჟვანი და ბროწეული. მას მხრებზე ჩამოკიდებული ჰქონდა სამკერდული, შესანიშნავი ნამუშევარი. როდესაც ის მოძრაობდა, იგი ბრილიანტებივით ბრწყინავდა, იკვეთებოდა სახელების მსგავსი ასოები, დაწერილი ან ამოკვეთილი სამკერდულზე. როდესაც ის მთლიანად შეიმოსა და თავზე გვირგვინის მსგავსი რამ ეკეთა, ანგელოზებით გარშემორტყმული უფალი ცეცხლოვანმა ეტლმა წაიყვანა მეორე ფარდის მიღმა. მაშინ მე მიბრძანეს, ყურადღება მიმექცია ზეციური საწმიდრის ორ განყოფილებაზე. ფარდა ანუ კარი ღია იყო და მე ნება დამრთეს, შევსულიყავი შიგ. პირველ განყოფილებაში ვიხილე შვიდი ლამპარი შვიდი სასანთლით ძვირფასი და დიდებული სანახავი; აგრეთვე ტაბლა შესაწირი პურით, სამსხვერპლო და

საკმეველი. განყოფილების ყველა საგანი ხალას ოქროს ჰგავდა და მის სახეს ირეკლავდა, ვინც ამ ადგილში შედიოდა. ფარდა, რომელიც ორ განყოფილებას მიჯნავდა, უმშვენიერესი იყო: ფერადი, სხვადასხვა ქსოვილისაგან შედგენილი, ლამაზი არშიით შემოკერილი და ანგელოზის ოქროს ფიგურებით ამოქარგული. ფარდა აწეული იყო და მე მეორე განყოფილებაში შევიხედე. იქ დავინახე კიდობანი ხალასი ოქროს სახით. ზემოდან კიდობანს გარს ერტყა უმშვენიერესი ნაკეთობის გვირგვინი, ის სუფთა ოქროსი იყო. კიდობანში ქვის ფიქალები ეწყო ზედ ათი მცნებით. კიდობნის ყოველ ბოლოს მშვენიერი ქერუბიმი აღმართულიყო, კიდობნის ზემოთ ფრთებგაშლილი. მათი ფრთები ზემოთ იყო აწეული და ერთმანეთს ეხებოდა იესოს თავს ზემოთ იმ დროს, როცა იგი კიდობანთან იდგა. მათი სახეები ერთმანეთისაკენ იყო მიმართული, ხოლო მზერა – ქვემოთ, კიდობნისაკენ, როგორც მთელი ზეციური მხედრობის სიმბოლო, რომელიც ყურადღებით აკვირდება ღვთის კანონს. ქერუბიმებს შორის იყო ოქროს საგუნდრუკე. როდესაც წმინდანნი ლოცვებს რწმენით აღავლენდნენ იესოსადმი და ის კი მათ თავის მამას წარუდგენდა, ირგვლივ საკმევლის კეთილსურნელება იფრქვეოდა. იგი უმშვენიერეს ყვავილთა სურნელს ჰგავდა. კიდობნის წინ, იმ ადგილის თავზე, სადაც იესო იდგა, თვალის მომჭრელი, ისეთი არაჩვეულებრივი დიდება გაბრწყინებულიყო, რომელზედაც შეხედვა არ შემეძლო. ის იმ ტახტის მსგავსი იყო, სადაც ღმერთია დავანებული. როდესაც საკმეველი მამამდე ავიდა, საუცხოო დიდება მამის ტახტიდან იესოსთან გადავიდა, ხოლო მისგან გადმოიღვარა მათზე, ვისი ლოცვებიც კეთილსურნელოვანი საკმევლის მსგავსად აღევლინებოდა. ნათელი და დიდება უხვად გადმოიღვარა იესოზე, გაანათა მადლის ტახტი და დიდების ღრუბელმა აღავსო ტაძარი. მე დიდხანს არ შემეძლო ამ დიდების ცქერა. არც ერთ ენას არ ძალუძს მისი აღწერა. გაოგნებული ვიყავი და თვალი ავარიდე ამ სცენის დიდებულებასა და დიდებას.

მე მეჩვენა მიწიერი საწმიდარი, მისი ორი განყოფილებით. იგი ზეციურს მაგონებდა. მე მითხრეს, რომ ეს მიწიერი საწმიდარი ზეციურის სახეა. მიწიერი საწმიდრის პირველი განყოფილების საგნები ისეთივე იყო, როგორიც იყო ზეციურის პირველ განყოფილებაში. ფარდა აწეული იყო და, შევიხედე რა წმიდათა წმიდაში დავინახე, რომ საგნები ისეთივე იყო, როგორც ზეციერი საწმიდრის წმიდათა წმიდაში. მიწიერი საწმიდრის ორივე განყოფილებაში მღვდლები მსახურობდნენ. პირველ განყოფილებაში მღვდელი მსახურებდა წლის ყოველ დღეს, ხოლო წმიდათა წმიდაში შედიოდა წელიწადში ერთხელ, რათა განეწმინდა იგი მასში შეტანილი ცოდვებისაგან. მე ვიხილე, რომ იესო მსახურებდა ზეციური საწმიდრის ორივე განყოფილებაში. ის შევიდა ზეციურ საწმიდარში საკუთარი სისხლის მსხვერპლით. მიწიერი მღვდლები წყვეტდნენ თავის მსახურებას სიკვდილის მიზეზით, ამიტომ დიდხანს არ შეეძლოთ მსახურება, მაგრამ მე ვიხილე, რომ იესო სამარადისო მღვდელია. მიწიერ საწმიდარში მიტანილი მსხვერპლითა და შენაწირით ისრაელის ძენი მომავალი მხსნელის დამსახურებებს უნდა დაყრდნობოდნენ. ღმერთის სიბრძნით ჩვენ მოგვეცა ამ სამუშაოს დეტალური აღწერა, რათა მისი მეშვეობით ჩავწვდომოდით ზეციურ საწმიდარში იესოს მსახურების არსს.

ჯვარცმისას, როცა იესო გოლგოთაზე კვდებოდა, მან წამოიძახა: „აღსრულდა“ – და ტაძრის ფარდა შუაზე ჩაიხა თავიდან ბოლომდე. ამას უნდა ეჩვენებინა, რომ მსახურება მიწიერ საწმიდარში დასრულდა სამუდამოდ: ღმერთი უკვე აღარ შეხვდება ხალხს მიწიერ ტაძარში და არ მიიღებს მსხვერპლს.

მაშინ დაიღვარა იესოს სისხლი, რომლითაც მას თავად უნდა ემსახურა ზეციურ საწმიდარში. როგორც მღვდლები შედიოდნენ მიწიერი საწმიდრის წმიდათა წმიდაში წელიწადში ერთხელ, რათა განეწმიდათ საწმიდარი, ასევე შევიდა იესო ზეციური საწმიდრის წმიდათა წმიდაში 1844 წელს (ანუ 2300 დღის დასასრულს, რომელთა შესახებ დანიელის მე-8 თავშია ნათქვამი), რათა აღასრულოს საბოლოო შერიგება მათთვის, ვინც მისი შუამდგომლობით ისარგებლებს და განწმიდოს საწმიდარი.

იხ. გამოსვლა 25-28 თავები; ლევიანები მე-16 თავი; მეოთხე მეფეთა 2:11; დანიელი 8:14; მათე 27:50-51; ებრაელთა მე-9 თავი; გამოცხადება 21-ე თავი

თავი 28

მესამე ანგელოზის უწყება

როდესაც დასრულდა იესოს მსახურება წმიდაში, ის წმიდათა წმიდაში გადავიდა და დადგა აღთქმის კიდობნის წინ, სადაც ღვთის კანონი ინახებოდა, მაშინ მან მიავლინა დედამიწაზე სხვა ძლევამოსილი ანგელოზი მესამე უწყებით. იესომ ხელში ჩაუდო ანგელოზს პერგამენტი და მანაც, დაეშვა რა დედამიწაზე ძალითა და დიდებით, გამოაცხადა საშინელი გაფრთხილება – ეს იყო ყველაზე დიდი მუქარა, რომელიც ოდესმე მიეცა კაცობრიობას. ამ უწყების მიზანი იყო ღვთის შვილთა მოხმობა სიფრთხილისაკენ, მათთვის ცდუნებისა და გლოვის მოსალოდნელი ჟამის ჩვენება. ანგელოზმა თქვა: „ისინი ჩათრეულნი იქნებიან ხელჩართულ ბრძოლაში მხეცთან და მის ხატებასთან. მათი ერთადერთი იმედი მარადიული სიცოცხლისა იმაში მდგომარეობს, რომ შეინარჩუნონ სიმტკიცე. თუმცა მათი სიცოცხლე საფრთხეშია, ისინი მტკიცედ უნდა ჩაეჭიდონ ჭეშმარიტებას“. მესამე ანგელოზი თავის უწყებას ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „აქ არის წმიდათა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას“. გაიმეორა რა ეს სიტყვები, მან მიუთითა ზეციურ საწმიდარზე. ვინც მიიღო ეს უწყება, თავისი გონება მიმართული აქვს წმიდათა წმიდისაკენ, სადაც იესო დგას აღთქმის კიდობნის წინ და აღასრულებს თავის საბოლოო შუამდგომლურ მსახურებას ყველასათვის, ვისთვისაც ჯერ კიდევ გრძელდება წყალობა, აგრეთვე მათთვისაც, ვინც თავისი არცოდნით დაარღვია უფლის რჯული. ეს შერიგება სრულდება როგორც მკვდარ, ასევე ცოცხალ მართალთათვის. იესო აღასრულებს შერიგებას მათთვის, ვინც ისე მოკვდა, რომ არ მიუღია ნათელი ღვთის მცნებების შესახებ, ვინც სცოდავდა უმეცრების გამო.

მას შემდეგ, რაც იესომ გახსნა კარი წმიდათა წმიდაში, გამოჩნდა ნათელი შაბათის შესახებ. ღვთის ხალხი უნდა შემოწმებულიყო და გამოცდილიყო, მსგავსად იმისა, როგორც ღმერთი ცდიდა ისრაელის შვილებს წარსულში, რათა დაენახა, დაიცავდნენ თუ არა ისინი მის კანონს. მე ვიხილე, როგორ მიუთითებდა ანგელოზი ზემოთ და უჩვენებდა გულგატეხილთ გზას ზეციერი საწმიდრის წმიდათა წმიდისაკენ. იქ კვლავ იპოვეს იესო და მათ ისევ გაუჩნდათ სიხარული და გაუღვივდათ იმედი. მე ვიხილე, როგორ იყურებოდნენ ისინი უკან, თვალს ავლებდნენ თავის წარსულსა და გზას, რომელიც განვლეს იესოს მეორედ მოსვლის შესახებ უწყების გამოცხადებიდან დროის ამოწურვამდე 1844 წელს. ღვთის შვილებმა იხილეს თავისი იმედგაცრუების განმარტება, ამიტომ სიხარულმა და სიმტკიცემ კვლავ გამოაცოცხლა ისინი. მესამე ანგელოზმა გაანათა წარსული, აწმყო და მომავალი და მათ იციან, რომ ღმერთი ჭეშმარიტად თავისი ჩაუწვდომელი განგებით ატარებდა.

მე მეჩვენა, რომ ნატამალი უკან გაჰყვა იესოს წმიდათა წმიდაში, ჭვრეტდა აღთქმის კიდობანს, მადლის ტახტს და დატყვევებული იყო მისი დიდებით. იესომ ახსნა კიდობნის სახურავი და აი, იქ იდო ქვის ორი ფიქალი, რომლებზეც ათი მცნება იყო ამოტვიფრული. თვალი გადაავლეს რა ცოცხალ წერილს, თრთოლვით დაიხიეს უკან, როცა ათ წმინდა მითითებას შორის დაინახეს მეოთხე მცნება, რომელიც გარემოცული იყო დიდებით და უფრო მეტად განათებული, ვიდრე დანარჩენი ცხრა. ისინი იქ ვერ პოულობენ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ შაბათი გაუქმებული ან შეცვლილია კვირის პირველი დღით. ის იგივეს აცხადებს, რაც ღმერთის ბაგეთაგან გაცხადდა მთაზე საზეიმო შიშის მომგვრელი დიდებულებით, როდესაც ირგვლივ ზეცა ელვარებდა და გრგვინავდა ჭექა-ქუხილისაგან და დაიწერა იგი ღმერთის წმინდა ხელით ქვის ფიქალებზე. „ექვსი დღე იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე, ხოლო მეშვიდე დღე უფლის, შენი ღმერთის, შაბათია“. ღვთის შვილები გაოგნებული არიან, როცა ხედავენ ათი მცნებისადმი გამოვლენილ ყურადღებას. ისინი აღნიშნავენ, რომ მცნებები იეჰოვას ახლოს იმყოფება, მისი სიწმინდით გასხივოსნებული და დაცული. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ფეხქვეშ გათელეს ათი მცნებიდან მეოთხე მცნება და იცავდნენ წარმართებისა და პაპობის მიერ მათთვის გადაცემულ დღეს, იეჰოვას მიერ განწმენდილი დღის ნაცვლად. ისინი მორჩილებას ავლენდნენ ღმერთის წინაშე და მწარედ ინანიებდნენ თავის წარსულ ცოდვებს.

მე ვიხილე: როდესაც იესოს თავის მამასთან მათი აღსარებები და ლოცვები მიჰქონდა, საცეცხლურში გუნდრუკი იკმეოდა. ამ დროს ნათელი ეფინებოდა იესოს სახეს და მადლის ტახტს. მაშინ გულწრფელად მლოცველებმა, რომლებიც შეწუხებულნი იყვნენ იმის გამო, რომ აღმოაჩინეს საკუთარი თავი ღვთის კანონის დამრღვევებად, კურთხევა მიიღეს, ხოლო მათი სახეები იმედითა და სიხარულით გაბრწყინდა. მათ მონაწილეობა მიიღეს მესამე ანგელოზის საქმეში, მაღალი ხმით აცხადებდნენ საზეიმო გაფრთხილებას. მაშინ მე ვიხილე,

რომ ბევრმა მიიღო მესამე ანგელოზის უწყება და თავისი ხმები ამ გაფრთხილების პირველ მაუწყებლებს შეუერთეს. ისინი ადიდებდნენ ღმერთს მისი წმინდა დღის დაცვით.

ბევრს, ვინც მესამე ანგელოზის უწყება მიიღო, არ ჰქონდა ორი წინა უწყების გამოცდილება. სატანა ხვდებოდა ამას, მტრულად უყურებდა მათ და მათივე დაღუპვა სურდა. მაგრამ მესამე ანგელოზი მიუთითებდა წმიდათა წმიდაზე და ისინი, ვისაც წინა უწყების გამოცდილება გააჩნდათ, მათ ზეციერი საწმიდრისაკენ გზას უჩვენებდნენ. ბევრმა დაინახა ჭეშმარიტების სრულყოფილი ჯაჭვი ანგელოზთა უწყებებში და სიხარულით მიიღეს იგი. ისინი ითვისებდნენ მათ თანამიმდევრობით, რწმენით მიჰყვებოდნენ იესოს ზეციურ საწმიდარში. ეს უწყებები წარმომიდგა, როგორც ღუზა, რომელსაც ეკლესიის ხომალდი ეჭირა. ვინც იღებს და წვდება მათ, სატანის მრავალი ტყუილისაგანაა დაცული.

დიდი იმედგაცრუების შემდეგ, 1844 წელს სატანამ და მისმა ანგელოზებმა აქტიური საქმიანობა წამოიწყეს, დააგეს მახეები, რათა ეკლესიის რწმენა შეერყიათ. ისინი ზემოქმედებას ახდენდნენ იმათ გონებაზე, ვისაც ამ უწყებებში საკუთარი გამოცდილება გააჩნდათ. ასეთ ადამიანებს მორჩილი იერი ჰქონდათ. მათ შეცვალეს პირველი და მეორე უწყება და მიუთითებდნენ მათ აღსრულებაზე მომავალში, მაშინ როცა სხვები მიუთითებდნენ შორეულ წარსულზე, აცხადებდნენ რა, რომ ისინი უკვე აღსრულდა. ეს პირები აღელვებდნენ გამოუცდელთა გონებას და ძირს უთხრიდნენ მათ რწმენას. ზოგიერთი იკვლევდა ბიბლიას, ცდილობდა საკუთარი, ეკლესიისაგან დამოუკიდებელი რწმენის შექმნას. სატანას უხაროდა, რადგან იცოდა, რომ ვინც კავშირს წყვეტს ღუზასთან, მას ადვილად მოაქცევს თავისი გავლენისა და ცრუ მოძღვრებების გავლენის ქვეშ. მრავალმა, ვინც მოწინავე იყო პირველი და მეორე უწყების გამოცხადებაში, უარყო ისინი და ეკლესიაში ადგილი ჰქონდა დაყოფასა და გაუგებრობას. მაშინ მე ვიხილე უილიამ მილერი. ის დაბნეული ჩანდა, თავისი ხალხის ტანჯვისა და მწუხარების ტვირთისაგან მოხრილიყო. ის ხედავდა, რომ იმ ჯგუფის წევრები, რომელშიც 1844 წელს ერთიანობა და სიყვარული სუფევდა, კარგავდნენ სიყვარულს და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მილერი ხედავდა, რომ ისინი ცივი განდგომილების მდგომარეობაში ვარდებიან. მწუხარებამ გამოფიტა მისი ძალები. მე ვიხილე, რომ ხელმძღვანელი პირები უთვალთვალებდნენ უილიამ მილერს, რადგან ეშინოდათ, რომ ის მიიღებდა მესამე ანგელოზის უწყებას და ღვთის მცნებებს. და როდესაც ის ზეციერი ნათლისაკენ იხრებოდა, ეს ადამიანები სახავდნენ გეგმებს მის დასაბნევად. მე ვიხილე, რომ მასზე გაწეულიყო ადამიანური ზემოქმედება, რათა მისი გონება წყვდიადს მოეცვა და შენარჩუნებულიყო მილერის ზეგავლენა მათ შორის. ბოლოს, უილიამ მილერმა ზეციური ნათლის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა. მან არ აღიარა უწყება, რომელიც განმარტავდა მის იმედგაცრუებას, ნათელსა და დიდებას მოფენდა წარსულს, გამოაცოცხლებდა მის დაუძლურებულ ძალებს, შთაბერავდა იმედს და შთააგონებდა მას, განედიდებინა ღმერთი. ის ეყრდნობოდა ადამიანურ სიბრძნეს, ნაცვლად ღვთიურისა და მას, თავისი მოძღვრის საქმეში თავდაუზოგავი შრომითა და სიბერით მოტეხილს, უფრო ნაკლებად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ვიდრე მათ, ვინც ჭეშმარიტებას დააშორა იგი. ისინი არიან პასუხისმგებელნი, მათ დაეკისრათ ცოდვა. უილიამ მილერს მესამე უწყების ნათელი რომ დაენახა, ბევრი რამ, რაც მისთვის სიბნელითა და იდუმალებით იყო მოცული, გასაგები გახდებოდა. ვინაიდან მისი ძმები მისადმი ღრმა სიყვარულსა და ინტერესს ავლენდნენ, ის ფიქრობდა, რომ ვერ შეძლებს მათ დათმობას. მისი გული კეთილად იყო განწყობილი ჭეშმარიტების მიმართ, მაგრამ ის თავის ძმებს შესცქეროდა. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ჭეშმარიტებას. შეეძლო კი მას გამოყოფოდა მათ, ვინც ერთგულად იდგა მის გვერდით იესოს მოსვლის გამოცხადებისას? ის ფიქრობდა, რომ ისინი არ შეეცდებიან სწორი გზიდან მის ჩამოცილებას.

ღმერთმა დაუშვა, რომ მილერი სატანის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულიყო და ნება დაერთო სიკვდილს, მასზე თავისი ძალაუფლება გამოევლინა. მან საფლავში დამალა იგი იმ ადამიანებისგან, რომლებიც მას მუდმივად ღმერთს აშორებდნენ. მოსემ შეცდომა იმ დროს დაუშვა, როცა აღთქმულ მიწაზე უნდა დაედგა ფეხი. მე ვიხილე: როდესაც უილიამ მილერი ზეციურ ქანაანში უნდა შესულიყო, მანაც დაუშვა შეცდომა, უფლება მისცა რა თავის გავლენას, წინააღმდეგობა გაეწია ჭეშმარიტებისათვის. ამ მდგომარეობამდე სხვებმა მიიყვანეს. ამ სხვებმა პასუხი უნდა აგონ ამისათვის. მაგრამ ანგელოზები იცავნენ ღვთის ამ მსახურის ძვირფას ნეშტს და იგი გამოვა უკანასკნელი საყვირის ხმაზე.

იხ. გამოსვლა 20:1-17; 31:18; 1 თესალონიკელთა 4:16; გამოცხადება 14:9-12

თავი 29

საიმედო საფუძველი

მე ვიხილე, ადამიანთა კარგად დაცული, მტკიცე ჯგუფი, რომელიც არ იწონებდა მათ, ვისაც ეკლესიის დაფუძნებული რწმენის შერყევა სურდა. ღმერთი მოწონებით უყურებდა მათ. მე მეჩვენა თანმიმდევრობით სამი საფეხური – ანგელოზის პირველი, მეორე და მესამე უწყება. ანგელოზმა თქვა: „ვაი მას, ვინც შეცვლის თუნდაც მცირედს ამ უწყებებში. უწყებათა სწორად გაგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. მე კვლავ გავიარე ამ უწყებებს შორის და ვიხილე, რა დიდი საფასურის გაღებით შეიძინა ღვთის ხალხმა თავისი გამოცდილება. ის მოპოვებულ იქნა მრავალი ტანჯვითა და დაუნდობელი ბრძოლით. ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ღმერთს ისინი, ვიდრე არ დააყენა მტკიცე, ურყევ საძირკველზე. შემდეგ მე ვიხილე, როგორ მიდიოდა ხალხი ამ საძირკველთან და იკვლევდა ფუნდამენტს, ვიდრე შედგებოდა მასზე. ერთნი სიხარულით უმალ დგებოდნენ მასზე. მეორენი ფუნდამენტის ჩაყრის ნაკლოვანებებს ეძებდნენ. მათ სურდათ, რომ რაღაც გაუმჯობესებულიყო, მაშინ საძირკველი უფრო სრულყოფილი გახდებოდა, ხოლო ხალხი – უფრო ბედნიერი. ზოგიერთნი ჩამოვიდნენ საძირკვლიდან და შეათვალიერეს იგი, ხოლო შემდეგ, ნახეს რა ნაკლოვანებები, გამოაცხადეს რომ იგი არასწორადაა ჩაყრილი. მე ვიხილე, რომ თითქმის ყველანი მყარად იდგნენ საძირკველზე და ეუბნებოდნენ ჩამოსულებს, შეეწყვიტათ საყვედურები, რადგან ხუროთმოძღვარი თვით ღმერთი იყო და ისინი მის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ისინი ყვებოდნენ ღმერთის საოცარ საქმიანობაზე, რომელმაც მიიყვანა ისინი მტკიცე საძირკვლამდე და ერთდროულად მიმართეს მზერა ზეცისაკენ, თან ხმამღალი ხმით ადიდებდნენ ღმერთს. ამან იმოქმედა ზოგიერთ იმათგანზე, ვინც საყვედურებით ჩამოვიდა საძირკვლიდან და ისინი მორჩილი სახეებით ავიდნენ მასზე.

ჩემი ყურადღება მიმართული იყო ქრისტეს პირველი მოსვლის გამოცხადებისაკენ. იოანე ელიას სულითა და ძალით მოვლენილ იქნა იესოს მოსვლისათვის გზის მოსამზადებლად. მათთვის, რომლებმაც იოანეს მოწმობა უარყვეს, იესოს სწავლებას სიკეთე არ მოუტანია. წინააღმდეგობამ, რომელსაც იესოს პირველი მოსვლის გამოცხადებას უწევდნენ, იქამდე მიიყვანა ისინი, რომ მზად არ აღმოჩნდნენ, მიეღოთ ყველაზე სარწმუნო მოწმობა იმისა, რომ ის მესიაა. სატანამ უბიძგა იოანეს უწყების უარმყოფელთ, კიდევ უფრო ღრმად შეეტოპათ – უარეყოთ იესო და ჯვარს ეცვათ იგი. ამით ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდეს საკუთარი თავი, რომ ვერ მიიღეს კურთხევა ორმოცდაათობის დღეს, რომელიც ზეციერი საწმიდრისაკენ გზას მიუთითებდა. ტაძარში ჩახეული ფარდა მოწმობდა იმაზე, რომ ღმერთი ამიერიდან აღარ მიიღებს იუდეველთა მსხვერპლშეწირვას და ზნე-ჩვეულებებს. უდიდესი მსხვერპლი უკვე გაღებული და მიღებული იქნა; და სულიწმიდა, ორმოცდაათობის დღეს მოფენილი, წარმართავდა მოწაფეთა აზრებს მიწიერი საწმიდრიდან ზეციურისაკენ, სადაც იესო საკუთარი სისხლით შევიდა და თავის მოწაფეებზე გამოსყიდვის კურთხევები გადმოღვარა. იუდეველნი შემცდარნი და წყვდიადით მოცულნი დარჩნენ. მათ დაკარგეს ხსნის გეგმასთან დაკავშირებული მთელი ნათელი, კვლავაც თავის უსარგებლო მსხვერპლშეწირვას ეყრდნობოდნენ. მათ არ შეეძლოთ ესარგებლათ ქრისტეს შუამდგომლობით წმიდაში. ზეციერმა საწმიდარმა მიწიერის ადგილი დაიკავა, მაგრამ მათ თითქმის არაფერი იცოდნენ ამ ზეციური საწმიდრისაკენ მიმავალი გზის შესახებ.

ბევრი გაოგნებული უყურებს იმას, თუ როგორ მოექცნენ ებრაელები იესოს, როგორ უარყვეს და ჯვარს აცვეს იგი. როდესაც მის მიმართ დაუნდობელი და სამარცხვინო დამოკიდებულების შესახებ კითხულობენ, ისინი ფიქრობენ, რომ უყვართ ქრისტე და არ უარყოფდნენ მას პეტრეს მსგავსად, არ გააკრავდნენ ჯვარზე იუდეველთა მსგავსად. მაგრამ ღმერთმა, მოწმემ იმ თანაგრძნობისა, რომელსაც ისინი თითქოს უცხადებენ მის ძეს, შეამოწმა და გამოსცადა მათი სიყვარული იესოსადმი, რომლის შესახებაც ისინი ლაპარაკობენ.

მთელი ზეცა ღრმა ინტერესით აკვირდებოდა უწყების მიღებას. მაგრამ ბევრი იმათგან, ვინც ქრისტეს მიმართ სიყვარულის შესახებ აშკარად აცხადებდა და ჯვრის ისტორიის კითხვისას ცრემლებს ღვრიდა, იმის ნაცვლად, რომ სიხარულით მიეღო უწყება, რისხვით ანთებულები დასცინოდნენ ხარებას იესოს მოსვლის შესახებ და აცხადებდნენ, რომ ეს შეცდომა იყო. მათ არ ისურვეს, შეერთებოდნენ იესოს მოსვლის მოყვარულთა რიგებს, უფრო მეტიც, სძულდათ ისინი და დევნიდნენ მათ ეკლესიიდან. ვინც პირველი უწყება უარყო,

ვერანაირ სიკეთეს ვერ მიიღებდნენ მეორე უწყებისაგან და შუადამისეული მოწოდებიდან, რომელსაც უნდა მოემზადებინა ისინი, რწმენით შესულიყვნენ იესოსთან ერთად ზეციური სამწიდრის წმიდათა წმიდაში. პირველი ორი უწყების უარყოფით, მათ ვერ დაინახეს სინათლე მესამე ანგელოზის უწყებაში, რომელიც წმიდათა წმიდაში მიუთითებდა გზას. მე ვიხილე, რომ ნომინალურმა ეკლესიებმა ეს უწყებები ჯვარს აცვეს, ისევე, როგორც იუდეველებმა – ქრისტე; ამიტომ არაფერი იცოდნენ არც ზეცაში მომხდარი მოვლენების, არც წმიდათა წმიდაში გზის შესახებ. მათ არ შეეძლოთ საწმიდარში იესოს შუამდგომლობით ესარგებლათ. იმ იუდეველთა მსგავსად, რომლებიც უსარგებლო მსხვერპლშეწირვას ეწეოდნენ, ისინი გულმოდგინედ აღავლენდნენ თავის ამაო ლოცვებს იესოს მიერ დატოვებულ განყოფილებაში. ქრისტეს ეგრეთ წოდებული მიმდევრების შეცდომით კმაყოფილ სატანას ისინი თავის ბადეში ღრმად ჰყავდა გახლართული. იღებს რა რელიგიურ სახეს, სატანა იპყრობს ასეთი მოჩვენებითი ქრისტიანების გონებას თავისკენ და თავისი ძალით ახდენს ნიშნებსა და ცრუ სასწაულებს. ზოგიერთების მოსატყუებლად ერთ ხერხს იყენებდა, სხვებისთვის – მეორეს. მან მოამზადა ნაირგვარი სიცრუე, რათა სხვადასხვა გონებაზე ემოქმედა. ზოგიერთისათვის საზარელია ერთი ტყუილი, მაშინ როცა მზადაა მიიღოს მეორე. ბევრს სატანა ატყუებს სპირიტიზმის საშუალებით. ის ნათლის ანგელოზის სახითაც გვევლინება და თავის ზეგავლენას ავრცელებს დედამიწაზე. ირგვლივ მე ვხედავდი ცრუ რეფორმაციებს. ეკლესიები ამაღლებული განწყობილებით თვლიდნენ, რომ ღმერთი სასწაულებრივად მოქმედებს მათთვის, მაშინ როცა ეს სულ სხვა იყო. ამგვარი მოვლენები ჩაივლის და დატოვებს წუთისოფელსა და ეკლესიას უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე უწინ.

მე ვიხილე, რომ ღმერთს ჰყავს ღირსეული შვილები ნომინალურ ადვენტისტებს შორის და დაცემულ ეკლესიებში; წყლულების გადმოღვრამდე მოხდება მსახურებისა და ხალხის გამოწვევა ამ ეკლესიებიდან და ისინი კმაყოფილებით მიიღებენ ჭეშმარიტებას. სატანამ იცის ეს და მანამ, სანამ გაიჟღერებს მესამე ანგელოზის ხმამაღალი მოწოდება, ის გამოიწვევს აღტაცებას რელიგიურ ორგანიზაციებში, რათა იესოს უარმყოფელებმა იფიქრონ, რომ ღმერთი მათთანაა. ის იმედოვნებს პატიოსან ადამიანთა მოტყუებას და მათ გადახრას იმ აზრისკენ, რომ მათ ეკლესიებში ღმერთი ჯერ კიდევ მოქმედებს. მაგრამ ნათელი გაბრწყინდება და ყველა პატიოსანი ადამიანი დატოვებს დაცემულ ეკლესიებს და შეუერთდება ნატამალს.

იხ. მათე მე-3 თავი; საქმეები მე-2 თავი; 2 კორინთელთა 11:14; 2 თესალონიკელთა 2:9-12; გამოცხადება 14:6-12

თავი 30

სპირიტიზმი

მე ვიხილე ცდომილება, რომელიც იდუმალი კაკუნით იყო გამოწვეული. სატანა ფლობს იესოში განსვენებული თითქოსდა ჩვენი ნათესავებისა და მეგობრების გამოცხადების ძალას. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ისინი თავად არიან ჩვენს გვერდით; წარმოითქმება ჩვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლებსაც ოდესღაც ისინი წარმოთქვამდნენ იმ ხმით, როგორითაც ისინი ლაპარაკობდნენ, როცა ცოცხლები იყვნენ. ეს კეთდება წუთისოფლის შეცდომაში შესაყვანად და ადამიანთა სიცრუის ბადეში გასახვევად.

მე ვიხილე, რომ წმინდანებს ახლანდელი დროისათვის ჭეშმარიტების საფუძვლიანი გააზრების უნარი უნდა გააჩნდეთ, რაც აუცილებლად წმინდა წერილებით უნდა მოხდეს. მათ უნდა ესმოდეთ განსვენებულთა მდგომარეობა, რადგან ეშმაკეულთა სულები გამოეცხადებიან მათ, თავს მათ საყვარელ მეგობრებად და ნათესავებად გაასაღებენ და არაბიბლიურ დოქტრინებს აუწყებენ. ბოროტი სულები ყველაფერს გააკეთებენ მათი ნდობის მოსაპოვებლად, ხოლო საკუთარი სიტყვების დასამტკიცებლად მათ წინაშე სასწაულებს მოახდენენ. ღვთის ხალხი უნდა მოემზადოს, წინააღმდეგობის გასაწევად ბიბლიური ჭეშმარიტებით იმის შესახებ, რომ მკვდრებმა არაფერი იციან და რომ ეს ეშმაკეული სულებია. მე ვიხილე: ჩვენ კარგად უნდა გამოვიკვლიოთ ჩვენი სასოების საფუძველი, რადგან მისი არგუმენტირება მოგვიწევს წმინდა წერილის მეშვეობით, ამ ცდომილების გავრცელების ხილვისა და მასთან პირისპირ შეჯახების დროს. თუკი ამისათვის არ მოვემზადებით,

ხაფანგში გავებმებით და დავმარცხდებით. მაგრამ თუ ჩვენი მხრიდან ყველაფერს ვიღონებთ მოსალოდნელი შეჯახებისათვის მოსამზადებლად, ღმერთი თავის წილ სამუშაოს შეასრულებს და მისი ყოვლადძლიერი ხელი დაგვიცავს. ის მსწრაფლ მოავლენს ყველა ანგელოზს დიდებული ტახტიდან ერთგულ ადამიანთა გადასარჩენად, ოღონდ კი არ იქნან ისინი მოტყუებულნი და ცდუნებულნი სატანის ცრუ სასწაულებით.

მე ვიხილე, რა სიჩქარით ვრცელდებოდა ეს სიცრუე. მე მეჩვენა ელვის სისწრაფით მოძრავი მატარებელი. ანგელოზმა მიბრძანა, ყურადღებით შემეხედა. მზერა მატარებელზე შევაჩერე. თითქოს მთელი ქვეყანა დატეულიყო მასში. მაშინ მატარებლის წინამძღოლი მაჩვენა, რომელიც ღირსეულ, პატიოსან ადამიანად მეჩვენა და მას ყველა მგზავრი პატივისცემით უყურებდა. მე გაკვირვებულმა ვკითხე ჩემს თანამგზავრ ანგელოზს, თუ ვინ იყო ეს. მან მითხრა: „ეს სატანაა. იგი მატარებლის გამცილებელია სინათლის ანგელოზის სახით. სატანამ დაიპყრო წუთისოფელი. ადამიანები ცდომილებაში შეჰყავთ, რათა მათ ირწმუნონ ტყუილი და დაიღუპონ. ეშმაკის თანაშემწე, წოდებით ყველაზე მაღალი მას შემდეგ, არის მემანქანე, ხოლო სხვა მის თანამზრახველთ სხვადასხვა თანამდებობები უკავიათ, რომლებიც მას შეიძლება დასჭირდეს, და ყველანი ელვის სისწრაფით დაღუპვისაკენ მიემართებიან“. მე ვკითხე ანგელოზს, ხომ არ დარჩა ვინმე. მან მიბრძანა, გამეხედა მოპირდაპირე მხარეს და მე დავინახე ვიწრო ბილიკზე მიმავალი მცირე ჯგუფი. ყველანი ძლიერ შეკავშირებულნი და ჭეშმარიტებაში გაერთიანებულნი ჩანდნენ.

ეს მცირე ჯგუფი საზრუნავით ისეთი გატანჯული ჩანდა, თითქოს მკაცრი გამოცდა ან ბრძოლა გადაეტანოთ. თითქოს მზე ეს-ესაა გამოვიდა ღრუბლებიდან და მათი სახეები გაანათა, რამაც სიხარული მოჰფინა მათ სახეზე, იფიქრებდი, მათ უკვე გაიმარჯვესო.

მე ვიხილე, რომ ღმერთმა მისცა წუთისოფელს ხაფანგის დანახვის შესაძლებლობა. ქრისტიანთათვის უკვე ეს ერთი მტკიცებულებაც კი საკმარისი იყო, სხვა არანაირი რომ არსებულიყო. არავინ განასხვავებს, რა არის ფასეული და რა – მდაბალი.

თომას ფეინი, ვისი ნეშტიც უკვე მტვრად იქცა და გამოიღვიძებს 1000 წლის დასასრულს მეორე აღდგომის დროს, რათა მიიღოს თავის საზღაური და მეორედ მოკვდეს, სატანის სიტყვებით, ზეცაშია და განდიდებულია იქ. სატანამ ის დედამიწაზე გამოიყენა, რამდენადაც შეეძლო და ისევ აგრძელებს იგივე საქმიანობას, თან ამტკიცებს, რომ თომას ფეინი განდიდებულია, ცად ამაღლებულია და, როგორც დედამიწაზე ასწავლიდა, ასევე ასწავლის ზეცაში. ეშმაკმა აგრეთვე განაცხადა: ზოგიერთი მათგანი, ვინც დედამიწაზე ცხოვრებისას შიშითა და ძრწოლვით უმზერდნენ ფეინის ცხოვრებას, სიკვდილსა და მის გახრწნილ სწავლებას, ახლა სწავლობენ იმასთან, ვინც ყველაზე ბილწი და გარყვნილი კაცი იყო, ვისაც სძულდა ღმერთი და მისი კანონი.

სიცრუის მამა აბრმავებს და ატყუებს წუთისოფელს, თავის ანგელოზებს ალაპარაკებს მოციქულთა სახელით, რათა შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მოციქულები ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც წერდნენ სულიწმიდის ბრძანებით, როცა დედამიწაზე ცხოვრობდნენ. ეს ცრუ ანგელოზები წარმოაჩენენ მოციქულებს ისე, თითქოს ისინი ამახინჯებენ თავის სწავლებას და გაყალბებულად აცხადებენ. ასეთი ხერხით მას შეუძლია მთელი ქვეყნიერების და ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა, რომლებიც ატარებენ სახელს, თითქოს ცოცხლები იყვნენ, მაგრამ მკვდარნი არიან, დაეჭვება ღვთის სიტყვაში; რადგან იგი მას გზას უღობავს და მის გეგმებს ჩაშლით ემუქრება. ამიტომ ეშმაკი აიძულებს ადამიანებს, ეჭვი შეიტანონ ბიბლიის ღვთიურ წარმომავლობაში, ხოლო შემდეგ წარმოაჩენს უღმერთო თომას ფეინს ისეთად, რომელიც სიკვდილის შემდეგ აყვანილ იქნა ზეცაში, კავშირში იმყოფება წმინდა მოციქულებთან, რომლებიც სძულდა დედამიწაზე, თითქოს იგი მოძღვრავს ქვეყანას.

ყოველ თავის ანგელოზს სატანა ავალებს განსაზღვრული როლის თამაშს. ის უბრძანებს მათ, იყონ ცბიერი, მოხერხებული და ვერაგი. ზოგიერთ მათგანს ის ავალებს მოციქულების როლის თამაშს და მათ ნაცვლად ლაპარაკს, ამავე დროს სხვებმა უნდა განასახიერონ უღმერთონი და უწმინდურნი, რომლებიც მოკვდნენ ღმერთის წყევლაში, მაგრამ ახლა ძალიან რელიგიურები გახდნენ. არ კეთდება არნაირი განსხვავება უწმინდეს მოციქულებსა და ღვთის ყველაზე დაცემულ მგმობელთა შორის. ერთნიც და მეორენიც ერთსა და იმავეს ასწავლიან. და სულაც არაა მნიშვნელოვანი, ვის აიძულებს სატანა, ილაპარაკოს, მთავარია, თავის მიზანს მიაღწიოს. ის ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეინთან დედამიწაზე და ისე ეხმარებოდა მას, რომ მისთვის რთული არაა იცოდეს თავისი იმ ერთ-ერთი ერთგული შვილის მიერ გამოყენებული სიტყვები და ხელწერა, რომელიც ასე თავდადებით

ემსახურებოდა მას და წარმატებით აღასრულებდა მის ზრახვებს. მრავალი მისი ნაშრომი სატანის კარნახით არის დაწერილი და მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს თავისი ანგელოზების მეშვეობით იმ გამონათქვამების კარნახი, რომლებიც თითქოსდა თომას ფეინს, სიცოცხლეში მის ერთგულ მსახურს, ეკუთვნის. მაგრამ ეს სატანის შედევრია. მთელი ეს სწავლება, წამოსული თითქოს მოციქულებიდან, წმინდანებიდან და უწმინდური განსვენებული ადამიანებიდან, სინამდვილეში უშუალოდ მისი სატანური უდიდებულესობისაგან მომდინარეობს.

ეს საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გონებიდან საფარველის მოხდა და სატანის შავბნელი, საიდუმლო საქმის დანახვა: წმინდა მოციქულებსა და ანგელოზებთან ერთად მან მოათავსა ის, ვინც ძლიერ უყვარდა და ვისაც აშკარად სძულს ღმერთი. ფაქტობრივად, ამით ეშმაკი ეუბნება წუთისოფელს და უღმერთოებს: „რა მნიშვნელობა აქვს, რამდენად უწმინდური ხარ და გწამს თუ არა ღმერთი და ბიბლია. იცხოვრე, როგორც მოგწონს, ზეცა – სახლია შენი; იმიტომ რომ ყველამ იცის: თუ თომას ფეინი ზეცაშია და ასეთი მაღალი მდგომარეობა უჭირავს, თქვენც, უეჭველია, იქ მოხვდებით“. ეს შეცდომა ისეთი აშკარაა, რომ ყველა შეძლებს მის დანახვას, თუკი მოინდომებს. ახლა სატანა აკეთებს იმას, რის გაკეთებასაც თავისი დაცემის დროიდან ცდილობდა თომას ფეინის მსგავსი პიროვნებების მეშვეობით. თავისი ძალისა და ცრუ სასწაულების მეშვეობით ის ქრისტიანულ იმედს ძირს უთხრის და ზეცისაკენ მიმავალ მათ ვიწრო გზას მანათობელ ნათელს აშორებს. ის აიძულებს წუთისოფელს, დაიჯეროს, რომ ბიბლია არაფრით არაა მოთხრობათა კრებულზე უკეთესი, რომ იგი არ არის ღვთივსულიერი და ამავე დროს სთავაზობს რაღაც სხვას, რამაც მისი ადგილი უნდა დაიკავოს, კერძოდ კი, „სულიერ გამოვლინებებს“!

ეს არხი მთლიანად მას ეძღვნება და მის კონტროლს ექვემდებარება და სატანას შეუძლია, აიძულოს წუთისოფელი, დაიჯეროს ის, რასაც მოისურვებს. წიგნის, რომელმაც უნდა განსაჯოს იგი და მისი მიმდევრები, ის ჩრდილში მოქცევას და იქ დატოვებას ცდილობს. წუთისოფლის მხსნელს ის წარმოაჩენს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. და როგორც იესოს სამარხის რომაელი მცველები ავრცელებდნენ ცრუ ხმებს, რომლებიც მათ მღვდელმსახურებმა და უხუცესებმა ჩაუდეს ბაგეებში, ასევე ეს საცოდავი მოტყუებული, ამ მოჩვენებითი სულიერი გამოვლინებების მიმდევრები იმეორებენ და ცდილობენ, აჩვენონ, რომ არაფერია არაბუნებრივი ჩვენი მხსნელის დაბადებაში, მის სიკვდილსა და აღდგომაში. იესოსა და ბიბლიის ჩრდილში მოქცევითა და იქ დატოვებით, ისინი წუთისოფელის ყურადღებას იპყრობენ საკუთარი თავისა და თავისი ცრუ სასწაულებისადმი, აცხადებენ რა, რომ ისინი ქრისტეს საქმეზე ბევრად მაღლა დგას. ამგვარად ებმება წუთისოფელი ბადეში და საკუთარ თავს უსაფრთხოებით ამშვიდებს; ის ვერ აღმოაჩენს ამ საშინელ სიცრუეს მანამ, სანამ უკანასკნელი შვიდი წყლული არ გადმოიღვრება. სატანა იცინის, როცა ხედავს თავისი გეგმის წარმატებულ განხორციელებას და ხაფანგში გაბმულ წუთისოფელს.

იხ. ეკლესიასტე 9:5; იოანე 11:1-45; 2 თესალონიკელთა 2:9-12; გამოცხადება 13:3-14

თავი 31

სიხარბე

მე ვიხილე, როგორ თათბირობდნენ ერთად სატანა და მისი ანგელოზები. მან უბრძანა მათ, წასულიყვნენ და მახეები დაეგოთ მათთვის, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლას ელოდება და ღვთის ყველა მცნებას იცავს. სატანამ უთხრა თავის ანგელოზებს, რომ ყველა ეკლესიას ძინავს. იგი მეტ ძალისხმევას გამოიჩენს და გაამრავლებს ცრუ სასწაულებს, რათა შეაჩეროს ისინი. „მაგრამ შაბათის დამცველთა სექტა გვეზიზღება. ისინი გამუდმებით ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ და გვართმევენ ჩვენს ქვეშევრდომებს, რათა დაიცვან ეს საძულველი ღვთის რჯული.

წადით და დაათვრეთ მიწათა და ფულის მფლობელნი საზრუნავით. თუკი თქვენ შეძლებთ, გადააქციოთ ეს ნივთები მათი სიყვარულის საგნად, ასეთი ადამიანები უკვე ჩვენ გვეკუთვნიან. მათ შეუძლიათ ირწმუნონ, რაც მოსწონთ, ოღონდ კი ფულზე იზრუნონ მეტი, ვიდრე ქრისტეს სამეფოს წარმატებებზე და ჭეშმარიტებათა გავრცელებაზე, რომლებიც ასე გვძულს. წარმოაჩინეთ წუთისოფელი მათ წინაშე ყველაზე მომხიბვლელი სახით, რათა შეიყვარონ და გააღმერთონ იგი. ყველა სახსრები შეძლებისდაგვარად ჩვენს რიგებში უნდა

შევინარჩუნოთ. რაც უფრო მეტი სახსრები აქვთ ერთგულთ, მით უფრო მეტად შეძლებენ ისინი, ავნონ ჩვენს სამეფოს და მოიტაცონ ჩვენი ქვეშევრდომები. როდესაც ისინი თავის კრებებს სხვადასხვა ადგილას ნიშნავენ, ჩვენ საფრთხე გვემუქრება. მაშინ იყავით ძალზე ფხიზლად. მათი ყურადღება ნებისმიერი ხერხით გადაიტანეთ სხვა რამეზე. გაანადგურეთ ერთმანეთისადმი მათი სიყვარული. წაართვით სიმამაცე და გაუცრუეთ იმედი მათ მსახურებს, რადგან გვძულს ისინი. შესთავაზეთ ყველანაირი თვალსაჩინო გამართლება სახსრების მფლობელთ, რათა არ გასცენ ისინი. თუ შესაძლებელია, კონტროლზე აიყვანეთ ფინანსური საკითხები, მიიყვანეთ მათი მსახურები გაჭირვებასა და სიღატაკემდე. ეს შეასუსტებს მათ სიმამაცეს და თავდადებას. იბრძოლეთ მიწის ყოველი მტკაველისათვის. გადააქციეთ სიხარბე და მიწიერ საგანძურთა სიყვარული მათი ხასიათის მთავარ თვისებებად. ვიდრე ეს თვისებები მეტი ექნებათ, ხსნა და მადლი საძულველი იქნება. გარშემოარტყით ყველანაირი სატყუარები და ისინი აუცილებლად ჩვენები გახდებიან. მაშინ მშვიდად ვიქნები არა მხოლოდ მათ, არამედ სხვების გამოც, რადგან ვეღარ მოახდენენ მათზე თავის საძულველ ზემოქმედებას, რასაც ზეცისაკენ მიჰყავს ისინი. ხოლო ისინი, ვინც შეეცდება, გასცეს, აიძულეთ, გააკეთონ ეს უკმაყოფილებით, რათა მცირე იყოს მათი საქმეები“.

მე ვიხილე, რომ სატანა წარმატებით ახორციელებდა თავის გეგმებს. როდესაც ღვთის მსახურნი კრებებს იწვევდნენ, სატანა და მისი ანგელოზები, იცოდნენ რა მათი განზრახვის შესახებ, იქვე იმყოფებოდნენ, რათა ღვთის საქმისათვის ხელი შეეშალათ. ის მუდმივ ზემოქმედებას ახდენს ღვთის ხალხის გონებაზე. ერთნი ამგვარი გზით მიჰყავს, მეორენი – სხვა გზით, ყოველთვის ცდილობს ძმებისა და დების ხასიათის ცუდი თვისებები გამოიყენოს, აღაგზნებს მათ ბუნებრივ მიდრეკილებებს. თუკი ისინი გადახრილნი არიან ეგოიზმისა და სიხარბისაკენ, სატანა სიამოვნებით მათ გვერდით აღმოჩნდება და მთელი ძალებით ეცდება, რომ მათ თავისი დაუმარცხებელი მანკიერებანი გამოავლინონ. თუკი ღმერთის წყალობა და ჭეშმარიტების ნათელი გაალღვობს ხარბ, ეგოისტურ გრძნობებს მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო ადამიანები არ მოიპოვებენ სრულ გამარჯვებას მათზე, თუკი ისინი ხსნის გავლენის ქვეშ არ იმყოფებიან, მაშინ შემოდის სატანა კეთილშობილებისა და გულუხვობის ყოველგვარი გამოვლინებით იმგვარად, რომ ისინი ფიქრობენ, რომ მათგან ძალიან ბევრს მოითხოვენ. კეთილი საქმეებისაგან დაქანცულებს, ავიწყდებათ ქრისტეს დიადი მსხვერპლი, რომელიც მათთვის გაიღო, რათა გამოესყიდა ისინი სატანის ძალაუფლებისა და უსასოო, ბედკრული მდგომარეობისაგან.

სატანამ ისარგებლა იუდას სიხარბითა და ეგოიზმით და შეაგულიანა იგი, უკმაყოფილება გამოეთქვა მარიამის საქციელის გამო, რომელმაც ნელსაცხებელი უძღვნა იესოს. იუდამ ეს ჩათვალა ხარჯების ტყუილ ფლანგვად, ვინაიდან თვლიდა, რომ შეიძლებოდა ნელსაცხებელი გაეყიდათ და ფული ღარიბებისათვის დაერიგებინათ. ის არ ზრუნავდა ღარიბებზე, მაგრამ ჩათვალა, რომ ეს გულუხვი მსხვერპლი იესოსათვის უსაზღვროდ დიდი იყო. მან შეაფასა თავისი უფალი რამდენიმე ვერცხლად და გაყიდა კიდეც. მე ვიხილე: მათ შორის, ვინც ამტკიცებდა, რომ უფალს ელოდება, იყვნენ იუდას მსგავსი ადამიანებიც. სატანა ბატონობს მათზე, მაგრამ მათ ეს არ იციან. ღმერთი ვერ მოიწონებდა სიხარბისა და ეგოიზმის ნამცეცებსაც კი. მას სძულს ეს თვისებები, ეზიზღება იმათი ლოცვები და მოწოდებები, ვინც ამ თვისებებს ატარებს. რადგან სატანა ხედავს, რომ დრო ცოტა დარჩა, ის ამგვართ უბიძგებს, სულ უფრო ეგოისტური, სულ უფრო ხარბი გახდნენ და შემდეგ კი სიხარულით უყურებს, როგორ მრავლდება მათში სიძუნწე, პატივმოყვარეობა, საკუთარ თავზე ზრუნვის სურვილი. მათ რომ თვალები ახელოდათ, დაინახავდნენ სატანის ჯოჯოხეთურ სიხარულს, რომელიც ზეიმობს და დასცინის მათ, ვინც ისმინა მისი ჩურჩული და მის ბადეში გაება. მაშინ ის და მისი ანგელოზები წარუდგენენ იესოსა და წმინდა ანგელოზებს ამ პირთა სულმდაბალ, სიხარბით გამოწვეულ საქციელს და უსაყვედურებენ: „ესენი არიან ქრისტეს მიმდევრები! ისინი ემზადებიან ზეცაში წაყვანისათვის!“ სატანა აღნიშნავს მათ განდგომილებას და ადარებს იმ ბიბლიურ მუხლებს, სადაც ეს დაგმობილია, შემდეგ კი ქილიკით მიმართავს ანგელოზებს: „ისინი მიჰყვებიან ქრისტეს და მის სიტყვას! ისინი ქრისტეს მსხვერპლისა და გამოსყიდვის ნაყოფნი არიან!“ ანგელოზები ზიზღით იბრუნებენ პირს ამ სცენისაგან. ღმერთი თავისი ხალხისაგან მუდმივ მოქმედებას მოითხოვს, მაგრამ როცა ისინი იღლებიან სიკეთის ქმნისაგან და გულუხვობის გამოვლენისაგან, ისიც იღლება მათგან. მე ვიხილე, რომ ღმერთი უკმაყოფილოა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც თავის თავს მის ხალხს უწოდებს და რომელთათვისაც იესომ თავისი ძვირფასი სიცოცხლეც არ დაიშურა, ეგოიზმის სულ მცირე გამოვლენითაც კი. ყოველი ეგოისტი და ძუნწი გზაშივე

ჩამოცილდება მას. იუდას მსგავსად, რომელმაც თავისი უფალი გაყიდა, ისინი გაყიდიან კეთილშობილ პრინციპებს და გულუხვობას მცირე მიწიერი ანგარების გამო. ყველა ასეთი ადამიანი გაიცხრილება ღვთის ხალხისაგან. ზეცაში ყოფნის მსურველებმა მათთვის დამახასიათებელი ენერგიითა და ძალით უნდა გაატარონ ცხოვრებაში ზეციური პრინციპები. ეგოიზმში საკუთარი გულების დაჭკნობის ნაცვლად უნდა გააფართოონ თავისი ქველმოქმედება, გამოიყენონ ნებისმიერი შესაძლებლობა, რათა ერთმანეთისათვის სიკეთე აკეთონ და სულ უფრო განმტკიცდნენ ზეციურ პრინციპებში. იესო მოყვანილ იქნა ჩემთვის, როგორც სრულყოფილების ნიმუში. ეგოისტურ ინტერესებს მოკლებული მისი ცხოვრება, უანგარო ქველმოქმედებით აღინიშნებოდა.

იხ. მარკოზი 14:3-11; ლუკა 12:15-40; 1 იოანე 2:15-17; კოლასელთა 3:5-16

თავი 32

გაცხრილვა

მე ვიხილე ძლიერი რწმენით მლოცველნი, რომელნიც ტანჯვით შეჰღაღადებდნენ ღმერთს. გაფითრებულ სახეებზე დიდი შეშფოთების კვალი დამჩნეოდათ, რაც მათ შინაგან ბრძოლაზე მიუთითებდა. მათი სახის გამომეტყველება სულის სიმტკიცისა და დიდი გულმოდგინების ნიშანი იყო; ოფლი მსხვილ წვეთებად ეცემოდა მათი შუბლიდან. დროდადრო მათ სახეს ღმერთის მხარდაჭერის ნიშნად ნათელი ეფინებოდა, რის შემდეგაც კვლავ ისეთივე სერიოზული, გულმოდგინე, შეშფოთებული გამომეტყველება უბრუნდებოდათ.

ბოროტი ანგელოზები ირეოდნენ ღვთის ამ შვილების ირგვლივ და მათ წყვდიადში მოქცევას ცდილობდნენ, რათა იესო დაეკარგათ თვალთახედვის არედან, მათი თვალები რომ სიბნელეს მიჯაჭვოდა და ღმერთისადმი ნდობა დაშრეტოდათ, შემდეგ კი დრტვინვა დაეწყოთ მასზე. მაგრამ ერთადერთი ხსნა იმაში იყო, რომ მზერა მხოლოდ ზემოთ, ზეცისკენ მიემართათ. ანგელოზებს ღვთის ხალხზე ზრუნვა დაევალათ. და როდესაც ამ აღელვებულ ადამიანთა ირგვლივ ბოროტ ანგელოზთა გავლენა სულ უფრო და უფრო მომწამლავი ხდებოდა, ანგელოზები, რომელთაც მათი მეურვეობა დაევალათ, გამუდმებით ფანტავდნენ თავის ფრთების ქნევით მათ ირგვლივ ჩამოწოლილ წყვდიადს.

ზოგიერთები, როგორც მე ვიხილე, არ მონაწილეობდნენ ლოცვაში, რომელსაც სულიერი ტანჯვა ახლდა. ისინი გულგრილნი და უზრუნველნი ჩანდნენ. არ ეწინააღმდეგებოდნენ მათ ირგვლივ ჩამოწოლილ წყვდიადს და ისიც სქელი ღრუბელივით შემოეხვია მათ. ღვთის ანგელოზებმა დატოვეს ისინი და გულმოდგინე მლოცველებს მიაშურეს. მე ვიხილე, როგორ მიიჩქაროდნენ ღვთის ანგელოზები იმ ადამიანთა დასახმარებლად, რომლებიც მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ ბოროტ ანგელოზებს და ცდილობდნენ, საკუთარ თავს ღმერთისადმი გამუდმებული ლოცვით დახმარებოდნენ. ხოლო ანგელოზებმა დატოვეს ისინი, ვინც არანაირ ძალისხმევას არ მიმართავდა, რათა საკუთარ თავს დახმარებოდა და მე ისინი დავკარგე თვალთახედვის არედან.

იმ დროს, როდესაც მლოცველნი კვლავაც თავგამოდებით შეჰღაღადებდნენ, დროდადრო იესოს ნათელი სხივი ეფინებოდათ და ამხნევებდა მათ გულებს და აშუქებდა სახეებს.

მე ვიკითხე ჩემს მიერ ნანახი გაცხრილვის მნიშვნელობის შესახებ. მე მეჩვენა, რომ მას გამოიწვევს პირდაპირი მოწმობა, რომელიც მოცემული იქნება ლაოდიკიელთათვის ჭეშმარიტი მოწმის რჩევით. იგი ზეგავლენას მოახდენს მოწმობის მიმღების გულზე და შთააგონებს მას, აამაღლოს ნორმები და იქადაგოს წმინდა ჭეშმარიტება. ზოგიერთი ვერ გაუძლებს ასეთ პირდაპირ მოწმობას. ისინი აჯანყდებიან მის წინააღმდეგ და ეს ღვთის ხალხს შორის გაცხრილვის მიზეზი გახდება.

მე ვიხილე, რომ ჭეშმარიტი მოწმის მოწმობას ნაწილობრივაც კი არ უგდეს ყური. სერიოზულ მოწმობას, რომელზედაც ეკლესიის ბედი იყო დამოკიდებული, ფუქსავატურად მოეპყრნენ, თითქმის სრული გულგრილობით. ამ მოწმობამ უნდა გამოიწვიოს ღრმა მონანიება და ყველა, ვინც ნამდვილად მიიღებს მას, დაემორჩილებიან მას და განიწმინდებიან.

ანგელოზმა თქვა: „ისმინე!“ სულ მალე მე გავიგონე მრავალი მუსიკალური ინსტრუმენტის ჟღერადობის მსგავსი ხმა, რომელიც სრულყოფილ, მშვენიერ, ჰარმონიით სავსე ბგერებს გამოსცემდა. ის ბევრად უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ჩემს მიერ ოდესმე გაგონილი

ნებისმიერი მუსიკა; გეჩვენებოდა, რომ იგი მოწყალებით, თანაგრძნობით და ამაღლებული წმინდა სიხარულით იყო აღსავსე. მან მთელი ჩემი არსება შეძრა. ანგელოზმა თქვა: „შეხედე!“ მაშინ ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩემს მიერ ადრე ნანახმა ადამიანთა ჯგუფმა, რომლებიც ძლიერ შეშფოთებულნი იყვნენ. მე ისინი ვიხილე, ვინც ადრე მყავდა ნანახი, ვინც ტიროდა და ლოცულობდა სულიერ აგონიაში მყოფი. მე ვიხილე, რომ მფარველ ანგელოზთა ჯგუფი მათ ირგვლივ გაორმაგდა, ხოლო ადამიანები თავიდან ფეხებამდე აბჯარასხმულნი იყვნენ. ისინი მოძრაობისას მკაცრ წესრიგს იცავდნენ, როგორც ჯარისკაცთა მხედრობა. სახეზე აღბეჭდოდათ დაუნდობელი ბრძოლის ნიშანი რომელიც მათ გადაიტანეს მტანჯველი შერკინების დროს. თუმცა მათი ნაკვთები, რომლებზედაც აირეკლა მკაცრი შინაგანი ბრძოლა, ახლა ზეციური ნათლითა და დიდებით გაბრწყინებულიყო. მათ გაიმარჯვეს და ამან მათში დიდი მადლიერება და წმინდა სანუკვარი სიხარულის გრძნობა გამოიწვია.

ადამიანთა რიცხვი ჯგუფში მცირდებოდა. ზოგიერთი გაიცხრილა და გზაში ჩამოცილდა დანარჩენებს. უზრუნველებმა და გულგრილებმა, ვინც არ შეუერთდა მათ, რომლებიც გამარჯვებასა და ხსნას იმდენად აფასებდნენ, რომ მზად იყვნენ, გადაეტანათ ტანჯვა, თავდადებით მოეპოვებინათ ისინი და ეთხოვათ მათ შესახებ, ვერ მოიპოვეს გამარჯვება და ხსნა, ამიტომ უკან წყვდიადში დარჩნენ. მაგრამ მათი ადგილები უმალ შეივსო იმ ადამიანებით, ვინც მიიღო ჭეშმარიტება და შევიდა მათ რიგებში. ბოროტი ანგელოზები ჯერ კიდევ შეჯგუფებულიყვნენ მათ ირგვლივ, მაგრამ მათზე ძალაუფლებას ვეღარ ფლობდნენ.

მე ვისმინე, რომ აბჯარასხმულნი აცხადებდნენ ჭეშმარიტებას დიდი ძალით, რასაც ძლიერი ზემოქმედება ჰქონდა. მე ვხედავდი მათ, ვინც შებოჭილნი იყვნენ; ზოგიერთი ცოლი შებოჭილი იყო თავისი ქმრით, შვილები – მშობლებით. გულწრფელმა ადამიანებმა, რომელთაც აკავებდნენ და წინ ეღობებოდნენ, რათა სიმართლე არ მოესმინათ, ახლა ხალისით ჩასჭიდეს ხელი გამოცხადებულ ჭეშმარიტებას. ნათესავების წინაშე ყოველგვარი შიში გაქრა. მხოლოდ ჭეშმარიტება იყო მათთვის უზენაესი ცნება. იგი იყო სიცოცხლეზე ძვირფასი და სანუკვარი. მათ სურდათ და სწყუროდათ სიმართლე. მე ვიკითხე, რამ გამოიწვია ესოდენ დიდი ცვლილება. ანგელოზმა მიპასუხა: „ეს არის გვიანი წვიმა; სიხარული უფლის სახისაგან; მესამე ანგელოზის ხმამაღალი მოწოდება“.

დიადი ძალა თან ახლდა ამ რჩეულთ. ანგელოზმა თქვა: „შეხედე!“ ჩემი ყურადღება მიიპყრეს უწმინდურებმა და ურწმუნოებმა. ყველანი აღგზნებული იყვნენ. ღვთის ხალხის სწრაფვა და ძალა იწვევდა მათში გაღიზიანებას და რისხვას. არეულობა, არეულობა გამეფებულიყო ირგვლივ. მე ვიხილე, რომ ღვთის ძალისა და ნათლის მატარებელი ჯგუფის წინააღმდეგ ზომები იქნა გატარებული. წყვდიადი დაეშვა მათ ირგვლივ, მაგრამ ღმერთის სასოებით მედგრად იდგნენ და მის კეთილგანწყობას იმსახურებდნენ. მე ვიხილე, როგორ აფორიაქდნენ ისინი. შემდეგ კი გავიგონე, რა გულმოდგინებით შეღაღადებდნენ ღმერთს დღითა და ღამით. მე ვისმინე ეს სიტყვა: „დაე, იყოს, ღმერთო, შენი ნება! თუკი განდიდდება სახელი შენი, შეჰქმენ შენი ხალხის ხსნის გზა! გვიხსენი წარმართთაგან, რომლებიც გარს გვარტყიან! მათ ჩვენი სიკვდილი წინასწარ განუზრახავთ; მაგრამ შენ შეგიძლია ჩვენი ხსნა“. ესაა ყველაფერი, რაც დავიმახსოვრე მათ სიტყვათაგან. მათ, როგორც ჩანდა, ღრმად ჰქონდათ გააზრებული თავისი უღირსობა და ღმერთის ნებისადმი სრულ მორჩილებას ავლენდნენ: თუმცა ყოველი მათგანი თავგამოდებით მოუხმობდა ღმერთს და, იაკობის მსგავსად, გადარჩენისათვის იბრძოდა.

მას შემდეგ, რაც გულმოდგინედ შეღაღადებდნენ, თანაგრძნობით გამსჭვალულ ანგელოზებს სურდათ მათი გადარჩენა. მაგრამ მაღალმა, მბრძანებელმა ანგელოზმა არ დართო მათ ამის ნება. მან თქვა: „ღვთის ნება ჯერ არ აღსრულებულა. მათ უნდა შესვან თასი. ისინი ნათლობით უნდა მოინათლონ“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვისმინე ღმერთის ხმა, რომელმაც ზეცა და მიწა შეაზანზარა. მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ირგვლივ ყველგან ირყევა და ინგრევა შენობები. მაშინ გავიგონე გამარჯვების საზეიმო მოწოდება – ხმამაღალი, მელოდიური და მკაფიო. მე ვუცქერდი სულ ცოტა ხნის წინ მწუხარებაში და მონობაში მყოფ ამ ჯგუფს. ისინი ტყვეობიდან გათავისუფლდნენ. საოცარი შუქით განათებულიყვნენ. რა ლამაზები იყვნენ! დაღლილობისა და საზრუნავის კვალი სულ წაშლილიყო. თითოეული სახე სიჯანსაღეს და სილამაზეს აფრქვევდა. მათი მტრები, წარმართნი, მათ ირგვლივ რომ შემოხვეოდნენ, ახლა მკვდრებივით ეცემოდნენ მიწაზე. მათ ვერ გაუძლეს გათავისუფლებულ წმინდანთა სახეზე აკიაფებულ ნათელს. ეს ნათელი და დიდება დარჩება მათზე, ვიდრე იესო ზეციურ ღრუბლებზე არ გამოჩნდება და გამოცდილ ერთგულთა ჯგუფი უმალ, თვალის დახამხამებაში, იცვლება

დიდებიდან დიდებაში. სამარხები იხსნება და უკვდავებით შემოსილი წმინდანები გამოდიან შეძახილებით: „გამარჯვება სიკვდილსა და სამარეზე!“ ცოცხალ წმინდანებთან ერთად, ისინი ატაცებულ იქნენ თავის უფალთან შესახვედრად ჰაერში; იმ დროს კი ყოველი უკვდავი ენა და ყოველი წმინდა ბაგე დიდებისა დაგამარჯვების ჟღერად, მელოდიურ ხმებს გამოსცემდა.

იხ. ფსალმუნები 85; ოსია 6:3; ანგია 2:21-23; მათე 10:35-39; 20:23; ეფესელთა 6:10-18; 1 თესალონიკელთა 4:14-18; გამოცხადება 3:14-22

თავი 33

ბაბილონის ცოდვები

მე ვიხილე სხვადასხვა ეკლესიის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც მეორე ანგელოზმა მათი დაცემა გამოაცხადა. ისინი სულ უფრო და უფრო ირყვნებოდნენ, თუმცა ქრისტეს მიმდევრები ეწოდებოდათ. მათ ვერ გამოარჩევთ წუთისოფლისაგან. მათი მქადაგებლები ტექსტს ბიბლიიდან იღებენ, მაგრამ ქადაგებენ სასიამოვნოს. ხორციელი გული ამას არ ეწინააღმდეგება. მხოლოდ ჭეშმარიტების სული და ქრისტეს ხსნა – აი, რა სძულს ხორციელ გულს. პოპულარულ მსახურებაში არაფერია ისეთი, რაც სატანის რისხვას გამოიწვევს, ცოდვილს აიძულებს, თრთოლვით გამოუცხადოს გულსა და სინდისს მოახლოებული მომავალი სამსჯავროს საშინელი რეალობა. უწმინდურნი, ჩვეულებრივ, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის მხოლოდ გარეგნული იერით კმაყოფილდებიან; ისინი ასეთი რელიგიის ხელშემწყობნი იქნებიან და მას თანადგომას გამოუცხადებენ. ანგელოზმა თქვა: „ვერაფერი, გარდა სიმართლის ყოვლისმომცველი იარაღისა, ვერ დაძლევს წყვდიადის ძალებს და მათზე გამაჯვებას შეინარჩუნებს“. სატანა მთლიანად დაეუფლა ეკლესიებს. ღვთის სიტყვის უბრალო, მწვავე ჭეშმარიტებათა ნაცვლად საფუძვლად აღებულია ადამიანთა გამონათქვამები და საქმეები. ანგელოზმა თქვა: „წუთისოფელთან მეგობრობა და მისი სული ღმერთის მტრობაა“. როდესაც ჭეშმარიტება წუთისოფლის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ ცხადდება თავისი უბრალოებითა და ძალით, როგორიცაა იგი იესოში, მაშინვე იღვიძებს დევნის სულისკვეთება. ბევრმა, ძალიან ბევრმა, ვინც თავს ქრისტიანს უწოდებს, ვერ შეიცნო ღმერთი. ხორციელი გული არ გარდაიქმნა, ხოლო ხორციელი ფიქრები და აზრები ღმერთის წიააღმდეგ მტრულად განწყობილი რჩება. ისინი სატანის ერთგული მსახურები არიან, თუმცა სხვა სახელი დაირქვეს.

მე ვიხილე, რომ მას შემდეგ, რაც იესომ ზეციური საწმიდრის წმიდა დატოვა და გადავიდა მეორე ფარდის იქით, ეკლესიები დატოვებულ იქნა, ისევე, როგორც იუდეველნი; ისინი ყოველგვარი უწმიდური და ამაზრზენი ფრინველით ივსებოდა. მე ვხედავდი დიდ ურჯულოებასა და სისაძაგლეს ეკლესიებში; თუმცა ისინი თავს ქრისტიანებად აცხადებენ. მათი აღსარება, ლოცვები და თხოვნა ამაზრზენია ღმერთის წინაშე. ანგელოზმა თქვა: „ღმერთი არ იქნება მათ შეკრებებზე“. ეგოიზმი, თაღლითობა და სიცრუე არ იწვევს მათში სინდისის ქენჯნას. ხოლო ყველა ამ ბილწ თვისებას ისინი რელიგიის მანტიით მოსავენ. მე ვიხილე ნომინალურ ეკლესიათა ამპარტავნობა. ისინი არ ფიქრობენ ღმერთზე, მათი ხორციელი ფიქრები საკუთარი თავისაკენ არის მიმართული. ისინი იმშვენებენ თავიანთ საცოდავ მოკვდავ სხეულებს და კმაყოფილებით შესცქერიან საკუთარ თავს. იესო და ანგელოზები რისხვით უმზერენ მათ. ანგელოზმა თქვა: „მათმა ცოდვებმა და სიამაყემ ცას უწია. მათი ბედი გადაწყვეტილია“. სიმართლე და სამსჯავრო დიდხანს თვლემდა, მაგრამ მალე ისინი გამოფხიზლდებიან: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ“, – ამბობს უფალი. მესამე ანგელოზის მძვინვარე მუქარა განხორციელდა და უწმინდურნი შესვამენ ღვთის რისხვის თასიდან. ურიცხვი ბოროტი ანგელოზი მთელს დედამიწას მოედო. მათ ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები გაავსეს. საზეიმო განწყობით უცქერდნენ რელიგიურ საზოგადოებებს, რადგან რელიგიის მანტია ფარავს უდიდეს დანაშაულებსა და ურჯულოებას.

მთელი ზეცა შეძრწუნებული უცქერს ხალხს – ღვთის მარჯვენის ნამოქმედარს, რომელიც გადაგვარების უმდაბლეს სიღრმეებამდე დაეშვა და ცხოველთა დონეს გაუთანაბრდა. ხოლო ისინი, ვინც საკუთარ თავს იმ ძვირფასი მხსნელის მიმდევრებად თვლიან, რომელიც მუდამ თანაგრძნობას გამოხატავდა ადამიანთა მწუხარებისას, ხალისით იღებენ მონაწილეობას ამ უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვაში, როდესაც ვაჭრობენ მონებითა

და ადამიანთა სულებით. ანგელოზებმა ეს ყველაფერი აღნიშნეს. ეს წიგნშია ჩაწერილი. ღვთისმოსავი მონების, მამების, დედების და ბავშვების, ძმების და დების ცრემლები ზეცაში, ჭურჭელშია ჩადებული. ტანჯვა, ადამიანთა ტანჯვა გადააქვთ ადგილიდან ადგილზე, ყიდულობენ და ყიდიან. ღმერთი შეაკავებს თავის რისხვას კიდევ მხოლოდ მცირე ხნით. მისი რისხვა მიმართული იქნება ამ ადამიანთა წინააღმდეგ და, კერძოდ, იმ რელიგიურ ორგანიზაციათა წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ საზარელ ვაჭრობას და თავადაც იყვნენ მასში ჩაბმული. თავმდაბალი და მოკრძალებული იესოს ცრუ მიმდევრებს შეუძლიათ ამგვარ უსამართლობას, ამგვარ ჩაგვრას, ამგვარ ტანჯვა-წამებას გულგრილად უცქირონ. ხოლო ბევრ მათგანს თავადაც შეუძლია ამაზრზენი კმაყოფილებით მიაყენოს ყველა ეს წარმოუდგენელი ტანჯვა ადამიანებს და იმავდროულად, ღმერთის თაყვანისცემა გაბედონ. ეს საზარელი ცინიზმია, გახარებული სატანა იესოს და მის ანგელოზებს საყვედურობს ამგვარი წინააღმდეგობის გამო და ბოროტად საზეიმოდ აცხადებს: „ესენი არიან ქრისტეს მიმდევრები!“

ეს ცრუ ქრისტიანები წამებულთა ტანჯვის შესახებ კითხულობენ და თვალთაგან ცრემლები სდით. მათ უკვირთ, რომ ადამიანები შეიძლება ასეთი უსულგულონი იყვნენ და თავისი მოყვასის მიმართ ამგვარი არაადამიანური სისასტიკის გამოვლენის უნარი ჰქონდეთ, მაშინ როცა თავად თავის მოყვასთ მონობაში ამყოფებენ. და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ისინი არღვევენ ნათესაურ კავშირებს და სულ უფრო და უფრო მეტი სისასტიკით ჩაგრავენ თავის მოყვასთ. მათ შეუძლიათ არაადამიანური ტანჯვა მოუთოკავი სისასტიკით გამოიყენონ, რაც შეიძლება შევადაროთ პაპის თანამზრახველთა და წარმართთა დამოკიდებულებას ქრისტეს მიმდევართა მიმართ. ანგელოზმა თქვა: „წარმართები და პაპის თანამზრახველნი უკეთ იგრძნობენ თავს ღვთის სამსჯავროს დღეს, ვიდრე ეს ადამიანები“. ჩაგრულთა კვნესამ და ტანჯვამ ზეცას მიაღწია და ანგელოზები გაოგნებული არიან სასტიკი, წარმოუდგენელი ტანჯვისა და წამების შემხედვარე, რომელსაც თავისი შემოქმედის ხატად შექმნილი ადამიანი, თავის მოყვასს აყენებს. ანგელოზმა თქვა: „ასეთების სახელები სისხლითაა დაწერილი, მათრახის დარტყმითაა გადახაზული და ტანჯულთა მოწამებრივი, ცხარე ცრემლებითაა პირამდე აღვსილი. ღვთის რისხვა არ შეწყდება, ვიდრე ის ამ ქვეყანას მისი რისხვის თასს ბოლომდე არ შეასმევს და ბაბილონს ორმაგად არ მიუზღავს: „მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ, და ორმაგად მიაგეთ მისი საქმეების მიხედვით. სასმისში, რომელშიც აზავებდა ღვინოს, ორმაგად შეუზავეთ მას“.

მე ვიხილე, რომ მონათმფლობელმა პასუხი უნდა აგოს თავისი მონის გამო, რომელსაც უმეცრებაში ამყოფებს; და მონის ყველა ცოდვა მის პატრონს მოეკითხება. ღმერთი ვერ წაიყვანს ზეცაში მონას, რომელიც უმეცრებაში და დეგრადირებულ მდგომარეობაში ჰყავდათ, არაფერი იცოდა ღმერთისა და ბიბლიის შესახებ; რომელსაც არაფრის ეშინია, გარდა თავისი ბატონის მათრახისა და იმ დონესაც კი ვერ მიაღწია, რომელზედაც მისი პატრონის პირუტყვი იმყოფება. მაგრამ ისე მოექცევა, როგორც გულმოწყალე ღმერთს შეუძლია. გააკეთებს ისე, თითქოს ის არასოდეს ყოფილა; ხოლო მისმა პატრონმა უნდა გამოსცადოს უკანასკნელი შვიდი წყლული და გაიღვიძოს მეორე აღდგომის ჟამს, რათა მეორე, ყველაზე საშინელი სიკვდილით მოკვდეს. აი, მაშინ ჩაცხრება ღვთის რისხვა.

იხ. ამოსი 5:21; რომაელთა 12:19; გამოცხადება 14:9-10; 18:6

თავი 34

ხმამაღალი მოწოდება

მე ვიხილე ანგელოზები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქაროდნენ, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენისათვის ემზადებოდნენ. მაშინ მე დავინახე სხვა ძლევამოსილი ანგელოზი, რომელსაც დავალებული ჰქონდა დედამიწაზე დაშვება და თავისი ხმის მესამე ანგელოზის ხმისათვის შეერთება, რათა მისი უწყებისათვის დიდი ძალა და ძლევამოსილება შეემატებინა. ანგელოზი დიდ ძალასა და დიდებას ფლობდა და როცა დაეშვა, დედამიწა გაანათა მისმა დიდებამ. ნათელმა, რომელიც წინ უსწრებდა ამ ანგელოზს და თან ახლდა მას, შეაღწია ყველგან, როდესაც მან მაღალი ხმით შესძახა: „დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი უწმიდური სულის თავშესაფრად, და ყოველი უწმიდური და საძაგელი ფრინველის თავშესაფრად“. უწყება ბაბილონის დაცემის

შესახებ, როგორც იგი მეორე ანგელოზმა გააცხადა, კვლავ მეორდება, მაგრამ უკვე 1844 წლიდან ეკლესიაში შეღწეული გახრწნის მოხსენიებით. ამ ანგელოზის მსახურება იწყება სათანადო დროს და უერთდება მესამე ანგელოზის იმ უწყების უკანასკნელ დიად საქმეს, რომელიც ხმამაღალ მოწოდებად გარდაიქმნება. ღვთის ხალხი ყოველ მხარეს ემზადება, რათა მედგრად დახვდეს ცდუნების ჟამს, რომელიც მალე შეხვდება. მე ვიხილე მათზე დავანებული დიადი ნათელი, ისინი გაერთიანდნენ და მედგრად, დიდი ძალით აცხადებდნენ მესამე ანგელოზის უწყებას.

ანგელოზები ზეციდან გაიგზავნა ძლევამოსილი ანგელოზის დასახმარებლად და მე გავიგონე ხმები, ყოველ მხარეს რომ ეფინებოდა: „გამოერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მის ცოდვებს და არ მიიღო მისი წყლულებისაგან, ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი“. მეჩვენებოდა, რომ ეს უწყება მესამე ანგელოზის უწყების დამატება იყო და შეუერთდა მას, როგორც შუაღამის შეძახილი შეუერთდა მეორე ანგელოზის უწყებას 1844 წელს. უფლის დიდება მოფენოდა მოთმინებით მომლოდინე წმინდანებს. და ისინიც მამაცურად აცხადებდნენ უკანასკნელ საზეიმო გაფრთხილებას ბაბილონის დაცემის შესახებ და მოუწოდებდნენ ღვთის ხალხს, გამოსულიყვნენ მისგან, რათა საზარელი ხვედრი აეცილებინათ თავიდან.

მომლოდინეებზე გადმოღვრილმა ნათელმა ყველგან შეაღწია; და ეკლესიებში მათ, რომლებსაც ცოტა ნათელი გააჩნდათ, ისმენდნენ და არ უარყოფდნენ ამ სამ უწყებას, მოწოდებას გამოეხმაურნენ და დატოვეს დაცემული ეკლესიები. უწყებათა გამოცხადების დროიდან ბევრმა მიაღწია იმ ასაკს, როცა ადამიანები პასუხისმგებლობას იძენენ და ნათელმა გააშუქა ისინი. მათ ჰქონდათ უპირატესობა, აერჩიათ სიცოცხლე ან სიკვდილი. ზოგიერთმა აირჩია სიცოცხლე და ჩადგა უფლის მომლოდინეთა და მისი მცნებების დამცველთა რიგებში. მესამე უწყებამ თავისი საქმე უნდა შეასრულოს: მისი მეშვეობით ყველა უნდა გამოიცადოს და ძვირფასი ადამიანები გამოხმობილი იქნებიან რელიგიური ორგანიზაციებიდან. უძლეველი ძალა იმოქმედებს პატიოსან გულებზე, მაშინ როცა ღვთის ძლევამოსილების გამოვლენა შიშს ჰგვრის მათ ნათესავებსა და მეგობრებს, ისე აბრკოლებს მათ, რომ ვერ ბედავენ და უძლურნიც არიან, წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, ვინ თავის თავზე ღვთის სულის მოქმედებას გრძნობს. უკანასკნელი მოწოდება ღატაკ მონებამდეც აღწევს და მათ შორის ღვთისმოსავნი, მორჩილი სახით, თავისი ბედნიერი გადარჩენის მოლოდინში მღერიან არაჩვეულებრივი სიხარულის სიმღერებს, ხოლო პატრონებს მათი შეჩერება არ შეუძლიათ, რადგან შიშითა და გაოცებით მეტყველების უნარი წაერთმევათ. დიდი სასწაულები ხდება, სნეულები იკურნებიან, მორწმუნენი ნიშნებსა და სასწაულებს ხედავენ. ღმერთი მოქმედებს – და ყოველი წმინდანი, ვისაც შედეგების არ ეშინია, საკუთარი სინდისის კარნახით უერთდება ყველა მცნების დამცველთ. და ისინი დიდი ძალით აცხადებენ მესამე ანგელოზის უწყებას. მე ვიხილე, რომ მესამე უწყება დასრულდება ძალაუფლებითა და ძალით, რომლებიც ბევრად აღმატებული იქნება შუაღამის ძახილზე.

ზეციური ძალით შემოსილი ღვთის მსახურნი, განათებული სახეებით, წმინდა მიძღვნით ანთებულნი, გამოდიან თავისი საქმის აღსასრულებლად და ზეციდან უწყების გამოსაცხადებლად. ყველა რელიგიურ ორგანიზაციაში გაფანტული ძვირფასი ადამიანები გამოეხმაურნენ მოწოდებას და სწრაფად გამოვიდნენ განწირული ეკლესიებიდან, მსგავსად იმისა, როგორც ლოტი იქნა სასწრაფოდ გამოყვანილი სოდომიდან მის განადგურებამდე. ღვთის ხალხი მომზადდა და განმტკიცდა არაჩვეულებრივი ძალით, რომელიც მათზე უხვად გადმოვიდა, რათა მედგრად შეხვედროდნენ ცდუნების ჟამს. მრავალი ხმა, რომელიც მე ყველა მხრიდან მესმოდა, ამბობდა: „აქ არის წმიდათა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას“.

იხ. დაბადება მე-19 თავი; გამოცხადება 14:12; 18:2-5

თავი 35

მესამე უწყების დასრულება

ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ ჟამისადმი, როდესაც მესამე ანგელოზის უწყება დასრულდება. უფლის ძალა დავანებულიყო მის ხალხზე. მათ შეასრულეს თავისი საქმე და მომზადებულნი იყვნენ გამოცდის მოსალოდნელი დროისათვის. მათ მიიღეს გვიანი წვიმა ან

სიხარული უფლის პირისაგან და ცოცხალი მოწმობა კვლავ განახლდა. უკანასკნელი დიდი გაფრთხილება ეხარებოდა ყოველ მხარეს და იწვევდა მათ გაღიზიანებასა და რისხვას, ვისაც არ სურდა მისი მიღება.

მე ვიხილე ზეცაში ანგელოზები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქაროდნენ. დედამიწიდან დაბრუნდა ანგელოზი მწერლის სამელნით წელზე და მოახსენა იესოს, რომ მისი საქმე შესრულებულია: წმინდანები აღრიცხულია და დაბეჭდილი. მაშინ ვიხილე, რომ იესომ, რომელიც მსახურებს კიდობნის წინ, რომელშიც ათი მცნება დევს, დააგდო საცეცხლური, აღმართა ხელები ზემოთ და მაღალი ხმით წარმოთქვა: „აღსრულდა!“ მთელმა ზეციურმა მხედრობამ თავისი გვირგვინები მოიხსნა იმ დროს, როცა იესომ საზეიმოდ განაცხადა: „უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და უწმიდური კვლავ უწმიდურობდეს, მართალი კვლავ მართლობდეს და წმიდა კვლავ წმიდობდეს“.

მე ვიხილე: მაშინ ყოველის საქმე გადაწყდა სასიცოცხლოდ ან სასიკვდილოდ. იესომ წარხოცა თავისი ხალხის ცოდვები. მან მიიღო სამეფო და აღასრულა შერიგება თავისი სამეფოს ქვეშევრდომთათვის. იმ დროს, როდესაც იესო საწმიდარში მსახურებდა, სამსჯავრო ტარდებოდა განსვენებულ მართლებზე, შემდეგ კი – ცოცხალ მართლებზე. სამეფოს ქვეშევრდომნი განისაზღვრა. კრავის ქორწინება აღსრულდა. სამეფოც და მთელს ცისქვეშეთში მეფური დიდებაც მიეცა იესოსა და ხსნის მემკვიდრეთ. იესოს უნდა ემართა როგორც მეფეთ მეფეს და უფალთ უფალს.

როდესაც იესო წმიდათაწმიდიდან გამოდიოდა, მე გავიგონე მის სამოსზე ეჟვნების წკრიალი; და როცა მან საწმიდარი დატოვა, შავმა ღრუბელმა დაფარა დედამიწის მცხოვრებნი. უკვე აღარ იყო შუამავალი ცოდვილ ადამიანსა და შეურაცხყოფილ ღმერთს შორის. ვიდრე იესო ღმერთსა და ცოდვილებს შორის იდგა, ხალხზე შემაკავებელი გავლენა მოქმედებდა; მაგრამ როდესაც უფალმა დატოვა ადამიანსა და მამა ღმერთს შორის არსებული ეს ადგილი, შემაკავებელი გავლენა გაქრა და სატანამ ხალხზე ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. წყლულების გადმოღვრა არ მოხდებოდა იმ დროს, როცა იესო მსახურებას აღავლენდა საწმიდარში. მაგრამ როდესაც იქ მისი მსახურება დასრულდა და შუამდგომლობა შეწყდა, აღარაფერი დარჩა, რაც ღვთის სიტყვას შეაკავებდა და ის მძვინვარებას ატეხს ცოდვილის დაუცველ თავს, რომელმაც უარყო ხსნა და შეიძულა მხილება. ამ საშინელ ჟამს, ქრისტეს შუამდგომლობის დასრულების შემდეგ წმინდანები ცხოვრობდნენ წმინდა ღმერთის თვალთა წინაშე შუამავლის გარეშე. თითოეულის საქმე გადაწყვეტილი იყო, ყველა ძვირფასი სული აღრიცხული იყო. იესო წამით შეყოვნდა ზეციური საწმიდრის კართან და ცოდვები, რომლებიც მონანიებული არ იყო იმ დროს, ვიდრე ის წმიდათაწმიდაში იმყოფებოდა, მან დააკისრა ცოდვის წამომწყებს – ეშმაკს. სატანამ უნდა იტვირთოს სასჯელი ამ ცოდვათა გამო.

შემდეგ მე ვიხილე, როგორ გაიხადა იესომ თავისი მღვდელმსახურის სამოსი და შეიმოსა თავისი სამეფო სამოსით, მის თავს ამშვენებდა მრავალი გვირგვინი – ერთი გვირგვინი მეორეში. ანგელოზთა გუნდით გარშემორტყმულმა იესომ ზეცა დატოვა. დედამიწის მცხოვრებლებზე წყლულები გადმოიღვარა. ბევრი წყევლა-კრულვით ახსენებდა ღმერთს. სხვები ღვთის ხალხისაკენ მიიჩქაროდნენ და ემუდარებოდნენ მათ, ესწავლებინათ, როგორ დაეღწიათ თავი ღვთის სამსჯავროსაგან. მაგრამ წმინდანებს არაფერი ჰქონდათ მათთვის. უკანასკნელი ცრემლები ცოდვილთათვის უკვე დაიღვარა, სულიერი ტკივილით აღსავსე უკანასკნელი ლოცვა უკვე აღევლინა, უკანასკნელი ტვირთი უკვე ნატვირთია. მადლის ნაზი ხმა აღარ მოუხმობს მათ. უკანასკნელი გაფრთხილება უკვე მიცემული იყო. როდესაც წმინდანები და მთელი ზეცა მათი ხსნით იყო დაინტერესებული, ისინი ამის მიმართ არავითარ ინტერესს არ ავლენდნენ. მათ შესთავაზეს სიცოცხლე და სიკვდილი. ბევრმა სიცოცხლე ისურვა, მაგრამ არანაირად გასარჯულა მის შესაძენად. მათ სიცოცხლე არ აურჩევიათ და ახლა აღარ იყო გამომსყიდველი სისხლი ცოდვილთა გასაწმენდად. არ იყო გულმოწყალე მხსნელი, რომელიც მათთვის თხოვნით მიმართავდა: „შეიწყალე, შეიწყალე ცოდვილი კიდევ ცოტა ხანს“. მთელი ზეცა გაერთიანდა იესოსთან, როდესაც გაიგონა საზარელი სიტყვები: „აღსრულდა!“ ხსნის გეგმა დასრულდა. მაგრამ ცოტანი იყვნენ, ვინც აღიარა და მიიღო ეს გეგმა. ხოლო როდესაც მოწყალების ნაზი ხმა აღარ ისმოდა, უწმინდურნი შიშმა და საშინელებამ მოიცვა. საზარელი მოსასმენი იყო მათთვის სიტყვები: „ძალიან გვიანია! ძალიან გვიანია!“

ისინი, ვინც ღვთის სიტყვას ჯეროვნად არ აფასებდა, აქეთ იქით აწყდებოდნენ. ისინი დაეხეტებოდნენ ზღვიდან ზღვამდე, ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე უფლის სიტყვის

ძიებაში. ანგელოზმა თქვა: „ისინი ვერ ჰპოვებენ მას. აი, შიმშილია დედამიწაზე, არა შიმშილი პურისა, არა წყურვილი წყლისა, არამედ წყურვილი უფლის სიტყვების მოსმენისა“. რას არ მისცემდნენ ისინი, ოღონდ ღმერთისაგან თუნდაც მოწონების ერთი სიტყვა გაეგონათ! მაგრამ არა, მათ შემდგომშიც უნდა შიოდეთ და წყუროდეთ. დღითი დღე ეს ადამიანები უარყოფდნენ ხსნას, მიწიერი სიამოვნება და მიწიერი სიმდიდრე უფრო მეტად შეაფასეს, ვიდრე ზეციური ფასეულობანი და საგანძური. მათ უარყვეს იესო და სძულდათ მისი წმინდანები. უწმინდური ასეთი დარჩება მუდამ.

ბევრი უწმინდური, ვისზეც წყლულები გადმოიღვარა, დიდად განრისხდა. ეს საზარელი სანახაობა იყო. მშობლები მწარედ საყვედურობდნენ თავის შვილებს, ხოლო შვილები – მშობლებს, ძმები – დებს, ხოლო დები – ძმებს. ყველგან ისმოდა ხმამაღალი გოდება: „ეს შენ შემიშალე ხელი ჭეშმარიტების მიღებაში, რომელიც გადამარჩენდა ამ საშინელი ჟამისაგან!“ ხალხი მწარე სიძულვილით მიმართავდა მღვდელმსახურებს და საყვედურით ლაპარაკობდნენ: „თქვენ არ გაგვაფრთხილეთ, თქვენ თქვით, რომ მთელი წუთისოფელი მოიქცევა და ყვიროდით: „მშვიდობა, მშვიდობა“, რათა ჩაგეხშოთ ყოველგვარი შიში. თქვენ არაფერი გვითხარით ამ ჟამის შესახებ, ხოლო მათ, ვინც გვაფრთხილებდა, თქვენ ფანატიკოსებს და ბოროტ ადამიანებს უწოდებდით, რომელთაც ჩვენი დაღუპვა სურდათ“. მაგრამ მე ვიხილე, რომ მღვდელმსახურები ვერ გადაურჩნენ ღმერთის რისხვას. მათი ტანჯვა ათჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე მათი ხალხისა.

იხ. ეზეკიელი 9:2-11; დანიელი 7:27; ოსია 6:3; ამოსი 8:11-13; გამოცხადება მე-16 თავი; 17:14

თავი 36

იაკობის გასაჭირის ჟამი

მე ვიხილე, რომ წმინდანები ქალაქებსა და სოფლებს ტოვებდნენ, ერთიანდებოდნენ ჯგუფებში და სახლდებოდნენ ყველაზე განმარტოებულ ადგილებში. ანგელოზები მათ საკვებითა და წყლით ამარაგებდნენ, ხოლო უწმინდურნი შიმშილისა და წყურვილისაგან იტანჯებოდნენ. შემდეგ მე ვიხილე, დედამიწის მმართველები ერთად თათბირობდნენ, ხოლო სატანა და მისი ანგელოზები თავისი საქმით იყვნენ დაკავებული მათ ირგვლივ. მე ვიხილე, რომ დედამიწის სხვადასხვა მხარეს იგზავნებოდა იმ ბრძანებულების ასლები, რომელიც ნებას რთავდა ხალხს გარკვეული დროის შემდეგ მოეკლათ წმინდანები, თუკი ისინი არ უარყოფენ თავის საკუთარ რწმენას და არ დატოვებენ შაბათს, რათა დაეცვათ კვირის პირველი დღე. მაგრამ წმინდანები ამ დროს მშვიდად იყვნენ ღმერთის სასოებით და ეყრდნობოდნენ მის აღთქმას, რომ ხსნის გზა გამზადებული იქნება მათთვის. ზოგიერთ ადგილას, ბრძანების ძალაში შესვლამდე, უწმინდურნი თავს ესხმოდნენ წმინდანებს, რათა დაეღუპათ ისინი, მაგრამ მეომრების სახით მოვლენილი ანგელოზები იბრძოდნენ მათთვის. სატანას სურდა უპირატესობისათვის მიეღწია უზენაესის წმინდანთა განადგურებაში, მაგრამ იესომ უბრძანა თავის ანგელოზებს, დაეცვათ ისინი, რადგან ღმერთი განდიდდება მისი კანონის დამცველებთან აღთქმის დადებით მათ ირგვლივ მყოფ წარმართთა წინაშე. იესო ასევე განდიდდება, როცა მისი ერთგულნი, დიდხანს მომლოდინენი აიტაცებიან ზეცაში ისე, რომ სიკვდილს არ იხილავენ.

სულ მალე მე ვიხილე დიდ სულიერ მწუხარებაში მყოფი წმინდანები. ისინი, მომეჩვენა, გარშემორტყმულნი იყვნენ დედამიწის უწმინდური მაცხოვრებლებით. ყველა, როგორც ჩანდა, მათი წინააღმდეგი იყო. ზოგიერთი შიშმა მოიცვა, რომ ღმერთმა მიატოვა და უწმინდურთა ხელიდან დასაღუპავად გაიმეტა ისინი. მაგრამ მათ რომ სულიერი თვალები ახელოდათ, დაინახავდნენ ღვთის ანგელოზებს მათ ირგვლივ. შემდეგ გამოჩნდა მრავალი განრისხებული უწმინდური, ხოლო მათ უკან – ბოროტ ანგელოზთა სიმრავლე, რომლებიც აჩქარებდნენ უწმინდურებს, მოეკლათ წმიდანნი. მაგრამ თუ ისინი შეეცდებიან მათთან მოახლოებას, მათ ჯერ უძლეველი წმინდა ანგელოზთა ჯგუფის გავლა მოუწევთ, რაც შეუძლებელია. ღვთის ანგელოზებმა აიძულეს უწმინდურები, გაცლოდნენ იქაურობას, ხოლო მათ ირგვლივ შეკრებილი ბოროტი ანგელოზები – დაეხიათ უკან. ეს იყო საშინელი, საზარელი აგონიის ჟამი წმინდანთათავის. დღე და ღამე შეჰღაღადებდნენ ისინი ღმერთს ხსნისათვის. გარეგნულად ჩანდა, თითქოს მათი ხსნა შეუძლებელი იყო. უწმინდურნი უკვე სიხარულით გაჰყვიროდნენ: „რატომ არ დაგიხსნით თქვენი ღმერთი ჩვენს ხელთაგან? რატომ არ

ამაღლდებით ზეცად და არ გადაარჩენთ თქვენს სიცოცხლეს?“ წმინდანები მათ ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი ღმერთთან იბრძოდნენ, იაკობის მსგავსად. ანგელოზებს მათი გათავისუფლება სწყუროდათ, მაგრამ მათ კიდევ მცირე ხანს უნდა დაეცადათ, თასი დაეცალათ და ნათლობით მონათლულიყვნენ. თავისი მოვალეობის ერთგული ანგელოზები კვლავაც იცავდნენ მათ. დგებოდა ჟამი, როდესაც ღმერთს თავისი ძლევამოსილება უნდა გამოევლინა და სასწაულებრივად გაეთავისუფლებინა თავისი შვილები. ღმერთი არ მოითმენს, რომ მისი სახელი წარმართთა შორის შეიბღალოს. თავისი სახელის სადიდებლად დაიხსნა მან ყოველი მათ შორის, ვინც მოთმინებით ელოდა მას და ვისი სახელიც ჩაიწერა წიგნში.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთგულმა ნოემ. დაიწყო წვიმა და მოვიდა წარღვნა. ნოე და მისი ოჯახი კიდობანში შევიდნენ, ხოლო ღმერთმა კარი დახურა მათ უკან. ნოე პატიოსნად აფრთხილებდა ძველი მსოფლიოს მცხოვრებთ, მაშინ როცა ისინი აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ მას. ხოლო როცა წყლებმა იჩქეფა დედამიწაზე და ადამიანები ერთიმეორის მიყოლებით იძირებოდნენ, მათ დაინახეს, რომ კიდობანი, რომელიც სასაცილოდ ჰქონდათ აგდებული, უსაფრთხოდ დაცურავდა წყლებზე: იცავდა ერთგულ ნოესა და მის ოჯახს. მე ვიხილე, რომ ღვთის ხალხიც, რომელიც ღმერთის მოსალოდნელი რისხვის შესახებ აფრთხილებდა წუთისოფელს, გადარჩება. მათ პატიოსნად გააფრთხილეს დედამიწის მკვიდრნი და ღმერთი არ დაუშვებს, რომ უწმინდურებმა გაანადგურონ ისინი, ვინც ელოდა ზეცად ამაღლებას, არ ისურვეს მხეცის ბრძანებულების თაყვანისცემა და მისი ნიშნის მიღება. მე ვიხილე: უწმინდურთათვის წმინდანთა განადგურების ნება რომ დაერთოთ, ღმერთის მოძულე სატანა და მისი ყველა ანგელოზი კმაყოფილი დარჩებოდნენ. ო, რა საზეიმო წამი იქნებოდა მისი სატანური უდიდებულესობისათვის – უკანასკნელ დასკვნით ბრძოლაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ღვთის შვილებზე, რომლებიც ასე დიდხანს ელოდნენ მის ხილვას, ვინც შეიყვარეს. წმინდანთა ამაღლების შესახებ აზრის აბუჩად ამგდებნი მოწმენი გახდებიან საკუთარ ხალხზე ღმერთის ზრუნვისა და მათი დიდებით ხსნისა.

როდესაც წმინდანები ქალაქებსა და სოფლებს ტოვებდნენ, უწმინდურნი დაედევნენ მათ, აღმართეს თავისი მახვილი წმინდანთა მოსაკლავად, მაგრამ გატყდა ყველა მახვილი და დაეცა, როგორც უძლური ნამჯა. ღმერთის ანგელოზებმა დაიცვეს წმინდანები. ისინი დღედაღამ შეჰღაღადებდნენ ღმერთს გადარჩენის შესახებ და მათმა გოდებამ ღმერთამდე მიაღწია.

იხ. დაბადება მე-6 და მე-7 თავები; 32:24-28; ფსალმუნები 90; მათე 20:23; გამოცხადება 13:11-17

თავი 37

წმინდანთა გადარჩენა

ღმერთმა შუაღამისას ინება თავისი ხალხის გათავისუფლება. იმ დროს, როცა უღმერთონი აბუჩად იგდებდნენ მათ, უცებ მზე გამოჩნდა და გაბრწყინდა მთელი თავისი ძალით, ხოლო მთვარე უძრავად გაჩერდა. უწმინდურნი გაოგნებულნი უმზერდნენ მომხდარს. ნიშნები და სასწაულები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. თითქოს ბუნებაში ყოველივემ თავისი ბუნებრივი მიმდინარეობა დაკარგა. წმინდანები ზეიმითა და სიხარულით უმზერდნენ თავისი ხსნის ნიშნებს.

მდინარეებმა დინება შეწყვიტა. გამოჩნდა შავი მძიმე ღრუბლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებოდა. მაგრამ იყო ერთი ნათელი, გაბრწყინებული ადგილი, საიდანაც ღმერთის ხმა გამოდიოდა, მსგავსი მრავალი წყლისა, რომელმაც შეაზანზარა ზეცა და დედამიწა. ხდება დიდი მიწისძვრა. სამარხები გაიხსნა; რწმენაში მკვდარნი მესამე ანგელოზის უწყების ჟამს და შაბათის დამცველნი გამოვიდნენ თავის დამტვერილი სამარხებიდან განდიდებულნი, რათა ისმინონ მშვიდობის აღთქმა, რომლის დადებაც სურდა ღმერთს მისი კანონის დამცველებთან.

ზეცა ხან იხსნებოდა, ხანაც იხურებოდა და მღელვარებდა. მთები ირწეოდა, როგორც ლერწამი ქარის დროს, ყველგან ქვის ლოდები ცვიოდა. ზღვა დუღდა, ვითარცა უზარმაზარი ქვაბი და ქვებს ხმელეთზე ისროდა. როდესაც ღმერთი იესოს მოსვლის დღესა და საათს აცხადებდა და თავის ხალხთან მარადიულ აღთქმას დებდა, ის წარმოთქვამდა ერთ

წინადადებას, შემდეგ, სანამ მისი სიტყვები მთელს დედამიწას გადაევლებოდა, პაუზას აკეთებდა. ღვთის ისრაელი ზევით მიმართული მზერით ისმენდა იეჰოვას ბაგეებიდან გამომავალ სიტყვებს, რომლებიც მთელს დედამიწაზე ისმოდა გამაყრუებელი ქუხილის ხმების მსგავსად. ეს იყო შემაშფოთებლად საზეიმო მოვლენა. ყოველი წინადადების ბოლოს წმინდანები წამოიძახებდნენ: „დიდება! ალელუია!“ მათი სახეები ღმერთის დიდებით გაცისკროვნებულიყო და ბრწყინავდა მოსეს სახის მსგავსად, როცა ის სინას მთიდან ჩამოდიოდა. უწმინდურნი ვერ უყურებდნენ მათ ამ დიდების გამო. და როდესაც წარმოითქმება მარადიული კურთხევა მათზე, ვინც პატივს მიაგებდა ღმერთს, წმინდად იცავდა რა მის შაბათს, გაისმის ხმამაღალი წამოძახილი მხეცსა და მის ხატებაზე გამარჯვებისა.

შემდეგ დაიწყო ვერძობა, როდესაც დედამიწამ უნდა დაისვენოს. მე ვიხილე ღვთისმოსავი მონა, გამარჯვებით აღმდგარი, სიხარულით როგორ ყრიდა ხუნდებს, რომლებითაც შებორკილი იყო. იმ დროს კი მისი უწმინდური ბატონი შეშინებული აქეთ-იქით აწყდებოდა და არ იცოდა, რა ეკეთებინა, რადგან უწმინდურთ არ შეეძლოთ ღვთის წარმოთქმული სიტყვების გაგება. მალე დიდი თეთრი ღრუბელი გამოჩნდა. მასზე კაცის ძე იჯდა

როდესაც ეს ღრუბელი მხოლოდ გამოჩნდა შორს, ძალიან პატარა ჩანდა. ანგელოზმა თქვა, რომ ეს კაცის ძის ნიშანია. რაც უფრო უახლოვდებოდა იგი დედამიწას, ჩვენ შეგვეძლო, გვეხილა გამარჯვებისათვის მომავალი იესოს აღმატებული დიდებულება. წმინდა ანგელოზთა ამალა, თავზე მბრწყინავი გვირგვინებით, თან ახლდა მას გზაში. ვერანაირი ენა ვერ აღწერს ამ სცენის სიდიადეს. უბადლო დიდების ცოცხალი ღრუბელი უფრო მეტად მოახლოვდა და ჩვენ შეგვეძლო, უფრო ნათლად გვეხილა იესოს საყვარელი სახე. არსად ჩანდა ეკლის გვირგვინი, დიდების გვირგვინი ამშვენებდა მის წმინდა შუბლს. მის სამოსზე და თეძოზე ეწერა სახელი: **მეფეთ მეფე და უფალთ უფალი**. თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი, მისი ფეხები, როგორც მოელვარე სპილენძი, ხოლო ხმა, როგორც მრავალი მუსიკალური საკრავის ხმა. სახე მისი ბრწყინავდა, ვითარცა შუადღის მზე. მიწა ზანზარებდა მის ფეხებქვეშ, ხოლო ცა გაუჩინარდა, დაგრაგნილი წიგნივით და ყოველი მთა და კუნძული დაიძრა თავისი ადგილიდან. მიწიერი მეფეები და მთავრები, ათასისთავები, მდიდრები და ძლიერები, ყოველი მონა და თავისუფალი მიიმალნენ მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში. უთხრეს მთებსა და კლდეებს: „ზედ დაგვემხეთ და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომარის პირისაგან და კრავის რისხვისაგან, რადგან მოვიდა მათი დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?“

ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, მზად იყვნენ, აღეგავათ მიწის პირისაგან ღვთის შვილები, ახლა იძულებული იყვნენ, ეხილათ მათზე დავანებული უფლის დიდება. ისინი მათ განდიდებულთ ხედავენ. და მთელს ამ საშინელებაში ესმით წმინდანთა სიხარულით აღსავსე შეძახილები: „აი, ესაა ჩვენი ღმერთი, მას ველოდით, რომ გვიხსნიდა ჩვენ“. მიწა ძლიერ ირწევა, როცა ღვთის ძის ხმა იხმობს მიძინებულ წმინდანებს. ისინიც ეხმაურებიან და, დიდებული უკვდავებით შემოსილნი, გამოდიან შეძახილებით: „გამარჯვება! გამარჯვება სიკვდილსა და სამარეზე! ო, სიკვდილო, სადაა შენი ნესტარი? ჯოჯოხეთო, სადაა შენი ძლევა?“ მაშინ ცოცხალ და მკვდრეთით აღმდგარ წმინდანთა ხმები ერთმანეთს ერწყმის გრძელ, გამარჯვების აღტაცებულ შეძახილებში. სამარეში სნეულების ნიშნებით ჩასვენებულთა სხეულები ამოდიან იქიდან უკვდავი ჯანმრთელობითა და ძალით. ცოცხალი წმინდები თვალის დახამხამებაში შეიცვალნენ და აღმდგარ წმინდანებთან ერთად ამაღლდნენ უფალთან ჰაერში შესახვედრად. რა დიდებული შეხვედრაა! მეგობრები, რომლებიც სიკვდილმა დააშორა, შეერთდნენ, რათა აღარასოდეს დაშორდნენ ერთმანეთს.

ღრუბლის ეტლის ორივე მხარეს ფრთები იყო, ხოლო მათ ქვემოთ ცოცხალი ბორბლები. როდესაც ღრუბლის ეტლი ზემოთ მიიწევდა, ბორბლებმა წამოიძახეს: „წმინდაა“ და ფრთები კი მოძრაობდნენ და იძახნენ: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი!“ და ღრუბელზე მყოფი წმინდანებიც იძახდნენ: „დიდება, ალელუია!“ ეტლი ავიდა ზემოთ, წმინდა ქალაქამდე. ზეციური ქალაქის შესასვლელთან წმინდანები მწკრივში დგებიან და კვადრატს ქმნიან, რომლის შუაში იესო იმყოფება. ის წმინდანებსა და ანგელოზებზე მაღლაა. მის დიდებულ ტანსა და მშვენიერ სახეს ხედავს ყველა, ვინც კვადრატშია.

იხ. მეოთხე მეფეთა 2;11; ესაია 25:9; 1 კორინთელთა 15:51-55; 1 თესალონიკელთა 4:13-17; გამოცხადება 1:13-16; 6:14-17; 19:16

თავი 38

წმინდანთა ჯილდო

ამის შემდეგ მრავალი ანგელოზი, რომელთაც ქალაქიდან დიდებული გვირგვინები მოჰქონდათ, – თითო გვირგვინი ყოველი წმინდანისათვის მასზე დაწერილი მისი სახელით. როდესაც იესომ გვირგვინები მოითხოვა, ანგელოზებმა მიაწოდეს მას და საყვარელმა იესომ თავისი მარჯვენით დაადგა გვირგვინი ყოველ წმინდანს. სწორედ ასევე მიაწოდეს იესოს ქნარები და მან ასევე გადასცა ისინი წმინდანებს. მბრძანებელმა ანგელოზებმა პირველებმა წამოიწყეს და ყველა ხმა აღავლენდა სამადლობელს, ბედნიერ ქებას; ყოველი ხელი ოსტატურად ეხებოდა ქნარის სიმებს და გამოსცემდა მდიდარი, მშვენიერი მუსიკის მელოდიურ ბგერებს. შემდეგ მე ვიხილე, როგორ მიჰყავდა იესოს გამოსყიდულთა გუნდი ქალაქის ჭიშკრისაკენ. ის შეეხო ჭიშკარს – და ის ფართოდ გაიღო მბრწყინავი ანჯამებით, მაშინ იესომ უბრძანა ხალხებს, რომლებმაც შეინახეს ჭეშმარიტება, შესულიყვნენ ქალაქში. ქალაქში იყო ყველაფერი, რასაც თვალი ინატრებდა. ყველგან ღვთის შვილები ხედავდნენ არაჩვეულებრივ დიდებას. იესომ გადახედა თავის გამოსყიდულ წმინდანებს – მათი სახე დიდებით გაბრწყინებულიყო. მიმართა რა მათკენ სიყვარულით აღსავსე მზერა, იესომ თავისი მელოდიური მჟღერი ხმით წარმოთქვა: „მე ვუცქერ ჩემი სულის გმირობას დიდი კმაყოფილებით. ეს დიდებულება თქვენია, რათა მით დატკბეთ საუკუნოდ. თქვენი მწუხარება გაქრა. აღარ იქნება არც სიკვდილი, არც ტანჯვა, არც ყვირილი, არც ტკივილი – უკვე აღარ იქნება“. მე ვიხილე, როგორ მიუახლოვდა იესოს გამოსყიდულთა გუნდი და თავისი მბრწყინავი გვირგვინები დააწყო მის ფერხთით. და შემდეგ, როცა მისმა საოცარმა ხელმა აიღო ისინი, წმინდანები შეეხნენ თავის ოქროს ქნარებს და ზეცა აივსო მუსიკითა და სიმღერებით კრავის პატივსაცემად.

ამის შემდეგ მე ვიხილე იესო, რომელსაც გამოსყიდულნი სიცოცხლის ხესთან მიჰყავდა და კვლავ გავიგონეთ მისი ნაზი, ყველა მუსიკაზე, რომელიც ოდესმე გვსმენია, უმშვენიერესი ხმა: „ამ ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა. ჭამეთ ისინი“. სიცოცხლის ხეს უმშვენიერესი ნაყოფი გამოსხმოდა, რომლის ჭამაც თავისუფლად შეეძლოთ წმინდანებს. ქალაქში უდიდებულესი ტახტი იდგა, საიდანაც სიცოცხლის წყლის კრისტალურად სუფთა მდინარე მოედინებოდა. მდინარის ნაპირებზე შესანიშნავი, საჭმელად ვარგისი ნაყოფით დახუნძლული ხეები იყო. ენას არ ძალუძს ზეცის მშვენიერების აღწერა. როდესაც ამ სურათს წარმოვიდგენ, გაოგნებული ვშეშდები და დატყვევებული ვარ არაჩვეულებრივი, უბრწყინვალესი დიდებულებით, ვდებ კალამს და ვიძახი: „ო, რა სიყვარულია! რა საოცარი სიყვარულია!“ ყველაზე ამაღლებულ სიტყვაკაზმულობასაც კი ხელთ არ ეწიფება ზეცის დიდებისა და მხსნელის სიყვარულის შეუცნობადი სიღრმის აღწერა.

იხ. ესაია 53:11; გამოცხადება 21:4, 22:1-2

თავი 39

დედამიწის გაუკაცრიელება

ამის შემდეგ მე ვიხილე დედამიწა. უწმინდურნი განადგურდნენ და მათი გვამები მიწის ზედაპირზე ეწყო. დედამიწის მცხოვრებთ ღვთის რისხვა დაატყდათ თავს შვიდი უკანასკნელი წყლულის სახით. ისინი ტკივილისაგან ენას იკვნეტდნენ და ღმერთს წყევლიდნენ. ცრუმწყემსები იეჰოვას რისხვის მთავარი ობიექტი იყვნენ. მათ თვალები ჩაუცვივდათ და ენა ჩაუვარდათ, სანამ ჯერ კიდევ ფეხზე იდგნენ. მას შემდეგ, რაც წმინდანები ღვთის ხმით გათავისუფლდნენ, განრისხებულ უწმინდურთა ბრბო ერთმანეთს დაერია. დედამიწას თითქოს სისხლი გადასხმოდა და გვამები დედამიწის ერთი კიდიდან მეორემდე მოფენილიყო.

დედამიწა გაუკაცრიელდა. მიწისძვრის შედეგად ქალაქები და სოფლები ნანგრევებად ქცეულიყო. მთებმა ადგილი იცვალა და დიდი უფსკრულები წარმოქმნა. ზღვამ ქვის დიდი ლოდები ხმელეთზე გადმოისროლა, კლდეები მოწყდა მიწას და მის ზედაპირზე გაიფანტა. დედამიწა უკაცრიელ ველურ ადგილს მოგაგონებდათ. ირგვლივ ძირფესვიანად ამოთხრილი ხეები ეყარა. აქაურობა სატანისა და მისი ბოროტი ანგელოზების საცხოვრისად იქცა ათასი

წლის მანძილზე. აქ იქნებიან ისინი დატყვევებული, ივლიან დედამიწის დანგრეულ ზედაპირზე და მუდმივად იხილავენ ღმერთის კანონის წინააღმდეგ თავისი ამბოხის შედეგებს. სატანას შეეძლება, ათასი წლის განმავლობაში იგემოს მისი წყევლით გამოწვეული შედეგებით. ის შეზღუდული იქნება მხოლოდ დედამიწის საზღვრებით და არ ექნება სხვა პლანეტების ხილვის შესაძლებლობა მათ უცოდველ მცხოვრებთა საცდუნებლად და გასაღიზიანებლად. ამ დროს სატანა ძლიერ დაიტანჯება. თავისი დაცემის დღიდან ის მუდმივად ახდენდა თავისი ბოროტი თვისებების სრულყოფას. ახლა კი ეშმაკმა ძალა დაკარგა და დატოვებულია, რათა გაიაზროს, რა როლი ითამაშა თავისი დაცემიდან მოყოლებული, თრთოლვითა და შიშით ელოდოს საზარელ მომავლს, როცა უნდა ევნოს ყველა ბოროტების გამო და დაისაჯოს იმ ცოდვების გამო, რომლებიც ჩადენილია მისი ცდუნების გავლენით.

შემდგომ ამისა მე გავიგონე ანგელოზთა და გამოსყიდულ წმინდანთა მხიარული, ათობით ათასი მუსიკალური ინსტრუმენტის მსგავსი ხმის შეძახილები; ყველა ხარობდა, რადგან ეშმაკი აღარ შეუჩნდება და აღარ შეეცდება აცდუნოს ისინი, ხოლო სხვა სამყაროების მკვიდრნი გათავისუფლდებიან მისგან და მისი ცდუნებებისგან.

შემდეგ კი ვიხილე ტახტები, რომლებზედაც ისხდნენ იესო და გამოსყიდული წმინდანები. წმინდანები მეფობდნენ, ვითარცა მეფენი და ღმერთის მღვდლები, ხოლო მკვდარი უწმინდურები გასამართლდნენ, მათ საქმეებს კანონის წიგნთან, ღვთის სიტყვასთან ადარებდნენ; ისინი განიკითხნენ იმის მიხედვით, თუ რა აკეთეს, როცა ხორცში იყვნენ. იესომ წმინდანებთან ერთად უწმიდურთ მათი საქმეებისდა მიხედვით მიუზღვეს სასჯელად ტანჯვა; ეს შეტანილ იქნა სიკვდილის წიგნში მათი სახელის გასწვრივ. სატანა და მისი ანგელოზებიც ასევე გასამართლდნენ იესოსა და წმინდანების მიერ. სატანის სასჯელი ბევრად მძიმე იქნება, ვიდრე მათი, ვინც მან აცდუნა. ის იმდენად დიდი იქნება, რომ შედარებასაც კი არ ექვემდებარება. მის მიერ მოტყუებულთა დაღუპვის შემდეგ, ის კიდევ იცოცხლებს და ბევრად უფრო დიდხანს დაიტანჯება.

მას შემდეგ, რაც ათასი წლის დასასრულს, განიკითხა ყველა მკვდარი უწმინდური, იესომ დატოვა ქალაქი ანგელოზთა ამალის თანხლებით. წმინდანებიც თან გაჰყვნენ მათ. იესო ეშვება უზარმაზარ მთაზე და როგორც კი მას მისი ფეხები შეეხო, იგი გაიყო და დიდ დაბლობად გადაიქცა. მაშინ ჩვენ ავიხედეთ ზემოთ და დავინახეთ დიდი მშვენიერი ქალაქი, თორმეტი საძირკველითა და თორმეტი ჭიშკრით, სამ-სამი ყოველ მხარეს და თითო ანგელოზი ყოველ ჭიშკართან. სიხარულით წამოვიძახეთ: „ქალაქი! დიდებული ქალაქი! იგი ღმერთისაგან ციდან ეშვება!“ ქალაქი დაეშვა მთელი თავისი ბრწყინვალებითა და დამაბრმავებელი დიდებით, განთავსდა დიდ დაბლობზე, რომელიც იესომ მისთვის გაამზადა.

იხ. ზაქარია 14:4-12; გამოცხადება 20:2-6, 12; 21:10-27

თავი 40

მეორე აღდგომა

ახლა იესო წმინდა ანგელოზების და გამოსყიდულთა თანხლებით ტოვებს ქალაქს. წმინდა ანგელოზები გარს შემოერტყნენ იესოს და ისე მიჰყვებოდნენ გზაში, მათ თან მისდევდნენ გამოსყიდული წმინდანები. იესო საშინელი, შემაძრწუნებელი დიდებულებით მოუხმობს უწმიდურ მკვდრებს და ისინი გამოდიან იგივე უძლური, სნეული სხეულით, როგორითაც ჩაეშვნენ სამარეში. რა სანახაობაა! რა სურათი! პირველი აღდგომის ჟამს ყველა გამოვიდა უკვდავებით შემოსილი, ხოლო მეორე აღგომისას წყევლის კვალი ამჩნევია ყველას. დედამიწის მეფეები და მბრძანებლები გამოდიან მდაბიოთა და უბრალოთა, განათლებულთა და ბრიყვთა თანხლებით. ყველანი კაცის ძეს უყურებენ და ისინი, ვისაც სძულდა იესო და აბუჩად იგდებდა მას, ამათრახებდა და მის სპეტაკ შუბლზე ეკლის გვირგვინს დგამდა, უფალს მთელი თავისი მეფური დიდებულებით ხედავენ. ვინც მისი გასამართლების ჟამს აფურთხებდა, ახლა პირს იბრუნებს მისი გამჭოლი მზერისა და მისი სახის დიდებისაგან. ისინი, ვინც ლურსმნით განგმირა იესოს ხელები და ფეხები, ახლა მისი ჯვარცმის კვალს უცქერდნენ. ვინც მისი ფერდი განგმირა, თავისი სისასტიკის კვალს ხედავს მის სხეულზე. მათ უწყიან, რომ ეს ისაა, ვინც ჯვარს აცვეს და ვინც გაამასხარავეს

მისი სასიკვდილო ტანჯვის ჟამს. გაისმის ერთი გაბმული გმინვა, როდესაც ისინი გარბიან, რათა დაემალონ მეფეთ მეფესა და უფალთ უფალს.

ყველა კლდეებში დამალვას ცდილობს, რათა თავი დაიცვას იმის საშინელი დიდებისაგან, ვინც ოდესღაც სძულდათ. ტკივილამდე თავზარდაცემულნი მისი სიდიადითა და არაჩვეულებრივი დიდებულებით, ისინი საზარელი ერთსულოვნებით ყვირიან: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“

მაშინ იესო და წმინდა ანგელოზები, ყველა წმინდანის თანხლებით, ბრუნდებიან ქალქაში, ხოლო ჰაერი განწირულ უწმინდურთა მწარე გმინვითა და საცოდავი კვნესით ივსება. ამის შემდეგ მე ვიხილე, რომ სატანა კვლავ შეუდგა საქმეს. მან ჩამოუარა თავის ქვეშევრდომებს, გაამხნევა სუსტები და უძლურები და განაცხადა, რომ ის და მისი ანგელოზები უძლეველნი არიან. ის მიუთითებს ურიცხვ, მილიონობით მკვდრეთით აღმდგარ ადამიანებზე. იქ იყვნენ უშიშარი მეომრები და მეფეები, ბრძოლაში გამობრძმედილნი და ოდესღაც სამეფოების დამპყრობნი. იქ იყვნენ უძლეველი ბელადები და მამაცი ადამიანები, პატივმოყვარე ნაპოლეონი, ვისი მოახლოებაც კი შიშის ზარს სცემდა სამეფოებს. იქ იდგნენ მაღალი ტანის კაცები, კეთილშობილი და დიდებული სახეებით, რომლებიც დაეცნენ დაპყრობითი ბრძოლების ველზე. როდესაც ისინი სამარედან ამოდიან, მათი აზრების მიმდინარეობა, რომელიც სიკვდილმა შეწყვიტა, კვლავ ახლდება. სატანა თათბირობს თავის ანგელოზებთან, შემდეგ კი – ამ მეფეებთან, დამპყრობლებთან და ძლიერ კაცებთან. შემდეგ მზერას ავლებს თავის უზარმაზარ არმიას და ატყობინებს მას, რომ ქალაქში მყოფნი მცირენი არიან და თანაც ძალიან სუსტნი, ამიტომ უწმიდურთ შეუძლიათ, შეუტიონ მათ და დაიპყრონ ქალაქი, გააძევონ იქიდან ქალაქის მკვიდრნი და ხელში ჩაიგდონ მისი სიმდიდრე და დიდება.

სატანა ახერხებს მათ მოტყუებას და ყველა უმალ ბრძოლისათვის ემზადება. ისინი ქმნიან საბრძოლო იარაღებს, რადგან იმ მრავალრიცხოვან არმიაში ბევრი დასუსტებული ადამიანია. შემდეგ უზარმაზარი არმია, სატანის მეთაურობით, იწყებს სვლას. მეფეები და მეომრები სატანას მისდევენ უკან, მათ კი – ქვედანაყოფებად დაყოფილი ამბოხებულნი. ყოველ ქვედანაყოფს თავისი მეთაური ჰყავს და როდესაც ის მოძრაობს წმინდა ქალაქისაკენ დედამიწის უსწორმასწორო, გადათხრილ ზედაპირზე, მისი რიგები წესრიგს ინარჩუნებს. იესომ ქალაქის კარიბჭე დაკეტა, ხოლო ეს მრავალრიცხოვანი არმია საბრძოლო წესრიგით ქალაქს ალყას არტყამს. მათ მოამზადეს სამხედრო იარაღის ყველა სახეობა და ელოდნენ სასტიკ ბრძოლას. უწმიდურნი ქალაქის ირგვლივ განლაგდნენ. იესო, ანგელოზთა მთელი მხედრობა და ყველა წმინდანი თავზე მბრწყინავი გვირგვინებით ეშვებიან ქალაქის კედელზე. იესო დიდებით აცხადებს: „უმზირეთ, ცოდვილნო, მართალთა ჯილდოს! და დაინახეთ თქვენ, ჩემო გამოსყიდულნო, უწმიდურთა საზღაური!“ უზარმაზარი არმია უმზერს დიდებულ გუნდს ქალაქის კედლებზე. როდესაც მათ გვირგვინთა სილამაზეს, იესოს ხატებით გაბრწყინებულ მათ სახეებს, შემდეგ კი მეფეთ მეფის და უფალთ უფლის უზენაეს დიდებასა და დიდებულებას ხედავენ, შიში იპყრობთ. ისინი ხვდებიან, თუ როგორი საგანძური და დიდება დაკარგეს და იწყებენ იმის შემეცნებას, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია. ისინი ბედნიერ წმინდანთა გუნდს ხედავენ, რომლებიც ასე სძულდათ, ახლა ისინი დიდებით, ღირსებით, უკვდავებითა და მარადიული სიცოცხლით არიან შემოსილი, მაშინ როცა თავად ქალაქის გარეთ იმყოფებიან, ყოველგვარ უწმინდურებასა და სიბილწეში.

იხ. მათე 23:29; გამოცხადება 6:15-16; 20:7-9; 22:12-15

თავი 41

მეორე სიკვდილი

სატანა თავის ქვეშევრდომთა სიღრმეში მიისწრაფვის და ცდილობს გაამხნეოს უზარმაზარი ბრბო და მოქმედების სული შთაბეროს. მაგრამ ღმერთისაგან მათზე ზეციდან ცეცხლი იღვრება და დიდი ადამიანები, უძლეველი და კეთილშობილი კაცები, ასევე ღატაკნი და საცოდავნი – ყველა ერთად ნადგურდება. მე ვიხილე, რომ ზოგიერთი სწრაფად განადგურდა, ზოგი კი – დიდხანს იტანჯებოდა. ისინი დაისაჯნენ იმის შესაბამისად, როგორადაც ცხოვრობდნენ ხორცში. ზოგიერთი ცეცხლში ბევრი დღე იმყოფებოდა, და სანამ გასანადგურებელი რჩებოდა მათი თუნდაც ერთი ნაწილი, ისინი განიცდიდნენ ტანჯვას მთელი სისრულით.

სატანა და მისი ანგელოზები დიდხანს იტანჯებოდნენ. სატანამ არა მარტო მთელი თავისი ცოდვები იტვირთა და დაისაჯა მათ გამო, არამედ ყველა გამოსყიდულის ცოდვაც მას დააწვა. მან უნდა იტანჯოს იმ ადამიანთა გამოც, ვინც დაღუპვამდე მიიყვანა. შემდეგ მე ვიხილე, რომ სატანა და ყველა უწმინდური განადგურდნენ და ღმერთის სამართლიანობა დაკმაყოფილდა. მაშინ მთელმა ზეციურმა მხედრობამ და ყველა გამოსყიდულმა წმინდანმა ხმამაღლა წამოიძახა: „ამინ!“

ანგელოზმა თქვა: „სატანა ფესვია, მისი შვილები – ტოტები. ახლა ფესვიცა და ტოტებიც განადგურებულია. ისინი მარადიული სიკვდილით მოკვდნენ და აღარასოდეს აღდგებიან, და ღმერთს ექნება წმინდა სამყარო“. ამის შემდეგ მე დავინახე, რომ ცეცხლი, რომელმაც უწმინდურნი გაანადგურა, მთელს დედამიწაზე ყოველივე ბილწს სწვავდა და ასუფთავებდა მას. მე კვლავ შევხედე და ვიხილე განწმენდილი დედამიწა, არსად ჩანდა წყევლის კვალიც კი. დედამიწის გამრუდებული, უსწორმასწორო ზედაპირი ახლა სწორ ფართო ველად გამოიყურებოდა. ღმერთის მთელი სამყარო წმინდა იყო და დიადი ბრძოლა სამუდამოდ დასრულდა. საითაც არ უნდა გაგვეხედა, რაზეც არ უნდა შეჩერებულიყო ჩვენი მზერა – ყველაფერი მშვენიერი და წმინდა იყო. გამოსყიდულთა მთელი გუნდი, ხანდაზმულნიც და ახალგაზრდებიც, დიდებიც და პატარებიც თავის მბრწყინვალე გვირგვინებს თავისი გამომსყიდველის ფერხთით აწყობენ და მისდამი მოწიწების ნიშნად მუხლს იდრეკენ, რათა თაყვანი სცენ დასაბამიდან მყოფ უფალს. უმშვენიერესი ახალი მიწა, მთელი თავისი დიდებულებით წმინდანთა საუკუნო მემკვიდრეობაა. ხოლო მეფობა და ხელმწიფება და მეფური დიდებულება მთელს ცისქვეშეთში შემდგომ მიეცა უზენაესის წმინდანებს, რომლებიც დაეუფლებიან მას საუკუნოდ.

იხ. ესაია 66:24; დანიელი 7:26-27; გამოცხადება 20:9-15; 21:1; 22:3

შინაარსი

წინასიტყვაობა
თავი 1. სატანის დაცემა
თავი 2. ადამიანის დაცემა
თავი 3. ხსნის გეგმა
თავი 4. ქრისტეს პირველი მოსვლა
თავი 5. ქრისტეს მსახურება
თავი 6. ფერიცვალება
თავი 7. ქრისტეს გაცემა
თავი 8. ქრისტეს გასამართლება
თავი 9. ქრისტეს ჯვარცმა
თავი 10. ქრისტეს აღდგომა
თავი 11. ქრისტეს ამაღლება
თავი 12. ქრისტეს მოწაფეები
თავი 13. სტეფანეს სიკვდილი
თავი 14. სავლეს მოქცევა
თავი 15. იუდეველნი პავლეს მოკვლას გადაწყვეტენ
თავი 16. პავლემ მოინახულა იერუსალიმი
თავი 17. დიდი განდგომილება
თავი 18. ურჯულოების საიდუმლო
თავი 19. სიკვდილი, და არა სიცოცხლე მარადიულ ტანჯვაში
თავი 20. რეფორმაცია
თავი 21. ეკლესიის გაერთიანება წუთისოფელთან
თავი 22. უილიამ მილერი
თავი 23. პირველი ანგელოზის უწყება
თავი 24. მეორე ანგელოზის უწყება

თავი 25. ხილვაში წარმოდგენილი ადვენტისტური მოძრაობა
თავი 26. სხვა ხილვა
თავი 27. საწმიდარი
თავი 28. მესამე ანგელოზის უწყება
თავი 29. საიმედო საფუძველი
თავი 30. სპირიტიზმი
თავი 31. სიხარბე
თავი 32. გაცხრილვა
თავი 33. ბაბილონის ცოდვები
თავი 34. ხმამაღალი მოწოდება
თავი 35. მესამე უწყების დასრულება
თავი 36. იაკობის გასაჭირის ჟამი
თავი 37. წმინდანთა გადარჩენა
თავი 38. წმინდანთა ჯილდო
თავი 39. დედამიწის გაუკაცრიელება
თავი 40. მეორე აღდგომა
თავი 41. მეორე სიკვდილი